




# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

22 მარტი 2013 №6(188)

შეხვედრის მისტერია  
ინტევიუ ლევან ვასაძესთან  
გიორგი გამსახურდიას ლირიკა  
ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსები  
ერთი ბრმა და ოცდაათი თვალხილული  
ირაკლი სამსონაძე თამაზ ბაძალაშვილზე  
გზაზე უცნაური მგზავრი მიდიოდა  
ინგებორგ ბახმანის მცირე პოემა  
ნონა კუპრეიშვილის პიესა  
თამარ მიქაძის ნოველები



**შინაარსი**

<b>ასეისბიკა</b>	<b>2</b>	<b>ირაკლი სამსონაძე საკუთარ ფრთებს ჩამორჩენილი</b> (თამაზ ბაძაღუა — დრამატურგი)
<b>ლიბერატორული ცხოვრება</b>	<b>5</b>	<b>საკუთარი ლექსები — დასავლელ პოეტთა სახელით</b> (გივი გაჩეჩილაძის პოეტური კრებული)
<b>ბანთიადიდან ბანთიადადამდე</b>	<b>6</b>	<b>როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ</b>
<b>მესარეს-ინტერვიუ</b>	<b>10</b>	<b>ლევან ვასაძე „ღმერთი, სამშობლო და ადამიანი“</b> (მომამზადა ნატა ვარადაძე)
<b>პროზა</b>	<b>11</b>	<b>თამარ მიქაძე ძალიან პატარა ქალაქში</b>
<b>დრამატურგია</b>	<b>15</b>	<b>ნონა კუპრეიშვილი ნათელა</b>
<b>ლიბერატორული ცხოვრება</b>	<b>21</b>	<b>მაია მაკალათია აღმოსავლეთი მისიონერის თვალთ</b> (მანანა დუმბაძის „ავღანეთი „ბარონის“ ჭუჭყრუტანიდან“)
<b>პოეზია</b>	<b>22</b>	<b>ნუციკო დეკანოზიშვილი ბაზაფხული და სხვა ლექსები</b>
	<b>25</b>	<b>გიორგი გამსახურდია „რაც გამივლია ერთი ჩარაა“ და სხვა ლექსები</b>
<b>აინტროდუქცია</b>	<b>26</b>	<b>ნანა მირაშვილი ღია წერილი მანანა ბაბაშვილს</b>
<b>უსხოთის ცხოვრებიდან</b>	<b>27</b>	<b>მაკო ჯანჯიბუხაშვილი სირცხვილი, როგორც ხსნა</b> (ჯონ მაქსველ კუტხეც „სირცხვილი“)
<b>ღიალოგი</b>	<b>30</b>	<b>„მოგურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვად ქნევა“</b> (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება ლევან ყიფიანი)
<b>მოგონებათა სივრცე</b>	<b>33</b>	<b>მაია ჯალიაშვილი შინაგარეშის მისტერი</b> (ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები)
<b>ხელოვნის არქივი</b>	<b>34</b>	<b>გუბაზ მეგრელიძე უშანგი ჩხეიძის დაუთმავრებალი პიესები</b>
<b>ლიბერატორული პორტრეტი</b>	<b>39</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ბზაზა უცნაური მგზავრი მიღიოდა</b> (ომარ ჩუბინიძე)
<b>პარლს ბაუფრენა კომორი</b>	<b>44</b>	<b>გურამ პეტრიაშვილი ოლიკოს ბავშვობა</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>48</b>	<b>მარინე გიგაშვილი მგლოვინარე საპატარკლო</b> (ვანო ჩხიკვაძის „ახადელების რძალი“)
<b>ისტორიის თეთრი ლაქები</b>	<b>50</b>	<b>ნინო დეკანოიძე უჩინარნი, მამრამ ღიაღნი</b> (დოდო ჭუმბურიძის „ისტორიული პორტრეტები. წერილები“)
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	<b>51</b>	<b>ინგებორგ ბახმანი ქვეყნის, მდინარისა და ტბების შესახებ</b>
<b>ახალი თარგმანი</b>	<b>55</b>	<b>ალექსანდრ კოტოვი ერთი ბრმა და ოცდაათი თვალწილული</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიშნები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ულმოგელი ბაკვეთილი</b>

**ორკვირული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 92) 25\_94\_94

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯიბლაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: დადიანების სასახლე ზუგდიდში, ნოდარ ქორთუას ფოტოგრაფიული

ჯონ მაქსველ კუტხეცე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 აპრილს



ირაკლი სამსონაძე

## საკუთარ ფრთებს ჩამორჩენილი

ყველაფერს თავისი დრო ჰქონია. მაშინ, როცა ელდასავით უშეღავათო და ყოვლისმომცველი იყო ჩემი თაობის ბრწყინვალე პოეტის, თამაზ ბაძაღუას, მისი მეუღლის – ნატოს და პატარა თუთას ტრაგიკული ხვედრით გამოწვეული ტკივილი (იმავე ავტოკატასტროფას ბათუ დანელიას მეუღლეც ემსხვერპლა), თუმცა მთხოვეს, მაგრამ ვერა, ჰო, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს დავწერდი, რადგან სრულიად შეუძლებლად მივიჩნეე მაგიდაზე ფურცლების გაშლა, კალმისტრის მომარჯვება, მოგონებებიდან რამდენიმე ისტორიის გამოხმობა ან თუნდაც იმ მდგომარეობის გადმოცემა, როცა შენს თვალწინ გამოუხსნორებელი შეცდომა მოხდა და უძლეური ხარ, უსუსური, ვერაფერს შეცვლი, რაღაც დაირღვა კოსმოსში. ჰო, კოსმოსში – თითქოსდა კოსმიური უსამართლობის შემსწრენი შევიქენით მაშინ, ამან გავგახევა, თავზარი დავგვცა და ისიც გვაგრძნობინა, რომ დარჩენილი წლები ჩვენი იმჟამინდელი გახეების ანარეკლით მოგვიწევდა ცხოვრება.

მართლაცდა თავისი დრო ჰქონია ყველაფერს; მეოთხედი საუკუნე გავიდა იმ დიდი ელდიდან, იქნებ ამანაც გამაბედინა წინასიტყვაობის დაწერა თამაზ ბაძაღუას პიესების წიგნზე.

პირველ ნაბიჯებს ვდგამდი დრამატურგიაში და არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ბევრი რამ არ ვიცოდით – ტექნიკა დასახევენი იყო, კომპოზიციის გრძნობა გამოსამუშავებელი, თხრობის მანერა გასარანდი, ან, უკეთ ვთქვათ, თეატრის ენაზე ასამეტყველებელი, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი – რიგიანად თეატრისაც არ გვესმოდა იმხანად, უფრო სწორად, სპექტაკლს პარტერიდან აღვიქვამდით, ჩვენ კი, რადგანაც დრამატურგებად შევისახელებთ თავი, ანდა რადგანაც თამაზ ჭილაძის თაოსნობით დაარსებულ ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარზე შეგვასახელებს დრამატურგებად და ნებით თუ უნებლიეთ ლიტერატურის ამ ურთულესი დარგის წიაღში აღმოვჩნდით თავამორგულნი, იმის მარიფათიც უნდა გამოგვეჩინა, რომ პარტერს გამოვცლოდით, მეტი ინფორმაცია მოგვეძია თეატრის მიღმეირ სამყაროზე, სადაც დრამატურგის მიერ მოთხრობილ ამბავს რეჟისორი და მსახიობები თავის სარჩულში გამოკრავენ ხოლმე, პიესის ავტორისთვის რიგ შემთხვევაში სრულიად მოულოდნელი, იქნებ მიუღებელი კუთხიდანაც კი აწვდიან მაყურებელს, მაგრამ აწვდიან ან ცდილობენ მიაწოდონ იმ ხერხებით, თეატრის იმ ენაზე, რომელიც, ვიმეორებ, მეც და თამაზ ბაძაღუასაც იმხანად საკმაოდ ბუნდოვნად, მხოლოდღა ინტუიციით თუ გვესმოდა.

თუმცა ინტუიციაც არაა ცოტა, ჰო, რაღა თქმა უნდა, ცოტა არაა, მითუმეტეს ისეთი თვითნაბადი ტალანტისთვის, როგორც თამაზ ბაძაღუა იყო. ეს გამონდა კიდევ თამაზის ერთ-ერთ ბოლო პიესაში „ღამე და თუთიყუში“. ხელობის თვალსაზრისით სწორედ ამ ნაწარმოებიდან იგრძნობა ოსტატობის ის დონე, რომელიც პიესიდან პიესაში მეტ სიმალეს მიაღწევდა და სავარაუდოდ იმავე ხარისხში

გააჟღერებდა დრამატურგ თამაზ ბაძაღუას, როგორც უკვე ჟღერდა პოეტ თამაზ ბაძაღუას სახელი.

პოეტმა თამაზ ბაძაღუამ კი სტუდენტობიდანვე დაიმკვიდრა თავისი გამორჩეული ადგილი ქართულ ლიტერატურულ პროცესში. იგი ორი წლით იყო ჩემზე უფროსი, იბეჭდებოდა კიდევ ლიტერატურულ ჟურნალებში, რაც იმხანად ნამდვილად არ გახლავთ სახუმარო საქმე, მაგრამ ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, ყველაზე ღირსსახსოვარი და შთამბეჭდავი ის იყო, თუ რა სასოებით ავრცელებდნენ პოეზიაზე შეყვარებული გოგონები თავისივე ხელით გადაწერილ თამაზის ლექსებს უნივერსიტეტის აუდიტორიებში.

დროდადრო ვაწყდებოდი მას – ხან პირველი კორპუსის შენობაში, ხანაც იქვე, უნივერსიტეტის ცნობილ ეზოსა თუ რომელიმე რესტორანში, უემშაკო, სტუდენტურ სუფრასთან მჯდარს, ღვინისგან სახენამოფორაჯებულ, ჩადგმულ ცისფერთვალა ყმანვილს, ვისი სახელიც ასე გახმაურებულიყო, ვისაც ჯერ საღმთო არ ვიცნობდი, მაგრამ გადმოცემით ვიცოდი, რომ ეს ისაა, პოეტი თამაზ ბაძაღუა, ვის ლექსებშიც ასე ძალუმაღ, ასე თვალნათლივ ძვერს ნიჭიერება და ვინც სუფრასთან, თითო თევში მწვანილის, წნილის, ყველისა და რამდენიმე ბოთლი შედარებით იაფფასიანი ღვინის ფონზე ისე გამოიციქირებოდა, თითქოსდა ძველისძველ რიტუალს აღასრულებდა პოეზიისა და ბახუსის ღმერთების პატივსაცემად.

მძიმე დრო იყო, მაგრამ იმ დროსაც ჰქონდა თავისი ხიბლი, თავისი გატაცებები თუ ახირებები, რომელთაგან ლიტერატურას, საერთოდ ხელოვნებას, ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნული ეჭირა. ლიტერატურაში ვეძებდით სულისმოსათქმელ ალაგს, სადაც თავისუფლებისა და სიმართლის ჟანგბადი გვეგულებოდა და იქნებ ეს გულუბრყვილობაც იყო ჩვენი მხრიდან, მაგრამ თუ ასეა, ამას ყველაზე მომზიბვლელ, ადამიანურობასთან წილნაყარ, სწორედაც რომ ადამიანისთვის ნიშანდობლივ და დამახასიათებელ თვისებას დავარქმევდი.

ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარები აფხაზეთში ტარდებოდა. სოხუმისკენ მიმავალ მატარებელში გავიცანით ერთმანეთი, სასმელი მასაც წამოეღო და მეც; რაღა თქმა უნდა, გავილენეთ, სანამ გავილენებოდით, რაღა თქმა უნდა, ბევრ თემას მივედ-მოვედეთ და იქვე კუპში, პირველი გაცნობისთანავე მივხვდი, რომ მე და თამაზი აუცილებლად დავმეგობრდებოდით.

ასეც მოხდა.

გულიანი ბიჭი იყო, ნიჭიერებას ასხივებდა, ამასთან — იქნებ ბედისწერისგან ხელდასხმულობასაც, რაც თავად არ აძლევდა მოსვენებას, ხშირად აფიქრებდა სიკვდილზე და ერთი შეხედვით ყველაზე უდარდელ წუთებშიც, მეგობართა წრეში მხიარული დროსტარებისას, ნალველნარევი ბეჭდით დამლავდა.

აკი შეარქვა კიდევ მისმა მეგობარმა და ჯგუფელმა შადიმან შამანაძემ მეტსახელად ჭიჭე აპოკალიფსი.

მაშინ გვეციხებოდა, ჰო, რაღა თქმა უნდა, გვეციხებოდა, შელაზუნდარებულნი ვიყავით ერთმანეთთან, როგორც საერთოდ ხდება ყმანვილკაცობისას, მაგრამ ახლა, მას მერე, რაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მეტი სიმძაფრითაც აღვიქვამ თამაზის იმ განცალკევებულობას, იმაზეც მეფიქრება, თუ რას განიცდიდა ჩვენი მეგობარი, როცა წესითა და რიგით, არაფერია სანალვლო, ჯანი მოგდეკს, სუფრაზე ჯერ კიდევ მრავლადღა ღვინის გაუხსნელი ბოთლები, მაგრამ არა – რაღაც გიშლის ხელს, გაფორიანებს, გამძიმებს, გთრგუნავს... ალბათ გრძნობდა, ჰო, უეჭ-

ველად, რაღა თქმა უნდა გრძნობდა საბედისწეროს, მსახვრალის, გამოუსწორებელის სახიფათო სიახლოვეს, ამით თუ აიხსნება მისი უცნაური საქციელები ჟამიდან ჟამამდე.

იმ წელს გაგრაში გავემგზავრეთ სემინარზე. თამაზი მოგვიანებით უნდა შემოერთებოდა ჩვენს ჯგუფს. ზამთარი იყო, უხვად მოთოვა და ისედაც დაცარიელებული ქალაქის ქუჩები და სანაპირო ერთფერი სევდით აივსო. გავიხედავდით აივნიდან, დავინახავდით თოვლს, ვუცქერდით, ვუცქერდით, როდემდე უნდა გვეცქირა, გამოვილანდებოდით სანატორიუმის შეციებულ დერეფნებში, ვიბორიალებდით ერთხანს, ერთმანეთის მოწყენით უფრო მივიწყნდით, მერე სანაპიროს კაფეს მივაკითხვდით და ასე, ამგვარად, სემინარებსა და სანაპიროს კაფეში ვკლავდით დროს.

ჩვეულებისამებრ საღამოხანს მივაშურეთ კაფეს; ზღვა ღელავდა, მძიმედ, ზათქითა და მუქარით ეხეთქებოდა ქვებს, შემდეგ ხრჭალით ინევედა თავისი აბოზოქრებული წიაღისაკენ. ზღვას ვერ ვხედავდით, მაგრამ ვგრძნობდით ჩვენს სიახლოვეს, მერე კი არყით შეგულიანებულებმა თუ გაბრუებულებმა სულაც მივივიწყეთ მისი არსებობა და ერთმანეთთან საუბრით გავირთეთ თავი. ამ დროს თამაზმაც შემოალო კარი, „დუბლიონკა“ ეცვა, სამგზავრო ჩანთა ეჭირა, ნასვამობა ემჩნეოდა. ბუნებრივია, გავვიხარდა, მივიწმინდიე, ადგილი გამოვუთავისუფლეთ სუფრასთან, მოვიკითხეთ, ჭიქა შევეუფსეთ. თავდაპირველად აყვა ჩვენს საერთო განწყობას, მისგან ასე ნაცნობი „დასხმა ძლიერიც!“ – ახსენა რამდენჯერმე, მაგრამ თანდათან განმარტოვდა, თავი გაინაპირა, თითქოს იყო და არც იყო ჩვენთან. აქეთ-იქიდან შევეძახეთ, მისი ყურადღების მიქცევა ვცადეთ, მან კი უეცრად განაცხადა, რომ ზღვამი აპირებს შესვლას. გავვეცინა, გავიხუმრეთ. ყურადღება არ მიიუქცევია, წამოდგა, წავიდა, მიდიოდა ბარბაცით, მაგრამ ჯიუტად და მიზანდასახულად. მივხვდი – უკან არ დაიხევდა. შესაჩერებლად გავეჩქარე. ზღვისკენ გაიქცა, მივყვიე, ამასობაში მუხლი მოეკვეთა, წამოაჩოქა ტალღამ, შემდეგ მცირედად ჩაიხვია კიდევ, მივუსწარი, ხელი შევაშველე, გამოვალნიეთ იქაურობას, ის თავფეხიანად გაილუმბა, მე – სანახევროდ. ჯანმრთელი იყო, მართლაც ჯირკვავით ჩადგმული, ერთხელ არ დაუცემინებია, მე კი სურდო ვერ მოვიშორე მთელი სემინარის მანძილზე. თუმცა ეს სხვა ისტორიაა, სხვას ვამბობ: ავი წინათგრძნობით შეძრული თითქოსდა თვითონ ეხლებოდა, ელენებოდა, თვითვე ინევედა ბედისწერას, გეგონება გარდაუვალის აღსრულებას ელტვის, ანდა იმ გარდაუვალს ებაქერება თუ ეყინებაო. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბავი, განსაკუთრებით ჩვენი მეგობრობის ადრეულ ხანაში, გამონაკლისი არ ყოფილა, თუმცა ერთიცაა, ალბათ იგივე ავი წინათგრძნობა აიძულებდა, ყოფილიყო უაღრესად ნაყოფიერი და ხარისხიანი თავის შემოქმედებაში, ეწერა და ეცხოვრა



თამაზ ბახილუა

ისე, თითქო თავის ბოლო ლექსს წერდა, ანდა უკანასკნელად ხვდებოდა მისთვის საყვარელ ადამიანებს.

სიცოცხლის დაუოკებელი, ვიტყვოდი სულსწრაფი სიყვარული, რაც ბუნებრივად ახასიათებდა ამ ენერგეტიკით დამუხტულ ახალგაზრდა კაცს და ამავე დროს სასტიკი ხვედრის სიახლოვისა და გარდუვალობის შეგრძნება, რაც თან სდევდა და სულს უფორიაქებდა – ესაა ის ორი კონტრასტული სამყარო, სადაც ცხოვრობდა და ქმნიდა თამაზ ბახილუა, კაცი და პოეტი, ვისთვისაც ბედისწერამ სიცოცხლის 28 წელი გამოიმეტა მხოლოდ...

ბედისწერა... იქნებ მართლაც თვითვე ვიხმობთ ბედისწერას? არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ წერის პროცესში ხშირად უკარნახია გუმანს, რომ ესა თუ ის აზრი, სულაც ფრაზა, ავი წინათგრძნობის მატერიალიზაციის ხიფათს შეიცავდა ჩემთვის და თავიდან უნდა ამომეგდო, მომეშორებინა, გავცლოდი. არაერთგზის გავშორებივარ კიდევ, თუმცა იმაზეც მიფიქრია, რომ ეს შემოქმედებითი კომპრომისი იყო ჩემი მხრიდან. რაც შეეხება თამაზ ბახილუას, ახლა ამ მეოთხედსაუკუნოვანი გადმოსახედიდან ზუსტად ვიცი, იგი თავდაუზოგავი აღტკინებითაც კი ეხლებოდა თავისი პოეტური ხილვების სტიქიას, იყო უაღრესად უკომპრომისო, გულწრფელი და, აქედან გამომდინარე, დაუცველიც...

ბედისწერა – ეს პერსონაჟი მოქმედ პირთა შორის არაა მოხენებული, თამაზის ერთ-ერთ ადრეულ პიესაში – „იფიგენია“, მაგრამ სწორედ ისაა მთავარი გმირი, ის მართავს სცენაზე გასათამაშებელი მსხვერპლშენიერვის სასტიკ ამბავს ახალგაზრდა, სიყვარულისთვის შექმნილი, უბინო ასულისა. ბედისწერა უხილავია, მაგრამ დგება წამი, როცა ხელშესახება გრძნობ მის არსებობას და ეს წამი გარდამტეხია; შეიძლება ითქვას, სწორედ მაშინ გვიხილვა მესამე თვალი, რომელიც უხილავს ხილულად აქცევს, იქამდე არარსებულს იქამდე არსებულში ყველაზე მნიშვნელოვნად და ყველაფრის წარმმართველად, იგი გავრძნობინებს შენი ხვედრის სიმძიმესაც და სიცოცხლის უცილობელ წარმავლობასაც, დაახლოებით ისეა, როგორც ამას თამაზ ბახილუა გრძნობდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

ზემოთ აღვნიშნე, ბევრი რამ არ ვიცოდით-მეთქი თეატრზე. ამ თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის აღმოჩენის ტოლფასი ვახლდათ შადიმან შამანაძის გაცნობა, რომელიც მოგვიანებით შემოუერთდა სემინარს.

შადიმანი უნივერსიტეტის სცენაზე, სტუდენტურ სპექტაკლებში მონაწილეობდა და გაცილებით ახლოს გრძნობდა თეატრის ბუნებას, ვიდრე მე, ან თუნდაც თამაზი. მისი პირველივე პიესა – „ღია შუშაბანდი“ – ერთდროულად აიტაცა რვა თეატრმა. ეს დიდი წარმატება იყო და, რაღა თქმა უნდა, მეტოქეობის ჟინსაც აღვივებდა ერთი თაობის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ როგორც ახლა, ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ,

უფრო სწორად კი დარწმუნებული ვარ, მაშინ, იმხანად მეც და თამაზსაც მცდარად, ჰო, რაღა თქმა უნდა მცდარად მიგვაჩნდა, თითქოსდა, „ლიტერატურისთვის“ არ უნდა „გველაღა“ , თითქოსდა სწორედაც ის, თეატრი იყო ვალდებული ჩასწვდომოდა და სცენიდან გაეფლერებინა ჩვენი „პოეტური“ სიტყვა თუ ფრაზა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სცოდავდა პოზიორობითა თუ ერთგვარი მჭახე, თვალშისაცემი მანერულობითაც... ვერაფერს გახდები, საყმანვილო სენი ყმანვილობაშივე მოსახდელი, ამაში არაფერია სამარცხვინო, პირიქით – ბუნებრივიცაა, დაახლოებით ისევე ბუნებრივი, როგორც ცხოვრებაში, – ზოგი ადრე შედის სიმწიფეში, ზოგი მოგვიანებით. ხელობის ცოდნის კუთხით თუ ვისჯვლებო, მეც და თამაზიც იმ დროს სიყმანვილის ფაზაში ვიყავით, – ეჰ, ნეტა იმ დროს – როგორ გვეწვდოდა, გვიყვარდა, ველტვოდით, როგორ ვეძებდით ჩვენს თავს ცხოვრებასა თუ თეატრში, როგორ ვისრუტავდით უფროსი მეგობრების თითოეულ სიტყვას, მათგან ბევრი აღარაა ცოცხალი, ღმერთმა გაანათლოთ!

თუმცა პირველი, ვინც სემინარს გამოაკლდა, თამაზი იყო და მეც, მის ერთ-ერთ მეგობარს, მეპატიება ალბათ, თუკი ყმანვილკაცობისას შექმნილი პიესების ანალიზით კი არ დავკავდები, არამედ იმ დროს გავიხსენებ, ანდა ის დრო თვითვე გამახსენებს თავს – სსრკ-ს დამთრგუნველი ატმოსფერო და ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ვერ ჰგუობდა არსებულ სინამდვილეს და, შეძლებისდაგვარად, იქნებ ჯერ კიდევ მწირი ტექნიკური ხერხებით, მაგრამ მაინც ხმა-მალლა და გულწრფელად ახმინებდა თავის პროტესტს.

ამ კუთხით მართლაც ნიშანდობლივია თამაზ ბაძაღუას დრამატურგია, რადგანაც ცხადად იკვებება ახალგაზრდა, იმედისმომცემი ავტორის თემატური ძიებები, რომელშიც — „იფიგენიას“ — მსგავსად პირადულიც ბევრია და ქვეყნისთვის საჭირობოტოზეც გვაფიქრებს.

პიესაში „მარადიული მონები“ თამაზი ისეთ გლობალურ თემას შეეხო, როგორიცაა პირსისხლიანი მმართველისა და პიროვნების დაპირისპირება დესპოტიზმის ხანაში.

ეს ჩვენი ხანა იყო, ჩვენი ყოველდღიურობის თანამდევი სინამდვილე, სადაც სული გვეზუთებოდა, სადაც მარნუხეში მოქცეული სამშობლოს ბედიც გვალეღვებდა და პიროვნული თავისუფლების შენარჩუნების მძაფრი მოთხოვნისთვის, არ დაგვეთმო ყველაზე მთავარი – ადამიანის სახე, ამასთან კი იმის უფლებაც, რომ თუნდაც სცენიდან გავეფლერებინა სიმართლე.

მაგრამ თურმე დესპოტიზმიც იცვლის ზნესა და იერს, ისიც უძღურდება, როცა ამის დრო მოუვა – ეს უკვე სხვა მდგომარეობაა, სრულიად სხვა ატმოსფერო, რომელიც ასე ზუსტად იგრძნობა თამაზის პიესაში „ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო“.

ზღვისპირა ქალაქი დამსვენებლების მოლოდინშია. სეზონი ჯერ არ დაწყებულა. დრო მძიმედ მოძრაობს, ან იქნებ სულაც ერთ-ერთ ეზოსთან შეყოვნდა დრო, სკამზე ჩამოჯდა, ჩაეძინა და ამ პროვინციული ქალაქის მოზინადრეთა ერთფეროვანი, უღიმღამო, რიგ შემთხვევაში წვრილმანი ვნებებით აქოთქოთებული ცხოვრება იხილა სიზმრად.

ჩემი აზრით, სწორედაც პიესის ატმოსფეროა პიესის მთავარი თემა. აქ მნიშვნელოვანი და საგულისხმო არაფერი ხდება, აქ შეუძლებელია მნიშვნელოვანი და საგულისხმო რამ მოხდეს, სიცოცხლის ამ დუნე სუნთქვაში, ამგვარ ტემპო-რიტმში გმირები უკეთეს შემთხვევაში ლოთ-

დებიან, თუკი საერთოდ ჰქვიათ ან ერქვათ ამგვარ გმირებს გმირები და ესაა ყველაზე დრამატული, გნებავთ ტრაგიკულიც კი; აქ იგრძნობა ავტორის მთავარი სატკივარიც, და პიესაში დასმული კითხვაც – როდემდე?! ასე როდემდე?!

პიესის ხელახლა გადაკითხვისას „ზასტოს“, იგივე უძრაობის ხანა დამიდგა თვალწინ, გამახსენა ე. წ. „სამზარეულოს ოპოზიციონერობა“ და ისიც გამახსენა, რა დამთრგუნველად ზემოქმედებდა ჩვენზე უმოქმედობის, უპერსპექტივობის დუნე ატმოსფერო, სადაც უცილობლად უნდა მომნიფებულიყო კონფლიქტი...

აკი მომნიფდა და გასკდა კიდევ ჩვენს თვალწინ, რეალურ ცხოვრებაში: „ზასტოს“ „პერესტროიკა“ მოჰყვა, „პერესტროიკას“ იმპერიის რღვევა, იმპერიის რღვევას — ჩვენი ალტკინება და იმედი, რომ – ჰა, აღსრულდა, ახდა ლელთ ღუნისას ოცნება, თავისუფალნი ვართ, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის, მაგრამ თურმე სად ხარ, რომელი ხარისხის გულუბრყვილობიდან იტკირები, ცალკე იმპერიულმა რევანშიზმმა, ცალკე ჩვენმა გაუტანლობამ, სულსწრაფობამ, უცოდინარობამ და ხანგრძლივ მონობაში შეთვისებულ-შესისხლობორცებულმა უამრავმა მავნე თვისებამ იჩინა თავი, სამოქალაქო ომში ხომ გამოგვატარა, სხვაც ბევრი მოგვეკერდა, – რაღა შორს წავიდე, მათ შორის სულ ახლო წარსულში თავსმოხვეული ფსევდოლიბერალური „მიდგომებიც“ ისეთ სათუთ საკითხებთან, რომლის ზერელე ხელყოფაც ძალზე საფრთხილოა, თუკი საერთოდ გვსურს ჩვენი სახის, ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნება.

თამაზ ბაძაღუა ამ დღეებს არ შესწრებია, მაგრამ მისი პიესა „ძველი როიალი“ სწორედ ამას ეხმიანება თემატურად. არსებობს რაღაც, რისი გაყიდვაც არ შეიძლება, რის გარეშეც აღარაფერს წარმოადგენ, რაც შენი უპიროველისი მახასიათებელიცაა და, თუნდაც ყველაზე მწვავე მატერიალური შეჭირვებისას, შენი ყველაზე საიმედო საყრდენიც.

მე მესმის, რომ ამ პიესის შექმნის ფარული იმპულსები სხვა რეალობიდანაა და არც წინასწარმეტყველების პრეტენზია ჰქონია, მაგრამ ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, თუ რა აფიქრებდა თამაზს, როგორც დრამატურგს, მწერალს, მოქალაქეს, თუ რა მარადიულ პრიზმაში ხედავდა იგი მოვლენებს, როგორ ატარებდა მწერლის „ქურაში“ და, პრობლემატიკიდან გამომდინარე, იმის აღნიშვნაც მინდა, რომ ნამდვილი მწერლის „ქურიდან“ მიღებული „პროდუქტი“, მიუხედავად შესაძლო ტექნიკური ხინჯისა, არასდროს კარგავს ინტერესს, საიდანღაც გესაუბრება წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ამასთან კი იმაზეც გაფიქრებს, თუ რა სტკიოდა, რა აფორიაქებდა, საერთოდ ვინ იყო, როგორი იყო ის შემქმნელი...

როგორი იყო თამაზ ბაძაღუა? რა გითხრათ, გადაჭარბებულ, „მოჩუქურთმებულ“ პროვინციალიზმს ვერც შემოქმედებაში იტანდა და ვერც ურთიერთობაში. სწორედაც იმის ცოცხალი მაგალითი გახლდათ, თუ რა სხვაობაა პროვინციალიზმს დაბადებულსა და პროვინციალიზმს შორის, რა თვისებაც, შესაძლოა დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე დაბადებულსა და გაზრდილს უხვად ჰქონდეს, თამაზი კი ამისგან სრულიად თავისუფალი იყო. პიესების თემატური მიმოხილვიდანაც ალბათ ჩანს, ჰო, იქნებ მკრთალად, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ჩანს, როგორ სტკიოდა და უყვარდა თავისი სამშობლო და ზოგადად, როგორ უყვარდა ადამიანი. პოეტი იყო თხემით ტერფამდე – თავისი პოეტური ხილვებით, თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მელოდიკით ლექსში, თავისი

ცხოვრების წესითაც, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებში მოზომილი, განონასწორებული, საქმეზე ორიენტირებული კალაპოტი გაუჭრა და ახლა, ამ მეოთხედსაუკუნოვანი გადმოსახედიდან როგორც მეჩვენება, ესეც ერთგვარი ხერხი იყო იმ გარდაუვალთან, მსახვრალთან, საბედისწეროსთან შესაჭიდებლად, რაც ავი წინათგრძნობის ჩრდილად აჰყოლოდა და მოსვენებას არ აძლევდა. გეგონება სხვა ტაქტიკა აირჩია სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, რომელშიც საკუთარი სურვილით, თანაც უკომპრომისო შემართებით გადაეშვა, რადგან სხვაგვარად პოეტიც ვერ გახდებოდა...

არცთუ დიდი ხნის წინათ შადიმან შამანაძემ მითხრა: ერთი წუთით წარმოიდგინე 50-ს გადაცილებული თამაზიო, – შემდეგ ერთხანს გაუყრდა და დაამატა, – ჩვენთვის დიდი მხარი იქნებოდაო...

შევცბი. უეცრად გავიზარე, თუ რამდენი რამ გადაგვხდა თავს თამაზის გარდაცვალების შემდეგ, და ისიც მტკივნეული სიცხადით შემეხო, როგორ ამოავდო უახლესი ისტორიის სასტიკმა ქართველებმა ჩვენი, 80-იანელთა თაობა, – თაობა, რომელსაც ზოგი „დაცხრილულ თაობად“, ზოგი „დაკარგულად“, „გამორჩენილად“ თუ სხვა ამგვარი არასახარბიელო ტერმინით მოიხსენიებს ხოლმე.

თამაზ ბაძალუაც 80-იანელი იყო, ის პირველი წავიდა ჩვენგან და ახლა, ამ მეოთხედსაუკუნოვანი გადმოსახედიდან მეჩვენება, რომ რასაც კოსმიური უსამართლობა ვუნოდე წერილის დასაწყისში, იქნებ კოსმიური გაფრთხილებაც იყო-მეთქი ჩვენთვის; წინაპირობა იმ საზარელ მოვლენათა უწყვეტი, დაუსრულებელი რიგისა, რასაც ყველაზე კომპარულ სიზმარშიც ვერ ვიხილავდით; ჩემი თაობის ოცნებებისა თუ მიამიტური წარმოდგენების მსხვერვის დასაწყისი იყო იქნებ ჩვენს შორის ყველაზე გამორჩეულის, ყველაზე ნიჭიერი პოეტისა და გულანთებული კაცის, თამაზ ბაძალუას ტრაგიკული ხვედრი, ვისი ერთი სტრიქონიც ახლა მახსენებს თავს: „მეფრინველი ვარ საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი“... და აი, ახლა ისიც ვიფიქრე, თუკი მაინცდამაინც რაღაც ტერმინით უნდა „შევაკოთ“ 80-იანელები, იქნებ ყველაზე ზუსტად სწორედაც რომ ეს სტრიქონი ესადაგება-მეთქი მას.


საკუთარ ფრთებს ჩამორჩენილი თაობა – მეოცნებე, თავისსავე მისწრაფებებს ვერმიდევნებელი, ეპოქათა შეჯახებაში მოყოლილი, გარემოებათა და გარემოებათა გამო ვერშეცვლილი და დროის ხმას ვერმიყოლილი, მოკლედ რომ ვთქვათ – მართლაც ჩამორჩენილი საკუთარ ფრთებს...

მაინც იმედიანი სიტყვით მინდა დავასრულო. მაქვს კიდევ საბაბი. ჩემს სტუდენტებს შორის ნაღდი ლიტერატურით გატაცებულნიც მოიძებნებოდა. როდესაც ვეკითხები, რომელი პოეტი მოგწონთ-მეთქი, ხშირად, ძალზე ხშირად მიხსენებენ თამაზ ბაძალუას სახელს; ეს კი ნიშნავს, რომ თამაზმა, როგორც პოეტმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა მარადისობაში. იმავე ახალგაზრდების გასაგონად, ჰო, უპირველეს ყოვლისა, მათ გასაგონად მინდა ვთქვა: რომ დასცლოდა, პოეტი თამაზ ბაძალუა აუცილებლად დაწერდა თავის საუკეთესო პიესას, მაგრამ არ დასცადა, ვერ მოასწრო, თუმცა რაც მოასწრო, ერთი კაცისთვის მეტად ბევრია, წარმოუდგენლად ბევრიც. იგი თქვენი მამების ცხოვრების გზაზე უფრო ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით, მიუხედავად იმისა, რომ იქ შეწყდა, სადაც 80-იანელთა წინააღმდეგობით აღსავსე მსვლელობა დაიწყო.

ჰო, ასეა, თამაზ ბაძალუას ხვედრმა კამერტონული სიზუსტით აირეკლა ტრაგიკული ბგერა, რომელიც გზად გა-

საკუთარი ლექსები —  
დასავლელ პოეტთა სახელით

საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის კრებულის „ნაცნობი თარგმანები. უცნობი ლირიკა“ წარდგინებას. შეადგინა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი — „გარდასულ დღეთა, კაცისა და პოეტის გამო...“ — დაურთო მთარგმნელის ვაჟმა, პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ.



ათეული წლების განმავლობაში გივი გაჩეჩილაძის თარგმანებით ეცნობოდა ქართველი მკითხველი უილიამ შექსპირის, ჰენრი სარეის, ედმუნდ სპენსერის, ლორდ ბაირონის, ოსკარ უაილდის, ჯონ კიტსის, უილიამ ბატლერ იეიტსის, პერსი ბიში შელის, ალფრედ ტენისონის, ჩარლზ სუინბერნის, რუპერტ ბრუკის, ზლოკისა და სხვათა პოეტურ შემოქმედებას. საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობ თარგმანებთან ერთად, კრებულში თავმოყრილია 1929-49 წლებში დაწერილი ორიგინალური ლექსებიც, რომელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

სალამოს უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ნინო გედენიძე. პოეტურ ნიმუშებს კითხვობდნენ სტუდენტები: გიორგი ჩხიკვაძე და მარიტა ჭიშვილი.

აუდიტორიას მიმართა მანანა გელაშვილმა, მან ისაუბრა კრებულში თავმოყრილი თარგმანებისა და ავტორის ორიგინალური ლირიკის შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ მთარგმნელი, რომელიც ამ დიპაზონის ლექსებს თარგმნის, შეუძლებელია თვითონაც არ იყოს პოეტი. მისივე შეფასებით, გივი გაჩეჩილაძის სულიერი წყობით, განწყობით, დამოკიდებულებით სამშობლოსადმი, ქალისადმი, იგრძნობა, რომ შემოქმედი რომანტიკოსია.

აპოლონ სილაგაძემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ამ შესანიშნავ სალამოზე შეხვდა უცნობ ნაცნობს. კარგად იცოდა თუ როგორი მთარგმნელი იყო გივი გაჩეჩილაძე, მაგრამ არ იცოდა როგორი პოეტი იყო იგი.

ლადო ბართაიას თქმით, გივი გაჩეჩილაძე ახალი კუთხით დაინახა — როგორც პოეტი და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი... მან კეთილი კვალი დატოვა სამშობლოში. ასეთი ადამიანები სანთელივით უნათებენ გზას მომავალ თაობას.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: მანანა ანთაძემ, ირმა რატიანიმა, თინა მარგალიტაძემ.

დასასრულ, რევაზ გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ კრებულში, ქართველი მკითხველისათვის ნაცნობ თარგმანებთან ერთად ქვეყნდება გივი გაჩეჩილაძის დღემდე უცნობი შემოქმედება, 140 ლექსი, რომელთაც, ცენზურისა თუ სხვა მიზეზთა გამო, ავტორი ევროპელი კლასიკოსების — რობერტ ბერნისი, დანტე გაბრიელ როსეტის, უილიამ უორდსუორთის, ტომას გრეის, ჯეიმზ ტომსონის, ჯონ მესფილდის, რიჩარდ ოლდინგტონის, რიჩარდ რიდი, უილიამ დრამონდის თუ სხვათა — სახელს ამოფარებული აქვეყნებდა.

კრებულის „ინგლისური ბალადები, ლექსები და სიმღერები“ (1946 წელი) წინასიტყვაობაში კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა: „გივი გაჩეჩილაძე ქართული ლექსის ფორმას იმდენად ფლობდა, რომ მისი თარგმანები ქართულად შექმნილებს ჰგვანან ხშირად“. ეს ნიშნავს, დიდმა მწერალმა ინტუიციით იგრძნო, მთარგმნელმა პოეტურ მისტიფიკაციებსაც რომ მიმართა.

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

აქა ამაგავი შალამოვისა და  
სოლჟენიცინის უთანხმოებისა

(შეხმიანება ელგუჯა თავბერიძის  
მონოგრაფიასთან „კოლიმგრაფი“)

მარჯვე ხერხი გამოუძებნია ელგუჯა თავბერიძეს თავისი კრიტიკულ-ესთეტიკური ფიქრების თავმოსაყრელად ვარლამ შალამოვზე, ორიგინალურადაც რომ დაუსათაურებია მოხდენილად შეთხზული ნეოლოგიზმით: „კოლიმგრაფი“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის ერთობლივი გამოცემა, 2012).

ემაყებოდა ეს მიგნება და საგანგებოდაც აღნიშნავდა მონოგრაფიის ბოლოსტყევაში ამ გამოთქმის ორიგინალურობასაც და მისი შეთხზვის სანყისსაც:

— იქ, შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთში სხვა სამყარო დამკვიდრებულიყო, სხვა წეს-კანონები შემოეღოთ, ოცი წელი გაატარა კოლიმის ჯოჯოხეთში, რომლის ყველაზე მართალ აღმწერადაც შემორჩა კაცობრიობას. კოლიმგრაფიც, ათასი გრაფების მსგავსებით, ჩვენგან შემოთავაზებული ტერმინია. ვარლამ შალამოვი — კოლიმგრაფი...

მარჯვე ხერხი კი ის აღმოჩნდებოდა — პლუტარქესაგან ნასესხები — რომ ვარლამ შალამოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა შეუპირისპირდებოდა ალექსანდრე სოლჟენიცინის საკონცენტრაციო ბანაკიადას, ეს ორივე მწერალი კი — ერთმანეთს.

ერთ გარემოს უკვირდებოდნენ და იკვლევდნენ, და აკი თავის დროზე სოლჟენიცინს კიდეც შეეთავაზებინა შალამოვისათვის, „გულაგი“ ერთად დავენეროთო?

ამას კი... უარი განეცხადებინა უკვე სახელმწიფო მწერლისათვის იმის მოსაბაბებით: ხომ უნდა ვიცოდე, ვისთვის ვწერო.

სწორედაც მოსაბაბებით, რომლის მიღმაც პრინციპული პოზიცია ჩამალულიყო.

ვითომ სხვაა, რუსი მკითხველისათვის თუ წერ და სხვა — დასავლელი მკითხველისათვის?

ზოგადადამიანური და ზოგადლიტერატურული თვალსაზრისით ეს გარემოება დასაფიქრებელიც არაა, მაგრამ როდესაც თხზულებას პოლიტიკური სარჩული უნდა გამოეკეროს, მაშინ ამ სხვაობას არსებითი მნიშვნელობაც შეიძლება მიენიჭოს.

შალამოვი სწორედ პოლიტიკური სარჩულის გამოკერების მომხრე არ გახლდათ და ამიტომაც ვერ აჰყვებოდა სოლჟენიცინს მწერლობას ამოფარებულ პოლიტიკურ თამაშში, მითუმეტეს, რომ საკუთარ მოვალე-

ობას უფრო ღრმად ხედავდა, ვიდრე ანტისაბჭოური თხზულების შექმნაა.

საბჭოურობაც და ანტისაბჭოურობაც გადაივლიდა ადრე თუ გვიან და... მაშინ რალა დანიშნულება უნდა შერჩენოდა მის კოლიმურ ციკლს?

სოლჟენიცინი ამას არ დაგიდევდა, უფრო სწორად, შემოზღუდული გახლდათ მისი მწერლური უნარი და სავსებით კმარობდა, თუკი სიცოცხლეში გაითქვამდა სახელს და ეპოქის ფალავნად შემორჩებოდა ისტორიას.

შალამოვი მამუნათებს, სინამდვილეს ალამაზებო, მაგრამ მისი კოლიმური მოთხრობები რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, სიმართლე ჩემს მხარეს თუ არა, არც მის მხარესაა, სადღაც შუაში უფროაო, — ნიშნს უგებდა თანამოკალმეს ალექსანდრე სოლჟენიცინი.

არა, სინამდვილის შემლამაზებელს სულაც არ ვეძახიო, — ირწმუნებოდა ვარლამ შალამოვი, — არამედ ისეთ ადამიანს, ვინც არ არის ღირსი, შეეხოს კოლიმის თემასო.

და აღარ დაინდობდა: პასტერნაკს ერთ თითში უფრო მეტი ტალანტი აქვს, ვიდრე სოლჟენიცინის რომანებში, პიესებში, კინოსცენარებში, მოთხრობებსა და ლექსებშია დავანებულო.

არც სოლჟენიცინის მესიანიზმი ეჭაშნიკებოდა, რაკილა ამ სწრაფვაში რუსული იმპერიალიზმის სუნთქვას გრძნობდა და არა სახალხო განწყობილების ანარეკლს.

სოლჟენიცინის გაგულისება გასაგებია — ვერ ამოიყენა გვერდით მასზე უკეთესი მცოდნე გულაგური ტრაგიკული რეალობისა და ვერ მიანიჭა თავის წიგნს ის მასშტაბურობა, რასაც უსათუოდ შესძენდა შალამოვის ტალანტის მწერალი, სახელი და სარგებელი კი სოლჟენიცინს დარჩებოდა, როგორც უფრო პოპულარულსაც და დაფასებულსაც.


ახლა აღარც სად ის მომეტებული სახელი, აღარც სად ის მომეტებული სარგებელი.

მაგრამ შალამოვის გაგულისება რალას გამოენვია?

ენანებოდა და ძალიანაც ენანებოდა ეს უმწვავესი თემა სპეკულაციური ვარიაციებისათვის, მითუფრო — ყალბი სარჩულის ჩაფენისათვის, შეურაცხყოფად ესახებოდა იმ უთვალავი მსხვერპლისა, ამ ჯოჯოხეთში ვინც ტანჯულიყო და წამებულებიყო.

ანტისაბჭოურობაზე სდებდა თავს სოლჟენიცინი?

რალა ანტისაბჭოურობა გამოდიოდა, როდესაც პოლიტიკურ სისტემას კი არ უპირისპირდებოდა იმდენად, რამდენადაც ერთ მმართველს დაუდგებოდა გვერდით მეორე მმართველის წინააღმდეგ — ნიკიტა ხრუშჩოვს იოსებ სტალინის სახელის დასამხობად და დასასამარებლად.



საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი რომ გაგისხნის გზას და ყოველმხრივ შეგიწყობს ხელს, სადაური ანტისაბჭოთა მწერალი გამოდიხარ?!

ასეთი ანტისაბჭოთა მწერლების მეტი რა გვინახავს, წინა ხელისუფალს რომ გმობდნენ, რათა ახალი ხელისუფალის ქება და ლიქნა ამითაც განემტკიცებინათ.

ასეთ დროს განსხვავება ცოტა უფრო მკაცრ და ცოტა უფრო ლიბერალურ მმართველობას შორის განა რა ისეთი არსებითია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდე... აი, თავის მოსატყუებლად თუ სხვათა გასაცუცურაკებლად კი ძალიანაც გამოგადგება.

ცხადია, ალექსანდრ სოლჟენიცინს არავინ უკარგავს გულაგის ტრაგედიის პირველად გამომჩნეულბის ღვანლს, არც სხვებზე უკეთესი წერის უნარს, თუმც ვარლამ შალამოვის გვერდით რომ იჩრდილება, ესეც აშკარაა.

მასთან თანაავტორობა კი უშველიდა, მაგრამ მაშინ შალამოვი დაზარალდებოდა და საამისოდ თავი არ ემეტებოდა კოლიმგრაფს.

თვითონ განზე გადაგებოდა, ესაა და ეს, და დაე ლიტერატურას ეძია შური მისი ღირსების გამოყენებისათვის პოლიტიკურ კონიუნქტურასა და გარიგებებში — მას გადაენია უკანა პლანზე სოლჟენიცინის ასერიგად გახმაურებული მოთხრობები და რომანები.

მანამდე ჯორჯ ორუელის რომანი რომ გამოქვეყნდებოდა — „ცხოველთა ფერმა“ — და ძალიანაც მოიხვეჭდა სახელს როგორც მძაფრი სატირა საბჭოთა რეჟიმსა და სახელმწიფოზე, ტომას ელიოტს ჰკითხავდნენ: რატომ არ იყავი მოსურნე ამ ნიგნის გამოცემისა ან ახლა რატომ არ იზიარებ საყოველთაო აღტაცებასო?..

უკვირდათ და ვერ აეხსნათ, რატომ არ აფასებდა ამ რომანს ჯეროვნად გემოვნების კანონმდებლად აღიარებული კაცი, ვინც მთელი არსებით უპირისპირდებოდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ აზროვნებასა და მმართველობის სტილს.

და მაშ რალა ჰქონდა სადავო ჯორჯ ორუელთან, ერთი სახმილით თუ იყვნენ სნეულნი?


რა და:

ტომას ელიოტი სტალინიზმს — როგორც საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიას — უპირისპირდებოდა სამართლიანობის თვალთახედვით, ბუნებრიობისა და კანონიერების პოზიციიდან და არა... ტროცკისტული მრწამსით.

„ცხოველთა ფერმაში“ კი უფრო ამ ტროცკისტულ პოზიციას ხედავდა, ვიდრე სამართლიანობისა და კანონიერების სულს.

დაინუნებდა, აბა, რა იქნებოდა!..

და გულიც დაწყებოდა, ჯონათან სვიფტს რომ ადარებენ მის ავტორს, განა არ ებრალებათ ეს დიდებული სული, ასე უღმერთოდ რომ იმეტებენ და პოლიტიკური კონიუნქტურის თამაშში სურთ მისი სახელის ჩათრევაო?!



ვინ განზრახ იქცეოდა ასე, ვინ — უნებურად ანუხებდა სვიფტის აჩრდილს, ეგაა, ელიოტის აზროვნების სიღრმე და სიმახვილე არ გააჩნდათ და ორუელის რომანს, თავისი გარეგნული სამშვენიესებით, დიდი შთაბეჭდილება ამიტომაც მოეხდინა მათზე.

ღირსებას არავინ უკარგავს ამ რომანს (ისე სხვათა შორის, ჯორჯ ორუელი უკეთეს მწერლად შერჩება ლიტერატურის ისტორიას, ვიდრე ალექსანდრ სოლჟენიცინი), უბრალოდ მოვალენი ვართ გადაჭარბებული მნიშვნელობა არაფერს მივანიჭოთ აყოთაყოთ ანთებულებმა და გაბრუებულებმა, და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ტომას ელიოტის აზროვნება ცოტა სხვა სიღრმით გამოირჩევა, არაფერი რომ არ გამოეპარება, და ჭკუის დარიგებას ნუკი შევეცდებით მისთვის, არამედ მისგან ვისწავლოთ დაფარულ შრეებში ჩხრეკის უნარი.

დებით მისთვის, არამედ მისგან ვისწავლოთ დაფარულ შრეებში ჩხრეკის უნარი.

თურმე ვარლამ შალამოვსაც მომადლებოდა ის განსხვავებული ხედვაც, ზნეობრივი მრწამსით განმტკიცებული, და ადვილად ამიტომაც აღარ გაებოდა პოლიტიკური კონიუნქტურის ქსელში.

ამ ხედვასა და ეთიკურ მრწამსზე დაკვირვება აუცილებელია შალამოვის ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოსაკვეთად, ეს დაკვირვება კი შეუძლებელი იქნებოდა თხრობაში სოლჟენიცინის შემოყვანის გარეშე, და არა გაკვრით პერსონაჟად, არამედ იმ ფიგურად, ვისი ალტერნატივაც გახლდათ კოლიმგრაფი და იმ სიმართლისათვისაც ამიტომ მიეკვლია, ნამდვილი მწერლობის საფუძველი რაც ყოფილა ოდითგანვე.

მეტი მარჯვე ხერხიც რალა გინდა შალამოვის მოთხრობებზე მსჯელობის ისე გასაშლელად, კრიტიკულ-ესთეტიკურ ძიებებს რომ გაცდეს და დოკუმენტური ფონიც ხელშესახებად გამოიკვეთოს, ელგუჯა თავბერიძე რასაც აღწევს ამ მონოგრაფიაში, რომელიც ეგებ არც შექმნილიყო, კოლიმური საგის თამაზ ნატროშვილისეული კონგენიალური ქართული ვერსია რომ არა, საგანგებოდ განხილული „კოლიმგრაფის“ ფურცლებზე.

პლუტარქესეული პარალელურ ბიოგრაფიათა მოდელი მართლაც უკვდავია და ამოუწურავი, თუკი შესაფერი-სად გამოიყენებ.

...ჩემი მწერლური მანერაა, უნდა ვხედავდე, ხელში მეჭიროს, რასაც ვწერო, — ასე ესახებოდა ვარლამ შალამოვს თავისი პროზის თავისებურებაც და ახალი დროის შესატყვისი ლიტერატურის ზოგადი სტილისტიკაც. და ჩასდევდა და ჩასდევდა უღრმეს შრეებამდე კოლიმურ რეალობასაც და საკუთარ სულსაც, მნივლი რომ არ მოჰკიდებოდა, მიუხედავად ჯოჯოხეთის ნრეების გამოვლისა, და კაცთა წინაშეც ისევე თამამად განაცხადებდა, როგორც ღვთის წინაშე: მოქალაქის ვალი ურთულეს პირობებში მოვიხადე, არავინ დამისმენია, არც რაიმე დამეინყებია და არც არავისთვის მიპატიებია არაფერიო.

ბადასახული სტრიქონები

(მემუარისტები და პუბლიკატორები)

რაც ავტორის მიერაა გადაშლილ-გადასახული, იგულისხმება, რომ ის ფრაზა, პასაჟი თუ სულაც გვერდები მხატვრულად თუ დოკუმენტურად ნაკლებმნიშვნელოვანია, სულაც ზედმეტი, და ამიტომაც დროულად უნდა ამოიკვეთოს, რათა მთლიანი ქსოვილი არ დაზიანდეს.

ასე აღიარებულა, თუმცა... ეს აზრი ყოველთვის სულაც არა მართლდება.

და მარტო მაშინ კი არა, როდესაც პოლიტიკური, საზოგადოებრივი, რელიგიური თუ ლიტერატურული კონიუნქტურის გამო ამოიფხიკება მნიშვნელოვანი სტრიქონები.

არამედ მაშინაც, როდესაც ავტორს არაფერი ზღუდავს და პირნმინდად მხატვრული თუ დოკუმენტური თვალთახედვით ელევა უკეთეს, სწორედაც უკეთეს ადგილებს. ან პირნმინდად ამოშლის ანდა შეცვლის ნაკლებად ღირებული პასაჟებით, თუმც თვითონ ვერც ხვდება, ტექსტს თუ აუარესებს.

განა შეიძლება ავტორი შეცდეს და უკეთესი გაიმეტოს?

როგორ არ შეიძლება, და ეს მაშინ, როდესაც ტექსტის კიდევ უფრო დახვეწის მცდელობისას თავისდამოულოდნელად ეკარგება ის უფრო მნიშვნელოვანი, რაც შესაძლოა სხვასთან არ გამოჩენოდ, მაგრამ თავის ნაწერში ჯეროვნად ვერ შეუფასებია.

თუკი მომხდარა — და არაერთხელ და ყველა დროსა და ქვეყანაში — რომ მწერალს მკაფიოდ ვერ განუსაზღვრავს თავის შემოქმედებაში უკეთესი და უარესი ნიმუშები და სულ სხვა ჰგონია საკუთარი მონაპოვარი, ეს ხომ კიდევ უფრო მოსალოდნელია, რომ ცალკეულ სტრიქონთა ღირსება-ნაკლოვანებანი ვერ ამოიცნოს შესაფერისად?

ასეა მხატვრულ ქმნილებებში.

და ასეა დოკუმენტურ თუ მემუარისტულ თხზულებებშიც. თორემ აგერ ტრიფონ ჯაფარიძე, მოღვაწე კაცი — ჯერ მარტო ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება რად ღირს 1912 წელს, და იმავე წელს მუზეუმისაც — და მრავალმხრივ საგულისხმო მოგონებათა ავტორი, დაუნანებლად გადასახავდა ერთ პასაჟს, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ეს სტრიქონები ბევრს არაფერს სძენდა ილია ჭავჭავაძის პორტრეტს:

— თვით ილიას, როცა უთხრა კიტა აბაშიძემ, რომ ბოროტ X-ს უთქვამს: „ვანოს დაკარგვა ილიას საქმეაო“. ილიამ გულგრილად უპასუხა: „X-ი იმაში ვერ დარწმუნდება, რომ ვანოს დაღუპვა მე ღრმად მანუხებსო. ბანკის ნიადაგზე ვანო არ დაღუპულა და თუ სადმე ცოცხალია,

თვითონ არასოდეს არ იფიქრებს, რაც X-ს უთქვამსო“ (ილიამ იცოდა ვანოს შინაური ცხოვრება და ალბათ იფიქრა, რომ მისი დაღუპვის მიზეზიც იქ იყო).

არადა, ამ პასაჟის ბადალი მთელი ის მოგონება არ არის, რაც უიმისოდ, მისი გადაშლის შემდეგ რჩება.

კიდევ კარგი, ეს გარემოება არ გამოეპარებოდა ტრიფონ ჯაფარიძის ამ მემუარული ჩანაწერების პუბლიკატორს ციციანო მუმლაძეს, ავტორისაგან გადასახულ სტრიქონებს სათუთად აღადგენდა და ამ რესტავრირებული სახით გადასცემდა ჟურნალ „მწვანეყვავილას“ რედაქციას 2012 წლის მე-4 ნომრისათვის.

საერთოდაც ამ უსამართლოდ მივიწყებული, რეპრესირებული კაცის შემოყვანა სალიტერატურო მიმოქცევაში ქალბატონი ციციანოს დამსახურებაა მცირე მონოგრაფიით „ტრიფონ ჯაფარიძე“ (გამომცემლობა „სარანგის“ ქუთაისის ფილიალი, 1993), სადაც არაერთი უცნობი დოკუმენტი გამოჩნეულა და საკმაოდ კოლორიტული სილუეტიც გამოიკვეთა და საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი მტვერნაყრილი ეპიზოდი და სურათიც აღდგა ანდა დაზუსტდა.

ეს მოგონებანი ბოლო დრომდე გამოკეტილი რჩებოდა საოჯახო არქივში.

და, აი, ტრიფონ ჯაფარიძის შვილიშვილი ნინო ჯაფარიძე ამ მასალებსაც გადასცემდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანი-სათვის ეს პასაჟი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ვისაც მოეხსენება საქართველოს საზოგადოებრივი და

ტრიფონ ჯაფარიძე



პოლიტიკური ცხოვრების იმჟამინდელი ვითარება, ეს რამდენიმე სტრიქონი ფასდაუდებელია.

ილია ჭავჭავაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ივანე მაჩაბელი ოჯახური დრამის მსხვერპლია.

ეს მოსაზრება მას პრესის ფურცლებზე არსად გაუმეორებია — არც უშუალოდ და არც გამჭვირვალე მინიშნებით.

რა აუცილებელია, რომ საჯაროდაც გამოეთქვა?

აუცილებელი იმდენად, რამდენაც ნოე ჟორდანიამ „კვალის“ ფურცლებიდან პირადად მას, ილიას დასდო ბრალი მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობაში და საამისოდ მომართა საზოგადოებრივი აზრი, მითუმეტეს, ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია უკვე საკმაოდ მომძლავრებულიყო, ილია ისედაც ამოელოთ მიზანში და დაუნდობელი ბრძოლაც გამოეცხადებინათ მისთვის, და ახლა ივანე მაჩაბლის გაუჩინარებას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ, რომ ეს ცოდვა ილიასათვის არ აეკიდებინათ: ყველაზე მეტად მისთვის იყო სასარგებლო მაჩაბლის ჩამოცილება, რადგანაც საბანკო საქმეებში ასეთი ენერგიული მოცილე, ყველაზე მძლავრი მეტოქე აღარ ეყოლებოდაო.

ასეთ დროს სწორედაც რომ მისწრება იქნებოდა საზოგადოების ყურადღების გადატანა საბანკო ამბებიდან ოჯახურ დრამაზე.

მაგრამ... ილია დუმს.

იგი უსათუოდ ვილაცას, მისთვის დიდად საპატივსაცემო პიროვნებას უნევს ანგარიშს და თანაც ისე აფასებს მის რჩევასა თუ თხოვნას, რომ აღარ დაგიდევს, სოციალდემოკრატთა შემოტევის შუაგულ ცეცხლში რომ ექცევა და, სავსებით მოსალოდნელია, ადრე თუ გვიან კიდევ გადაჰყვეს ამ ცილისნამებას.

რაც კიდევ მოხდა.

ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო სიკვდილი „მოგზაურში“ დაბეჭდილია ახალმა ცილისნამებებმა კი არ გამოიწვია — იმ უგვანმა პუბლიკაციამ, ფილიპე მახარაძის გამომხაურებასთან ერთად, მხოლოდ დააგვირგინა ის, რაც ივანე მაჩაბლის დაკარგვასთან დაკავშირებული სტატიით უკიდურესად გამძაფრდა და ილიას ავტორიტეტიც საკმაოდ შეირყა.

ამ ყოველივეს ილია ალლოთიც გრძნობს და გონებითაც ჭვრეტს.

და მაინც... ეს საბედისწერო დუმილი...

ხომ აშკარაა, რომ ტრიფონ ჯაფარიძის მოგონების იმ გადახაზულ პასაჟში დიდი სულიერი ჭიდილი და დრამა იფარება.

პიესის — ცხადია, ტრაგედიის — ქარგადაც კი შეიძლება გაიშალოს აქ ნაგულისხმევი კონფლიქტი, თუკი ამ მარცვალს შესაფერისად გამოიყენებ ანუ ბუნებრივად დაუკავშირებ ივანე მაჩაბლის უცნაური გაუჩინარების ნამდვილ სანყისს — ოჯახურ დრამას.

ოჯახური დრამის არსში ჩასახედად კი უსათუოდ უნდა გცოდნოდ რეალობასთან ყველაზე მიახლოებული ვერსია — ზეპირგადმოცემით მოღწეული ჩვენს დრომდე და ჩემთვის ასერიგად ნაცნობი სიყმანვილიდანვე.

იმ ვერსიაში არსად ჩანდა ილია ჭავჭავაძე, და როდესაც იმ ყველაზე დამაჯერებელი ამბის მხატვრულ ხორც-შესხმას შევეცდებოდი ტრაგედიაში „26 ივნისის საიდუმლო“, ძალაუნებურად დავისაჭიროებდი ილიას შემოყვანასაც სიუჟეტში.

წარმოსახვა კი იქით მიბიძგებდა, რომ ილიას მოესხნებოდა ივანე მაჩაბლის გაქრობის ნამდვილი მიზეზი, დეტექტივის ალლოთი და დაკვირვების უნარის წყალობით, ოღონდ — საკუთარი თავის საზიანოდ — მის დაფარვას ამჯობინებდა.

და თუ რატომ, ეს უკვე აღარ გახლდათ ძნელი სავარაუდო, თუ ვისი თხოვნა უნდა გაეთვალისწინებინა და ხელი აეღო განზრახვაზე — საზოგადოების წინაშე გაეხსნა ეს ჩახლართული საქმე.

ნამდვილ მიზეზს — ან უკვე ჩემი პერსონაჟი ილია — ოჯახურ დრამაში ხედავდა, ანკი სხვაგან სად შეიძლება

დაენახა?!

მხატვრული ლოგიკა სავსებით დამაჯერებელი მოჩანდა, თუმც ნეტა როგორ იყო სინამდვილეში?..

და, აი, უეცრად გამომეცხადებოდა ტრიფონ ჯაფარიძის ის უცნობი მოგონება და ის ორიოდ სტრიქონი, რომელიც ასე გამოგნებლად დამიდასტურებდა ვარაუდს, როგორც დოკუმენტური წყარო.

ახლა უკვე აღარც ის გამიკვირდება, თუ მზის სინათლეზე ამოჩნდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საიდუმლო საუბრის მიახლოებითი შინაარსიც და... დაემთხვევა „26 ივნისის საიდუმლოს“ შესაბამის სცენას.

მწერლური წარმოსახვის უეცარი დოკუმენტური დადასტურების თაობაზე ელგუჯა თავბერიძე უკვე გამოაქვეყნებდა მცირე სტატიას „მიზანდაუმცდარი ალლო“ („ჩვენი მწერლობა“, №5, 2013), რომელიც იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს კერძო შემთხვევა განზოგადებულია და საკმაოდ ნოყიერ საზრდოსაც აწვდის ლიტერატურის მკვლევარებსა თუ კრიტიკოსებს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაცხოველებისათვის, თუ როგორ ადასტურებს მწერლის წარმოსახვასა თუ მკვლევარის ჰიპოთეზას ახალდმოჩენილი დოკუმენტური ცნობები, ჩემთვის კი მთავარი ამჯერად ისაა, რომ ავტორი ყოველთვის არ არის სანდო ექსპერტი თავისი ნაწერის შესაფასებლად.

აგერ ტრიფონ ჯაფარიძემ თავისი მოგონების გადაკითხვისას სრულიად უმნიშვნელოდ და ზედმეტად სცნო ის პასაჟი, რომელიც ამ მემუარული ჩანაწერის გვირგვინიცაა და მთელი მისი მოგონებებისაც.

მეტიც — თუკი მოგვეპოვება ძვირფასი მემუარისტული ცნობები არამარტო ილიას პიროვნებაზე, არამედ იმჟამინდელ საზოგადოებრივ ყოფასა და განწყობილებაზე, ერთ-ერთი განსაკუთრებული და მრავალმხრივ გასათვალისწინებელი უწყება ესეცაა.

\* \* \*

წარმოვიდგინოთ ახლა — ციციანო მუმლაძეს ავტორისათვის რომ დაეჯერებინა და არა საკუთარი გამოცდილებისა და ინტუიციისათვის?!

და მემუარული ჩანაწერის პუბლიკაციისას ამ გადახაზული სტრიქონებისათვის ყურადღება აღარც მიექცია.

მერე ვილა დაინტერესდებოდა, ვილა გადაწყდებოდა...

ტრიფონ ჯაფარიძე იმხელა ფიგურადაც არ გამოიყურება, რომ მისი მემუარები ხელახლა გამოექვეყნებინათ და თანაც ვარიანტული სახესხვაობანიც არ დაეკარგათ და კომენტარებში გადმოეტანათ.

ამიტომაც სამუდამოდ ჩარჩებოდა ის პასაჟი არქივის მტკიანი — ავტორისაგან გამეტებული.

...და გიხარია, როდესაც ნამდვილი პროფესიონალები, თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები უჩუმრად რომ აკეთებენ მნიშვნელოვან საქმეებს, არც



ციციანო მუმლაძე

ლევან ვასაძე

# „ღმერთი, სამშობლო და ადამიანი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უღმერთობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ყოველთვის და მხოლოდ საქართველოში, ნებისმიერ მის კუთხეში, რაც არ უნდა ერქვას დროებით ამჟამად მას.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ოჯახი.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— იესო ძე კაცისა ჯიბრან ჰალილ ჯიბრანთან, უხეირო, რასკოლნიკოვი, ფრენსის მაკომბერი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— წმინდა ნინო, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი, წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი, წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი).

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიკო ფიროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართველი ხალხი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კაცობას, მეოჯახეობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— კდემას, მეოჯახეობას, სილამაზეს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— სიმდაბლე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ლექსის წერა-კითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არ ვიცი რამდენად ვიცნობ, მაგრამ ჩემი თავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მოუსვენრობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მათ.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ამპარტავნება.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ოჯახი, ნამუსიანი საზოგადოება, მიწაზე შრომა, რწმენა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— უოჯახობა, უნამუსო საზოგადოება, უმინაწყოლობა, ურწმუნოება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მეტის მაქნისი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლაჟვარდი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— წვრილი, თეთრი ვარდები საფლავის ქვაზე და შავ, ჭედილ ღობეზე გადმოფენილ ბუჩქზე.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ოთარ ჭილაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— რემედოს მშვენიერი, თინათინი, ქარისა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ყველა ვინც ოჯახის შენარჩუნებას ცდილობს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— წმინდა ნინო.

— საყვარელი სახელები?

— ჯერჯერობით შიო, ირინა, ნინო, გიორგი, თამარი, ნიკოლოზი, ეკატერინე, ილია და მარიამი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უსამართლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ვლადიმერ ულიანოვი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ყველა თავდაცვითი ომი (და ამრიგად, მათ შორის ყველა ქართული ომიც) ღირსია უდიდესი ალტაცებისა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა, საადგილმამულო ბანკის დაარსება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— შენდობისა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ნაალსარები და ნაზიარები, „მხილველი შვილთა შვილთა ჩემთათა“.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ცოდვილი, გულაჩუყებული და იმედიანი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ჩადენილნი ცოდვის სირცხვილით.

— თქვენი დევიზი?

— ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— როდესაც წარვდგები ღვთის წინაშე, თუ კი ის მომმართავს, შიშითა და ძრწოლით მოვისმენ ყველა მის სიტყვას.



თამარ მიქაძე

# ძალიან პატარა ქალაქში

ძალიან პატარა ქალაქი — ძალიან პატარა იმისთვის, რომ დიდ ქალაქს გაუტოლდეს, ყლაპოს დიდი ქალაქის მტვერი...

ძალიან პატარა ქალაქს თავისი ცხოვრების სტილი, ტემპი და გულისფეთქვა აქვს...

## პროფესიის ათი წუთი

გაზაფხულზე ძალიან პატარა ქალაქში ლუიზა ბებოს დიდი შემოქმედებითი სალამო ჩატარდა.

თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი, ჩინებული დედა და დეიდა, ერთგული მეუღლე, მეზობელი, ნათესავი, ცხრა შვილიშვილის გამზრდელი ბებია, ჭირში და ლხინში გვერდშიმდგომი, სანაქებო დიასახლისი — ასე დაახასიათეს იუბილარი.

ხაზგასმით აღინიშნა ლუიზა ბებოს კულინარიული შესაძლებლობანი; გაიხსენეს მისი ხელით დამზადებული გამორჩეულად გემრიელი კერძებიც.

ხანგრძლივი ოვაციის ფონზე ავტორმა წაიკითხა თავისი ლირიკული ლექსები. ემოციას ვერ ფარავდნენ მსმენელები, გამომსვლელები, აცრემლიანდა ავტორი...

დასასრულ, პოეტმა დიდი მადლობა გადაუხადა შეკრებილებს, მოიმარჯვა სათვალე და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ჟურნალისტების ჩანაწერის წყალობით გავრცელდა და ხელიდან ხელში გადადიოდა პატარა ქალაქში:

„ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო, მიიღეთ ჩემი მოკრძალებული სალამი... ამდენი სიტბო, ყვავილები, სიტყვები, სხვანაირად არ გამიგოთ, თავი დიდი აკაკის იუბილეზე მგონია. ვინა თქვა, პოეტი მარტოა? — მამ თქვენ ხომ ხართ ჩემ გვერდითო? სამოცი წლის ვიყავი, მუზამ პირველად რომ მაკოცა შუბლზე, მას მერე ოთხი წელია შემოქმედებით გოლგოთას მიუყვებო. თავს უფლებას მივცემ და თქვენც გირჩევთ იმავესო, წერეთო... დიდი ბედნიერება ყოფილა ესო, ვერაფერი შეედრება ამ აღფრთოვანებასო. ჭადის გამოცხოვა რა მოსატანია ლექსის გამოცხოვასთანო (იხუმრა). მთავარია, ადამიანმა მოინდომოს, ყველაფერს მიაღწევსო. ჩემს მაგალითზე მოგახსენებთ. მკითხეთ, რა არის პოეტობაო? — გიპასუხებთ, — მონდომება... დიდი მონდომება და ბევრი ფურცელ-კალამიო.

სიყვარულზე წერეთ, განა არ გყვარებიათ არავინო? განა გული არ გტკენიათ, ან არ გაგხარებიათო? ცრემლებზე წერეთ, დაკარგულ სიყვარულზე, ბოლოსდაბოლოს ქმრებზე წერეთო... სამშობლო არ დაივიწყოთ, ქვეყანა, ჩვენი პატარა ქალაქი... ხეებზე, ფოთლებზე, რაზეც გინდათ წერეთ, ოღონდ არ დაიზაროთო...

— ბარაქალა, ბარაქალა, ლუიზა ბებო — იყო შეძახილი.

გზადაგზა დახელოვნდებითო. თავიდანვე ასე კი არ შემეძლო, ახლა რომ შემეძლიაო — 10 წუთში ლექსი მოდის, საათნახევარში პოემაო. არ დავიშურებ გამოცდილებას, გავუზიარებ მსურველებსო.

სასიამოვნოა, დედაქალაქიდან რომ გეხმიანებიან, იქ ბევრია დიასახლისი პოეტიო. ერთი ხელი რომ ცომში აქვთ, მეორეში კალამი უჭირავთ და ასე ერთგულად ემსახურებიან სამშობლოსო.

ღმერთმა მონდომებული ადამიანები არ მოგვიშალოს, მარტო კითხვა რას მიქვია, წერა შეიყვარეთ — გენაცვალოთ თქვენი ლუიზა ბებოო...

ლოგიკური გადახვევა: ერთმა გამოცდილმა ექიმმა, საკმაოდ წარმატებულმა თავის საქმეში, დაიჩვილა: „ადამიანის გულს ვერ მოიგებო. პაციენტს ზუსტი დიაგნოზი დავუსვი, მან კი საყვედური მითხრა — ათ წუთში გინდათ ფულის გაკეთებაო?

ამ ათი წუთისთვის მთელი ცხოვრება რომ ვისწავლე და ვინწაღე, ის არაფერი. თავისი მითხრა და წავიდა, პასუხსაც არ დაელოდაო...

აბა! ხანდახან ასე ადვილად გამოიყურება ეს მთელი ცხოვრება ზურგით ძნელადსატარები სიტყვა — პრო-ფესი-ო-ნა-ლი-ზმი.



## უსიტყვოდ

ძალიან პატარა ქალაქის სკოლის მასწავლებელი, იმჟამად პენსიაზე გასული ლილი, სამი დღე არ ენახათ მეზობლებს.

არადა, იქ ისეთი წესია — მეზობლის ამბავი უნდა იცოდე... სალამობით, ეზოების შუა დადგმულ მრგვალ მაგიდასთან შეკრებილი მცხოვრებნი აჯამებენ დღის ამბებს. ამით, ძალიან პატარა ქალაქი სოფელს წააგავს — ხელისგულივით ჩანს ადამიანის ცხოვრება, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერსად გაექცევი, ვერც ლილი გაექცა...

სულაც კი არ უნდოდა, სცოდნოდათ მისი უბედურების ამბავი. ბედნიერი დღე იყო ლილისთვის, მისი ერთადერთი შვილი — ტყის მცველი ანზორა თუ არ დაღევდა. ფხიზელს რა უჭირდა, თუ არ მოეფერებოდა, არც ურტყამდა. არც კუთხე-კუნჭულ დასდევდა გამზრდელ დედას და სადაც დაიხელთებდა — უშვერი სიტყვების თანხლებით, მთელი ძალით, დაუნდობლად არ უსწორდებოდა. ეს — თუ მთვრალი არ იყო, მაშინ.

რისთვის? რატომ? ეკითხებოდა თავისთავს სანყალი, დარდისაგან დაღეული ქალი. ხან თვალი ჰქონდა ჩაშავებული, ხან ხელ-ფეხი მოტეხილი, ხან რა და ხან რა...

ნაცემ-ნაბეგვს მეზობლები პატრონობდნენ, იმაზე კი ბრაზობდნენ, რომ ცრუობდა, არ გატყდებოდა, მართალს არ იტყოდა, ანზორას არ დაასმენდა. კარადას მივარტყი თავიო, იტყოდა, ან სხვა რამეს იმიზეზებდა.

უფრო მეტად თავს იდანაშაულებდა, დავბერდიო, თვალში ველარ ვიხედებო — ოლონდაც თავისი უმადური, გონებადაკარგული, ეშმაკის დაძახილს აყოლილი შვილი დაცევა.

დავაჭერინოთო! — მეზობლებმა გადანყვიტეს და პოლიციას მიაკითხეს. ცივი უარი კი მიიღეს. ფაქტზე თუ არ წავსწარით, ძალას ვერ გამოვიყენებთ, იქნებ დაზარალებულმა მართლა კარადას მიარტყა თავიო?!

რალა რჩებოდა? ან უნდა ელიარებინა ლილის შვილის დანაშაული, ან დარჩენილიყო ზედის ანაბარა...

ერთხელაც, მრგვალ მაგიდასთან გადანყდა... საზღვარი აქვს ყველაფერსო, ჩვენ ჩვენი პრობლემები გვეყოფა საზიდადო! გვატყუებს? არ ტყდება? ჩვენ როგორღა ვუმველითო? მართლადამართლა, ჩვენი თავი გაგჭირვებია, ანი რაც უნდა, ისა ქნასო...

ეს სიტყვით, მაგრამ გულით ვერ შეასრულეს...

ჯერ ერთი, პატივს სცემდნენ ლილის, მერე იმის ცხოვრებულ ქმარს, მერეც, ერთმანეთი უყვარდათ, ერთმანეთის თანადგომისათვის იყვნენ გაჩენილნი, ადამიანები იყვნენ...

ასე იყო თუ ისე, ლილი უნდა ენახათ, რამე უნდა ელონათ მესამე დღის საღამოს...

— არა, კაცი დავბერდი, ასეთი რამე არ გამიგიაო — თქვა ბუხუტიმ მრგვალ მაგიდასთან.

საქონლის ცემა გამიგია, ცოლის ცემა გამიგია, მაგრამ დედისა?

— მამა, ეგ რა სათქმელია? — აღშფოთდა ბუხუტის რძალი, ქალის ცემა რა საკადრისია. თქვენმა ვაჟმა რომ ხელი დამაკაროს, გეამებათო?

— მე ეგ არ მიგულისხმიაო, — პასუხობს ბუხუტი, — მომწონს არ მითქვამს მე. გამიგია-მეთქი. ისე, ცოლს რომ ქმრისთვის უღალატია, იმას კი აულია და ფეხქვეშ გაუდვია, ვერც მაინცდამაინც გავამტყუნებო, — დასძინს, — მაგრამ დედისაო? ასეთი დედისაო?

— აბა, აბა, რა მშრომელი ოჯახი, მზე და მთვარე ამოსდითოდათ მაგ დასამინებელზე, გადაყოლილები იყვნენ მაგ პირშავზეო. ბავშვობაში მამამისმა თავისი ხელით ისეთი აკვანი გაუკეთა, სოფლებიდან ჩამოდიოდნენ სანახავადო, — ერთმა თქვა.

— იმ აკვანში იყო ჩასაკლავიო, — მეორემ.

— ეგ წინასწარ ვინ იცისო? — მესამემ.

— მინა ჭამოს მაგის პირმა, მაგას ღვინოს ვინ აძლევსო?

— არყით თვრებაო.

— ქართველი რომ არაყს მიეტანება, ცუდად არის საქმეო, — ქალებმა თქვეს.

— ერთ წიგნში ასე წერია, — იწყებს ერთ-ერთი.

— წიგნის დრო არ არისო, — აწყვეტინებს ბუხუტი (აქტიური მეზობელი). — ჩემმა ცოლმა იცის, ახალგაზრდობაში ბალზაკი მაქვს წაკითხული, მაგრამ რაო? ამასთან რა კავშირიო? საქმეს მივხედოთ, სახლში შევიჭრათ, ვნახოთ ცოცხალია თუ მკვდარიო...

ასეც გადანყდა, სახლი უნდა შეენგრიათ, მაგრამ აღარ დასჭირვებიათ. ეზოში რომ შევიდნენ და ლილას ხელი და-

აჭირეს, კარი ლილიმ გაუღო. სახლში მიიპატიჟა მეზობლები. ისაუბრეს. ბუხუტის დავალებული ჰქონდა სიტყვის თქმა და პირნათლად შეასრულა პირობა — ყველაფერი მოახსენა ლილის. მეზობლების მხრიდან სამარადისო სიტბოს, თანადგომას და დახმარებას დაპირდა, ერთადერთი პირობით — პოლიციისთვის უნდა მოეხსენებინათ ყველაფერი, ან დაიჭერდნენ ანზორას, ან დააშინებდნენ.

— შენც გეშველება და ჩვენცო. ხომ ხედავ, იმას არ ეცოდები, „უვარგისი შვილის ყოლას, არ გაკვდეს ჯობიაო“.

ყველას გასაკვირად: „მართალი ხართ მეზობლებო, პირველად წარმოთქვა ლილიმ. ბევრი მიფიქრია მაგაზეო. თქვენც განვალეთ და თავიც რა დღეში ჩავიდევო. თქვენ ისიც არ იცით, მამამისი ცემით რომ მოკლაო... ყველაფერს ვმალავდიო, ტყუილი სხვა არ მითქვამს... დედის ტყუილი არ გენყინოთ, არ დამძრახოთო... ხომ ასეთი ოხერია, შვილია, მაგის ცუდზე გულ-მუცელი მენვისო. სხვის შვილებს ვასწავლიდი, ჩემი ვერ გავზარდე, მე უბედურობაო“.

— მაგაზე არ იფიქრო, — დაამშვიდა ისევ ბუხუტიმ (ახლაც იცოდა მეზობლების აზრი და ის გამოთქვა).

— დამპალი თესლიდან მოსავალი არ მიიღებო. არც პირველი ხარ, არც უკანასკნელიო. ეს ის შემთხვევაა, გაზრდა რომ არ შევლისო. შენ არაფერი დაგკლებია ჩვენს თვალში, მაგაზე არ იფიქრო, ლილი მასწავლებლოო.

— ეხლა შენი შვილი შაბათამდე ტყეშია. შაბათს მოვა, დალევს... მოუნდება შენი მორევა — პოლიცია იქნება ჩასაფრებული და თუ ბიჭია, იმასთან იქონიოს საქმეო. შეთანხმდნენ...

ერთადერთი გამოსავალი ეს ნახეს, ან სხვა რა უნდა ენახათ?

ასე ხალხმა გადანყვიტა.

უფალმა სხვანაირად ინება...

ორი დღე ყველა მშვიდად იყო.

შაბათს ტყიდან გამოსული მთვრალი ანზორა ძალიან ეცადა, მაგრამ სახლში ვერ შევიდა და ბალახებში დაეგდო.

ჩასაფრებულ პოლიციელებს მოუწიათ კარის შენგრევა და მძიმე სურათიც დაუხვდათ...

ბინაში გარდაცვლილი ლილი იპოვეს, როგორც მერე გაირკვა — გული გასკდომოდა.

ტახტზე იწვა მშვიდად. თითქოს სახზე ეწერა — ეხლა მაინც მომასვენეთ, ხომ გითხარით სათქმელიო.

მიცვალებულს ტანზე აღენიშნებოდა სილურჯეები — არაერთგზისი ძალადობის კვალი, რაც საკმარისი მტკიცებულება აღმოჩნდა იმისათვის, რომ ანზორა სასჯელს არ ასცდენოდა.

ქალაქმა გულით დაიტირა ყველასათვის საყვარელი ლილი მასწავლებელი, ოდესღაც კარგი მეზობელი და ადამიანი, ბოლომდე ერთგული დედა და, საუბედუროდ, უღირსი შვილის პატრონი.

თავისი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

სასაფლაომდე ცრემლით გააცილეს, უსიტყვოდ.

აქეთა გზაზეც მძიმედ წამოვიდნენ. ასევე უსიტყვოდ, უსიტყვოდ, უსიტყვოდ...

სათქმელი აღარაფერი იყო.

ჰანსის ბახსნა

ძალიან პატარა ქალაქის ნოტარიუსი, 32 წლის ჯუმბერ ჩ... ცოლ-შვილისა და მოსიყვარულე სიდედრის პატრონი, ერთ პარასკევს, მოკლე სამუშაო დღის შემდეგ სახლში არ მისულა.

უბნის პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული სამუშაოების შედეგად, ის, ღამის 2 საათზე, სამსახურის ეზოშივე, ხელფეხპირშეკრული იპოვა.

როგორც გაირკვა, დაზარალებულს ორი ნიღბიანი მამაკაცი ელვისებური სისწრაფით დასხმია თავს. დამნაშავეებს არ მოუთხოვიათ არც ფული, არც სხვა რამ. ბანრით შეუკოჭავთ უხმოდ, დანით მოუჭრიათ ფერადი ჰალსტუხი — ეგ იყო და ეგ.

პოლიციამ საქმეს შემდგომი მსვლელობა არ მისცა — მკვლელობა გვაქვს გასახსნელი და ჰალსტუხის გულისათვის საქმეს ვერ აღვძრავთო. კიდე პატიოსანი ხალხი ყოფილაო, — დასძინეს, — ხომ შეიძლება, ფული მოეთხოვათო?

— აბა, ეგ სადაური სამართალიაო? — აღშფოთდა სიდედრი, ჩემი სიძის ნაოფლარი რომ არ მოითხოვეს, მაგისტვის მოვახსენო მადლობაო?

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ საქმე ოჯახის თავსატეხი გახდა და გამოსაძიებლად მზრუნველი სიდედრის ხელში გადავიდა.

სიდედრმა დანაშაულს სამსახურობრივი კვალიფიკაცია მიანიჭა და კონკრეტული დამნაშავის ძებნას შეუდგა.

— ჯუმბერიკო, შვილო, გაიხსენე, იქნებ მოიმდურე ვინმე, არ დაუმტკიცე მინა, სახლი... ნაწყენი კაცის გაკეთებულია ეს. პირდაპირ ვთქვათ: ქურდობა — არა, ჯვარი გნერია, მკვლელობა — არა, რა რჩება? სამაგიერო გადაგიხადეს შვილო, პატიოსნებისათვის, ალაღმართლობისთვის გაგისწორდნენ.

ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე, ძველებურ სანოღში, არშიებიან თეთრეულში იწვა ჯუმბერიკო. მთელ ტანზე მსუბუქად ეტყობოდა ბანრის კვალი. სხვა არაფერი აწუხებდა, მაგრამ დაზარალებულის როლში იყო შესული და იქიდან გამოსვლა არ უნდოდა. თავს იკატუნებდა, ვითომ ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა.

— ძნელი გასახსენებელია, ვარლამოვნა, — სუსტად ამოილულულა, მომაკვდავის ხმით.

ერთად გავიხსენოთო — გადანწყვიტეს და დაიწყეს ჩამოთვლა. ზოგი რამ სიდედრს ახსოვდა, ზოგი მეუღლეს, ზოგს ჯუმბერიკო ლულულულებდა.

ცოტა ხნის მერე... ერთი საიდუმლო უნდა გითხრათ, არ იწყინოთო, — ჯუმბერიკომ.

დედა-შვილმა ყური ცქვიტა. სკოლაში რომ წელი მიყვარდა, მისი ძმა დიდი ხანია შეპირებულია ჩემს ცემასო.

— ჩემი გოგოსათვის ხომ არ გიღალატიაო? — სიდედრა.

— რას ბრძანებთ, ღალატი რა საკადრისიაო, — ჯუმბერიკომ.

— მაშინ ეგ გამორიცხეო. ცემას თუ დაგპირდა, აგისრულებდა კიდეცო.

— ერთი ეჭვი კიდე მლრღნისო, — ჯუმბერიკომ. — ვარლამოვნაზე რომ აგარაკი გავაფორმეთ, ცოტა ჩახლართული საქმე კი იყოო... სახლის პატრონი მართლა რუსეთში ცხოვრობსო...

— ეგეც გამორიცხეო, — სიდედრა.

— შენი გულისათვის რუსეთიდან თუ ჩამოვიდოდა, სხვანაირად გაგისწორდებოდაო.

— ეს რა თავსატეხი მოგვეცაო, მანიაკი ხომ არ იყო ვინმე, ჩემი გაკოჭვა რომ უნდოდაო, — დაიკნავლა ჯუმბერიკომ.

განაგრძეს სჯა-ბაასი.

— ისე, საიდუმლოზე თუ მიდგა საქმე, მეც მაქვს ერთიო, — სიდედრა.

— ბრძანე, ვარლამოვნაო, — ჯუმბერიკომ.

— ჩემო საყვარელო სიძევ, ორჯერ ავტოფარეხის დამტკიცების უფლება რომ გთხოვე, ხომ გახსოვს?

— როგორ არა, — ჯუმბერიკომ.

— მიჭირს თქმა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მაქვს — პატივი მცესო.

— საჩუქრითო? — ჯუმბერიკომ.

— არაო.

— ფულადი ერთეულითო?

— კიო, ოღონდ რამდენი იყო, ახლა არ მათქმევინო, დამინდო...

— დედა, ამ ამბავთან ეს რა კავშირშია? — შვილმა.

— რახან საიდუმლო ითქვა, მეც ვთქვი.

— რაც იქნება, იქნება, მაშინ მეც მაქვს სათქმელიო, — ცოლმა. და აღიარა, მეზობლის ლობეზე და სხვა წვრილმანზე მდივანთან რომ რეკავდა და ჯუმბერიკოს სახელით სარგებლობდა. თითქოს არაფერი, საქმეს ის ამძიმებდა, მეუღლის უჩუმრად რომ მოქმედებდა.

საიდუმლოებები რომ თქვეს, მიხვდნენ, გულზე რალაც მოეშვათ...

იმ საღამოს გულახდილობამ (გაუცნობიერებლადაც შეიძლება) უფრო დააახლოვათ, დააკავშირათ და აგრძობინათ, რომ ერთი ოჯახის წევრები იყვნენ, თუმცა, ამას საქმესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

გავიდა 7 წელი.



მხატვარი დეა სოსელია

ქალაქში ერთგან ჭირის სუფრა გადაიხადეს. სუფრას ლადო ნადიბაიძეც ესწრებოდა, დიდი ხნის უმუშევარი და ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცი. როგორც ყოველთვის, თავისი ყრუ-მუნჯი ძმა ახლდა. დარდიან გულზე სხვაზე მეტად შექეფიანებულა და დაუტრაბახია: „ჩვენთან ფრთხილად იყავით, თანამდებობის პირი გვყავს ძმებს გაკოჭილი“.

- ვინაო? — უკითხავთ.
- დაუსახელებია: ნოტარიუსიო.
- რა დაგიშავა?
- ეს ჩვენ ვიცით, ძმებმა.
- მაინც, მაინც?

„ჭრელი ჰალსტუხით რაც დაინყო სიარული, ზევიდან გვიყურებდა, თავს გვამეტებდა მშრომელ ხალხსო“.

- რა ეგონა, მაგას შევარჩენდით?
- „მთავარია კაცობაო, სხვა ყველაფრის დედაცო“ (ბოლომდე გაუგრძელებია).
- რომ იტყვიან, კვანძი გაიხსნა...

ასე მარტივად და უცნაურად ყოფილა საქმე. პატარა ქალაქში ხმა დაირხა, ჰალსტუხი ყოფილა მიზეზი, არა — პატრონიო.

რახან ექვს წელზე მეტი იყო გასული, საქმე ველარ აღიდრებოდა.

ან ვილას ენდომებოდა რამის აღძვრა?.. დაზარალებული არავინ იყო... რაც ჩვენ დავტოვეთ, ნოტარიუსი მთავარ ნოტარიუსად გადაიყვანეს. პროფესია კარგად მოირგო, ქონებას ქონება მიუმატა, აგარაკს — აგარაკი...

მეორე სართულს მესამე დაადგა, ჯუმბერიკო ჯუმბერი გახდა სიდერისათვის; ვისთვისაც ჯუმბერი იყო ადრე — ბატონი ჯუმბერი. ერთი ჰალსტუხის მოჭრას ვინღა დაიჩვილებდა?

უკვე ნაირნაირი, ძვირფასი ჰალსტუხები უმყარებდა პროფესიულ და პიროვნულ ამბიციას.

**წინასწარ ჩაფიქრებული სიურპრიზი**

ძალიან პატარა ქალაქში ორი დასასვენებელი პარკია. ერთი ბავშვებისათვის, მეორე თავიდანვე პენსიონერებმა დაიკავეს, — თავისუფალი დრო ბავშვებზე მეტი გვაქვსო. სალამობით იკრიბებიან მოხუცები, საუბრობენ, თამაშობენ ჭადრაკს, მსჯელობენ ქვეყნის ავ-კარგზე, მეზობლებზე, ჰყვებიან ანეკდოტებს, ცინცხალ ამბებს.

ბოლო დროს საპენსიო ასაკმა ზღვარს ქვევით დაინია. ერთხელაც, სკამზე ორმოცდაათ წლამდე ჯან-ლონით საგვსე მამაკაცი ჩამოჯდა.

მოხუცებმა გააპროტესტეს, აღშფოთება ვერ დამალეს — გვყრიან აქედანო, იფიქრეს.

- ჰაერსაც გვართმევთ? — შეუტიეს.
- რას ბრძანებთ, მეც თქვენს დღეში ვარ, სამსახურში შემცირებაში მოვეყვი, რატომ მიბრაზდებით, რახან ყავარჯენი არ მიკავია ხელში? თქვენ ერთმანეთი გყავთ, ეს ლამაზი ბალიო... მე, არც სამსახური მაქვს, აქაც არ მიშვებთ, რა წყალს მივცე თავი, არ ყოფილა ჩემი საშველი!

შეეცოდათ ხანდაზმულებს. დაანყნარეს, დაუყვავეს — გამოგვიარე ხოლმეო. ჩვენ გვაპატიე, ანი აღარ გისაყ-

ვედურებთო; ტუ... ტუ... ტუ... რა დროა, შენი ტოლები ადრე კარიერას იკეთებდნენო.

ოჯახი თუ გყავს, ვისთან ერთად ცხოვრობო? — ჰკითხეს. ცოლ-შვილი არ მყავს, მაგრამ მამიდა მყავს სულზე უტკბესიო. რუსეთში დაქვრივდა, იმასაც ჩემ გარდა არავინ ჰყავს, მელოდება, მე კი ამ დროს შემამცირეს... როგორღა ჩამოვიყვანო?! ისე, თქვენ გეცოდინებათ მამიდაჩემი, ბიბლიოთეკაში მუშაობდა — ზემფირაო...

— ზემფირაო? — ამ სახელის გაგონებაზე ჯერ ერთი წუთი სიჩუმე ჩამოვარდა, მერე აზუზუნდნენ.

წლების განმავლობაში რომ იკრიბებოდნენ, ერთმანეთის გულის ნადებს ოჯახის წევრებზე უკეთ გრძნობდნენ. მეგობრის სიყვარულის ამბავი ხომ იცოდნენ და იცოდნენ! ამიტომაც, არავის გაკვირვებია, როცა ნოდარმა, მოკრძალებულმა და სანდომიანმა მოხუცმა, მთელი ცხოვრება ამ სიყვარულის მოლოდინში დაბერებულმა, გადანყვეტილება მიიღო, თავისი მცირედი დანაზოგის საშუალებით ჩამოეყვანა რუსეთიდან ზემფირა.

„40 წლის წინათ რა ლამაზი იყო ზემფოო“, — თვალები უბრწყინავდა ნოდარს.

„ეხლა უნდა ნახოთ მამიდაჩემიო, — ძმისშვილმა, — წლებმა კიდე უფრო დაამშვენაო. სადედოფლო ქალია, ადრე არ გაუმართლა, იქნებ ეხლა მაინც აენყოს ცხოვრებაო...“

ჩამოსხდნენ...

ხარჯი დაითვალეს: ბილეთის, დახვედრის, იმ დღესვე რესტორნის დაჯავშნის... ერთი პირობით... ზემფირას წინასწარ არაფერი სცოდნოდა — უცაბედი გახარება უნდოდა სანუკვარი ქალბატონის.

ნოდარი იმის კაცი არ იყო, სიყვარულისთვის ფული დანანებოდა, რაც საჭირო იყო, ჩაუთვალა ძმისშვილს და პირობას არ უღალატო, სიურპრიზი არ დაივიწყო, — დააკოლა.

ძმისშვილმა: სიტყვა სიტყვააო...  
5 დღის განმავლობაში უნდა მოგვარებულიყო ყველაფერი.

შეთანხმებისამებრ, შაბათს, კარგი ამბისთვის გამოპრანჭული მოხუცები შეიკრიბნენ.

ზემფირას ძმისშვილი არ მოვიდა...  
არ გამოჩენილა არც ორშაბათს და არც მომდევნო დღეებში...

გაკითხ-გამოიკითხეს.  
იმ დროისთვის ზემფირა 12 წლის გარდაცვლილი ყოფილა რუსეთში.

მის ბედოვლათ ძმისშვილს 4 წელი თაღლითობის მუხლით მოუხდია ციხეში, გამოსვლის შემდეგ კი წინასწარ გამიზნული გეგმით მოატყუა მოხუცები.

პარკში ალბათ ამაზე კიდევ დიდხანს იზუზუნებდნენ, ისევ ნოდარს, სანდომიან და ღირსეულ კაცს რომ არ ეთხოვა: „აღარ გვირდა ამაზე ლაპარაკი, რაც იყო, იყო... სიყვარულმა გამასულელა, თორემ ის თაღლითიც ვერ გამაცურებდაო“.

სხვები კი ჩაანყნარა...  
თვითონ ლამლამობით ვერ იძინებდა, გულს ისეთი ბაგა-ბუგი გაუდიოდა...

ძირითადად — დაკარგულ სიყვარულს მისტიროდა, ხანდახან დაკარგულ 1450 დოლარსაც იხსენებდა.

ნონა კუპრეიშვილი

# ნათელა

ექვსეტი მსახიობი ნანა შონიას 2006 წელს გოგა პიპინაშვილის საბავშვო სტუდია „არტ-ჰოლის“ სპექტაკლ „შელადოსში“ მონაწილეობისთვის

## მოქმედა პირველი

სცენის ოდნავ ამაღლებულ ადგილას დგას კუბო, რომელშიც შუახნის გამხდარი ქალი ჩასვენებული. ისმის საპანაშვილო მუსიკის ხმა. საორკესტრო ორმოდან ერთმანეთის მიყოლებით ამოდიან შავებში ჩაცმული საკმაოდ კეკლუცი მანდილოსნები. ისინი ენერგიულად ჩურჩულებენ.

- რაო, რა მოუვიდა?
- ასე უცებ?...
- ამბობენ ცოტათი აურიპო ამ საწყალმა...
- ეს როგორ, გაგიჟდა?
- აჰ... ვინ იფიქრებდა... ისეთი წესიერი ქალი იყო?!
- არ გადამრიო!
- ღმერთო, რას არ გაიგებ! მართლა შექანებულა ეს საცოდავი?!

— კაცისთვის ეცალა დევნილ ქალს?  
— კი გაათხოვა... შვილიშვილსაც ელოდებოდა... მაგრამ ვინ დაელოდა?!

- ო, სირცხვილო და თავის მოჭრაე!
- ჩუ...
- ასე იცის სულელურმა აზრებმა...
- ესეც ჩვენებური უსიტყუო ქალი...
- კარგი ერთი, შენი ჭირიმე... ისე რომ იცოდე, მაინც-დამაინც დალაგებული არასოდეს ყოფილა...

— იცოდი?ის კაცი მასზე ბევრად უმცროსი რომაა...  
— უსირცხვილობამ უფროს-უმცროსი არ იცის!  
— ის კი არადა... ფულს უხდიდაო... ფულს...

— ამდენსაც ვერ მოვითმენ!!! (ეს აშკარად მიცვალებულის ხმაა. ხელის მკვეთრი მოძრაობით ის სახიდან ბლონდს იშორებს. კუბოში წამოჯდება და უფრო ბრაზიანად გაჰყვირის) ვერ მოვითმენ-მეთქი! როგორც ყოველთვის ახლაც ვერაფერი გაიგეთ!... (გადაჭრით) არა!... ეს არასოდეს არ დამთავრდება, თუკი ახლავე... ამ წუთას... მე თვითონ არ მოვყვები ჩემს ამბავს... ყველაფერს როგორც იყო.... თქვენი.... (ხმას საგანგებოდ იწვრილებს) წუნკი წრიბინის გარეშე...

— ამ სიტყვებით გამეშებულ “ჭირისუფალთა” ფონზე სწრაფად დგება... ანსრიგებს თავის “სამუდამო განსასვენებელს”, რომელიც სწორდება და ჩვეულებრივ ლოგინად იქცევა. “მიცვალებული” სწრაფად იხდის თაღს უსახურ კაბას, რომლის ქვეშ მხიარული ფერებით დაჩითული კოხტა სარაფანი აღმოჩნდება. თმებს იშლის და ხალისიანად ფანჯარაში იქიჩრება. პორტიდან ნიავს ზღვის შრიანი და ადამიანთა მხიარული ხმების ფრაგმენტები მოაქვს.

**ნათელა.** დღეს მაინც ვერ უნდა მოვრჩე ამ წყეულ პუტვას! (დაფნის ტოტებს ფოთლებს აცლის და კალათაში აწყობს) იქნებ დედაჩემმა ამის მერე მაინც გამიშვას “ბე-

რეგზე”... თორემ გავიდა ეს ზაფხულიც....

ოთახში შემოდის დედა.

**დედა.** (ხელებს გულზე დაინწყობს. დამუნათებით) ასე ადამიანი დებს არ ჰგავდეს?! იმათ ლამისაა უკვე გასამრჯელოც აიღონ... შენ კი... რას ელოლიავები თუ იცი ამ ოხერ ფოთლებს... დროზე ქენი, თორემ მოგვეჭრა თავი... მეზობლები იტყვიან, ვინ ჰყავთ ოჯახში ასეთი ზარმაცი, საქმეს საშველი რომ ვერ დააყენესო... ჩვენ კი რითა ვართ ცნობილი, ნადარაიები? რით და... (ცეცხლი გაგვდის, ცეცხლი... (შეყოვნდება. მობუზულ ქალიშვილს მონყალე მხერით შეათვალიერებს. დაუტკებება) თმები შეიკარი... ხომ იცი, არ მიყვარს, ალქაჯივით განენილი რომ დადისარ (ჩამოშლილ თმებს შეუსწორებს) პატიოსან ადამიანს შუბლი უნდა უჩანდეს.... თანაც.... (რადაცის თქმას დააპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს) მოკლედ ამ საღამოს “ბერეგზე” უნდა გავიშვა.... ისე კი არა.... ძველებურად.... მარია გერასიმოვნას შეკერილი ახალი კაბით!



**ნათელა.** (სიხარულისგან შეჰკივლებს) ურაა!

**მხიარული მუსიკის თანხლებით სცენა შეტრიალდება.** გამორჩევა ლამპიონებით განათებული გასული საუკუნის სამოციანი წლების ზღვისპირა ქალაქის სანაპირო ქუჩა, რომელსაც ყველანი “ბერეგს” ეძახიან. საგანგებოდ მორთული ჭრელი საზოგადოება აქეთ-იქით მიმოდის... ერთმანეთის ჩანაცვლებით ისმის ორი პოპულარული სიმღერის მელოდია. ერთი სიმღერა პარტიაზეა, მეორე – მეზობელ გოგონაზე, რომელიც არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, თუმცა მაინც მიმზიდველია. წყვილები ძირითადად ასე გამოიყურებიან: ტანდაბალი და სწორედ ამის გამო უფრო გაბღენძილი ქართველი მამაკაცი და მასზე საგრძნობლად მაღალი “ბამეტინი” და მკვეთრმაკიაჟიანი რუსი ქალბატონი, რომელსაც ადგილობრივები “ოტდისაიუშის” ეძახიან. ჯგუფებად, მამაკაცების გარეშე დადიან შვეთვალწარბა ქალები, დროებით უყურადღებოდ მიტოვებული “სამხრეთის მზეთუნახავები”, რომელთა შესახებ ასეთი ორსტრიქონიანი ლექსიც კია შეთხზული: “კრასავიცა იუჟნაია, ნიკამუ ნე ნუჟნაია...” ერთმანეთს ხმაურით ხვდებიან დიდი ხნის უნახავი ნათესავები, ოჯახისშვილები. ნერვიულად გამოიყურებიან ბანქოს მოთამაშენი და ოქროსკბილიანი კანონიერი ქურდები. სიმშვიდეა და თვითდაჯერებულობას განასახიერებენ პოლიციის მაღალჩინოსნები და მათი ცოლები. არიან მოუსვენარი თანამედროვე “ხანუმებიც”, რომლებსაც გართობას გადაყოლილი ქართველი მამაკაცებისა და გათხოვების კრიტიკულ ზღვარს მიახლოებული ქართველივე ქალბატონების გადარჩენა ევალებათ... ნათელა თავის დებთან ერთად თავდახრილი მიაბიჯებს. წარმოდგენა არა აქვს, რომ მათ მუშტის თვალით უყურებს მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ორი უცნობი ქალი, რომლებსაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა უკვე საგრძნობლად გამელოტებული მამაკაცი ხელკავით მოჰყავთ.

**პირველი “ხანუმა”.** (მამაკაცს) სამივე აგერაა, ა... რომელიც გინდა აირჩიე....

**მეორე “ხანუმა”.** (პროტესტით) აირჩიოს რა... ხელნამოსაკრავ ოჯახთან კი არა აქვს საქმე.... (მამაკაცს) სამივე

კი არა... უფროსს დააკვირდი... უფროსს.... აი, ამას (და ნათელას ერთ-ერთ დაზე მიანიშნებს).

მოსიერნი ერთმანეთს ჩაუვლიან. ქალები და მამაკაცი მომენტალურად შემობრუნდებიან და მიმავალი ქალიშვილების "სინჯვას" აგრძელებენ.

პირველი "ხანუმა". (მამაკაცს. კმაყოფილებით, თვითდაჯერებით) კი.... ნამდვილად უფროსი.... ის სულ სხვაა....

მეორე "ხანუმა". (მხარს უბამს) კობტა ტან-ფეხი აქვს.... განსაკუთრებით ფეხები.... ხელები კი.... რა გინდა მათ რომ არ გააკეთონ...

მამაკაცი. (უტაქტოდ) - მე ის მომწონს, შუაში რომაა! ორივე "ხანუმა". (ერთხმად) - ნათელა?!

პირველი "ხანუმა". (ნირნამხდარი) არა... ის კი არა, რომ ცუდი გოგოა...

მეორე "ხანუმა". (დაეჭვებული) ....მაგრამ ოჯახისთვის გამოდგება?!

სცენა კვლავ შემობრუნდება. ამჯერად მოჩანს ჯერ კიდევ აულაგებელი საქორწინო სუფრის ფრაგმენტი. ჩვენამდე ნაქეიფარი ხალხის ხმაურიც აღწევს. აშკარად გაოგნებული, პატარძლის კაბით თოჯინასავით მორთული ნათელა ქმრის, დედის, დების და რამდენიმე ახლო ნათესავის გარემოცვაში საჩუქრების "ტრადიციულ შეფასებას" ესწრება.

დედა. (გამომწვევად. ერთ-ერთ ნათესავს) ერთი ნახე, თოლორაიებმა რა მოიტანეს... რამდენი მიცვალებული გავიდა მაგათი ოჯახიდან, ლამის ყველა ჩემი დასასაფლავებელი გახდა.... (რიხით) ხომ იცი ჩემი ამბავი.... უშნო გადაყოლა რომ ვიცი.... აბა, თავი არ შეირცხვი-ნოთ.... რამე ხომ არ გაკლიათ.... ეს არ დაგავინყდეთ.... ის არ გამოგრჩეთ... (კეკლუცად) ჰოდა.... ახლა მაინტერესებს.... რა გაიმეტეს ერთი.... (საჩუქრის კოლოფში ჩაიხედავს. უკმაყოფილოდ. ირონიულადაც) მოუკლავთ თავი და ეგაა...

ნათელას უფროსი და. მაგათგან აბა რას ელოდი... (სხვა კოლოფიდან ფრთხილად ამოიღებს ფაიფურის ფინჯანს. ათვლიერებს) შეხედე რა სილამაზეა ეს "მადონას" სერვიზი... წყალი არ გაუფა, ნათლიაჩემს ჩემთვის ექნებოდა გადანახული, მაგრამ ახლა... (წყენით გადახედავს ნათელას) სხვებს ერგოთ.

ნათელა. (აღტაცებით) სხვებს კი არა შენ... შენ გერგო, გოგო... აილე, რაც მოგეწონოს (ხელს ყუთების გროვისკენ გაიშვერს) მე მაინც არ მჭირდება ამდენი რამ... (იცინის) ეხუმრები?... ამდენი ჭურჭლის გაცვეთას ორი სიცოცხლეც არ ეყოფა...

დედა. (მკაცრად) ნათელა! იცოდე ჩემი და შენი... (უფროს ქალიშვილს სიყვარულით გადახედავს) სულ მალე მაგასაც მიმიხედავს ღმერთი... (დარწმუნებით) ყველაფერი თავისი და თანაც საუკეთესო ექნება...

ნათესავი. (ნიშნისმოგებით) სად იცხოვრებენ? სოფელში, ქმრის სახლში, თუ?...

დედა. (კატეგორიულად, ასევე ნიშნისმოგებით) რატომ უნდა იცხოვრონ სოფელში? ჯერჯერობით აქ... ამხელა სახლში ვერ დაეტყვიან? შემდეგ ვნახოთ... ჩემს სიძეზეა დამოკიდებული... (სიძეს გადახედავს) როგორ მარიფათს გამოიჩენს...

ქალები საჩუქრების ჩალაგებას იწყებენ, ყუთებს კუთხეში მიანყოფენ და სწრაფად გადიან. სცენაზე ახალდაქორწინებულები რჩებიან.

ქმარი. (მცირე ყოყმანის შემდეგ ნათელას ნელზე მოავლებს ხელს) მოდი, რა...

ნათელა. (შოშით იცილებს მის ხელს) მოიცა... იქნებ ჯერ გვესაუბრა?!

ქმარი. რა საუბარი გვინდა... ხელმონერილი ცოლ-ქმარი ვართ... (ამჯერად მკლავებში მოიმწყვდევს და ბლუჯნის)

ნათელა. (კვლავ უძალიანდება. სიტყვებს ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოისვრის, თითქოს სუნთქვა ეკვრის და ჰაერის ახალ-ახალ ულუფებს ყლაპავს) გეამბნა... რამე... შენზე... ჩემთვისაც გეკითხა... რამე... არაფერი... გაინტერესებს?...

ქმარი. რაც მაინტერესებს... ახლავე გავიგებ... (და ნათელასკენ მიიწევს. ნათელა უკან-უკან იხევს. საწოლს მიადგებიან. ნათელა ნაიბორძიკებს და ქმართან ერთად ლოგინზე ეცემა)

ნათელა. (განწირული ხმით) ასე უცებ არა... მოიცა... მოიცა...

სცენა სანახევროდ ბნელდება. კარგად ჩანს ერთმანეთს შერკინებული ორი ადამიანის სილუეტი. ქმარი თავისი სხეულით თანდათან ფარავს ნათელას და მის თეთრ საპატარძლო კაბას. შემდეგ თეთრ გამჭვივრვალე ლეჩაქს მოაძრობს და იატაკზე მოისვრის. ნათელა წამოიკვილებს. მცირე პაუზის შემდეგ იგი ლოგინიდან წამოიჭრება და იქითკენ გარბის, სადაც დედა ევლუება.

ნათელა. (განწირული და აფორიაქებული) დედა... დედა... ჩემი ასეთი დამცირების უფლება რატომ მიეცი... რატომ-მეთქი ასე... მხეცივით... დატაკება... ეს ხომ საშინელებაა... (ტირის)

დედა. (არც ისე გაკვირვებული. ცდილობს გაიღიოს) რა მოხდა ისეთი, რასაც არავინ მოსწრებია... ახლავე დაწყნარდი... ჩვენც შენს დღეში ვიყავით... აბა... კინოში რომ აჩვენებენ ისე კი არ ყოფილა არაფერი... (შვილს ჩაიხუტებს. თმებზე ხელს გადაუსვამს) მიეჩვევი და ყველაფერი დაგავინყდება... (ნაძალადევად იღიმება) გეფიცები, ახლა ამ ქორწილის ანგარიშის წაკითხვა ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე შენი ფანტაზიები...

ქმარი. (სცენის მეორე კუთხეში მომლოცველ თავზე ხელს უხერხულად ისვამს. ბუზღუნით) იზამდა ახლა ამას რუსის ქალი?... არ შეყარა მთელი ქვეყანა თავისი დაყვედრებული პატიოსნების სანაცვლოდ? ფუ... გიჟი ყოფილა...

რამდენიმე თვის შემდეგ ოჯახის ყველა წევრი, ნათელას გარდა (ის ბავშვს აძინებს), სუფრასთან ზის. ქალიშვილები დუმან. შექმნილ სიტუაციას დედა აჯამებს.

დედა. (სიძეს) მას შემდეგ, რაც საუკეთესო კოოპერატიულ მშენებლობაში ჩავრთეთ... პირველი გადასახადიც მე გადავიხადე... უსირცხვილოდ მეუბნები, რომ შესატანი ფული არა გაქვს?

ნათელას ქმარი. (უსიამოვნოდ) ამ წუთას არა მაქვს, თორემ...

დედა. (ჩვეული სიმკაცრით) დარწმუნებული ხარ... როცა... ვინ იცის როდის იქნება ეს როცა... ფული რომ გექნება... დაგვიანებული არ იქნება?

ნათელას ქმარი. ამხელა თანხა გადავიხადო და... ცოლიც ჩემი გემოვნების არ იყოს... გოგოც გამიჩინოს... ეგრე სადაა?

დედა. პირველად არ ვხედავ შენს უკმაყოფილო ცხვირ-პირს... (გადაჭრით, თუმცა მშვიდად) იცი რას გეტყ-

ვი, ჩემო კარგო?... ვინც ჩემს პატივისცემას არ შეიფერებს... საითაც უნდა წავიდეს – გზა ხსნილია... ამ დანაკარგს როგორმე გადავიტანო...

**ნათელას ქმარი.** (აენთება) მაგდებთ?... ხომ იცით, ქალის შოვნა არ გამიჭირდება... იმან იკითხოს თორემ... ბავშვიანს ვინ გაეკარება... და თანაც დაფშტვენილს...

**დედა.** (ხმას უწევს) შენ მაგაზე ნუ სწუხხარ... ჩემს შვილს არავის დავაჩაგვრინებ!

**ნათელას ქმარი.** აზრზე რომ მოხვალთ, ტყუილად ნუ დამიძახებთ! (ამ სიტყვებით წამოვარდება, იქვე სკამზე გადაკიდებულ კოსტიუმს დაავლებს ხელს. ისმის კარების ძლიერი გაჯახუნების ხმა) ხმაურზე ნათელა შემოჰყოფს თავს.

**ნათელა.** (თითქმის ჩურჩულით) რა ხდება აქ?

**დედა.** (განაჩენის გამომცხადებელ მოსამართლესავით) აღარ გყავს შენ ქმარი – მორჩა და გათავდა!

**დები მრავალმნიშვნელოვნად დუმან.**

სცენა კვლავ შემობრუნდება. ამჯერად ავეჯის მალაზიაში ვართ. მასშტაბებზე და წარწერებზე ეტყობა, რომ ეს მოსკოვია. ნათელა და დედა მისი დარბაზში გამოფენილ სხვადასხვა კარადებს, მაგიდებს, სკამებსა თუ სავარძლებს ათვალიერებენ.

**დედა.** არა... ნამდვილად სწორად მოვიქეცი, იმ ზუგდიდელ აფერისტს რომ არ დაველოდეთ და ჩვენ თვითონ წამოვედით... (უკმაყოფილოდ) ჰმ... შუამავალიო... არ მყავდეს ეგეც დიპლომათი “ტოვაროვედი”... ეგ ლელვის ძირში გაზრდილი, ეგა... ჩვენ რა, მაგაზე ნაკლები გემოვნება გვაქვს? (უხალისოდ, თითქმის ინდიფერენტულად განწყობილ ნათელას ენერგიულად შეუძახებს) ნათელა... გამოფხიზლდი ახლა... მანდარინის მთელი შემოსავალი შენს ავეჯზე რომ უნდა წავიდეს... შენ შერჩევაც აღარ გინდა, დალოცვილო? (თავისთვის) ...შენს დებს ისეთი პატრონები ადგანან თავზე... მაღლობა ღმერთს... ჩემი დახმარება არ სჭირდებათ... (ნათელას. თანაგრძნობით) შენ კი დამეჩაგრე... უხეირო ქმარმა დამიჩაგრა შენი თავი...

**ნათელა.** (თითქოს რალაცის გაპროტესტებას აპირებსო) კი... მაგრამ...

**დედა.** (კატეგორიული ტონით აწყვეტინებს) მაგის გალამაზება არ გაბედო... როგორც შემოვიყვანე ჩემს ოჯახში, ისევე გავისტუმრე... (თითქოს უსიამოვნო მოგონებებს იშორებსო) ...არ გამახსენო ერთი, შენი ჭირიმე, იმისი გაუთავებელი თავის მართლებები... ცოლს სჭირდება, მაგრამ... ბავშვს სჭირდება, მაგრამ... ბინა გჭირდება, მაგრამ... მოკლედ – ოჯახის “ტანჯის და ხარჯის” მას არაფერი ესმოდა...

**ნათელა.** (ვედრებით) დედა... სირცხვილია... გვიყურებენ...

**დედა.** (შენიშვნაზე არ რეაგირებს. კარადების გრძელ რიგთან ჩერდება. სიამოვნებით) აი, საშენო... შეხედე, ნათელა, როგორია, ა... (აღტაცებული) არ დაამშვენებს მაგ ცარიელ ოთახს?... თანაც ახალ ბინაში... რას იტყვი, ა?...

**ნათელა.** (მოულოდნელად და უმისამართოდ) მარინამ თქვა... ბედნიერება ავეჯის ყიდვაში არ არისო...

**დედა.** (სხვათა შორის) მაგ ყოვლისმცოდნე მარინას ნაკლებად უსმინე შენ! (მოლარეს რუსულად. მკვეთრი ქართული აქცენტით) ვიპიძიტე, პაჟალუისტა, ჩეკ!

ქერთამიანი გამყიდველი ამრებით შეხედავს კავკასიელ დედაშვილს.

**გამყიდველი.** ვიბრალი, ზნაჩიტ... (თან რალაცას გამალებით წერს. უკმაყოფილოდ) ი მორე ვამ, ი მანდარინი ვამ, ი მეტელ ხაროშაია... ტოჟე ვამ...

**დედა.** (კეთილგანწყობით) ტაკ პოლუჩატსია... ნო ვი პოჟალუისტა, ნე რასტრაივიატეს... პრიეზჟატე კ ნამ... ვოტ ადრეს... (უცერემონიოდ ჩამოართმევს კალამს და იქვე, ქაღალდის რომელიღაც კუთხეში საკუთარ მისამართს მიაწერს) უვიდიტე ი მორე... ი მანდარინი (ორაზროვნად) ი ვსიო ოსტალნოე...

სცენის სიღრმეში მუშები დიდ ყუთებს დაეჭიდებიან. როგორც ჩანს, ავეჯს გასამგზავრებლად ამზადებენ. დედა მუშებს არ სცილდება. ნათელა კი ამ ორომტრიალს განრიდებულ რამპის შუქზე გამოდის, მაყურებელს უახლოვდება და თვალახელილის, რალაცას მიმხვდარი ადამიანის ინტონაციით აცხადებს.

**ნათელა.** მარინამ მართლა მითხრა... ბედნიერება სახლის ავეჯით გამოტენვაში არ არისო. ეს ის არ არის, რითაც სიცარიელეს ავსებენო... ქალი იმასთან უნდა იყოს, ვისთვისაც არის გაჩენილი და არა იმასთან, ვისაც სხვები შეურჩევენ ან მოწყენილობისგან თვითონ წააწყვდებიან... ეს როგორ არ გესმის... პატარა გოგო ხომ არა ხარო... მაგრამ მე მართლაც არ მესმის. კიდევ იცით, რა მითხრა... უცნაური ქალია ეს მარინა... აქაურებს ჰგონიათ ეს სამოთხე საცხოვრებლად უფადოდ მიეცათ და ტუტუცურად იქცევიანო... ეს დაუსჯელი არ დარჩება... (თითქმის ყვირილით. განწირული ხმით) ეშმაკს არ სძინავსო... (მოულოდნელად ამ ხმას უერთდება ტყვიების ზუზუნის, ტანკების გრუხუნის, ბავშვების ტირილისა და ქალების ნივილ-კვილის ხმა... შიგაღამივ ისმის ნაღმების აფეთქებაც... სცენაზე შეძრწუნებული ადამიანები გამოვლიან).

— გვარდია... ჩვენი გვარდია უკვე “კრასნიმოსტანაა”...

— ტამიშთან ერთმანეთი დაუხოცავთ...



მხატვარი ნელი კილასონია

— აფხაზების ბინებს ხელი არ უნდა ახლონ... როგორ შევხვდავთ მერე სახეში...

— მოიცა ერთი... რალა დროს სტუმარმასპინძლობა... ქვეყანა იქცევა...

— ჩიჩბებს უთხარი, ღამე ჩვენთან გაათიონ... ნურაფრის შეეშინდებათ...

— ჩიჩბებს კი არა, საკუთარ თავს მიხედე, მალე მხრებზე რომ არ შეგრჩება...

— შვილები ისრაელში გადასახლდნენ... მე და ჩემმა ქმარმა აქ დარჩენა ვარჩიეთ... ცოტა ჩვენთვის ვიცხოვროთო... სახლი გავარემონტეთ და ... არ არის ახლა ეს ბედის დაცინვა?!

— პირს რატომ მარიდებ, ასტამურ, მეც შენსავით მძულს ეს მოლაღატეები...

— მძევლებად ვიქეციოთ, ხალხნო... პოლიტიკოსების მძევლებად...

— რას ამბობ, რის მძევლებად?!... ორ თვეში ყველაფერს გაარკვევენ და უკან დაგვაბრუნებენ...

**ხალხის ერთ ჯგუფს გამოეყოფა ნათელა და მისი ოჯახი. დედა სკამზე ზის. თბები გასწვნივა. მძიმედ სუნთქავს. ეტყობა თავს ცუდად გრძნობს**

**ნათელა.** (შეძრწუნებული) დედა... როგორმე წამოდექი... ხომ ხედავ რა ხდება... ბავშვები მაინც შეიცოდები...

**დედა.** ჩემი ნაშრომ-ნაჯაფი ოჯახი დავტოვო?... მთელი ახალგაზრდობა ცოლ-ქმარმა მას რომ შევალაიეთ... (ისმის თვითმფრინავების გუგუნის... სადღაც ახლოს ჭურვი სკდებდა. პირგამშრალი და ძალაგამოლეული) იქნებ მითხრას ვინმემ, რა დავაშავე?!...

ამასობაში ხალხი გასასვლელისკენ მიიწევს. როგორც ჩანს, იქ ჯერ კიდევ რალაც მანქანა იცდის. გაოგნებულ ადამიანებს მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებთ. ნათელა და მისი ერთ-ერთი და დედას წამოაყენებენ.

**დედა.** ნადით შვილებო, ნადით! მე დავრჩები... ამ ხნის ქალს როგორ არ დამინდობენ...

**მანქანასთან ზედახორაა. ნათელას დები იქით მიიწევენ.**

**ნათელას ერთ-ერთი და.** (შეწუხებული) ჩვენ მეტს ვერ გავრისკავთ... ბავშვებს ბოლომდე ვერ გავიმეტებთ... დედას თვითონაც კარგად ესმის... დამტოვეთო ხომ თქვა...

**ნათელა.** (დაუფიქრებლად) მაშინ მე დავრჩები... ბავშვი თქვენ ნაიყვანეთ... მე კი... (ხელებს გაშლის) უბრალოდ ვერ დავტოვებ და ეგაა...

ამასობაში ნათელას დები და ნათელა დედასთან ერთად ერთმანეთს კარგავენ. იწვნიებიან. იგივე მოსდით სხვებსაც. ისმის შეძახილები: სად ხარ, შვილო! ვაიმე, ბავშვი გაისრისა! ჩანთა კი არა, ხელი მომეცი, ხელი! გაგიყდით, ხალხნო! დედა, ვერ გხედავ, დედა! ნადით, შვილებო, ნადით! ნათელა, როგორმე წამომოაყენე, შვილო... ჩემ სახლში მინდა მოვკვდე, ჩემ სახლში... (სცენა ბნელდება)

**მეორე მოქმედება**

სასტუმროს თითქმის ცარიელი ოთახი. ერთადერთ მაგიდას რამდენიმე ქალი უზის. ისინი ყავას სვამენ. ნათელას უკვე გაზრდილ-დამშვენებული ქალიშვილი ოთახის სხვადასხვა კუთხეში რალაცას დაეძებს. სკამზე გაშლილი ჩემოდანი დევს, რომელშიც დედა-შვილი ბარგს ალაგებს.

**ნათელა.** (მაგიდასთან მსხდარ ქალებს) ვიცი კი ბოლომდე... სად ვუშვებ შვილს? კი... ჩემები არიან, მაგრამ როგორია სიმნრით გამოზარდო და ასე შორს გაუშვა... (შვილს) თბილები დაგჭირდება... ეს მოსკოვია... იქ ცივა... (ისევ შვილს. დაყვავებით) იქნებ დაგცადა... რამე შეიცვლებოდა...

**შვილი.** (გალიზიანებული) რას ვუცადო? მორიგ კილოგრამ დაობებულ ფქვილს და თავგების გამოხრულ მაკარონს?! მადლობა ღმერთს... ბიძაჩემს თავისი საქმე გამოუჩნდა... თანაც არ მითხრა ახლა: მოსკოვს ცრემლების არ სჯერაო... სხვათა შორის, თბილისსაც არ სჯერა! გაიგე, დედა, მარტო ერთგული ძალღივით შვილისთვის თვალეში ცქერა საკმარისი არ არის!

**ნათელა.** (წყენით) ძალღსაც მადარებ?!

**შვილი.** ძალღს არა ის... უბრალოდ ვცდილობ აგისხნა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება... მეტი არაფერი!

**ერთ-ერთი სტუმარი ქალი.** (მენტორულად) მართალს გეუბნება ბავშვი, ნათელა... ის შენი კარგი დები რომ არა, ასეთ ადგილს ეღირსებოდა? თავის დროზე არც ასეთ მშვენიერ ოთახს მიიღებდი... (ამ სიტყვებზე ოთახს მოაველბს თვალს) რამდენი რამე გჭირდება... შენი ირმაც ყველაფრის კარგის ღირსია... სანამ თავისი სპეციალობით იშოვიდეს რამეს, იმუშაოს ნუგზარისთან... ბლინების გამოცხოვრებით ჯერ არავინ მომკვდარა... რა იცი მერე, ვინ რა თვალზე შეხედავს?... (ღიმილით) ჩვენებური ბიჭები იქაც კი არიან...

ქალიშვილი მაგიდასთან დასკუბებულ ქალებს გამოემშვიდობება. დედასაც. ოლონდ როგორღაც ნაჩქარევად, დაუდევრადაც კი და სწრაფად გაეცლება. ისმის მატარებლის ხმაური.

**ნათელა.** (სცენის შუაგულში დაბნეული დგას. პროექტორი მის გაცრეცილ სახეს ანათებს) დუგ- დუგ... დუგ – დუგ... ეს თითქოს ჩემი გული ცემს... გული გავაყოლე შვილს... უკადრისს არაფერს ჩაიდენს, ისე მყავს გაზრდილი... მაგრამ უჩემოდ რომ იწყებს ცხოვრებას – ეს მაშინებს... დუგ-დუგ... დუგ-დუგ.

ამასობაში ქალებს, ეს უკვე მერამდენედ, ყავა დაუღვეიათ. ყველა ჭიქა გადაბრუნებულია, ყველა სათქმელი თქმული... როგორც ჩანს, ჩვეულებისამებრ უმკითხავიათ კიდევ. პარალელურად ნათელას ოთახი თანდათან ავეჯით ივსება. ჯერ ტანსაცმლის კარადა შემოაქვთ... შემდეგ კამოდი... შემდეგ ტელევიზორი.

**პირველი სტუმარი ქალი.** (მაგიდასთან ახლადჩამოგზდარ ნათელას. მხიარულად) ნათელ, ა, ნათელ... რატომ არასდროს არ გვახედებ ჭიქაში?... ის მაინც არ გაინტერესებს შენს ირმას რა ბედი ელოდება, ან როდის დავბრუნდებით?

**ნათელა.** (უსიცოცხლოდ) ყავის ჭიქაში ჩასახედი რომ გახდა ეს ამბავი, იმიტომაც არ ვბრუნდებით?...

**მეორე სტუმარი ქალი.** (ენერგიულად. დამცინავად) მერე, ჩვენ რომ დავბრუნდებით, ამ ძლივს გამოცოცხლებულ ქალაქს ვის ვუტოვებთ?...

**მესამე სტუმარი ქალი.** (ასევე დამცინავად) ნუ ღელავ... უჩვენოდაც კარგად მიხედავენ... შენ ის მითხარი, იქ რაც იყო და გვქონდა, ახლა სიზმარშიც რომ არ გველანდება...

**მეოთხე სტუმარი ქალი.** (იგი აქამდე ჩუმად იყო. ეს მარინაა) არცაა საჭირო და იმიტომ... ამდენი რამ გადაგ-

ვხდა, ნორმალური ადამიანებისთვის ამდენი რამ გადაფასდა... და მაინც სულ ერთი და იგივე ისმის: ორი როიალი მქონდა. ერთი ზედა სართულზე და თეთრი... მეორე ქვედაზე და, ბუნებრივია, შავი... (მწარედ ჩაიციინებს) ჰმ... როიალი, რომელზედაც არავინ უკრავდა... ასეთი ჭურჭელი, ისეთი ავეჯი... ოჯახურ სეიფებში ჩამალული ნიკოლოზის-დროინდელი მონეტები და რა ვიცი, კიდევ რა... ფული ხომ ძალაა! მერედა რაში მოვიხმარეთ ეს ძალა!... ყვეწობაში? იმაზე კი ვინმე ლაპარაკობს სერიოზულად, რატომ დაგვემართა ის, რაც დაგვემართა? ჩვენც ხომ არ მიგვიძღვის რაიმე ბრალი ამ ყველაფერში?!... იქნებ აფხაზური რომ გვცოდნოდა... ინფორმირებული მაინც ვიქნებოდით...

**პირველი სტუმარი ქალი. (ანყვევინებს)** არ მითხრა ახლა, მარინა, ჩემს სტუდენტებსაც ამას ვასწავლიო?!

**მარინა. (მშვიდად)** ვასწავლი, თუ ისწავლეს...

**მეორე სტუმარი ქალი. (ისიც აღშოთებულია)** რა გინდა რომ გავაკეთოთ... იმისთვის, რაც გადაგვხდა... იმისთვის, რომ ყველასგან გავინირეთ... ვინმეს მადლობა ხომ არ გადაუხადოთ?!

**მარინა. (ისევ სრული სიმშვიდით)** მადლობა ის იქნება... (ხელს გულთან მიიტანს) აქ თუ ჩავიხედავთ...აქ...

**მესამე სტუმარი ქალი.** ადვილი სათქმელია აქ ჩაიხედეთო... როდესაც ცხოვრების ქორნილიდან ცხოვრების ქელეხში ამოყოფ თავს... (ამ სიტყვებზე, თითქოს თავს იმშვიდებსო, ორივე ხელის გულს თმებზე ღონივრად გადაისვამს).

**მარინა. (უცებ ჩამოვარდნილი პაუზის შემდეგ)** ქმრები თუ გიყვართ?

**ქალები. (ერთხმად)** რაო?!...

**მარინა.** უფრო სწორად, სიყვარულის უნარი თუ შეგრჩათ?...

**პირველი სტუმარი ქალი. (თვითირონით)** სწორედ სიყვარულისთვის არ გვცალია ახლა?...

**მეორე სტუმარი ქალი. (მარინას. დამუნათებით)** არ გრცხვენია?... ნათელასთან ათასში ერთხელ ყავის დასალევად რომ ვიცლით, იმიტომ გვამასხარავებ და გვაძლევ ასეთ პროვოკაციულ შეკითხვებს?... (იცინის)

**ნათელა. (საუბარში მოულოდნელად მისთვის ჩვეული უშუალობით ჩაერთვება)** მე მაგალითად ძალიან მინდა... მიყვარდეს... მიუხედავად იმისა, რომ შვილიც გამითხოვდა და არც ისე ახალგაზრდა ვარ...

**მესამე სტუმარი ქალი.** გაჩერდი, თუ ღმერთი გწამს... მაგას იმიტომ ამბობ, რომ პატრონი გყავს... დებმა, სიძეებმა... (ხმას აუნევს) შვილმა... ამდენი რამ გაგიკეთეს... (ორივე ხელით ჰაერში წრეს შემოხაზავს. ოთახი, მართლაც, კვლავ ავეჯითაა სავსე).

**პირველი სტუმარი ქალი. (სარეკლამო აგენტის ინტონაციით)** თანამედროვე დიზაინით შესრულებული ულამაზესი გარდერობი, თავისი ორიგინალური სარკითა და ტუმბებით... ბრტყელეკრანიანი ციფრული ტელევიზორი -ახდენილი ზღაპარი... ორკამერიანი... დიდგაბარტიანი მაცივარი... კომპაქტური და მობილური მტვერსასრუტი — აი, ესაა შენი სიყვარული!

**ნათელა. (მხარს უბამს ამ ხუმრობას და ისიც სარეკლამო აგენტით)** გინდათ თქვათ, რომ უკეთესს არაფერს ვიმსახურებ?! (ყველანი იცინიან).

**მეორე სტუმარი ქალი. (უცებ ბრაზდება)** ო...ო... (წამოდგება. თან ხელჩანთაში დაკვიცილ თავშალს ტენის. წასასვლელად ემზადება) იცით, რა... ასე ღრმადაც ნუ შევტოპავთ, თორემ გაგვიჭირდება იმის გარკვევა, ვინ რას ვიმსახურებთ... (ყველანი წამოიშლებიან და კარებისკენ მიემართებიან)

**მაგიდასთან ორნი რჩებიან: ნათელა და მარინა. ნათელა ჩვეულებისამებრ ყავის ჭიქებს მოავლებს ხელს და რეცხვას იწყებს.**

**მარინა. (მიმავალ ქალებს გახედავს. მცირე პაუზის შემდეგ ნათელას მიუბრუნდება)** მოდი, გოგო, აქ... დაანებე მაგ ჭურჭელს თავი... იცი, აგათა კრისტიმ რა თქვა?... მკვლელობის ყველა ჩემეული ისტორია ჭურჭლის რეცხვის დროს მაქვს მოფიქრებულო... ეს ისეთი მოსაწყენი საქმიანობაა, უკეთეს რამეზე ვერც იფიქრებო... (ღიმილით) რა დროს აგათა კრისტია, არა?... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს... (ნათელა მაგიდას მიუახლოვდება, წინსაფრით ხელებს იმშრალავს. მარინა თვალბრუნებით ჩახედავს) არა... როგორ იყო რომ თქვი?... მეგონა, მე ვიყავი ასეთი (ხაზგასმით) ეგზემპლარი... შენ ჩემზე უარესი ყოფილხარ... იცი საბოლოოდ რას მივხვდი?... ამათ აქ, იმათ იქ, ენგურსგალმა და კიდევ უფრო შორსაც... ყველას მოკლედ... ადამიანის გარეშე უნდათ ბედნიერი ცხოვრების აშენება... გესმის?... ისეთი წვრილმანის გარეშე, როგორიც ადამიანია... ამიტომაც არ გამოსდით არაფერი...

**ნათელა. (უმისამართოდ)** ექიმმა მითხრა, ორგანული არაფერი გაქვსო... ანუ ნამღების გამონერას აზრი არა აქვსო... (ფრთხილად, თითქმის ჩურჩულით) მეც ვიცი... ნატვრისგან რომ ვარ ავად... ამან დამასუსტა. (მარინას მოუბრუნდება) ყოველ დღით ძველებურად ვერ შევუძახებ ხოლმე ჩემს თავს: ადექი, ნათელა, საქმეს მიხედე-მეთქი...

**მარინა. (წამოდგება. ნათელას მხარზე ხელს ოდნავ შეახებს)** ჭკუით იყავი... ჭკუით...

**კარებში მეზობლის ქალი შემოჰყოფს თავს. მას უცნობი მამაკაცი ახლავს.**

**მეზობლის ქალი. (უცნობ მამაკაცს)** შემოდი, შემოდი... (ნათელას) ა, ჩემო ნათელა... როგორც იქნა გვეღირსა ტელეფონის “ლინია”... ახლა ამ კაცის ხელშია ჩვენი “პოლნოე სჩასტიე”... (და მაშინვე გადის).

**მამაკაცი. (უხალისოდ)** გამარჯობათ... (ხელჩანთიდან აუჩქარებლად სამუშაო იარაღებს ამოალაგებს. ცოტა ხანში ტელეფონის ხაზის გაბმას და სპეციალური სარჭებით მის მიმაგრებას იწყებს. ნათელას. საქმიანად) სად აპირებთ აპარატის დადგმას... აჰა... გასაგებია... აპარატი თუ გაქვთ?...

**ნათელა ტელეფონს გამოაჩენს და მიანვდის. შემდეგ ფანჯარასთან მისული ისედაც კოხტად ჩამოკიდებულ ფარდებს გაასწორებს და ქუჩაში გახედვასაც ასწრებს. მერე იქვე მაგიდაზე მდგარ რადიომიმღებთან შეჩერდება და ჩართავს. ისმის ქართული სუფრულ-ქალაქური სიმღერების პოპური, ძალიან მსუქანი, კარგად ნაკვები კაცები მეტისმეტად განაზებული ხმებით რომ მღერიან.**

**მამაკაცი. (უფრო გაგონილით გამოწვეული უკმაყოფილების გამო. ისე რომ ნათელასკენ არც კი იხედება)** ესე იგი, დევნილი ქალბატონი ხართ და “არ დაიდარდოს” სმენაც გიყვართ...

**ნათელა. (ყოჩაღად)** დევნილი კი ვარ, მაგრამ არა დარდიანი... მე ხევა დევიზი მაქვს: მორჩი ნუნუნს? – გზას ენი!

**მამაკაცი.** (ძალაუნებურად მოიხედავს და ამ სიტყვების მთქმელს დააკვირდება) ჰმ... დევიზი არ გქონიათ ცუდი... ასეთ რამეს აქ ხშირად ვერ გაიგონებ...

**ნათელა.** სად ეს "აქ"?

**მამაკაცი.** - ჩვენთან... (ჩუმდება. ნათელას თავიდან ფეხებამდე შეათვალიერებს, თითქოს ყოყმანობს, ღირს თუ არა ამ თემაზე მასთან საუბრის გაგრძელება) დაბოლმე არ ჩანხართ ქართველი ქალების დიდი ნაწილივით...

**ნათელა.** დაბოლმისთვის არ მცალია... (თავისთვის) სულ რაღაც კარგს ველოდები...

**მამაკაცი.** (ისევ დააკვირდება. მსუბუქი ირონიით) მერე და სად არის ეს კარგი?...აქაურ 20-25 წლისას, ზოგჯერ ბევრად უფროსსაც, თავაზიანად რომ მიმართავ "ახალ-გაზრდა ქალოო"... ის კი შეურაცხყოფილის პოზიციიდან რომ გასაუხობს: მე ქალი კი არა ქალიშვილი ვარო... აქ უნდა ელოდე კარგს?

**ნათელა.** მოიცათ... თქვენ ისე ლაპარაკობთ... სადაური ხართ?

**მამაკაცი.** სადაური უნდა ვიყო... სოხუმელი მუსიკოსი...რომელსაც შეთავსებით ტელეფონის, ელექტრონის და რა ვიცი კიდევ რისი ხაზები გაჰყავს...

**ნათელა.** (მხიარულად) მერედა ამ აცეკვებულ-ამღერებულ ქვეყანაში უკეთესი ადგილი ვერ იპოვეთ?

**მამაკაცი.** (დინჯად. მშვიდად) მე სხვა ტონალობაში ვუკრავ...

**მამაკაცი** საქმეს მალე მორჩება. ნათელა ყავასა და მსუბუქ საუზმეს გამოუტანს.

**მამაკაცი.** (მაგიდას არ მიუჯდება. ყავას ფეხზე დამდგარი მოსვამს. სრულიად მოულოდნელად) თქვენი აზრები კარგ მელოდიასავითაა...

**ნათელა.** ეს რაღას ნიშნავს?...

**მამაკაცი.** მხოლოდ იმას, რომ კარგი მელოდია კაცს ძნელად თუ დაავიწყდება...

ისინი ერთმანეთს შეხედავენ. შემდეგ ერთმანეთისკენ წამოვლენ. ისმის გასული საუკუნის ერთ-ერთი ჰიტური სიმღერა : „სტრენჯერს ინ ზი ნაით“. მამაკაცი ნათელას თმებზე ხელს ჩამოუსვამს და თვალბრუნებით ჩააცქერდება. ნათელა არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს. თითქოს თავისივე დათმობით თვითონვეა გაკვირვებული, ისიც უცნაურად შესცქერის მამაკაცს. ისინი ერთმანეთს ჩაეკვრებიან და ყოველგვარი სიმშაგის გარეშე ფრთხილად და მონატრებულად ეფერებიან ერთმანეთს. ტელეფონის ზარის ხმა ისმის. ისმის ნათელას შეცვლილი ხმა: "ჰო, მარინა, მე ვარ... რას მიცნობ, მეც ვერ ვცნობ საკუთარ თავს... შენი მონაფე არა ვარ?... ჩემს თავს ვუთხარი: მიდი, ნათელა, ამაზე უარესი უკვე არაფერი არ იქნება-მეთქი... იცი, რა ბედნიერი ვარ?...“ გაძლიერებული მუსიკის ფონზე სცენა თანდათან ბნელდება.

ნათელა მარტოა. მისკენ ლამის სირბილით მოდიან მისივე დები. მოდური ხელჩანთებით. გაწკვილები. მორთულ-მოკაზმულები. ადრეველები ჩანან.

**უფროსი და.** (გულსიტკივილით, გაოცებითაც) ეს მართალია, ნათელა?

**უმცროსი და.** (კატეგორიულად) შენ მხოლოდ გვითხარი, არ არის მართალიო და თავს დაგანებებთ! (სახეს ახლოს მიუტანს) ხომ ასეა, ნათელა?... (დამარცვლით) არ არის მართალი-თქო... მორჩა და გათავდა!

**ნათელა.** (დაბნეულად) არა... რატომ...

**უფროსი და.** გინდა თქვა, რომ დედაჩვენის შვილი მასზე ბევრად უმცროს მამაკაცზე გადაირია?!

**უმცროსი და.** გადაირია და სხვა არაფერი?! (ნერვიულად) მთელი ქვეყანა ყურში ჩაგვბზუის... ხმა გაკმინდეთ, რა გაქვთ სალაპარაკო... ლტოლვილები გახდით და სახლ-კართან ერთად ნამუსიც აფხაზებს დაუტოვეთ...

**ნათელა.** (ნაძალადევი ღიმილით) ასე უკუღმართად რატომ გაიგეთ ყველაფერი?...

**უფროსი და.** ესე იგი ხალხი არ ტყუის... ესე იგი შენ მართლა გაიჩინე შენზე ბევრად უმცროსი საყვარელი და (თვალბრუნებით და ხმას დაინწილებს) ბოზობ?!...

**უმცროსი და.** (მაყურებლისკენ) ჩვენზე საფიქრალად სად მოიცლიდა... სად ჩვენ და სად სექსუალური მოთხოვნილებები...

**ნათელა.** თუ მაცლით, ავიხსნით (შუბლზე ჩამოშლილი ხვეულ თმას ნერვიულად ისწორებს) რა... არ მიცნობთ? არ იცით სინამდვილეში როგორი ვარ?... რატომ უნდა ველავდე იმაზე უცხო ადამიანები ჩემზე რას ამბობენ?...

**დები ერთმანეთს შეთქმულებით გადახედავენ.**

**უფროსი და.** (ნათელას. ნიშნისმოგებით) მოიცა... მოიცა... ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით და ჩვენი ქმრები, სად იქნებოდი ახლა?

**უმცროსი და.** (მწარე ირონიით) სად იქნებოდა და... უკეთეს შემთხვევაში საბერძნეთის რომელიღაც კუნძულზე... მიყრუებულ ფერმაში... თხების მწყემსად ან... გამხმარ სარეველასავით ბაზრადქცეული ქალაქის ნეზვში იქნებოდა ჩარჭობილი... „ზაგრიანი“ და ტანკით დიდგაბარიტიანი...

**უფროსი და.** (ნათელას) შენ კი თავი უსაფრთხოდ იგრძენი... გაინაზე და სიყვარულისთვის მოიცალე... არა?!

**ნათელა.** უბრალოდ... ყოველთვის მინდოდა ქალად დარჩენა... მაშინაც, როცა ძალიან მიჭირდა... (ასეთი პასუხისთვის მოუზმადებელი დები ერთხანს ჩუმდებიან. ნათელა შექმნილი ჰაუზით ისარგებლებს და ამით მონიჭებულ უპირატესობას მთავარი სათქმელისთვის იყენებს) სანამ მეტყუოდა მშვენიერი თმები გაქვს და უნაზესი კანიო... ვიცოდი... ვიცოდი, რომ ამ სიტყვებს გავიგონებდი... ისიც რომ მითხრა... ორმოცს გადაცილებულ ქალში სრულყოფილი ყვავილის სილამაზეაო... ესეც... ჩემი იყო...

**უმცროსი და.** (მოუთმენლად, დამცინავადაც) და შენც ამ გაცვეთილი ზღაპრების გჯერა, არა?!

**ნათელა.** (აგრძელებს ისე, რომ არც კი ესმის მისი) ...ხელი რომ შემახო... აი, ასე... სულ სხვანაირად... გევიცები... ჩემი და ამ კაცის მარტოობა სადღაც გაქრა... ორი მარტოობა... გეცმით... რომელსაც თავიდან არც კი იცი რა უყო...

**უფროსი და.** (დარბაზს. გაოგნებული) რას ამბობს ეს სულელი ქალი?!

**ნათელა.** (კვლავ თავისთვის) ქუჩაში რომ დავდივარ... სახლში რომ ვარ... თუ რა ვიცი კიდევ სად... ყველგან მისი მზერა დამყვება... აი, ასე (ხელის მტევნით თავზევით გვირგვინს გამოსახავს) ზემოდან დამცქერის... არ მიშვებს... და მეც ამ სინათლის ქვეშ დავდივარ... ეს კი... (გატაცებით. თითებს ერთმანეთს გადააჭდობს. სიტყვებს ვერ პოულობს. დებს მიუბრუნდება) იცით... ეს რა არის... თქვენ, მე მგონი, არც არასოდეს არ გიყვარდათ თქვენი ქმრები... ისევე როგორც მე... (სინანულით) ისიც ვერ გავიგე, მყავდა თუ არა

საერთოდ ქმარი... არც თქვენ და არც იმათ სიყვარულისთვის დრო არასოდეს გემეტებოდათ... სიყვარულზე ფიქრი... არა... სიყვარულის უფლება ამ წყევულ ქალაქში ნაყინის შეთბობას გავს და იმდენად მოკლევადიანია, რომ თინეიჯერებზე თუ ვრცელდება... მთავარია, ვინ უფრო კარგად შეფუთავს თავის გრძნობას... ვინ უფრო ოსტატურად გახევედება... მოჯდება ამ ცხოვრებაში და დოლარის კურსის აღმრიცხველ მანქანად გადაიქცევა... ჩვენი ქალობადავინყებულ ქალები კი შავებით იმოსებთან ... ისევ და ისევ შავებით... ახლა მგონი ნამდვილად ვიცი რატომაც... საკუთარი სხეული რომ დაივიწყონ... (თავგანწირვით. ბოლო სიტყვის აქცენტებით) ...მაგრამ ამის გამო ბედნიერების სურვილს არსებობა ხომ არ შეწყვეტია?...  
**უმცროსი და. (გამწარებული)** ნათელა... მოგერიდოს მიანიც... რას ბუფტუტურებ?

**ნათელა. (თითქმის ჩურჩულით)** მკლავში რომ შევეყუფე... მინდა ავტირდე-მეთქი... ასე ვუთხარი... იცი, რამდენი ხანი არ მიტირია-მეთქი... რამდენი კი არა... არასოდეს – ბედნიერებისგან...

დები კვლავ ერთმანეთს გადახედავენ და თითქოს ნიშანი მიეცათო, დაძვრებიან ნათელას. ურტყამენ შეუბრალებლად და ისტერიულად. ნათელა ჩაიკეცება. დები, თითქოს მისი დაშლილი სიყვარულია, იქვე, ნათელას გარშემო დაყრილი "გუბკა"-ღრუბლის ნაჭრებს ჰკიდებენ ხელს და სცენის სიღრმეში კვლავ გამოჩენილი კუბოსკენ გარბიან, რომ ეს ყველაფერი იქ ჩატენოს სიტყვებით: ესეც შენ... აი, ასე... თავხედო... უმადურო... უმადურზე უფრო მეტო... (უკვე გაჰკვივან) რა გავგიბედა... რა გავგიბედა...

ხანგრძლივი პაუზა. სცენაზე არავინაა იატაკს მიკრული და გათელილი ნათელას გარდა. შორიდან ისმის პოლ მორიას ნაზი მელოდია. ნათელაც ამოძრავდება. გაჭირვებით, მუხლებზე ხელების დაყრდნობით დგება და სცენის სიღრმეში გაკრული ეკრანისკენ მიემართება. მისი იდენტური გამოსახულება ახლა ეკრანზე გადადის. იქ უკვე რომელიღაც უპაცრიელ გზაზე მიდის. ჯერ ლას-ლასით. მერე სულ უფრო და უფრო მხნედ. მოულოდნელად ცალ მკლავს გაშლის და დატრიალდება. ისმის მისი ჯერ ჩუმი, შემდეგ კი ხმაშალაილი გადამდები სიცილი. მუსიკაც უფრო ძლიერი და რიტმული ხდება. იგი არ წყდება და ერთხანს გრძელდება, მაშინაც, როდესაც კადრი ლამის ექსტაზში შესული, თმებგაშლილი ნათელას გამოსახულებით ერთბაშად ჩერდება.

ფარდა

### ალმონავალით მისიონერის თვალთ

„ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან“ ასე ჰქვია მანანა დუმბაძის ახალ წიგნს (გამომცემლობა „საუნჯე“), შინაარსში ლამის მსოფლიოს გარშემო მოგზაურის შთაბეჭდილებებს რომ იკრებს, და რომლის წარდგინებაც ლიტერატურის ინსტიტუტში გამართა 20 თებერვალს.

თუმცა ეს არ გახლდათ მწერლის პირველი შეხვედრა, ამ ახალი წიგნის გამო, მკითხველებთან. პრეზენტაცია უკვე სხვაგანაც ჩატარებულა, რასაკვირველია, მთელი სრულყოფით. ინსტიტუტის კედლებში მკითხველის მიპატიჟება განპიროვნდა იმ გულითადი მონატრებისა და ნოსტალგიის საბაზით, რაც გასწვინა ავტორს, მანანა დუმბაძეს იქაურობისადმი, სადაც დაუყვია სტაბილური წლები როგორც მეცნიერ-თანამშრომელს და ოპტიმიზაციის პირველი ტალღის მოქცევით, მსგავსთა დარად, კარც გამოეხურა. იმ დღეებს ახლა სევდში ჩავუბეჭდოვო ირონიით თუ გაიხსენებს; ხაზს აღარ გაუსვამს მი თუ უკეთესს, მოგვიანებით ბედმა რომ არგუნა და უთვალავფერად ასპარეზზე გაიყვანა, ოღონდ მფარველობაში ზესახელმწიფოს დროში და ნაკლებმეურაცხემყოფელი გასამრჯელოთი. რა თქმა უნდა, სიცოცხლის რისკის ფასად...

ვთქვათ, რომ რისკი პირობაცაა, თუნდაც ერთი კარგი წიგნის დასაწერად. და ასე დაიბადა „ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან“. „ბარონი“ — სასტუმრო, მკაცრი რეჟიმით დაცული, მსოფლიოს მეტად ცხელ წერტილად მიჩნეულ ექსტრემალურ ქაბულში, სადაც ერთი ძნელი წელი დაჰყო მანანა დუმბაძემ, როგორც ამერიკული მისიის წარმომადგენელმა.

ყოველდღიური ჩანაწერები, ურთიერთობანი უცხო ადამიანთან, შინაგანი პასუხისმგებლობა, ფიქრი ეგზოტიკური სამყაროს პირისპირ და, რაც მთავარია, წერის სურვილი და სიყვარულიც, ეგებ გენეტიკურად მართულიც...

ინსტიტუტში გამართულ წარდგინებას კი უძღვებოდა ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი **მადონა უჯმაჯურიძე**. მან, როგორც ამ წიგნის ერთ-ერთმა პირველმა მკითხველმა, პროფესიულ ჭრილში მიმოიხილა ახალი წიგნი. ყურადღება გაამახვილა ამ ჟანრის თავისებურებასა და გამორჩეულობაზე ქართულ მწერლობაში. მეტიც, მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში უკვე მონიშნული სამანი სამოგზაურო ჟანრისა, აღორძინების ხანიდან უფრო წინ გადასწია და ჩახრუხაძის „თამარიანს“ „ოქროს ხანას“ დაუკავშირა. ახსენა ისიც, მარკო პოლოს მოგზაურობა მოგვიანებით რომ დაიწერა. ამ ემოციური პარალელით გამოთქვა სინანულიც, ქართველი მწერლისა სახელიც რომ ვერ შემოინახა სამშობლოში.

მადონა უჯმაჯურიძემ ისაუბრა აგრეთვე მანანა დუმბაძის — როგორც პროფესიონალის — მრავალმხრივ ინტერესებზე. ფილოსოფიური ნიაღვრების მიუხედავად „ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან“ მსუბუქ და ამავე დროს საინტერესო საკითხავ წიგნად მიჩნია. რასაკვირველია, ზომიერი იუმორისა და ირონიის წყალობით.


თავისი დამოკიდებულება ამ ახალი წიგნისადმი ჩვეული პასუხისმგებლობით წარმოაჩინა მწერალმა **მაკა ჯოხაძემ**. უპირველესად რამდენიმე წინადადებით მოხაზა მანანა დუმბაძის, როგორც მშვენიერი პიროვნების პორტრეტი. მსმენელის წინაშე ერუდირებული, მიზანდასახული და ენერგიული ადამიანი გამოკვეთა — ტკბილ-მწარე ცხოვრების შემცნობი — და მაინც სიცოცხლით სავსე.

მაკა ჯოხაძემ მწერლის ადრე გამოცემული წიგნებიც არ დატოვა ყურადღების მიღმა, მოზაიკურადაც მიმოიხილა და მანანა დუმბაძის — როგორც პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის — ხელწერა დაუნათესავა მელორ სტურუას კლასს. მერე კი მთელ რიგ პასაჟთა მოხმობით და საგრძნობი ანალიზით დაადასტურა, რომ „ავლანეთი „ბარონის“ ჭუჭრუტანიდან“ ნამდვილი მწერლის დაწერილია.

კრიტიკოსმა **ზაზა გოგიაშვილმა** ისტორიულ ჭრილში ავლანეთ-საქართველოს წარსულზე ილაპარაკა. აღნიშნა, რომ მანანა დუმბაძის ამ წიგნში, სხვა მნიშვნელოვან მოვლენათა კვალობაზე, ჩვენი რეალური ცხოვრებაც იკითხება.

პრეზენტაციას მომხიბლობა შემატეს ახალდაარსებული **„მინის თეატრის“** ახალგაზრდა მსახიობებმა — **ანა ურიდიამ** და **გიორგი იარაჯულმა**. მათ გადამდები ემოციით ნაიკითხეს ეპიზოდები წიგნიდან.

დასასრულ მანანა დუმბაძემ მადლობა მოახსენა აუდიტორიას, ლიტერატურის ინსტიტუტის მესვეურებს, როგორც მასპინძლებს, და სხვათა შორის აღნიშნა, რომ მისი ახალი წიგნი უკვე დაინტერესდნენ უცხოელი გამომცემლებიც, შესაბამისად, ითარგმნება რუსულად და ინგლისურად.



მაია მაკალათია



**ნუციკო დეკანოზიშვილი**

**ზამთრის სიმღერა**

მოვდიოდეთ და,  
 თოვდეს.  
 კავკასიონის ქედი  
 ჰგავდეს  
 მოვერცხლილ ედემს.  
 შენ ისევ გვერდით  
 მედგე.  
 შენ —  
 გამურული მზერით  
 ჩემ სუფთა ჰაერს  
 სვამდე.  
 ეგებ —  
 ერთბაშად,  
 ზევით!  
 ეგებ —  
 გზა და გზა,  
 ცამდე...  
 არც არაფერი —  
 გული  
 ისევ მეჭიროს  
 ხელით,  
 რომ გაზაფხულის  
 სურვილს...  
 რომ, ისევ ისევ  
 მდევნი  
 ვიცოდე, დილის  
 ყავას  
 კვლავ ვაყოლებდე  
 თუთუნს, —  
 უნდა აჩქარდეს,  
 რადგან  
 გული მისთვის  
 მაქვს!  
 ქუჩურს  
 გავიგონებდე  
 ღამით  
 ქარის არეულ  
 სტვენას.  
 განა, ვინმე ან  
 რამე, —  
 მე, ზამთარი და  
 შენა.

**სიზმარი სამშობლოზე**

ნეტავ, შენ რას გარგებს  
 ჩემი ხმადაბალი ლექსები, ან  
 გულში ჩაკირული  
 სევდის ნალექები — კრისტალებად.  
 პრიალა შვილები  
 ისე თავხედურად შეგხებინა,

მე — თავჩაქინდრული —  
 ფრაზების უკანლა ვიმალები.

ნეტავ, მაცოდინა, —  
 შენს გულს რა წამალი ეამება,  
 ან თუ აჩხრიალდა  
 შენი ოქრო,  
 ახლა უნდა ვნახო.  
 ჩემი სიტყვა უნდა  
 დაგადევნო,  
 დედი,  
 ნება-ნება,  
 შენს მთებს ჩემი ხელი  
 ისე ფრთხილად,  
 რბილად უნდა ვახლო,

რომ სულ დაიბზაროს  
 ყველა ჩრდილოეთის ყინული და  
 ჩამოჭრილი ხორცი  
 ისევ გაგრძნობინო,  
 ვნატრობ, დედი...  
 ასე ვინცე სიზმრებს,  
 ყოველ ღამე, ასე — მინორიდან,  
 ირიფრაფებს,  
 თვალს გაგისწორებ, და  
 აქვე ვკვდები.

**გაზაფხული**

ხეები აყვავდნენ და  
 თოკები გამოისხეს.  
 ქარში ფრიალებენ  
 დაზავების თეთრი დროშებივით, —  
 “დაუთმე უფალსა”...  
 პროფეტორებივით გაფაციცებული  
 თვლები

ფანჯრების მინებს კვეთენ და  
 ხსნას ეძებენ.  
 და მაინც — სად, სად?  
 ვერც ერთი ტოტი ვერ დამინდობს,  
 ვერც ერთი სიტყვა, —  
 ისე მძიმე ვარ.  
 თოკებიანად წამოვალ და  
 ვარდნა იქნება უსასრულო,  
 ჯოჯოხეთივით.  
 ხეებმა თოკები გამოისხეს,  
 თოკებმა — ფრთები.  
 ცასაც ვერ ჩამოეკიდები,  
 თორემ გაფრინდებოდი.  
 თითქოს, არც იყო არაფერი, —  
 ფილტვები, სავსე ტკივილით და  
 მუცელში ათასი ხვრელი, —  
 ჭიებით სავსე.  
 ყელში — თოკები.  
 გვერდით ოთახში — სანოლები.

ნუციკო დეკანოზიშვილი მაძიებელი ბუნების მქონე შემოქმედია. ეძებს ფორმას, ბგერას, ფრაზას, მუსიკას, რიტმს, მოტივს, სტრუქტურას. ეძებს არტეფაქტებსაც, მაგრამ არ ეძებს სათქმელს, რომელიც ვულკანივით ფეთქავს მასში და გამოსავალს პოულობს ყველგან, სადაც „სუსტია“ კავშირი ემოციასა და თავშეკავებას შორის.

ზღვრული განწყობილებების ტალღაზე მიმართული მისი შთაგონება; მუდმივად სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, ერთგულებისა და ღალატის, მშვენიერისა და მახინჯის, სითბოსა და სიცივის, სიზმრისა და ცხადის, ნამდვილისა და მოჩვენებითის, სიცოცხლისა და სიკვდილის დიაპაზონშია მოქცეული მისი პოეტური ნატურა; ანტი-ნომიების ქარცეცხლშია გამოტარებული მისი წარმოსახვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარგინალი მაინც არ არის.

ბევრია ამ ლექსებში ირაციონალური, მეტაფორული, სიურრეალისტურიც, თუმცა პოეტი სინამდვილის შეგრძნებას მაინც არ კარგავს, მუდმივი კავშირი აქვს რეალობასთან, როგორც მფრინავს დედამიწასთან.

აზრით, ემოციით, განწყობილებით ეგზისტენციურ ნაკადს მიჰყვება. რაოდენ სასწრაფოა კვეთილიც უნდა იყოს, სადაც ახლოს, ხელის ერთ განვდენაზე მაინც გრძნობს სიცოცხლის ფანტომს, რომელიც იმდენად მოჩვენება არ არის, რამდენადაც რწმენა იმისა, რომ ყოველგვარი არსის თავი და ბოლო მაინც ის არის — სიცოცხლე.

არის მის ხასიათში რაღაც ისეთი, მოუხელთებელი, თითქოს ძნელად შესამჩნევია, მაგრამ მაინც საგრძნობი, ანგარიშგასანევი, მყარი, მონოლითური, რასაც, ეგზისტენციურ ფატალიზმს დავარქმევდით. ყოფიერებას ის აღიქვამს გარდუვალობის ნიშნით, მაგრამ დაისური განწყობილებები, რომლებიც ბუნებრივად მოჰყვება აღქმის ამ წესს, პოეტურობის ხარისხში აჰყავს, ამიტომაც არის მისი სტრიქონი სანდო და სტაბილური.

აქეთ — მაგიდა.  
 ჭერი ისეთი მაღალია,  
 მე ვერ დამინდობს.  
 მისამძიმებენ მეზობლები, —  
 წყებად დადიან.  
 ახლადშეღებულ უცხო კედლებში  
 კუბოც კი არ დგას,  
 რომ დავჯდე და  
 გულიანად გამოგიტირო.

**სიყვარულის სახელით**

აქვე,  
 სასწრაფოდ,  
 მზისთვალეები გამომიგონე,  
 მინაში ჩაქცეული ბალახები ამომიზარდე,  
 ტყვიისფერ თოვლს უთხარი რამე, —  
 შენ ხომ გიყვარვარ.  
 ხეებს ჩაუბამთ ხმელი ხელები  
 ჩვენი სახლის გარშემო, —  
 გადმოქცევას აპირებენ,  
 აღარ მიშვებენ,  
 სადღა ნავიდე.  
 გესმის თუ არა?  
 აუში დაბმული საათები, ნუთები, ბგერები,  
 გამოუშვი —  
 საითაც უნდა, ნავიდნენ.  
 ხელჩასაჭიდი თუ არაფერი გექნება,  
 მონიე ერთი, ორი, რამდენიმე ლერი,  
 თუ ვერაფერს იგრძნობ,  
 დალიე ერთი, ორი, რამდენიმე ლიტრი.  
 თუ ყველა სიძულვილში არ გიყვარვარ,  
 უკვალოდ გადაიკარგე.  
 და ჩემს ჩამომოლილ გაზაფხულებს  
 აღარასდროს შეახო მზერა.  
 გამომიგონე  
 სიხარულით აღენილი სიცოცხლე და  
 ჩვენ ქუჩაზე მოსრიალე ბავშვები,  
 სხვანაირად თოვლი ტყვიისფერია და  
 ყოველ ჯერზე მკლავს.  
 გადამაცალე მოოქროვილი წარმატება, —  
 რკინის გული მაქვს, —  
 რაც გინდა, მითხარი!  
 ღვარად მოდიან ჩემი წითელი ოცნებები და  
 გზადაგზა ლექსებს აყვავებენ.  
 სახელდახელო მზე მომეცი -  
 ბუხრისცეცხლისფერი.  
 გამომიგაზაფხულე.  
 გადამინიე ხეების უზარმაზარი სიმარტოვე და  
 გამიშვი თეთრ მოსახვევში (შემატოვე),  
 რომელიც გაქრობას ან  
 არყოფნას ნიშნავს.  
 სიყვარულის სახელით, —  
 უთხარი რამე ამ პირგამეხებულ ზამთარს —  
 ყინულის ელვით.

**რომ გვერდით გედგა**

ასე მინდოდა დამეწყო და ხარაჩოებს ვდგამდი ფანჯრებთან,  
 ხელუხლებელი მეტაფორით ვრთავდი ფრაზებს —  
 სისხლში გაყინულს.  
 ასე მინდოდა დამეწყო და, რომ ეს იყო ჩემი სასჯელი,  
 უკვე ვიცოდი, ვიფერებდი, რომ აქ იყო ჩემი სალხინოც.  
 ვეზიდებოდი სიტყვებს სახლიდან.

დიდი კაცები ბადეს შლიდნენ. იყო დილა. იყო სისხლივით  
 წითელი სისხლი, დაკოპლილი, კალმასების ზურგზე აკრული.  
 სასკოლო მერხი - დაჩხაპნილი, და სამშობლო, გვერდით,  
 “იხილეთ”,  
 ვაშას კივილზე გამომბმული (კოსმოსამდე)  
 მკრთალი “ჩაკრულო”.  
 და ბრჭყვიალებდა ტატოს “საყურე”.

“ელია, ბიჭო!” — გეკითხები: რას ელიან აქ სულელები?  
 ქველმოქმედები, მასხარები, სწავლულები და ასე შემდეგ,  
 და ასე შემდეგ, ასე, შემდეგ, — დაკრეფილი გულზე ხელები,  
 რომ მახელებენ და რომ მინდა, ყველა ლაჩარს  
 სიტყვებით შევდგე!  
 რომ აქ ვიყო და, რომ გვერდით გედგე.

რომ უკვე ყინავს გვარიანად, მინდა გითხრა, — ზამთარი მოვა,  
 მოვა და მერე შეგცივდება, მე გავიხდი, ჩაგაცვამ ტანზე.  
 შენი ბებერი გული ფეთქავს, ისე, როგორც ზამთარში თოვა,  
 და სულ არაფერს, — არც ერთ პასუხს, — აღარა აქვს  
 ამჯერად აზრი,  
 როცა ვზივარ და არ ვფიქრობ სხვაზე.

უსაზღვრო სევდა დიდდება და გადანგრეულ  
 საზღვრებს გადადის,  
 თვალი თვალში რომ გაგიყარო, ნავხდები და  
 დავკარგავ ედემს.  
 როგორ მინდოდა დამეწყო და ვრჩები ამბავს, ასე, — ვადამდე,  
 ველარც ვწერ, ველარც გეშვებები, ველარც ვყვირი და  
 ველარც ვკვდები.  
 ვდგავარ, აქ ვარ და გაბზარული შევყურებ კედლებს.

**თოვლი**

თოვს. ჩქარ ნაბიჯებში ხშირდება თოვა და ქარბუქი.  
 გამიგე, — თოვს... თუმცა, ცხოვრება — სამი დე, ოთხი დე.  
 მოხვიდე, იქნება. თოვს. ქარი დააფრენს საბუთებს,  
 რომ ღმერთებს ვაჯობოთ, რომ თოვს და, უთუოდ მოხვიდე.

თოვს მშვიდად. და ასე — უთოვლო ზამთრების ჯინაზე,  
 და ასე — თოვლიან ზამთრების პირისპირ, მხარდამხარ —  
 თვალწინ გახელილი ფიფქების ცისფერი სინაზე,  
 ან თოვს, ან მებნევი, ან ჩქარი სიზმრები — სადა ხარ...

ან თეთრი მტრედები თეატრის თავზე და, ქვეყანა  
 რომელსაც წლებია, ვუხსნი სიყვარულს და არ ესმის.  
 და ჩიტის საკენკი, როგორც ღვთის წყალობა, ეყარა.  
 ჩვენ ზედ დადიოდით, სინდისის, ცრემლების გარეშე.

და თოვლი, — ხომ გახსოვს? ჭუჭყიან ნაბიჯებს ფარავდა.  
იყო ლეთარგია. ქუთუთოს ეძინა უპეზე.  
თოვს. ნაბიჯს ვუჩქარებ. თოვს უმისამართოდ, არადა  
თვალეებს მისერავენ შიგნიდან ჩამტყდარი შუშები.

**პოეტები**

დღეს ის უპირატესია, რადგან მკვდარია.  
დღეს მას არ მოსთხოვენ, იყოს ფხიზელი, თქვას ტყუილი,  
მოიხსნას კაშნი და გაიხადოს უხეში მაღალყელიანი  
ფეხსაცმელი.

რა საკადრისია, — ის ხომ მკვდარია?!  
დღეს, მის გარშემო, სულაც არაა გულწრფელობის  
ინდიკატორი ლოთის ცხვირი და ჩინოვნიკის  
ჯიპი, — ორივე წითელი, ზოგჯერ — მოლურჯოც.  
დღეს მისი უპირატესობა იმდენად თვალშისაცემია,  
რომ ჩვენ მის გარშემო ფეხაკრეფით დავიპარებით,  
ხომ ვერ გვხედავს, მაგრამ — მაინც...  
დღეს მან საბოლოოდ თქვა უარი,  
ატალახებულ გაზაფხულებს უწეროს ლექსები,  
და, ვითომ, ჰონორარი სულაც არ აღეღვებს,  
ნეტარი სახით განაგრძოს ახალი სტრიქონებით თამაში  
სიყვარულსა და მარტოობაზე.  
დღეს ის ყველაზე მარტოა და  
მილივლივებს თავის მარადიულ სიფხიზლეში,  
ერთადერთ სიმართლეში და  
ზღვარდაუდებელ პოეზიაში.  
ჩვენც კმაყოფილები ვართ,  
რომ მას აღარ შეუძლია,  
მოახლოებულ მარტში უზარმაზარი “ბათინკებით” გარევა,  
ჩვენ კი გვეძლევა შანსი, ხსოვნის საღამო გავუკეთოთ,  
და გავიხსენოთ, უფრო კი, გარესამყაროს შევასხენოთ  
ჩვენი სიკეთისა და გულმონყალების შესახებ,  
და ერთხელ კიდევ ავნიოთ ცხვირები, —  
რაც შეიძლება ზევით.  
თუმცა, რა პარადოქსია, რომ ვერ მოვიშალეთ  
საკუთარი ტერიტორიების მონიშვნა  
ჩვენი ოთხფეხა მეგობრების მეთოდით.  
გაზაფხულის პოეტებს კი ეს ხერხი  
ეხამუშებათ და,  
თანდათან ტერიტორიებს კარგავენ  
ამ ღვთივეკურთხეულ მიწაზე, —  
მათთვის ადგილი აღარ რჩება.  
ჩვენ კიდევ ერთ საამაყო საქმეს გვიჩენენ, —  
მკვდარი უნდა დაიმარხოთ, —  
ბოლოსდაბოლოს უსიამოვნო სუნი აქვს გვამს.  
და როცა გარეთ თოვლჭყაპები თებერვალს რეცხავენ,  
ბრალიანად კვდებიან გაზაფხულის პოეტები, —  
ყელშიწაჭერილი ცხოვრებით ან კაშნითი, —  
გაზაფხულისპირზე.



**გიორგი  
გამსახურდია**

\* \* \*

დილით ლონდონის პარკი ელავდა  
და გულის ნაცვლად უცემდა ფუნჯი.  
რამ მომანატრა ახლა ვერა და  
გამომცემლობა ბელინსკის ქუჩის?!  
ვერ მივაკვლიე კარს ჩემდა ბედად  
ფუჭი რითმების გარემოცვაში.  
სამი ზაფხული არ მითქვამს — დედა...  
მხოლოდ ლოცვაში...

\* \* \*

რაც გამივლია ერთი ჩარაა,  
ველარ გაარჩევ რომ რეცხო ჭავლით  
ამ დაკლაკნილი ჯავრის შარაა,  
თუ გამომწვარი თამბაქოს კვამლი.  
თითქოს ყველასთვის ვიყავი მარა,  
გემოც დამკრავდა წყეული წამლის.  
აქ თუ გავიხსნი მოჭერილ თასმებს  
სულ ველარა გრძნობს ჩურჩულს ტანი და  
რომ არ დავიხრჩო, წვეთობით მასმევს  
სტროფებს ქალაქი ჭუჭრუტანიდან.

\* \* \*

ჰარემი დების ანაბეჭდებით,  
არც დაეჭვდები ცოდვიან გზაზე,  
ხავსიან კენჭებს შემოეჭდები  
ბატონს ეჯდები სუფთა და ნაზი.  
გალიარებენ ნიჭის საუნჯედ  
სიტყვას მოგცემენ — ჯავრის წინსაფარს.  
დარით დაგზელენ, რომ არ გალურჯდე,  
შენში გამჯდარი სიცივისაგან.  
უღლის არიას ნულარ მიმღერებ,  
რომ დაატყვევე თურმე ერები  
და ბრილიანტის თვალით გიმზერენ  
ვერსალები თუ თაუერები.  
ნეტავი ჟამი ჩვენსკენ ვიდოდეს  
და არ მივსდევდეთ განვდილ ხელებად...  
დაღონდება გზა და რომ გინდოდეს  
მეტი ვერაფრით შეგეშველება.

გიორგი გამსახურდიას ლექსებს რომ კითხულობ, ნება-უნებლიეთ გახსენდება დიდი პოეტის სიტყვები: „კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ“.

მართლაც განსაკუთრებული „მოწყინება“ და მინორი იგრძნობა ახალგაზრდა პოეტის სტრიქონებში, მაგრამ ეს არ არის რომანტიკული სევდა, აქ ვხვდებით პოსტმოდერნისტული ეპოქის შვილს, რომლისთვისაც ყოფიერება ერთ დიდ, უსასრულო ტექსტად ქცეულა.

ერთი შეხედვით, ჩვენ თვალწინ ილანდება ნაცნობი თემები და მოტივები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნაცნობ მოტივებს სხვა მღერის, სხვა გვესაუბრება და, რაც მთავარია, სხვა რამეს გვეუბნება.

მორალურ-ეთიკურსა და სოციალურ თემებს ფრთხილად და შეუმჩნევლად ენაცვლება პიროვნული და ფსიქოლოგიური პრობლემები. ერთ ფოკუსშია მოქცეული ისტორია და დღევანდელი. პოეტური თვითნაღიზის პროცესში გამოიკვეთება თანამედროვე ქართველის არამართო მოქალაქეობრივი, არამედ ეროვნული თვითიგივეობაც: „შენ უცხოეთშიც რჩები ქართველად, ის სამშობლოშიც გადამთიელი“.

რამდენადაც ფართოა პოეტის თვალსაწიერი, იმდენად დაწურული და შეკუმშულია ფორმა და, ბუნებრივია, შინაარსიც.

თვალშისაცემია წერის შემპარავი მანერა — ყველაფერი თითქოს სახელდახელო, სტიქიური და ქაოტურია, მაგრამ უცვებ კალმახით ამოხტება არტეფაქტი, მეტაფორა, პოეტური ხატი თუ რითმის მრავალსახოვნება და ხვდები, რომ ყოველივე ამას ჰყავს ავტორი, რომლისთვისაც შემთხვევითი არაფერია, რადგან ლექსს ბადებს ცხოვრება, რეალობა, აუცილებლობა.

თაობამ ჩვენივ დღევანდელი სისხლით ხატვის ალბომი გავიფერადეთ. და მოქნეული სანუთროს წიხლით, აღარ ჩავხატავთ შიგნით ბელადებს.

და ისევ გზიბლავს, თავისუფალი, ხელეგაშლილი ქრისტე. შეათამაშებ გენის ნიჰილებს, გაიღამურებ მოდგმას, ნაქცეულს, ისევ ჯვარი მიგიღებს, მცხეთის ქოჩორზე რომ დგას.

\* \* \*

დროა მოვრეკო რასაც ვმალავდი გადახვენილი ვინმე გურჯივით. მოვირთხა ფეხი როგორც ალადინ, ხალიჩას დავცე მძიმე ხურჯინი და აღარ ვიყო სხვისი სამიზნე, ან ჩახმახებად მოკონწიალე. გადმოვუღაგო ყველა ავი ზნე მტვიფრავთ საკუთარ ინიციალის. უშნო ციალის რომ არ მჯეროდა, პროვინციალის გაფაციცების, იმსხმოიარეს თურმე ლეროდან ცეროდენებმა არათითები. ათასი ფიქრი ამკიდებია როდის სიკვდილი?... რისთვის გაჩენა?... და იმ ქუჩაზე, სადაც ბებიას ჩუმად აკოცა ბაბუაჩემმა დავდივარ, როგორც ჭირისუფალი ვინც გამომზარდა, ვისიც მემართა და ამ ახალი დროის სტუმარი ყოველ გავლაზე ვიღებ ნებართვას. მაინც იმედის თვალეზი დამდეგს და დამდგომია თავზე მთანმინდა. ვინც მყავდა, ისიც აღარ მყავს და დღეს, რომ არ მყოლია — მე ის დაც მინდა. დანმინდა ბოლოს სარკმელს ნალექი, დილამ, მაკმარა სხვა თუ ეს მინა საკუთარ თავზე ადრე ავდექი, ჩემი სუნთქვისთვის რომ მომესმინა.

\* \* \*

დროის დაჭერა ქეჩოთი, ვეჭვობ რომ — გეჩოთიერება. თუ სილა გტკიცა მტკიცე და შენს დასალუნად ინევდა, უნდა მიჰყვე და დღეის სწორს ის მაინც გეცოდინება — სასანუთროე დარდისთვის არა ღირს თავის მიცემა.

\* \* \*

რას მეტყვი, ჩემო სანუთროს მეკვლევე, გასავლელ გზაზე, რომელიც ვერ ვვლევ? ასაკვირტებლად შემართულ ტოტზე, გამოუცდელი — სულ რომ ნედლია და მასთან ერთად აღებულ ნოტზე, დილის ნაკვერჩხლად რომ დამხვედრია. საგულდაგულო, მდორე წყლის ნაყვა, დაუძლეველი ძალით გაბუქეს და თითქოს აყრილ ქვაფენილს გაჰყვა ის შემართება და სიჭაბუკე. რას მეტყვი, ჩემო სანუთროს მეკვლევე, გასავლელ გზაზე, რომელიც ვერ ვვლევ? ოღონდ არ მითხრა რომე — ვაბუქებ, ან ტყუილად ვეკვრე...

\* \* \*

მზის ბილიკზე ქალის კვილს ვცეღავ... ტალღის კალთას შევაცურე ხელი ზღვაზე უფრო სველი ვარ და ვღელავ, გარდაუვალ სილის განწას ველი. და ყარბი ბორნის ბედისწერა მახსენდება, როგორც სოფლის თაფლი. ზღვაზე უფრო სველი ვარ და ვღელავ, დღეს იკაროსს დამასიზმრებს სარფი. აქ იაფი ატაცების მძევალს, სინანულის დატოვების ალაგს ხელს ჩამკიდებს ჩემი სოფლის თელა და თვალეზით შემახსენებს ლალატს.

\* \* \*

რას ჩამორჩები?! ჯიში გაქვს, მოდგმა, წინაპრის თხოვნას მისდევ. და მაინც, გზიბლავს რიოში რომ დგას, ხელეგაშლილი ქრისტე. გინდა დაფარო, ცოდვა უმალი, კათოლიკური სივრცე.

\* \* \*

სათვალისან ამბორში  
 ნიშანტაში ანთია  
 და დაბამბულ სტამბოლში  
 დამბალა ბიზანტია.  
 მიიძინე, მომანდე  
 მტრედისფერი აუზი,  
 მუეძინის ხმობამდე —  
 მინარეთის პაუზა.  
 აქ სოფიას ქულები  
 შემოუსხამს ლაბადად  
 კბეჩენ მოგზაურები  
 ისკანდერის ქაბაბად.  
 ამიკარი თვალები  
 მინას სველს და უკუნეთს  
 შენი ნატერფალებით,  
 კონსტანტინეს ვუბრუნებ.

\* \* \*

სიტყვის ბეგარავ, ოლონდ ეგ არა  
 დაიყო კაცი, არა და იყო  
 მთლიანი — სადღაც გამოეპარა  
 მზეფარფლიანი თაკარა რიყე.  
 ჭირვეულ დროის დადინებაში  
 ასე ფართხალებს ორმაგ სხეულში  
 და დინებაში დაძირე მაშინ  
 ან გამორიყე ათასწლეულში.  
 გააპრობს ბედი ფერგადასული  
 ოცდაცამეტი ქათქათა თავშლით  
 და მამაკაცის ძვლებში ჩადგმული  
 აღრიალდება პატარა ბავშვი.  
 ბოლოს შერჩება ფსევდო იზიდას  
 ნაქალაქართა საზღვართან როა,  
 რადგან საპოვნი, ის რაც იზიდავს  
 არა ადგილი, არამედ დროა.

\* \* \*

როგორც შეყრილი ჟამთა სიავე,  
 ტანზე ესობა ნლები შუშებად.  
 გაიფხორება ფარდა ნიავით,  
 გაქანავდება და იფუშება.  
 ჭროლა სახეთა დაქანცულ მდეგარს,  
 ავბედილობა სდევდა მუცლიდან...  
 ჩამოსართმევად გამოწვდილ მტევანს  
 ხელის მაგივრად გულს რომ უწვდიდა.  
 არ გაამტყუნო ხე დაურგველი  
 დროის გზირი და ასე ხიზანი,  
 მრავალ მოჭერილ-ნაჭერი ხელით  
 დანურულ — გულს თუ გამოგიგზავნის.  
 ჭალარა თითო, ურჩევს დათმენას,  
 სიტყვით ბერი და სიტყვით მშიერი.  
 შენ უცხოეთშიც რჩები ქართველად,  
 ის სამშობლოშიც გადამთიელი.

ლია წერილი მანანა გაბაშვილს

ჩემო მანანა,

დიდი მადლობა საინტერესო და კონსტრუქციული ნაშრომის მონოდებისთვის, „ქართული მეცნიერების 20 წელი“ („ჩვენი მწერლობა“, 2013, №2,3), რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ჩემი შეხედულებები იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო 20 წლის მანძილზე, რაც შეეხება, კერძოდ, განათლებასა და მეცნიერებას.

აბსოლუტურად ვეთანხმები შენ მოსაზრებებს და პროტესტს განათლების დეგრადაციასთან დაკავშირებით, რაც დამლუპველია ყველა ერისთვის და განსაკუთრებით ისეთი პატარა ერისთვის, როგორც ქართველი ერია.

სურვილი მაქვს ჩემი გულისტკივილი გაგიზიარო: ვაგრძელებ ჩემი მამამთილის პიერ სპრინგერის ისტორიული გამოკვლევის კითხვას „ხიდი მდინარე საარზე“ (რომლის ქართულად თარგმნაც გადაწყვიტე) და მივედი შემდეგ დასკვნამდე:

ფატალურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველთა არაჩვეულებრივად მაღალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დონე მათი ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ (ცხადია, არასწორი პოლიტიკისამაც ითამაშა დიდი როლი) დააკნინა. ამ შემთხვევაში მაგალითად მომყავს ზემოხსენებულ წიგნში მოხმობილი ისტორიული ფაქტები, რაც შეეხება რომაელების უზარმაზარ როლს; სწორედ რომმა განაპირობა გალების, ფრანკებისა და მსგავსი ბარბაროსი ევროპული ხალხების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დონის ჩამოყალიბება და შემდგომი ზესვლა; ხოლო ქართველი ერი, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ოდითგან იტანჯებოდა მასზე მენტალურად დაბლა მდგომი ერების შემოსევებისა და ანექსიის გამო; განსაკუთრებით ბიზანტიის დამხობის შემდეგ.

მიმარჩნია და კატეგორიულად ვაცხადებ:

საქართველოში საჭირო და აუცილებელია სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების ფუნდამენტური რეფორმა; ამ შემთხვევაში, გარდა დაფინანსებისა, უნდა ჩატარდეს პროფესორ-მასწავლებლების მიუკერძოებელი, ობიექტური კონკურსი, რომელიც თავისუფალი იქნება ბიძაშვილ-მამიდაშვილობისა და სხვა ტომობრივი ატავიზმებისგან (რაც სამარცხვინოა) — ისევე მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ქართული ენისა და ისტორიის არა იმ კუთხით შესწავლა, როგორც დღეს (ტექსტები და მსგავსი სისულელები), არამედ ახალგაზრდებს უნდა გაუჩნდეთ შეგრძნება საკუთარი ენისა და ისტორიის პრიორიტეტისა და მათთვის ბაზა და ამოსავალი საკუთარი ენა და ისტორია უნდა იყოს; ხოლო აუცილებელია სხვადასხვა ენების აგრეთვე ფუნდამენტური შესწავლა, ეს იქნება ევროპული თუ აღმოსავლური, მაგრამ მათთვის ბაზისს მშობლიური ენა უნდა წარმოადგენდეს; სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა უცხოეთში მცხოვრები, თუ დაბადებული ქართველების მშობლიური ენისა და ისტორიის სრული იგნორირება, რაც აბსოლუტურად დამლუპველია, ვიმეორებ, ისეთი პატარა ერისთვის, როგორც ქართველი ერია.

ქართველები უნიჭიერესი ხალხია, რომელთაც აბსოლუტური ძალა შესწევთ საკუთარი ქვეყნის აღშენებისა და მისთვის შესაფერისი ღირსების დაბრუნებისა; ამისთვის ბევრი რამ არ არის საჭირო: სწორი, განსაზღვრული დაფინანსება, საგარეო ბაზარზე დამკვიდრება, ჯანსაღი, სახელმწიფო რეკეტისგან თავისუფალი ბიზნესი და, ცხადია, სოლიდური ბიუჯეტი, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდა თაობის სერიოზული აღზრდისა და განათლებისთვის; ხოლო ამ პროცესს ჭეშმარიტად განათლებული და პატრიოტი პროფესორ-მასწავლებლები უნდა ჩაუდგნენ სათავეში.

თავი შეგანწყინე, მაგრამ შენი ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა შენთვის ჩემი იდეები გამეზიარებინა.

დიდი მადლობა კიდევ ერთხელ.

ნანა მირაშვილი

**ბიზანტინისტი, ცხოვრობს მაროკოსა (კასაბლანკა) და საფრანგეთში. 2008 წელს სორბონში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მონანიე და განდეგელი დედები ქართულ ნათარგნ პაპოგრაფიაში (X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით).“ კარგად იცნობს დასავლური მეცნიერების იმ პრობლემებს, რაც მათთვის დიდი ხანია თავშისაცემად იქცა და საქართველოში კი პირდაპირ და უკრიტიკოდ გადმოიღეს.**

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

# სირცხვილი, როგორც ხსნა

ყველანი ვალდებულნი ვართ, გერცხვენოდეს, ვინაიდან იმ სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ, უამრავი ადამიანია, რომელსაც ჩვენზე მეტად სცივა, სტკივა, შია და ვერაფერს ვშველით. ამასთან, სირცხვილი უსირცხვილობაზე უკეთესია, ამ დროს ჯერ კიდევ არსებობს ზნეობრივი გადარჩენის შანსი, რაც, შესაძლოა, ხსნადაც იქცეს.

მორჩილების და თვითგვემის ის ფორმა, რომელიც ჯონ მაქსველ კუტზე-ეს „სირცხვილშია“ გადმოცემული, ალბათ, იდიოტიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ესეც ხომ ჭეშმარიტი ქრისტიანობის ერთ-ერთი სახეა — მორჩილება და თავს გადამხდარი ყველა მოვლენის მიღება განცდით: „იყავნ ნება შენი, უფალო?!“

მანამდე კი დოსტოევსკი ქმნიდა ასეთი „იდიოტური“ მორჩილებისა და სიყვარულის რომანებს. საყოველთაო კეთილშობილება, რომელიც ბოროტებასაც ფარ-ხმალს აყრევინებს, რომელიც ყველას, განურჩევლად ზნეობისა და მდგომარეობისა, აღიარებინებს ამ სიკეთის მატარებელს — მიშკინს.

კეიპტაუნის უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ ლურის რუტინულ ყოველდღიურობას მეძავთან ურთიერთობა აფერადებს, კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. პირობითი სახელით ცნობილი მეძავი სორაია მის სექსუალურ თუ სენსუალურ ცხოვრებას საკმარის კმაყოფილებას სძენს, მაგრამ ერთხელაც ეს ურთიერთობა მთავრდება, ხოლო მარტოხელა და „თავნება“ პროფესორი საზოგადოებრივ ნორმებს ლალატობს და სტუდენტ გოგონასთან აბამს რომანს, უფრო ზუსტად, — ინყებს ახალ სექსუალურ ურთიერთობას. სწორედ ამ ახალ ურთიერთობას მოჰყვება სკანდალი, რის გამოც შუახნის (52 წლის) პროფესორი სამსახურსაც კარგავს და საზოგადოების კეთილგანწყობასაც.

პურიტანული საზოგადოება, როგორც წესი, აქაც ფარისეველი და აუტანელია და „ცოდელი“ პროფესორი თავისი შეუვალობით უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებს. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ შეუვალობის გამო ადებენ დევიდ ლურს სასწავლებლიდან და არა — ჩადენილი დანაშაულისთვის. ასეა თუ ისე, უსამსახუროდ დარჩენილი მარტოხელა კაცი თავის ერთადერთ ქალიშვილთან მიდის დროებით თავის შესაფარებლად. ის კი შორეულ, ბნელ პროვინციაში ცხოვრობს, რაღაც კომუნისმაგვარ

სოფელსა თუ თემში, ეწევა სოფლის მეურნეობას და ურთიერთობა უხდება ადგილობრივ შავკანიანებთან.

მოქმედება სამხრეთ აფრიკაში მიმდინარეობს, ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც კოლონიად აქცია ინგლისმა. ლურები დამპყრობელთა შთამომავლები არიან, ადგილობრივი შავკანიანები კი — დაპყრობილნი და ამ ადგილის კანონიერი მფლობელნი.

როგორ უდგება ამ საკითხს ლუსი ლური, მიუხედავად აფრიკელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური ძალადობისა, სწორედ ამ ეთიკურ საზღვრისზეა აგებული რომანი.

განსხვავებით ლუსისგან, დევიდი ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობს, იგი კომუნიკაციის სპეციალისტია (რაც ერთგვარი ირონიის საგანია, რადგან სწორედ კომუნიკაციის დეფიციტში ვითარდება რომანის დრამა) და, ამავე

დროს, ლიტერატურას ასწავლის სტუდენტებს. იგი ორ თემას უტრიალებდა თავისი მეცნიერობისა და პედაგოგობისას — ერთი უილიამ უორდსუორთის შემოქმედება და სამყარო იყო, მეორე კი — ჯორჯ ბაირონის სასიყვარულო რომანი იტალიელ ტერეზა გვიჩიოლისთან, ახალგაზრდა, თითქმის პრიმიტივ ქალთან, რომელიც ბაირონთან ურთიერთობამ შემოუნახა ისტორიას. ამ თემაზე მუშაობისას დევიდ ლური უთვალავლებდა პარალელს თავის მრავალრიცხოვან სასიყვარულო ურთიერთობებსა და დიდი ინგლისელის, ასევე, მრავალრიცხოვან რომანებს შორის. ამბიცია, ყოფილიყო სხვაზე უკეთესი და არა — რიგითი, თითქოს ამ ურთიერთობებითაც იკვებებოდა. იმავდროულად, განსაკუთრებით იტაცებდა და აღაფრთოვანებდა უორდსუორთის სუფთა, შეურყენელი სამყაროს დიდებულება, რომლისკენაც მხოლოდ რაციონალური ლტოლვა გააჩნდა და არა — პრაქტიკული.

მკითხველი ადვილად ხვდება, რომ დევიდ ლურის პრობლემა უფრო ინდივიდუალურია და პიროვნული კრიზისიდან მომდინარეობს და არა — გარეფაქტორებიდან. მას ვერც პროფესიაში უპოვია მყარი საყრდენი, ვერც — პირად ცხოვრებაში, ამიტომაც პროტესტი უფრო ძლიერია და თითქოს იოლად ელევა სამყაროს, სადაც ცხოვრობს.

შუახნის კაცის ყველაზე ამაღლებული და წმინდა სიყვარული ქალიშვილს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არანაკლებ ღრმა და ამოუცხები უფსკრულია. ქალიშვილი, რომლის სახელია ლუსი, მამისთვის ამოუცნობია, მიუწვდომელი, თუმცა — ყველაზე სასურველიც. მწერალი უმშვენიერესი ეპითეტიტ ამკობს მას: „ლუსი იყო მისი დაგვიანებული სიჭაბუკის პატარძალი“. ეჭვი არ არის, ეს სახელი (ლუსი) მწერალმა სწორედ უორდსუორთის ლექსის პერსონაჟს დაესესხა — ტრაგიკულ და უბედურ გოგონას.

**უვალ გზებს შორის ის ბინადრობდა  
ნაკადულების პირად,  
ქალწულთან ყოფნას არვინ ნატრობდა,  
იყო ეულად, მწირად.**



**თითქოსდა ჰგავდა პატარა იას,  
ხავსიან ქვებში მალულს,  
ან ვარსკვლავს, ცაზე რომ იწყებს ციალს  
და გვეფენს სინაზეს ქალურს.**

**იყო ეული, ვერვინ გაიგო  
როდის წავიდა ლუსი,  
მისი სხეული მიწამ წაიღო,  
ჩამიქრა სხივი გულში.**

ლუსი საკუთარი ნებით ცხოვრობს მიყრუებულ თემში და ადგილობრივთა ცხოვრების სიმძიმეს იზიარებს, ნებაყოფლობით ერთვება და ემორჩილება თემის წესებსა და კანონებს. დევიდის ჩასვლამდე თითქოს არაფერი ხდება ისეთი, გარდა იმისა, რომ თავად ყოფაა მძიმე და დამორგუნველი, ვერც წინსვლაზე იფიქრებს იქ ჩასული ადამიანი, ვერც უპირატეს საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. მამისთვის სრულიად გაუგებარია ლუსის მისწრაფებები, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ადგილობრივები დაესხმიან თავს და საშინელი სისასტიკით შეურაცხყოფენ მამა-შვილს. ამ ფაქტის შემდეგაც არ იცვლის ლუსი „მსოფლმხედველობას“, თუ შეიძლება მის გამოუთქმელ და ვერბალურად გამოუხატავ მიზანს მსოფლმხედველობა დაერქვას. მის შემდეგ მამა-შვილს შორის გაუგებრობა უფრო მატულობს, მაგრამ შვილი თუ ადვილად ელევა მამას, ამ უკანასკნელისთვის ქალიშვილის მიტოვება, მით უმეტეს, ასეთ ბნელ და მტრულ გარემოში, სადაც უკიდურესი სისასტიკით შეუძლიათ მოპყრობა, წარმოუდგენელია. ამიტომ „თემიდან“ წამოსული ყოფილი პროფესორი მხოლოდ დროებით შორდება შვილს, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერი გაიგო მისი მისწრაფების, მისი თავდადრეკილი მორჩილების.

მამისა და შვილის, მითუმეტეს, მამისა და ქალიშვილის ურთიერთობის სინაზესა და საფრთხეზე, ტრაგიზმზეც კი, ჯერ ფროიდმა „დააფრთხო“ დასავლელი ადამიანი, მერე, არანაკლებ მწვავე და შემამოფრთხილებელი წიგნიც გამოიწმინდა (მაქს ფრიშის „Homo Faber“, რომელსაც სხვა პრობლემებიც ედო საფუძვლად, თუმცა მაინც გამოდგება ფსიქოანალიზის სკოლის თეორიის „განმტკიცებისთვის“), მაგრამ კუტხეესთან ფროიდისტული აღმოჩენა უკვე „მონელებულია“ და მამა მშვიდად, რამდენადაც შესაძლებელია აქ სიმშვიდე, ფიქრობს თავისი ქალიშვილის სექსუალურ მისწრაფებებზე და მხოლოდ ძალადობისგან დაცვა სურს მისი და არა ზოგადად, — სექსუალური ურთიერთობებისგან. ამიტომაც მათი ურთიერთობა ამ მხრივ ჯანსაღია, არ არის აგებული კომპლექსების „რისხვაზე“. მამა ცდილობს შვილის დაცვას ზოგადი სისასტიკისგან, უთანასწორობისგან და არა — მამაკაცებისგან. შვილის არგუმენტი, რატომ არ უნდა დაიცვას თავი მოძალადეებისგან, იმდენად პასიურადაა გამომხატული, იმდენად გაბუნდოვანებული და, ერთი შეხედვით, „ველურიც“ კი ჩანს, რომ მხოლოდ იდემალება გამოდგება საშინაოდ და ასეც „შემოსა“ მწერალმა — ლუსის პასუხია — „შენ ამას ვერ გაიგებ“. რატომ ვერ გაიგებს, მკითხველმა უნდა ახსნას ვარაუდებით.

შეიძლება ითქვას, პროფესორ ლურის სირცხვილი, რაც სტუდენტ გოგონასთან სექსუალური ურთიერთობის შედეგია, სირცხვილის ვინაობა ფორმალა და სიმბოლურად

ფართოვდება იმ სირცხვილამდე, რის გამოც ასეთ თვითგვემას ეძლევა ლუსი ლური — მოძალადე პროფესორის „კომუნისტი“ ქალიშვილი („კომუნისტს“ თემური ყოფის ანუ კომუნის მომხრეობის გამო ვუნოდებ და არა — პარტიული კუთვნილებისა), ეს არის სირცხვილი იმ ძალადობისთვის, უფრო სწორად, ლუსის მხრიდან პასუხისმგებლობის აღება იმ სირცხვილზე, უფრო ზუსტად კი იმ სამარცხვინო ძალადობაზე, რაც სამხრეთ აფრიკაზე განახორციელა ინგლისმა და რის გამოც აფრიკელ აბორიგენებში ასეთი ზიზლი „სუფევს“ კოლონიზატორთა შთამომავალი მამა-შვილისადმი.

მწერლის ნიჭიერების წყალობით ინდივიდუალური დრამა იმდენად ორგანულად არის შერწყმული ზოგად-ეროვნულთან, რომ შესაძლოა, „უკანა პლანი“ ან „ქვედა შრე“ არც „ნაიკითხო“. ეს უმარტივესი სიუჟეტი, უფრო ზუსტად, ეს უბრალო ამბავი, რაც რომანს საფუძვლად უდევს, თავისთავადაც იმდენად ამალელებელია, რომ ბაირონისა და ტერეზა გვიჩიოლის რომანი ანდა ინგლის-აფრიკის „ძალადობრივი ქორწინება“ შესანიშნავად მიედინება „მეორე არხში“ ისე, რომ მკითხველს არ უხდება ტვინის ჭყლეტა და სიმბოლოთა გაშიფვრაზე ფიქრი. შეიძლება ითქვას, მწერალი უმარტივესი მხატვრული ფორმებით აღწევს შედეგს. თუმცა კვლევისთვის, რა თქმა უნდა, სწორედ ეს შიდა დინებანი და სიმბოლური პლასტიკები საინტერესოა, სწორედ აქ „მდებარეობს“ მწერლის სიდიდის გასაღები.

კუტხეეს თავისებურების ერთი ნიშანი ისიც არის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანს მინიმალურ ყურადღებას უთმობს და, შესაძლოა, დაუკვირებელ მკითხველს მხედველობიდანაც კი გამოორჩეს.

მოკლედ, რომანის დრამა, თუ ერთი მხრივ, შერცხვინილი პროფესორის ბედს ეხება, მეორე მხრივ უფრო მასშტაბური და ზოგადია და იგი სხვადასხვა კულტურათა, სხვადასხვა პოლიტიკურ მდგომარეობათა, სხვადასხვა სოციალურ ფენათა, ანუ, ზოგადად, უთანასწოროთა ურთიერთობების სირთულეზეა აგებული. მაგრამ ეს უთანასწორობა, შესაძლოა, ბუნებრივი, ანუ ობიექტური მოცანულობით იყოს გამოწვეული, ვთქვათ, უნივერსიტეტის პროფესორი თავისთავად უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე გლეხი და ა.შ. მაგრამ ამ უთანასწორობას თავისი სოციალური და, ერთგვარად, „კანონიერი“ საფუძველიც აქვს — საზოგადოება უფრო მეტად აფასებს განათლებულ ადამიანს, ვიდრე გაუნათლებელს, ანდა თეთრს, ვიდრე — შავს (რასაც) და ა.შ.

ამ უთანასწორობას, ბუნებრივია, სოციალ-პოლიტიკური სარჩული უდევს და პოლიტიკასვე ძალუძს მისი „გასწორება“, მაგრამ არსებობს მდგომარეობა, რომელიც საკლებით ინდივიდუალურია და სწორედ ამ უკანასკნელს შეუზღუდავობაზეა დამოკიდებული ადამიანის თუ საზოგადოების ჭეშმარიტი თავისუფლება (კურსივი ჩვენია). კუტხეე ერთ პანანინა ეპიზოდში საუბრობს ამ თემაზე და სხვაგან აღარც აგრძელებს — ეს არის ბუნებითი მოცემულობის, როგორც ერთგვარ სინმინდემდე ამალელებული თავისებურების, თუგინდ ინდივიდუალობისადმი პატივისცემა, მისი დაცვის სურვილი, რაკილა ამ ბუნებითობაში ვლინდება ერთი კერძო არსება, თუმცაღა ძალადობრივი

სამყარო სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ხშირად, რადგანაც ინდივიდის მისწრაფება საყოველთაოდ აღიარებულ წესებსა და ნორმებს შეურაცხყოფს.

ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი, რომელიც გაშლილია რომანში და უკავშირდება პიროვნების თავისუფლება-ანტი-თავისუფლებას, ნებას და ნების წინააღმდეგ ბრძოლას, ძირითადად პიროვნების პრობლემას უკავშირდება, თუმცა რაკილა ამბავი „გაბოროტებულ კოლონიაში“ მიმდინარეობს, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მწერალი ირიბად სძენს ამ პრობლემას პოლიტიკურ ელფერს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ კონტექსტსაც არგებს. ერთ ეპიზოდს მოვიხმობთ სანიმუშოდ, სადაც დევიდი ესაუბრება ლუსის:

„პატარა რომ იყავი, კენილვორტში ვცხოვრობდით. ჩვენს მეზობლებს იქროსფერი რეტრივერი ჰყავდათ... ხვადი იყო. როგორც კი ახლომახლო ძე გამოჩნდებოდა, მაშინვე ყველაფერი ავინყდებოდა, სრულიად უმართავი ხდებოდა და პატრონები პავლოვისებური რეგულარობით სცემდნენ. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბოლოს ძალმა უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. როგორც კი ძუკნას სუნს იკავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ყურებჩამოყრილი, კუდამოდებული წკმუტუნებდა და ცდილობდა, დამალულიყო... ამ სანახაობაში იყო რალაც ისეთი სამარცხვინო, რაც მე სასონარკვეთილებაში მაგდებდა. ძალი შესაძლოა დასაჯო რალაც დანაშაულისათვის, მაგრამ სურვილი სულ სხვა რამეა... კენილვორტის სანახაობაში სამარცხვინო ის იყო, რომ საცოდავმა ძალმა თავისი ბუნება შეიძულა. მას ცემა აღარ სჭირდებოდა, მზად იყო, თავად დაესაჯა საკუთარი თავი“.

დევიდი იმასაც ამბობს, რომ მძაფრ ვნებათა დათრგუნვა უმკაცრესი სასჯელია, რომ დათრგუნული ვნებანი სიმახინჯედ იქცევა და, ალბათ, არ არის საფუძველს მოკლებული, თუ ამ დებულებას მივუსადაგებთ დაპყრობილ აფრიკელთა ქცევის სიმახინჯეს – ოდესღაც ისინი დათრგუნეს, მათ ბუნებრივ ვნებებს ლავამი ამოსდეს. როდესაც ლუსისთან ერთად ანალიზებს თავდამსხმელების სისასტიკეს, დევიდი ასეთ დასკვნამდე მიდის: „მათი სახით ისტორია ლაპარაკობდა, პირადული არაფერი იყო, ყველაფერი წინაპრებისგან მოდიოდა“.

ასეა გადაჯაჭვული ერთმანეთზე ინდივიდუალური დრამა თუ პოლიტიკური ბედისწერა, რაც მახინჯი ფორმებით ახდენს თავისი „სამართლიანობის აღდგენას“ ოდინდელი უსამართლობის პასუხად.

დევიდი ადამიანის ქცევის ერთ-ერთ სერიოზულ გამართლებად მიიჩნევს „სურვილს“, როგორც პიროვნების ინდივიდუალური ბუნების მახასიათებელს, თუმცა ლუსის შეკითხვაზე პასუხობს, რომ ზოგჯერ სურვილი ეჩვენებოდა ტვირთად, ურომლისოდაც ადამიანი მშვენივრად გაძლებს. ლუსი სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს – სურვილებზე აქვს ხელი აღებული და სრულიად ნაცრისფერ, მოძალადე სოციალურ ყოფასაც კი ეგუება. ეს თვითგვემად და, როგორც ვხედავთ, აქ ჰპოვა ლუსიმ გამოსავალი თუ თავშესაფარი (თუ შეიძლება ამას თავშესაფარი ეწოდოს). თვითგვემის უკიდურეს ზღვარს აღწევს ლუსის გადაწყვეტილება – გააჩინოს ბავშვი, რომელიც ძალადობის შედეგად ჩაესახა, ბავშვი, რომლის მამა არც კი იცის, ვინ

არის (რადგან ჯგუფური ძალადობის მსხვერპლია), მიუხედავად იმისა, რომ ყველა საფუძველი არსებობს ამ ბავშვის „მოშორებისთვის“.

საგულისხმოა, რომ თუ ადგილობრივები მტრულად არიან განწყობილი თავის დროზე მისიონერული მიზნით შემოსული დამპყრობლების შთამომავლობისადმი, არც „მისიონერებს“ აქვთ ნაკლები მიზეზი, ნაწყენები იყვნენ უმადურ „მონაფეებზე“, რაკილა ჰუმანურობისა ვერაფერი შეასმინეს და ამ გათანაბრების განცდით ეგებ ლუსისაც ეპოვა გამოსავალი იმ სიბნელიდან, მაგრამ „სირცხვილის“, როგორც ახალი მხატვრული ტილოს ერთი უდიდესი ღირსება, ვგონებ, სწორედ ის არის, რომ ავტორმა ლუსის თვითგვემა შემოგვთავაზა (ეგებ მთელ თანამედროვე კაცობრიობას), რათა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა იქაც კი, სადაც ჩვენი ცოცხალი თუ დანაშაული ან საერთოდ არ არსებობს, ანდა მინიმუმადეა დაყვანილი, სადაც, შესაძლოა, პირიქით, ჩვენც ვიყოთ მსხვერპლნი. ანუ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩვენზე ძალადობენ, შეგვრჩეს სიბრალულის ანდა შემწყნარებლობის გრძნობა.

შესაძლოა ეს თვითგვემა იდიოტიზმამდეც კი მიდის და ძალზე ამაზრზენია, მაგრამ ეს ინდივიდუალური არჩევანია, რომელსაც ყველა ადამიანი ვერ გაიზიარებს, თუმცა განკითხვითაც ვერ განიკითხავს. ასეთი თვითგვემა მხოლოდ ქრისტიანულ მსხვერპლს თუ გაგვახსენებს. ქალიშვილის თვითგვემით შეძრული დევიდი ეუბნება მას: „შენ გინდა, წარსულის სიბილწე გამოისყიდო, მაგრამ ამას ამ გზით ვერ მოახერხებ“, მაგრამ ეს შეგონებაც არაფერს აძლევს ლუსის, ის მიიჩნევს, რომ უბრალოდ მამამ არ იცის, „რა მოხდა“.

ერთი პირობა, იმასაც იფიქრებ, რომ მწერალმა საგანგებოდ შეარჩია თვითგვემა პერსონაჟად ქალი, რადგან ამ გზით მამაკაცებრივ საწყისს გაუმართა პოლემიკა, ამავე დროს, თანამედროვეობის ერთი აქტუალური პრობლემაც წამოსწია – ფემინიზმი, რასაც თავისი ობიექტური გამართლებაც აქვს.

მნიშვნელოვანია მწერლის მიერ პრობლემის „გადანყვეტა“ — თმობს მამა, შვილი ისეთ გზას ადგას, რომელსაც ვერ გადაუხვევს, ვინაიდან ეს იდეაც კი არ არის (როგორც თავად ამბობს ლუსი), ეს უბრალოდ მისი ცხოვრებაა, რომელსაც ვერ მიატოვებს, მის მიერ გასავლელი გზაა, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა გაიაროს, რათა საკუთარი თავის პატივისცემა შეერჩეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უაღრესად დამთრგუნველი, საშინელ უსუსურობამდე დაყვანილი უსიხარულობისა, დევიდი ინტელექტუალურად, ლუსი კი ფიზიკურად, მაინც იქმნიან ერთგვარ თავისუფალ სივრცეს, სადაც სულისმოთქმა შეუძლიათ.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია და მრავალპლანიანი ბაირონისა და ტერეზა გვირილის რომანის რეპროდუცირება, როგორც, ერთი მხრივ, დევიდის შემოქმედებითი ინტერესისა, მეორე მხრივ კი კვლავაც პოლიტიკური მოტივაციის შეფარულად თქმისა. ბაირონი, რომელიც, ერთი მხრივ, სურვილებისა და ვნებების ტრფიალია, მეორე მხრივ კი — თავისივე სამშობლოს მიერ დაპყრობილი საბერძნეთის სოლიდარობისთვის თავგანწირული.

კუთხეებს, როგორც უაღრესად დახვეწილ ინგლისურ-რენოვან მწერალს, შეუძლია ასეთი მაღალზნეობრივი განცხადება გააკეთოს: „სულ უფრო და უფრო რწმუნდება (საუბარია დევიდზე), რომ სამხრეთ აფრიკაში სიმართლის სათქმელად ინგლისური შესაფერი ენა არ არის“.

უცნაურ ფინალსაც მოუწახავს ბაირონისა და ტერეზას სასიყვარულო ამბავს: „შესაძლოა, უსიხარულო ტრიო (ბაირონი, ტერეზა და მისი ქმარი) სწორედ აქ გაცოცხლდეს, სამხრეთ აფრიკაში“ — **საბერძნეთში დაღუპული ბაირონი, როგორც ხსნა კოლონიზატორი ინგლისის სირცხვილისა.**

აქვე იმასაც დაეძენ, რომ დევიდი თავის ნაწარმოებს მუსიკალურ ფორმაში ქმნის, ვინაიდან ვერბალური ენა, როგორც ერთგვარი პოლიტიკური კუთვნილება, რამდენამდე შერყვნილი და ზნეობრივად უუფლებოა, უფრო სწორად, ზნეობრივად მიუღებელია. ხოლო როდესაც ბაირონის, ტერეზასა და მისი ქმრის სიყვარულის სამკუთხედს ერთგვარ „ხსნას“ მოუძებნის, ახალ ჟანრსა და ახალ ფორმებში შეასხამს ხორცს, შედეგსაც „მოკრძალებულს“ უნდა ელოდეს: „რომ ბგერების ქაოსიდან მოულოდნელად ამოფრინდება უკვდავი ვნებების ტოლფასი ერთადერთი ჭეშმარიტი ნოტი“.

ამ ერთადერთ ნოტს ეძებდა ადრიან ლევერკიუნიცი, როდესაც მსოფლიო ბოროტების წინაშე აღმოჩნდა თავისი ტრაგიკული ბედით და მუსიკით. მუსიკა, როგორც უნივერსალური ენა, რომელიც მხოლოდ სულის პირისპირ თუ დადგება, როგორც სინშინდე, როგორც მორალური ვალდებულებებისგან თავისუფლება, როგორც ინდივიდუალური მშვენიერება, რომელსაც ერთადერთი ჭეშმარიტი ნოტი გამოხატავს.

**ბოლოთქმასავით**

ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავი ის წიგნია, რომელიც ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენს ყოფას, ჩვენთვის მტკივნეულ თემებს თუ პრობლემებს უხმინება და თავისებურ ორიენტირს გვთავაზობს. ასე რომ შეგვეხედა: უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დაშვებული შეცდომებისა თუ დანაშაულებებისათვის, როგორც წესი, სულ სხვას ვკიცხავთ, საკუთარ შეცდომას ან ვერ ვხედავთ, ან ისე ვალამაზებთ, რომ შეცდომისგან აღარაფერი რჩება, არადა, ერთადერთი, რაც მცირედ მაინც გვიშველის და სწორ გზაზე დაყენების შანსს გაგვიჩენს, არის სირცხვილის განცდა იმის გამო, რაც ხდებოდა, რაც მოხდა და რაც შესაძლოა მოხდეს, თუ არ შეგვრცხვება და კვლავაც გავაგრძელებთ – სხვისთვის გადაბრალებას, თავის მართლებას, საკუთარი პასუხისმგებლობის უგულვებლყოფას... დარწმუნებული ვარ, როდესაც სირცხვილი დაგვაუნჯებს და მორჩილად დაგვახრვეინებს თავს, შესაძლოა „იდიოტურადაც“ კი მოვეჩვენოთ ვინმეს და გვირჩიოს, რომ „არ არის აქ ხსნა“, მაგრამ სხვათა განკითხვასა და მრისხანე ვნებებს მხოლოდ ასეთი თვითგვემა თუ დაუპირისპირდება, რაც შესაძლოა თავისთავად აუტანელია და მონური, მაგრამ აქ გზის კონტურები მაინც იკვეთება, განსხვავებით უსირცხვილობისგან, რომელიც ჩიხია...

**„მოპურთალსა**

**მასა ჯიზლაქის ესაუბრება ლევან ყიფიანი**

საქართველოს ისტორიულად მოსდევს სპორტული აქტიურობა. ბევრი ქართველი მწერლის ნაწარმოებში ვხვდებით სპორტული შეჯიბრის ეპიზოდებს. ჩვენი საამაყო ქართველი მეფეებიც ხომ განსაკუთრებული მხნეობით გამოირჩეოდნენ, სწორედ იმხანად ხშირად ეწყობოდა ეროვნული სულსკვეთებით გამსჭვალული სპორტული პაექრობანი. ეს იყო ცხენოსნობა, ჭიდაობა, მშვილ-ისრის ტყორცნა თუ ფარიკაობა... არაერთ ქართულ ფილმში გვინახავს გუნდური ბურთის თამაში ლელო, ერთ მუშტად შეკრული საქართველო. ქართველი ერი მართლაც გამორჩეულია ნიჭიერი ადამიანებით და მისწრაფებით. სპორტის არაერთ სახეობას ვუსახელებივართ მსოფლიო არენაზე. დღეს სპორტი მძიმე მდგომარეობაშია. დიდი ძალისხმევას საჭირო ამ სფეროს გასაუმჯობესებლად. აღარ არსებობს სპორტის აკადემია, აღსადგენია სასკოლო სპორტი. წიგნის მაღაზიებში აქა თუ იქ შევხვდებით სპორტულ ლიტერატურას.

სწორედ ამიტომ დაეკისრა დიდი საპასუხისმგებლო საქმე ლევან ყიფიანს, რადგანაც მის ეროვნულ სულისკვეთებაში მთავრობაც და საზოგადოებაც დარწმუნებულია, იგი ევროპული გამოცდილებით და ამავე დროს ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით აპირებს ქართული სპორტის აღორძინებას. თუ საკუთარი ქვეყნისთვის გული შეგტკივა, მისი გადარჩენისთვის უშიშრად იბრძოლებ. მინისტრმა საქმით ბრძოლა უკვე დაგვიმტკიცა. ბრძოლის შემდეგ კი გულანთებული შეუდგა საქმეს, თუმცა გასაკვირი არც არის. იგი ცნობილი ფეხბურთელისა და შესანიშნავი პიროვნების დავით ყიფიანის შვილი გახლავთ, რომელმაც საქართველოს სახელით მსოფლიო არენაზე არაერთხელ იბრძოლა და გაიტანა ლელო.

და, აი სპორტის პრობლემებზე და გეგმებზე გვესაუბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ბატონი ლევან ყიფიანი:

— ბატონო ლევან, გილოცავთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად დანიშვნას. გაცავცანით რას აპირებს თქვენი სამინისტრო სპორტის ასაღორძინებლად?

— დიდ მადლობას ვუხდის ჟურნალ „ჩვენს მწერლობას“ მოლოცვისა და ყურადღებისთვის. პრობლემები, საუბედუროდ, ბევრი დაგვხვდა, ჩვენდა სამარცხვინოდ, სპორტის სამინისტრო არ ემსახურებოდა მის ძირითად საქმიანობას. ეს დიდი თემაა. პრობლემა უამრავია, რის აღმოფხვრაზეც დღე-ღამე ვმუშაობთ. სულ სამი თვეა, რაც ჩვენი გუნდი მთავრობაში მოვიდა. თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროს ნორმალური სტრუქტურა. 2013 წელს ძირითადი პრობლემები უნდა მოვავაროთ, მომავალ წელი უფრო თავისუფალი გვექნება, სისტემა დასანგრევი, მანკიერი მხარეები უნდა აღმოიფხვრას, ამიტომ ერთიანი ხედვით და ძალისხმევით შევძლებთ წინააღმდეგობის დანგრევას.

— როგორ ფიქრობთ, დიდი დრო დაჭირდება იქამდე მისასვლელად, ქართველმა ერმა ცნობილი სიმღერა „გამარჯვება, ბიჭებო!“ კვლავინდებურად რომ იმღეროს. ყველას ახსოვს ეს დიდებული ეროვნული დღე, ერთ მუშტად შეკრული ერი, აჩუქებთ ასეთ დღეს საქართველოს?

— რაც შეეხება ერის ამღერებას, ამ ეტაპზე ჩემი ფუნქცია პირობები შევუქმნა სპორტსმენებს და გამორჩეულე-

# მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“

ბი წარმოვანი. ფეხბურთელი რომ ვიყო, გეტყვოდი, ვაჩუქებდი თუ არა. მე ათი წლისა ვიყავი და ეს დღე კარგად მახსოვს, მითუმეტეს მამა თამაშობდა. დიდი ემოცია იყო.

— **თქვენ დავით ყიფიანის შვილი ბრძანდებით, რაც ძალიან საამაყო და საპასუხისმგებლოა. საზოგადოებაში თქვენმა მინისტრად დანიშვნამ დადებითი მუხტი გამოიწვია, ხალხი დარწმუნებულია, რომ დავით ყიფიანის შვილი ისევე ეროვნული სულის კვეთებით მოემსახურება საკუთარ ერს როგორც იგი ემსახურა. მას ბევრი შემოთავაზება ჰქონდა ევროპიდან, მოსკოვიდან, მაგრამ არცერთზე არ დათანხმდა, რადგანაც ვერ წარმოედგინა უცხო რესპუბლიკის მაისურით გამოსვლა, როგორ გაიხსენებთ მამას?**

— რა თქმა უნდა ამაცი ვიყავი და დღესაც ამაცი ვარ. სხვა ქვეყნის სახელით არასოდეს გამოსულა და ალბათ არც დღესაც გამოვიდოდა. ფეხბურთი იყო მისი და ჩემი ამოსავალი წერტილი. დავით ყიფიანის გვარის გაგრძელება, გეთანხმებით, საამაყო და საპასუხისმგებლოა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა, როდესაც ქუჩაში ხალხი გხვდება და გლოცავს.

მინისტრად დანიშვნისას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, რისთვისაც მაღლობას ვუხდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ამ სტატუსით გეძლევა შანსი საკუთარ ქვეყანას გამოადგე. საზოგადოების თანაგრძნობას ვგრძნობ, რაც სიძნელეთა გადალახვაში მეხმარება, თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს, აქცენტი ხანდახან არის იმაზე, რომ ცნობილი ფეხბურთელის შვილი ვარ, ეს შეიძლება სანაყენიც იყოს. დავუმტკიცებ ყველას, რომ მხოლოდ ეს არ არის მთავარი, ყველაფერს ვიღონებ, რომ საქართველოში სპორტი კვლავინდებურად აღორძინდეს. დიდი სურვილი და მცდელობა მაქვს, ყიფიანის გვარმა ქვეყანას კიდევ ბევრი დადებითი შემატოს, დავით ყიფიანი ვერ ვიქნები, მაგრამ ქართველ ხალხს ვპირდები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან და სასიკეთო საქმეთა აღსრულებას.

— **ქართველი სპორტსმენი ხელფასით თავს ვერ ირჩენს და საუკეთესო ადამიანებს ვკარგავთ, გაიზრდება დაფინანსება?**

— თქვენი კითხვა დამოკიდებულია ზოგადად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. ეკონომიკის განვითარების პირობებში სპორტიც განვითარებულია. დღეს ქვეყანაში პრიორიტეტია განათლება, ჯანმრთელობა, სოფლის მეურნეობა, რაც არსებითად სპორტს მეორეხარისხოვანს ხდის, თუმცა სპორტი ჯანმრთელი ერის ბერკეტია, დაა-



მაკა ჯიბლაძე და ლევან ყიფიანი

ვადებათა პრევენციაზე აკეთებს აქცენტს. სულ რამდენიმე თვეა რაც ვმუშაობთ, გვსურს სწორად განვვლოთ ის შემაფერხებელი გარემოებანი, რასაც ზოგნი ქმნიან, და აღმავლობის გზას შევუდგეთ. ჩვენ უკვე ვინყებთ სპორტული მიმართულებებით პროექტების განხორციელებას, რაც მაქსიმალურად გაზრდის სპორტის აღმავლობას. სპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

— **რა მდგომარეობაა სკოლებში?**

— დღეს ჩვენი ქვეყანა სპორტის განვითარებით ვერ დაიკვებინს. ფიზიკური აღზრდა სკოლებში თითქმის აღარ არსებობს, იქ მასწავლებლად პროფესიონალები არ მიდიან. მნიშვნელოვანია შეიქმნას ის წინაპირობა, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩავართოთ სპორტში ახალგაზრდები. ეს მოხდება მაშინ, როდესაც აენციობა ინფრასტრუქტურა და სკოლებში ფიზიკური აღზრდა აღდგება. ეს გრძელვადიანი პროექტია. ჩვენ ამისთვის ფუნდამენტი უნდა შევქმნათ.

— **რეგიონებში რა მდგომარეობაა?**

— მიიმე. ქალაქში სპორტული სკოლა აღარ არსებობს, რეგიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. წინა ხელისუფლების დროს სპორტული ობიექტების გასხვისება დაიწყო, რამაც დამანგრეველი ეფექტი მოიტანა. ვისაც შესაძლებლობა აქვს,

თბილისში ჩამოდიან, ვინც რეგიონში რჩება, იმას სპორტულ აქტივობაში ჩართვის საშუალება არ გააჩნია. დღეს საქართველოს მასშტაბით 33 ათასი სპორტსმენი გვყავს, რაც ძალიან მცირე რაოდენობაა. 1994 წელს საქართველოში 32 ათასი მარტო ფეხბურთელი იყო. დღეს ფეხბურთში 16 ათასი მოთამაშეა. დაინგრა სტადიონები, ახალი არ აშენებულა. ეს პრობლემები ერთ სისტემაში უნდა მოვაქციოთ. თავდაუზოგავად ვშრომობთ, იმედია ყველაფერი გამოგვივა.

— **არიან გამორჩეული ბავშვები?**

— საქართველოში ჯერ არ ყოფილა თაობა, სადაც გამორჩეული ბავშვები არ გამოჩენილიყვნენ, მაგრამ შემდეგ განვითარება არ ხდება და იკარგებიან. ჩვენი ძალისხმევაც სწორედ აქეთ არის მიმართული.

— **ისევ ეკონომიკასთან მივივართ?**

— რა თქმა უნდა ეკონომიკასთან, მაგრამ შეიძლება ითქვას უფრო უსისტემობის ბრალია. ძალიან გამორჩეულები ას წელიწადში ერთხელ იბადებიან. ნიჭიერ ბავშვებს ხელს შევუწყობთ, ამის იმედი ნამდვილად მაქვს. მასიურობაში უნდა ხდებოდეს შერჩევა. სპორტში საუკეთესო უნდა აირჩიო და განავითარო. ამ მხრივ განათლების სამინისტრ-

როსთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. პირველ რიგში სპორტის აკადემიის აღდგენის საკითხი დავაყენეთ. ექვსი წელიწადია ეს აკადემია აღარ არსებობს. შენობა გაპარტახებულია, მუდმივად მოშვებულმა წყალმა ფუნდამენტი დაანგრია. განადგურებულია უნიკალური ბიბლიოთეკა. საბედნიეროდ, გაყიდვა ვერ მოასწრეს. ეს არის სპორტზე არსებული დივერსია. კიდევ გავიმეორებ, რომ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი აღარ გვყავს, ამიტომაცაა არასწორი გაკვეთილების გამო ბავშვთა უმეტესობას ხერხემლის გამრუდება აწუხებს. ამ ექვსმა წელმა დიდი დარტყმა მიაყენა სპორტის მეცნიერებას. ახალი თაობა აღარ წამოვიდა, ძველ თაობას უკვე აღარ შეუძლია გაკვეთილების ჩატარება. თუ გადავხედავთ წიგნის მალაზიაში არსებულ წიგნებს, სპორტზე ველარაფერს ველარ იზოვით. სპორტული სამართალი საერთოდ აღარ არსებობს, სპორტული მედიცინა სავალალო მდგომარეობაშია. რაოდენობრივად მწვრთნელებიც აღარ არიან, ამის აღდგენა უნდა მოხდეს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის საკუთარი ქვეყნის მიმართ ჩადენილი ბოროტება. უნდა მოხდეს აღდგენა ევროპული გამოცდილებით და რა თქმა უნდა ქართული ტრადიციების გათვალისწინებით. სპორტი არ არის ერთნაირი პროექტი, მრავალნაირი პროექტია, რომელიც გათვლილი უნდა იყოს ერის გაჯანსაღებაზე. დღეს სხვა პრობლემებიც უხვადაა და სპორტზე უხერხულიცაა ყურადღების გამახვილება. ამ პრობლემების გადაჭრის გზებს ვეძებთ. დადგება ის დრო, აუცილებლად მოხდება განვითარება. სპორტში მასობრივად უნდა ჩაერთოს ხალხი.

— **დღეს ბევრი ფიტნეს კლუბებია, სადაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი დადის, თუმცა ეს უკვე ფუფუნებად იქცა და, სურვილის მიუხედავად, ბევრი ვერ ახერხებს სპორტში ჩართვას...**

— გეთანხმებით, სწორედ ეს გახლავთ დღევანდელი პრობლემა, სპორტი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოგესხენებათ ეს პრობლემა ჯერ ქვეყანაში არსებულ ვითარებას უკავშირდება. სპორტი მოდური და მისაბადია.

— **ევროპის წარმომადგენლებთან გაქვთ მოლაპარაკებანი?**

— დიახ, ევროპიდან გვყავდა სპეციალისტები, რომლებიც ჩავრთეთ სასკოლო სპორტის, სპორტის აკადემიისა და მენეჯმენტის სწორად მართვის საკითხებში. შეხვედრები გვაქვს ელჩებთან და პირველი ჩვენი მოთხოვნაა კავშირის დამყარება სპორტულ უნივერსიტეტებთან. ეს პროცესი დაძრულია, ამ მხრივ ვთანამშრომლობთ განათლების სამინისტროსთან და, ვიმედოვნებ, ყველა რეფორმა შესრულდება და უკეთესობისკენ წავალთ. ჩვენ სამართლებრივად აღვადგინეთ სპორტის აკადემია, ახლა საუბარია პროექტის განხორციელებაზე. მერმის, ფფიქრობთ, აკრედიტაციის აღებას სარემონტო სამუშაოთა გათვალისწინებით.

— **ევროპა დაგვეხმარება თანხით?**

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი, უნდა ვიცოდეთ რა თანხებთან გვაქვს საქმე. დონორი ქვეყნები თუ ჩაერთვებიან, ძალიან კარგი იქნება. ვნახოთ.

— **ამბობენ, ჭადრაკის სასახლეს გაყიდვა ემუქრებაო. თქვენ როგორ შეგიძლიათ გადაარჩინოთ ეს შენობა გაყიდვას?**

— ჩვენ შეგვიძლია მერიას წერილი მივწეროთ და ვთხოვოთ. პირველ რიგში ეს იყო ნონა გაფრინდაშვილის სახელობის დარბაზი. ამ დარბაზმა აღზარდა ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები, თხოვნა თუ გაჭრის, ვნახოთ. დაუშვებელია მსგავსი ქმედებანი.

— **თუ არ გაჭრა თხოვნამ?**

— მაშინ ხალხს ვთხოვ დახმარებას, იმედი მაქვს, სალი აზრი გაიმარჯვებს.

— **თქვენი სამინისტრო პაატა ბურჭულაძის ფონდთან თანამშრომლობს, რას ითვალისწინებს ეს პროექტი?**

— ჩვენ ჩავერთეთ ბატონი პაატას მიერ წარმოდგენილ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ივერიის ღვთისმშობლის დიდი კომპლექსის აშენებას, და ჩვენი სამინისტრო ხელფასებიდან ამ ფონდს ფინანსურად ეხმარება. მართო ჩვენი სამინისტრო კი არა, სხვა სამინისტროებიც ჩართულია, ვისაც სურვილი აქვს, ყველას შეუძლია ამ პროექტში ითანამშრომლოს. ჩვენთვის სასიხარულოა მსგავს მნიშვნელოვან მოვლენაში მონაწილეობა.

— **რა თვისებებით ჰგავხართ მამას?**

— დავით ყიფიანი იყო სამაგალითო მამა, სამაგალითო მეგობარი. ამ თვისებებით ვბაძავ, ჩემი მეგობრები ჩემი ცხოვრების ნაწილია, შვილებზე აღარ არის ლაპარაკი. ცალკე უნდა აღვნიშნო ფეხბურთის სიყვარული. არ ვიცი, ფეხბურთი რომ არა, ჩემს ცხოვრებას აზრი ექნებოდა თუ არა. მამამ შეასრულა თავისი როლი, ფეხბურთი, მე ბოლომდე რეალიზაცია ვერ მოვიპოვე ამ დარგში, ვთანამშობდი კიდევაც, მაგრამ რომ მივხვდი, ბევრს ვერაფერს მივალწევდი, 25 წლისა გავერიდე ფეხბურთს, მაგრამ დავრჩი ამ სპორტში და მენეჯმენტის კუთხით გავაგრძელე საქმიანობა. ბევრ ცვლილებას განვახორციელებთ და ჩვენი ქვეყანა ერთიანობით დადგება იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც მშვიდობიანი და ბედნიერი განვითარების გზას ადგანან.

— **და ეს ქვეყანა ისეთი იქნება, როგორსაც დავით ყიფიანი და სხვა ბევრი ნაადრევად წასული სპორტსმენი ინატრებდა.**

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ქვეყნის შვილი იყო, არის და იქნება.

— **როგორ ფიქრობთ, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, რას გააკეთებდა?**

— მისი ოცნება გახლდათ საქართველოს ნაკრების აღზევება იმ დონეზე რა დონეზეც გულშემატკივარი ითხოვდა, ეს ოცნება ვერ აიხდინა, რადგანაც ადრეულ ასაკში წავიდა. რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, მაგრამ წინააღმდეგობები შეხვდა. მიზანდასახული იყო. ერთ ეპიზოდს გავისხენებ: მისი მეგობრები ეკითხებოდნენ, მატჩის წაგების დროს პირველი გარბიხარ და მოგების დროს ბოლოს რატომ გამოდიხარო? ტაშის ხმა მინდა გავიგოო. ეს იყო მისთვის ყველაფერი, მსახიობიც ხომ ამ ტაშისთვის გამოდის სცენაზე.

**P.S.** „ქართველების ოდენი სხვადასხვა გვარი სათანამშობო არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათანამშობო უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის. ავარჯიშებს... ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ერჩევა სიმარდეს“, ნერდა აკაკი წერეთელი.

ბატონ ლევან ყიფიანს ვუსურვებთ, თვითონაც მალე დამტკბარიყოს ქართველი ხალხის ტაშით.

მაია ჯალიაშვილი

## შეხვედრის მისტერია

გზები და ბილიკები... მესხიერების დაბურულ ტყეში მი-  
მავალი... ოქროსფერი თბილი დღეები და ნაცრისფერი  
მონყენილობით ჩახერგილი საღამოები.. ვარდისფერი უბინო  
დიღების უმიზეზო სიხარული და შორეულ სივრცეთა ნალვე-  
ლით გათანგული ღამეები... ბილიკებსა და გზებზე გამკრთა-  
ლი ლანდები, ნაცნობი სილუეტები და შეხვედრები...

შემოდგომა იყო... უნივერსიტეტის ეზოში მზეს დაედგა  
სხივების გამჭვირვალე კარები... იმ დღეს ოთარ ჩხეიძე გავი-  
ცანი — ნამდვილი, ცოცხალი მწერალი. ის სხვანაირი ადამი-  
ანი, სიკეთეჩაღვრილი მზერითა და ყოველთვის გადამდებად  
მშვიდი, უსათნოესი გამომეტყველებით, უცებ გაჩნდა ჩვენს  
ცხოვრებაში, ახალგაზრდული ვნებების, გიჟური ლტოლვე-  
ბისა და ლაბირინთული წარმოსახვების სამყაროში, რომელ-  
შიც თავის კვალს ავლებდნენ კავკა, ფოლკნერი, ჯოისი, კორ-  
ტასარი, ფროიდი, ნიცშე, ვაგნერი... ეს ის დრო იყო, როცა ვერ  
ვამჩნევდით ცხვირწინ საუნჯეს და ცხრა მთის გადაღმა გვე-  
გულბობდა საუკეთესო და ღირებულნი. ის შემოვიდა ჩვენს  
სამყაროში, როგორც შორეული ახლობელი და სხვანაირად  
დაგვანახვა საკუთარი თავი, მშობლიური ენა და სამშობლო.

შემოდგომას ჰგავდა, რომელსაც თვალეში მოუჩანდა  
ანცი გაზაფხულისა თუ მცხუნვარე ზაფხულის ხსოვნა. მის  
მზერაში მომავალ ზამთარსაც შეიგრძნობდით, დათოვლი-  
ლი მწვერვლების მოელვარე სითეთრეს.

დინჯი ნაბიჯით შემოვიდა. ტკბილი ღიმილით მოგვესალ-  
მა, თვალი ცნობისმოყვარედ მიმოგვაგლო. ჩვენ — ახალგა-  
მოჩეკილი ვითომ მწერლები და ვითომ პოეტები, თავდაჯერე-  
ბულნი, ლაღნი და იმედიანნი, ყოველივე ქართულის იოლად  
დამწუნებულნი და ავტორიტეტთა წინააღმდეგ ამბოხისთვის  
ყოველწამიერად შემართულნი, მწერლის მოლოდინში ოდნავ  
მღვორარენი — ცოტანი ვიყავით აუდიტორიაში.

ხორცმესხმული თავმდაბლობა ალბათ ასეთი სახისა  
იქნებოდა. თვალმისაცემი იყო დიდი ადამიანის ბავშვური  
მოკრძალება. ეს ჩვენი პირველი ჯგუფი იყო ფილოლოგიის  
ფაკულტეტზე: მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკისა.  
მაშინ მხოლოდ მისი მოთხრობები მქონდა ნაკითხული,  
რომლებიც იშვიათად იბეჭდებოდა „ლიტერატურულ სა-  
ქართველოში“. რატომ იშვიათად? მერე როდესაც ჩემმა  
თავდაჯერებულმა მეგობარმა დაიჩივლა: რედაქციები  
გულგრილად გვხვდებიან, არ გვიბეჭდავენ ნაწერებსო, —  
რადაცნაირად ნაღვლიანად თქვა, არც მე მიბეჭდავენო.

მისი სტილი მეუცხოებოდა და მიზიდავდა. მისი თხრობის  
საოცარი რიტმი მაჯადოვებდა, ეს სულ განსხვავდებოდა იმის-  
გან, რასაც იმხანად ვკითხულობდი, ვკითხულობდი კი არა,  
ვინთავად ქართულსა თუ უცხოურ ლიტერატურას. წიგნებიდან  
უთვალავ მდინარედ ჩაედინებოდა ჩემს გონებაში ათასნაირი  
ნაკადი თხრობისა, ერთმანეთს ერეოდა, ოთარ ჩხეიძე არავის  
ერეოდა, რაღაც განცალკევებულად მიედინებოდა, ცოცხლად  
და წყნარად, ხასხასა ფერებითა და ჩუმი, გრილი სურნელით.

შქონდა გარეგნობაში  
რაღაც ასკეტური, თუმცა  
თვალეში სშირად გაუკრ-  
თებოდა ხოლმე ნაპერწკლე-  
ბი, რაც არღვევდა უცხოო-  
ბას და გათამამებდა.

ლექებს ვნერ-მეთქი,  
— გავცანი, — ალბათ ბევ-  
რი გექნებაო, — არა-მეთ-  
ქი, დავიმოცხვე, აბა, წა-  
მიკითხე რომელიმეო, —  
და მეც ვთქვი „აჭის მონას-  
ტერი“. ღიმილით მიცქერ-  
და, კარგიაო, თუ რაღაც  
მსგავსი, მონონებისმაგვა-  
რი მითხრა. გამიხარდა.



მერე ყოველი ხუთშაბათი სარიტუალო შეხვედრასავით  
იყო, მე ახალი რამ მინდოდა დამენერა და წამეკითხა. ყვე-  
ლანი ასეთნაირად დავიმუხტეთ.

მახსოვს პირველ შეხვედრაზევე დაგვაგალა ჩანახატი  
დაგვენერა უბრალო დაფის შესახებ. ერთმანეთს ვაკვირვები-  
თა და მრავალმნიშვნელოვნად გადავხედეთ, დავალეა გვე-  
უბრალოვა. ის აუდიტორიაში ეკიდა და აქამდე იყო მხოლოდ  
დაფა — რომელზეც რაღაც გაცვეთილი სიტყვები ოკრობოკ-  
როდ ინერებოდა, აბა, ეს უბადრუკი საგანი რა საფიქრებელ-  
წარმოსადგენი იყო, როგორი ფილოსოფიურ-რელიგიური  
კონტექსტი უნდა მიგესადაგებინა... მაგრამ მეორე ხუთშაბა-  
თისთვის, როცა ჩვენი ნაწერები მივიტანეთ და წაკითხვა და-  
ვინწყეთ. ამ ხის დაფამ ენა ამოიდგა, გაცოცხლდა, ყველას გან-  
სხვავებული და უჩვეულო ისტორია გვექონდა შეთხზული და  
ყველასთან იგრძნობოდა წარმოსახვის სილაღე და უკიდევან-  
ობა.

ოთარ ჩხეიძემ მიგვანიშნა, რომ ზღაპრული, მაგიური,  
მშვენიერი... აქვე იყო, ჩვეულებრივ საგნებში შეყუყულო,  
დატყვევებული, და ჩვენს მზერას, ფიქრს ელოდა, რათა მოეხ-  
სნა ყოფითობის საბურველი და სხვა სიცოცხლე შეეძინა. ჩვენ  
ვიგრძენით, რომ ღირებულნი ვავხდით, ჩვენი ნაწერები ადა-  
მიანებსა და უსულს სამყაროს შორის უფრო ცოცხალ შუამავ-  
ლად უნდა ქცეულიყვნენ, ჩვენ უნდა გავვეთავისუფლებინა  
საგნები იმ ჯადოსაგან, რომელსაც ხილული სამყარო ახვევდა.

ასე გათავისუფლდა ეს სასცენო დაფა ამ ჯადოსაგან და  
ჩვენი ნაწერების ფერადოვან, მფეთქავ პერსონაჟად იქცა.

ასე დაიწყო ჩვენი თვალის ახელა სიტყვების თვალუნ-  
დენელი სიღრმეებიდან ახალ შინაარსთა ამოსატანად.

ერთხელ მოთხრობასავით რაღაც დავწერე, შევეცადე  
მისი სტილისთვის მიმეზაძა, მისი რიტმი გამემეორებინა,  
რა თქმა უნდა, იოლ ხერხს მივაგენი ჩემი ჭკუით, მისთვის  
დამახასიათებელი სინტაქსი გამოვიყენე, თან, სიმართლე  
გითხროდა, ვიგრძენი, როგორ მსიამოვნებდა მისნაირად წე-  
რა, ნაწუკითხე. არაფერი არ უთქვამს ისეთი, რომ შემრცხ-  
ვენოდა, უბრალოდ: არ გინდა მასე წერაო, — დამარიგა.

მოპასანის მოთხრობა „ფუნთუშა“ სანიმუშოდ მიაჩნდა  
ხასიათის ხატვისა თუ თხრობის სტილით. თავიდან ამბავს  
მოგვიყვა და გვითხრა, აბა, თქვენ როგორ დაასრულებდი-  
თო. ასე გვმუხტავდა შემოქმედებითი ენერგიით, ასე გვას-  
წავლიდა და გვწვრთნიდა სიტყვასთან ჭიდილისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე მეგობარი შინ ვესტუმ-

რეთ. თბილად შეგვხვდა დაუკითხავად შეხეტებულებს. მაშინ პირველად შეგვხვდით როსტომსაც, რომელმაც წიგნები გამოუტანა მამამისს, „მთაგრეხილი“ ოთარ ჩხეიძის ავტოგრაფით — ძვირფასი სახსოვარია.

მერე ჩვენი ჯგუფი ზღაპრული სისწრაფით გაიზარდა, ნელ-ნელა გვემატებოდნენ სხვა კურსელები თუ სხვა ინსტიტუტელები. ოთარ ჩხეიძის ლექციები ახალგაზრდა შემოქმედთა საყვარელ სალამოებად გადაიქცა.

პირველი ჰონორარი „ლიახვში“ დაბეჭდილ ლექსებში ავიღე. რედაქტორი იყო. გორში გამოდიოდა.

მასხოვს, ჩემი ერთი პანაწინა ლექსი მოეწონა. მას შემდეგ ეს ჩემი საყვარელი ლექსია: „ჩუმად მოდიან ქალწულები ფრთხილი ნაბიჯით, ახლა იდუმალ ტახტრევანებს ჩამოქსოვს მთვარე, და ციმციმ, ციმციმ წავლენ ქალწულები მრუმე ღამეში და იმ შორეულ ნათლის სვეტებს შეერევიან“.

მაოცებდა მისი უნარი, ყველასთვის უშურველად გაეცა სიტობო, სიყვარული და ყურადღება. ნებისმიერი ჩვენგანის ათასწიერი სისულელეს მოუღებდა ისმენდა. ხანდახან გალიზიანებულს გამიფიქრებია კიდევაც მავანზე, ნეტავ აზრს რას ეკითხება, ან მის აზრს უბდას რას უსმენს, მაგან ჭკვიანური რა უნდა თქვას-მეთქი, მაგრამ ოთარ ჩხეიძე ასე არ ფიქრობდა. და ის, რომლის ჭკუა-გონებაზეც დიდი აზრისა არ ვიყავი, გახარებული და გაბადრული გვიყურებდა, რომ ოთარ ჩხეიძე ყურადღებას აქცევდა, უსმენდა, ეთანხმებოდა.

მე ახლაც ვხედავ, უნივერსიტეტის აღმართზე ამავალს, ფიქრიანს, ასე ტაძარში მიდის ადამიანი.

ვხედავ, როგორ ჩამოვრბივარ კიბეზე, შევნიშნავ და დროს რომ ვიხელთებ, ვეუბნები, რომ ვხატავ. ის გრძნობს, რომ ერთი სული მაქვს ვუთხრა, რას ვხატავ, და თბილად მეკითხება. უფრო პორტრეტებს; მოსე, მოციქულები... ნამდვილი, ცოცხალი ადამიანებისა არა. მერე გავრბივარ სხვა კორპუსისკენ, ის კი აუჩქარებლად მიდის, თითქოს იცის, რომ ახლა ჩემი მეგობარი დაესხმება თავს, ჩემგან განსხვავებით, მორიდება არ შეუშლის ხელს, რომ ჩაეხუტოს და სიყვარული აუხსნას. განა ერთხელ? ყოველ შეხვედრაზე.

ხანდახან სხვა რაღაცებში დახმარებასაც ვთხოვთ, მაგალითად, რა დაგწეროთ საკურსო თემად. თემები არ არის. ყველაფერი დაწერილია. მე ფროიდი მაინტერესებს, ჯავახიშვილი და ფროიდი — წერდა ჯავახიშვილი ფროიდის გავლენით? საინტერესოდ მსჯელობს. შეიძლება მწერალს გავგონილიც არ ჰქონდეს ფროიდი, მაგრამ მის ნაწერებში დაინახონ მისი კვალი.

რა თემა ავირჩიო? — არ ეშვება ჩემი აბეზარი მეგობარი.

სად არის თემები?

ოთარ ჩხეიძე იღიმება. ერთი პროფესორის ნათქვამს იხსენებს, ზუსტად ასეთ კითხვაზე, სტუდენტებს რომ უთხრა, აიხედეთ ცაში, ხომ ხედავთ ვარსკვლავებს, თემებიც ასეა, უამრავია, დაუთვლელი, მთავარია, დანახვა შეგეძლოს.

ნელ-ნელა ემატება ფურცლები ჩემი ცხოვრების წიგნს. ეს ერთდროულად ძიძი და მსუბუქი წიგნია, უხილავი ბაკანივით დამაქვს ეს ტვირთი, ხანდახან შევიყუყუები ამ წიგნში და ფფურცლავ გაყვითლებულ ფურცლებს. იქ იმდენი ადამიანია. იმდენი მთა, ზღვა, მინდორი, ქარი, ყვავილი და ბილიკია. ბილიკები. ერთ ბილიკზე ოთარ ჩხეიძეს შევხვდები, იქნება სალამო, მთვარიანი, მისი სხივებიც ბილიკები იქნებიან და მერე ის ერთ ასეთ ბილიკს გაუყვება და ღრუბლებში გაუჩინარდება. სინანული დამეუფლება, მაგრამ დავინახავ როგორ შეიცვლის ღრუბელი ფორმას და წიგნად იქცევა, ოთარ ჩხეიძის რომელიმე ცოცხალ წიგნად, უზარმაზარ ჭიშკარში მდგარი მასპინძელივით სტუმარი მკითხველთა მოლოდინში გზისკენ ყურადღებით, ბევრითად მაცქერალი. აგერ, გამოჩნდა ვილაც... მეც გა-

გუბაზ მეგრელიძე

## უშანგი ჩხეიძის დაუმთავრებელი პიესები

უშანგი ჩხეიძის შესახებ არაერთი წიგნი გამოსულა და მდიდარი ლიტერატურაც არსებობს. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დიდი მსახიობის პირადი არქივი, რომელშიც ბევრი საინტერესო დოკუმენტი, სხვადასხვა სახის მასალა გვხვდება, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ამჯერად მკითხველის ყურადღება მიმდა შევაჩერო უშანგი ჩხეიძის დაუმთავრებელ პიესებზე, რომლებიც თავისი ფრაგმენტული ხასიათის მიუხედავად ინტერესს იწვევს.

ფრაგმენტი „ქეთინო და გუგა“ ცალკე სცენის ან ეპიზოდის სათაურია, ვიდრე მთლიანი პიესის. სცენა იწყება დიალოგით ქეთინოსა და გუგას შორის. არაა დასათაურებული, თუ რომელი მოქმედებაა, ან რომელი სურათი. დიალოგის შემდეგ ავტორი რემარკის სახით გვამცნობს მოქმედების შინაარსს. ნაწყვეტი იმდენად პატარაა, რომ რაიმე დასკვნის გამოტანა ძნელია. არც იმის გარკვევაა ადვილი, დასაწყისია ეს სცენა, შუა ნაწილი, თუ ფინალი. ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ქეთინოსა და გუგას ერთ დროს ქუთაისში უცხოვრიათ და ერთმანეთი ჰყვარებიათ, მაგრამ რაღაც შემთხვევისა თუ გაუგებრობის გამო არ შეუღლებულან. აი, ისინი დიდი ხნის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს. გუგას აზრით შეხვდნენ მაშინ, როდესაც ყველაფერი დამთავრებულია. თუმცა ქეთინოს მომავლის იმედი მაინც აქვს. როგორც ჩანს, გუგა ავადაა, რადგანაც პირველი ფრაზა ასეთია: „ქეთინო — კარგი, მხოლოდ შენ დამშვიდი და დაიძინე.“ ამ ფრაზას მოსდევს გუგას ვრცელი მონოლოგი, სადაც იგი ხელჩაქნეულა და წარსულს მისტირის. იგონებს ქუთაისს, ქეთინოსთან შეხვედრებს, იქაურ სალამოებს. მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე. ეს მონოლოგი უეცრად წყდება.

შემდეგ გვერდზე ავტორი გადმოგვცემს უკვე მოქმედების განვითარებას. ქეთინო რომანსს მღერის, რომელმაც გუგას უეცარი მღელვარება და დიდი განცდები მოჰგვარა, რაც მისი სიკვდილით მთავრდება. ქეთინო სასონარკვეთილია. გარედან ისმის ხმაური, სიმღერის ხმა და სხვა. თუ რატომ კვდება გუგა, რა მიზეზით, ან რა მოტივირება უძღოდა ყოველივე ამას წინ, ამის დადგენა შეუძლებელია. ნაწყვეტის ძირითადი ღირსებაა გუგას მონოლოგში მხატვრულად სრულყოფილი ზოგიერთი ადგილი.

უსათაურო ფრაგმენტები მესხეთის თემაზე ორ რვეულს შეადგენს და მხოლოდ მათშია საერთო თემებზე საუბარი.

პირველი სურათი, რომელიც ნახევარ გვერდს მო-

იცავს და იქვე წყდება, ნიკო სავანელის ბინაში მიმდინარეობს, მოცემულია ორი გმირის, ანიკოსა და კოკონიას დიალოგი. ანიკო თითქოს დასცინის კოკონიას, რომელიც ტრახახობს, თუ როგორ მიხედა დედის საფლავს. ავტორის მიერ ძუნწად დახასიათებული გმირების შესახებ ვიგებთ, რომ კოკონია კომბინატორია, რომელიც ყოველ მეორე სიტყვაზე „იმას ვქენის“ გაიძახის. ავტორს კარგად აქვს მიგნებული ასეთი კატეგორიის ადამიანის ნიშანი — კოკონია კაცობაზე დებს თავს და დედის საფლავის მოვლით ტრახახობს. თანაც სახელი კოკონია სპეციალურადაა შერჩეული მისი არაკაცობის ხაზგასასმელად.

შედარებით მოზრდილი ეპიზოდია მეოთხე სურათით დასათაურებული ნაწყვეტი. ამ სურათში სიუჟეტის განვითარებაცაა და დიალოგები მონოლოგების ფორმით გვხვდება ნიკო სავანელსა და მის მეუღლე ანიკოს შორის. ამ ფრაგმენტიდან შეიძლება პიესის ძირითადი იდეის ნაწილობრივ მიხვედრა. დასაწყისშივე ირკვევა, რომ ანიკო მსახიობია, რომელსაც ბენეფისი ჰქონდა და სტუმრების ნასვლის შემდეგ შინ ცოლ-ქმარი მარტო რჩება. ისინი საუბრობენ მსახიობის პროფესიაზე, რომელმაც მაყურებელს სიხარული მოჰგვარა, მასში კეთილშობილური ზრახვები გააღვივა, რითაც ისინი თავიანთ ცხოვრებას ნაყოფიერად თვლიან, რომ ვალი მოიხადეს ქვეყნის წინაშე და კიდევ შესწევთ სარგებლის მოტანის უნარი — გაზარდონ პატიოსანი, მშრომელი, განათლებული თაობა. ავტორი პროზაულად, რემარკის სახით გვამცნობს მათ შორის საუბრის თემას, რასაც დიალოგი მოჰყვება:

**„ნიკო —** არა, ხვალინდელი დღე ისეთივე სავსე იქნება სიახლით, მოულოდნელობით, ნათელი იდეებით, როგორც ამ ორმოცი წლის წინად, როდესაც ჩვენ ცხოვრებას ვიწყებდით. მხოლოდ ეხლა მომავალი უფრო ნათელი და გარკვეულია, არა ისეთი ილუზიებით, ბუნდოვანებით სავსე, როგორც მაშინ.

**ანიკო —** და სწორედ ამიტომ ნაკლებ საინტერესოა.

**ნიკო —** არა სიცრუეა, სიცრუეა ეგ სიყალბე. ჩვენი გონება მომწიფდა და უკეთ გვესმის ჩვენი შრომის მიზანი და ამოცანა.

**ანიკო —** მაშინ პოეზია იყო... ეხლა პროზაა, უფერული პროზა.

**ნიკო —** უფერული შეიძლება იყოს არა მარტო პროზა, არამედ პოეზიაც“.

მიუხედავად ნიკოს ასეთი ოპტიმისტური განწყობისა, ამ ეპიზოდის ნათელად ჩანს, რომ ცხოვრების გარკვეული და ალბათ დიდი ნაწილი, ორმოცი წელი გავიდა. მოხუცებებიც მარტობის მკრთალ ბურუსში გახვეულან. ამასვე გრძნობს მათი ქალიშვილი ქეთინო, რომელიც შემ-

თხვევით შემოუსწრებს მშობლებს: „კარებში გამოჩნდება ქეთინო. ის შედგა, კედელს მიეყრდნო და გაქვავებულივით დგას. ეშინია დაარღვიოს დედ-მამის მარტობა.“

ნიკოს საუბარში არსებული ცხოვრებისეული რწმენა შემდეგ ეპიზოდში, მესხეთის ერთ-ერთ სოფელში, იდეის სახით უფრო ნათლად იკვეთება.

ეს ეპიზოდიც ავტორს რემარკის სახით ჩამოუყალიბება და სცენის დასასრულს გვთავაზობს ნიკოსა და ანიკოს დიალოგს. აქამდე კი ავტორს, როგორც ჩანს, სურვილი ჰქონდა სოფლის გარემო და მოსახლეობა დაეხატა და ყოველივე საზეიმო განწყობით გადმოეცა. თუმცა ზეიმის მიზეზი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, ვინაიდან ასეთ რემარკას ვკითხულობთ: „ქეთინოს დღეობა“ — ამ უკანას-

კნელს ხაზი აქვს გასმული. რემარკის დასაწყისში ვიგებთ, რომ მესხეთში მყოფ ქეთინოსთან მისი მშობლები ლადოსა და კოკონიასთან ერთად ჩამოდიან. ხოლო თუ საიდან მოხვდა ქეთინო მესხეთში, ამის ვაგება შეიძლება „დაჭრილი ლეო“-თი დასათაურებული ნაწყვეტიდან. დაჭრილ ლეოს ექიმი და ექთანი ჭრილობას უხვევენ. ერთ-ერთ კოლმეურნეს მასთან შემოჰყავს ქეთინო. იგი საყვედურობს ლეოს, თუ რატომ არ შეატყობინა თავისი ამბავი და გადაწყვეტილი აქვს მის გამოჯანმრთელებამდე სოფელში დარჩენა.

იმ ეპიზოდში კი, როდესაც მშობლები ქეთინოსთან ჩამოდიან, ლეო გამოჯანმრ-

თელებულია. ეს ყოველივე ავტორს სიუჟეტური ხაზის განვითარებისთვის სჭირდება. სწორედ ამ ეპიზოდში ჩანს ავტორის იდეა, თუ რისი თქმა სურს მკითხველისთვის. ზეიმის, დაბადების დღის თუ ჯილდოს მიღებისას ლეო ერთ-ერთ ბავშვს მიმართავს:

„აბა, ხასან, შენ თუ იტყვი ლექსს? ხასანი კითხულობს ლეონიძის „დედა-ენას“. შეიძლება ამ ლექსზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ ამ ლექსით იკვეთება პატრიოტული, ეროვნული თემა, რასაც ხასანის ვინაობის გარკვევაც ადასტურებს.

ამ ეპიზოდის ბოლოს ნიკო და ანიკო ისევ მარტონი რჩებიან და მათი წარსულისა და მომავლის დამაკავშირებელი დიალოგიც გრძელდება: „აი, შეხედე, ანიკო, ჩვენს ძველ, მამა-პაპათა მინაზე იწყება ახალი ცხოვრება. ახალი მესხეთის განახლებულ მინაზე განა არ ღირს შრომა ამისათვის, განა ახალი, უჩვეულო რამ არ მოაქვს ცხოვრებას. დაკარგული მიწა უზრუნდება თავის დედა-სამშობლოს. მტრის ურდოებმა ვერ წაშალეს ქართული ნაკვალევი. ჩვენ ვიშრომებთ იმისათვის, რომ აღდგეს მთლიანი მესხეთი, სამხრეთ საქართველო. ლეო და ქეთინო ესენი ჩვენი მომავალი, შემცვლელი თაობაა. ძლიერი ნებისყოფის მქონე. ეგენი დიდ საქმეს აკეთებენ.“

ეს ნაწყვეტი თავისი პათოსით დღევანდელ დღეს კარ-



უშანგი ჩხეიძის ბიუსტი ზესტაფონში

გად ეხმიანება. მითუმეტეს, როდესაც ამ თემაზე უამრავი ლიტერატურა და ხელოვნების სხვა ჟანრის ნაწარმოებები შეიქმნა. დღეს შველა უნდა არამარტო მესხეთს, არამედ საქართველოს სხვა მთიან რაიონებსაც. აქედან უკვე ცხადი ხდება ავტორის იდეაც. მას სურს ეროვნული მოტივები წინ წამოსწიოს. კერძოდ, ერთ დროს აყვავებული ქართული მიწის აღორძინებისა და განახლების პრობლემის დასმისას უშანგი ჩხეიძეს აქცენტი დადებით გმირებზე გადააქვს.

მეორე რვეულში იგივე მოქმედება უფრო გავრცობილია. რემარკიდან ვიგებთ, რომ მოქმედება 1944 წლის შემოდგომაზე მიმდინარეობს. ავტორი გვაძლევს გმირთა დახასიათებასაც. ანიკო 55-60 წლის სათნო, კეთილშობილური გარეგნობის ქალია. კოკონია ქელნაქიანი ანიკოს დისშვილია, დაბალი ტანის 55 წლის, თავი დიდკაცურად უჭირავს, გაურკვეველი პროფესიის, კომბინატორი, მუშაობს სადღაც ტრესტში ასკილის დამზადებაზე. ლადო არის 45 წლის მამაკაცი, რომელიც სამხედრო ექიმი და ჰოსპიტალში მუშაობს, რომელიც სულ დასცინის კოკონიას. ამ რვეულიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოქმედება და რა თანმიმდევრობით გადმოცემულიყო სხვადასხვა მოვლენა. სამწუხაროდ, არსებობს მხოლოდ დაუმთავრებელი სამი სცენა. დანარჩენი სცენები დაკარგულია, ან აღარ დაუნერია ავტორს.

ამ რვეულის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მასში კარგად ჩანს ის გარემოება, რომ დანარჩენ სამ რვეულში აღწერილ ამბებს არავითარი კავშირი არა აქვთ ჩემს მიერ გაანალიზებულ პიესის ნაწყვეტებთან. თავიდან ავტორი გვამცნობს გმირთა პროფესიებს, ხასიათებსა და წლოვანებას. შემდეგ საუბრობს მოქმედ პირთა ურთიერთკავშირზე და გადადის სიუჟეტური ქარგის თხრობაზე. გვამცნობს იმ კონფლიქტების მიზეზებსაც, რომლებიც პიესაშია მოცემული. პიესაში ორი თაობაა წარმოდგენილი. უფროსი თაობიდან კარგად ვეცნობით მსახიობ ანიკოსა და მის მეუღლეს, მწერალ ნიკო სავანელს. რაც შეეხება საშუალო თაობას, აქ ლეოსა და ქეთინოს სახით კონფლიქტის მიზეზად ავტორს მათი სურვილები აქვს გამოყენებული. 25-26 წლის ლეო ასპანიძე ფრონტიდან ბრუნდება, მას დაღუპულად თვლიდნენ, ვინაიდან ტყვედ ჩავარდა, შემდეგ პარტიზანებს შეუერთდა (უნდა ვუგულისხმოთ, რომ გაიქცა), მაგრამ დაჭრის შემდეგ მოსკოვში გადაიყვანეს და სამშობლოში დაბრუნდა. იგი ნიკოს ყოფილი მოსწავლეა და მისი ქალიშვილი ქეთინო უყვარდა.

მეორე სურათში სწორედ მათი სიყვარულის ამბავია გადმოცემული. სწორედ აქ ეუბნება იგი ქეთინოს, რომ გადწყვიტა მესხეთში დასახლება, რომელიც მისმა წინაპრებმა 300 წლის წინათ დატოვეს და იმერეთში გადასახლდნენ.

ქეთინო ექიმი და ლეოსგან განსხვავებით არ სურს თავისი ახალგაზრდობა გაატაროს სადღაც მივარდნილ ადგილას. მისთვის, როგორც ახალგაზრდა ექიმისთვის აუცილებელია თბილისში დარჩენა და მუშაობა. მათი საუბარი კონფლიქტით მთავრდება. თუმცა, ლეოს დაჭრის შემდეგ მასთან მესხეთში მიდის და მის გამოჯანმრთელებამდე იქ რჩება. მათი შეუღლება კი პიესის დაუმთავრებლობის გამო არ ჩანს. ნიკო მხარს უჭერს ლეოს გადწყვეტილებას, რადგან „ყოველგვარ მუშაობას საფუძვლად უნდა ედვას თავისი ხალხის, ქვეყნის სიყვარული და მაშინ შრომა არსად არ დაიკარგება, უმიზნო არ იქნება და ყოველთვის დადებით

ნაყოფს გამოიღებს და სიხარულს მიანიჭებს.“

მეორე მოქმედების რემარკიდან ვიგებთ, რომ ზეკარის უღელტეხილზე იმერეთიდან მიმავალი გადასახლებულები ისვენებენ. მათთან რაიკომის მდივანი მიდის და ხალხს ესაუბრება. ღამით განათებული ჩირაღდნებით ხალხი დაიძვრება. რაიკომის მდივნის რეპლიკა: „ხალხი ოდესღაც ცეცხლითა და მახვილით განადგურებული, განდევნილი მამაპაპათა სახლ-კარიდან დღეს უბრუნდება დაკარგულ მიწას. ეს არის ახალი ცხოვრების დასაწყისი საქართველოს უძველეს მიწა-წყალზე, განახლებულ მიწა-წყალზე.“

მესამე მოქმედება ლეოს სახლში იწყება, სადაც იგი სამუშაოს გეგმავს და ხელმძღვანელ მუშაკებთან „მერგოლურებთან“ ანაწილებს. შემდეგ ხასანს გაკვეთილებს უმონებებს და უყვება მესხეთის ისტორიას. შემდეგი სურათი სარწყავი არხის მშენებლობას ასახავს, რა დროსაც პოულობენ ძველ ჭურებს, რომლებშიც ოდესღაც გადამალულ საოჯახო ნივთებს, სამკაულს, მოჭედილ ხატებს. ლეო ამ ამბავს რაიკომის მდივანს აცნობინებს, რომელიც ხასანთან ერთად მოდის.

ხასანი, რომელიც პიესის ერთ-ერთი გმირია, ავტორის დახასიათებით არის „ქართველი მაჰმადიანი. ხასანის მამა მოკლეს თურქებმა, როდესაც მაჰმადიან ქართველებს ოსმალეთში ასახლებდნენ. ხასანი ღამით გამოიპარა აყრილი ხალხის ბანაკიდან. გუშაგებმა სროლა აუტეხეს. იგი ხრამში გადავარდა და მკვდარი ეგონათ. გამთენიისას იგი ჩვენს საზღვართან მოვიდა ხოხვით. ჩანოლილი მთელი დღე უთვალთვალებდა ოსმალთა ჯარისკაცებს. საღამოს გამოეპარა მათ და ჩვენმა მესაზღვრეებმა დააკავეს. გამოძიების შემდეგ იგი რაიკომის მდივანმა წამოიყვანა.“

მუშაობისას მარტოდ დარჩენილ ლეოს უცნობი გამოვლასპარაკება და აფრთხილებს, რომ აქაურობა დატოვოს. შემდეგ სცენაში კი დაჭრილი ლეო შემოჰყავთ. სოფელში სროლის ხმა ისმის.

რვეულის ერთ-ერთ გვერდზე ავტორს მითითებული აქვს ზუსტი თარიღი, თუ როდის მოხდა იმერეთიდან რამდენიმე გვარის ჩასახლება მესხეთის სოფლებში. ესაა 1944 წლის 13-17 ნოემბერი. იმავე ხანს მოხდა მაჰმადიან ქართველთა ყაზახეთსა და შუა აზიაში გადასახლება.

სამწუხაროა, რომ უშანგი ჩხეიძემ პიესა ვერ დაასრულა, თუმცა ჩანს, რამდენად კარგად ფლობს იგი დრამატურგიულ ხერხებს. აღსანიშნავია ენა, დიალოგები ლაკონური და თავისუფალია, არაა გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. პიესის მთავარი ღირსება მისი იდეისა და საკითხის დასმის სრულფასოვნებაშია, რომელსაც თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს და დღესაც საინტერესოდ უღერს.

მეოთხე რვეული დასათავრებულია „სცენა რესტორნის კაბინეტში“ და 15 გვერდს შეიცავს. ამ ნაწყვეტიდან პიესის ძირითადი იდეის გამოკვეთა ძნელია, თუ არ ჩავთვლით იმ შემწანურ თუ ყალბი ქართული პატრიოტიზმით გაჯერებულ დიალოგებს, რომლებიც მრავლად გვხვდება ამ ნაწყვეტში. უფრო შესაძლებელია გმირთა ხასიათების დანახვა და ამ სცენაში შემავალი თემების წარმოსახვა პერსონაჟთა სხვადასხვა ხასიათის გამოკვეთის მიხედვით. რესტორნის კაბინეტში შეკრებილი გმირები მსახიობები და თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლები არიან. ბოლომდე ჩამოუყალიბებელი იდეის უქონლობის გამო პიესის ღირსებებზე უნდა ვიმსჯელოთ იმ თემებით, რაზეც ქეთინოს დროს

პერსონაჟები საუბრობენ.

თუ ნიკო შედიანი მსახიობია და სუფრაზე მყოფი ხალხი გარკვეულწილად დიდ პატივს სცემს მას, არანაკლები ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს რეჟისორი ანდრიაძეც. ამაზე მეტყველებს ის დიალოგიც, რომელიც ილო ჯაშა და ანდრიაძეს შორის იმართება.

**„ილო — (დაშლა) დავით როსტომიჩს ორიოდ სიტყვა უთხარით, გაეხარდება.“**

**ანდრიაძე —** ჰო, რასაკვირველია, ვეტყვი“.

სუფრას, რომელიც რუსულ-ქართულ ენაზე მიდის, ნიკო ჯაში თამადაობს. ის ამ „მაღალ ტრიბუნას“ სამლიქენელოდ მშვენივრად იყენებს. სულ მალე ირკვევა, რომ ისიც მსახიობია, თუმცა თამადაობა უფრო ეხერხება. საუბარში აქტიურად არიან ჩაბმული ქალები მუსია და საჩილო. ავტორი გამართა საშუალებით ამხელს მათ მეშჩანურ ხასიათს. მუსია ქართულად ლაპარაკსაც კი არ კადრულობს.

**„ილო — ბიჭოს, ეს რა გაგიგონე?“**

**ბირკაძე —** რა მოგივიდა?

**ილო —** ჩვენი სუფლიორი, ხომ არსად არის აქ?

**ანდრიაძე —** რატომ კითხულობ?

**ილო —** ბატონო, ქართულად ჩაილაპარაკა და მაგ ქართულს უსუფლიოროდ არასოდეს ლაპარაკობს (საერთო სიცილი)“.

ავტორი წინააღმდეგია ქართულში უცხოური სიტყვების შემოტანისა და დამკვიდრების. აგრეთვე სახელთა დამახინჯების, რაც ნათლად ჩანს შემდეგი დიალოგიდან.

**„ანდრიაძე —** რა უყოთ, ეს აღზრდის ბრალია, მონარქისტული რუსეთის პოლიტიკა.

**ილო —** არა ბატონო, ეს დევენერაციის ბრალია. გადავარდნენ, ბატონო, აბა რა არის მუსია, დუსია, ბუსია, პუსია.

**ზიზილო —** თქვენა, თქვენა, ჭუჭულია, კუკულია, ცუცუნია...“

ამ დიალოგს კი მოსდევს საქართველოს სადღეგრძელო, რაც ასე აქვს ავტორს დახატული.

**„შედიანი —** შეიქნა ბროლა ლიხის მთასთან. აი, ბატონებო, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკის ნაშთი.

**ანდრიაძე —** შესწყვიტეთ ომი, გაუმარჯოს მთლიან საქართველოს (სვამს).

**შედიანი —** ვაჰა.

**ბირკაძე —** ვაჰა, დავით როსტომიჩ.

**ამირანიძე —** გაუმარჯოს.

**ილო —** გენაცვალე სულში“.

აი, ასე ჩხუბსა და ცეკვებს შორის ისმება საქართველოს სადღეგრძელო. ამით ავტორს სურს გამოხატოს თავისი გულისტკივილი ქართული ენისა და ერის შვილთა გადაგვარების გამო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რესტორნის ლაქიას „ჩაჩიკას“ სახე. ესაა იუმორით დაჯილდოებული, მაგრამ ძირს დაცემული, საკუთარ ყოფას შეგუებული კაცი, რომელიც ყველას დაკრულ დუღუკზე ცეკვავს. აი, მისი სიტყვები:

**„ჩაჩიკა —** ეხ, კულაკი კი არა, დურაკი ვარ, ბატონო, ლაქიობაში დავბერდი კაცი. რას მიბრძანებთ მოგართვათ?“

სამწუხაროდ, ეს ეპიზოდი, როგორც სხვა დანარჩენები, უეცრად წყდება. ეს მით უფრო დასანანია, რომ არაერთი მშვენიერი ადგილი, ქართული იუმორითა და კოლორიტით აღსავსე სახეები გვხვდება. ძნელია ნაწყვეტის თარიღის განსაზღვრაც, რომელიც ალბათ მეორე მსოფლიო ომამდე

უნდა იყოს დაწერილი, რადგან სადღეგრძელოებში არაა არავითარი მსგავსი რამ ნახსენები, ხოლო კონტრრევოლუციასა და კულაკობაზე საუბარს კი რამდენჯერმე ვხვდებით. ავტორი დასცინის ყალბი დიდების მოყვარულთ, რომელთაც ხელოვნებაში სურთ მწვერვალების დაპყრობა, ხოლო ცხოვრებაში არ გააჩნიათ წმინდა მორალური სახე და არც ძირს დაცემას უკადრისობენ.

ამ სცენაში უშანგი ჩხეიძე დასცინის თეატრალურ წრესა და მსახიობებს, ირონიულად საუბრობენ გმირები რეჟისორის პროფესიისა და პიროვნების შესახებ.

**„ბირკაძე —** ბიჭო, ძნელი მოვალეობაა შენთვის არტისტობა, თორემ თამადაობა ზედგამოჭრილი შენი ხელობაა (სიცილი). აგრე ნეტავ თამაში გეხერხებოდეს.

**ილო —** მე თამადად მაინც ვარგივარ, მაგრამ შენ რომ არაფრად ვარგიხარ შე საწყალო! დავით როსტომიჩ, თუ ეს არ გააგდე თეატრიდან მე ამის დადგმებში აღარ ვითამაშებ.

**ბირკაძე —** აი, დარდი. დაილუპება ქართული თეატრი.

**ილო —** ქართული თეატრი მაშინ დაილუპა, შენ რომ რეჟისორად გახდი (სიცილი). მოგვიანებით კი ილო ეუბნება: „რეჟისორი ხარ ბიძია, შენ გოჭს კი არა, კაცს არ დაზოგავ“.

ავტორის ასეთი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, მარჯანიშვილის თეატრში არსებული კონფლიქტური ვითარებიდან გამომდინარეობს, როდესაც კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელად უშანგი ჩხეიძე დაინიშნა, რომელსაც ამ თანამდებობას დოღო ანთაძე ეცაღებოდა. ავტორი მსახიობთა გარემოს მსუბუქად, იუმორით გვიხატავს და მათ პიროვნებებს დასცინის, როცა ამირანიძე მსახიობ ჩრდილელის შესახებ ამბობს:

„რა ვიცი, ცეკვაში და სიმღერაში ძალიან მარჯვეა და სხვა რა უნდა არტისტობას.“ ამ შემთხვევაში მსახიობის პროფესია დაკნინებული და ირონიზებულია, თეატრალური გარემოც გაბიაბრუებულია და რესტორანში ქეიფის დონეზეა დაყვანილი. მსახიობისადმი ასეთი დამოკიდებულება შემდგომშიც გვხვდება ფრაგმენტში „სცენა: გოფილექტის ერთ-ერთი ოთახშიც“, სადაც მსახიობ პეტრესთვის ტყუილის თქმა და სმა ცხოვრებისეულ ნორმადაა ცქეული.

ბოლო, მეხუთე რვეულს ავტორის ხელით მიწერილი აქვს „მესამე მოქმედება“ და დასათაურებულია „სცენა: გოფილექტის ერთ-ერთი ოთახი“. იგი თავისი შინაარსითა და თემატიკით სრულიად განსხვავდება სხვა დანარჩენებისგან და 35 გვერდს შეიცავს. რვეულის ბოლო გვერდზე მიწერილი ოთხიოდე სტრიქონი რომ არა, იგი დასრულებულ დრამატურგიულ ნაწარმოებად ჩაითვლებოდა, სკეტჩად ან ერთმოქმედებიან პიესად. ამ სცენას აქვს გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი, დასაწყისით, მოქმედების განვითარებითა და ფინალით. ბოლო გვერდის მიწინააღმდეგეობა, რომ პიესას ჰქონია პირველი და მეორე სურათიც, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

„I სურათში ბოლო (უნდა დარჩენენ თეიმურაზი და ზურაბი). გადასაკეთებელია მე-2 სურათში. ა) ქავთარიას და თენგოს სიკვდილის ამბავის მოტანა პეტრეს მიერ. ბ) გიორგის ადგილი დამარცხების წინ. გ) მზევინარის მონოლოგი შეშლილობის დროს.“

როგორც ვხედავთ, ავტორი გარკვევით მიუთითებს სხვა სცენების არსებობაზეც, თუმცა შინაარსის მიხედვით ამ სტრიქონების დაკავშირება ძნელია ნაწარმოებში გაშლილ სიუჟეტთან. რამდენადაც პეტრე არის მთავარი გმირი

და პირველ ფურცელზევე ავტორი მიგვანიშნებს კონკრეტულ სცენაზე, რომელიც გოფილექტის ერთ-ერთ ოთახში ხდება, შეიძლება ითქვას, რომ არსებული მასალა არის დაწერილი, თუ დაუნერელი პიესის მესამე მოქმედება.

წინარმოებში ხუთ მოქმედ პირს ვხვდებით: შეყვარებულებს — იუმორისტ პეტრე პოჭიკაშვილსა და ბუტუზიკას, ფოტორეპორტიორს, მსახიობ ხახულის და პეტრეს დეიდას მაკას. სიუჟეტი შემდეგი სახისაა: პეტრეს ჰყავს საცოლე ბუტუზიკა, რომლის გულისთვისაც იგი ბასკების საფეხბურთო თამაშზე ბილეთებს შოულობს. ბილეთებისთვის მას თავს ესხმიან ხახული და მაკა. პეტრე ხახულის ადვილად მოიგრიებს, მაკას მოცილება კი ძალზე გაუჭირდება.

ახლა კი უფრო ვრცლად მივყვეთ პიესის სიუჟეტს. პაემანზე, რომელიც პეტრესა და ბუტუზიკას დაუნიშნავთ, პირველი ბუტუზიკა მოდის. პეტრეს დაგვიანებით კი იგი შეურაცხყოფილია. ამიტომაც საქმროს საყვედურობს, ლაპარაკს არ აცლის და თავის მართლების საშუალებას არ აძლევს. პირველივე დიალოგებიდან ჩანს, თუ რა ხასიათის გმირებთან გვაქვს საქმე, ავტორი საინტერესო ხერხს მიმართავს. მოვიყვან ნაწყვეტს:

**„ბუტუზიკა —** მე, ისე ვატყობ, შენთან ცხოვრებას ვერ შევძლებ და სჯობს ესხლავე დავშორდეთ ერთმანეთს.

**პეტრე —** რაო?

**ბუტუზიკა —** შენ ესხლავე უყურადღებოდ მექცევი და ხუთი, ან ათი წლის შემდეგ რაღას ჩაიდენ?

**პეტრე —** რას ამბობ, გენაცვალე, ბუტუზიკა, ასეთი უბრალო მიზეზისათვის უნდა დავშორდეთ?

**ბუტუზიკა —** აქედანვე უნდა მომცე სიტყვა, როგორი იქნები მომავალში, ვთქვათ ხუთი წლის შემდეგ?“

ბუტუზიკა პეტრეს ცოლობის შემთხვევაში მოითხოვს სამი პირობის შესრულებას. მას უნდა მსახიობობა, აგრეთვე პეტრემ თავი უნდა დაანებოს სმასა და ტყუილებს. პეტრე წინააღმდეგობას უწევს და მათ დიალოგში თვალნათლივ იკვეთება იუმორით დახატული ხასიათები:

**„ბუტუზიკა —** რესტორნიდან გამოდიხართ, ყოველთვის ღვინის სუნი გიდიტ ხოლმე.

**პეტრე —** გენაცვალე, რესტორნიდან აბა საკმეველის სუნი ხომ არ გამოიყვება.

**ბუტუზიკა —** ესხა მესამე პირობა: უნდა თავი დაანებოთ სიცრუის ლაპარაკს.

**პეტრე —** ეგ, მეტისმეტია ასეთი შეურაცხყოფა... კაცო, მე რომ სიმართლე ვილაპარაკო დევილუები, გეფიცები სინდისს. ჯერ ერთი ნაცნობები ველარავინ მიცნობს და მეგობრებს დავკარგავ. მეორე — ყველა დამემდურება და მესამეც, რაც არ უნდა სიმართლე ვილაპარაკო, სულ ერთია ტყუილი ეგონებათ“.

ავტორი მსუბუქი იუმორით ხატავს მათ სასიყვარულო ურთიერთობას. როდესაც ბუტუზიკა იგებს, რომ დაგვიანების მიზეზი არის არა ღალატის, რასაც იგი პეტრეს აბრალებდა „ამლილი თმებისა და ამღვრეული თვალების“ გამო, არამედ ფეხბურთის ბილეთები, რომლებიც პეტრემ უშველებელ რიგში, პასკის ცომივით მოხელილმა აიღო, ბუტუზიკა უკვე თვითონ იხდის ბოდის და ყველაფერზე თანახმაა.

შემოდის ფოტორეპორტიორი, მეჩონგურეებს რომ ეძებს ბიცოლას გასვენებაში წასაყვანად, რომელსაც დაუბარებია: „უსათუოდ ჩონგურით გამასვენეთ“. შემდეგ შემოდის პეტრეს ამხანაგი, მსახიობი ხახული, რომელიც ბასკ

ფეხბურთელთა სანახავად, ალბათ გასტროლებზე მყოფი, სვანეთიდან ჩამოვიდა და ბილეთი ვერ იშოვა. ავტორი იუმორით აღწერს მათ სცენას, რა დროსაც პეტრეს ჰგონია, რომ ხახულის ფული უნდა, მაგრამ როცა გაიგებს ფეხბურთის ბილეთის დათმობას, პეტრე მას უარით ისტუმრებს. წასვლისას ხახულის დიდი შეხლა-შემოხლა მოსდის პეტრეს დეიდასთან. თუ ფოტორეპორტიორი არც ისეთი მსუყე ფერებითაა დახატული, ხახული უკვე მკვეთრად ჩამოყალიბებული ტიპაჟია. ასევე, მშვენივრად ხატავს ავტორი დეიდა მაკას, რომელიც ცდილობს ბუტუზიკას ბილეთის ხელში ჩაგდებას და ბოლოს შეყვარებულებს სტადიონზე „ზაიჩიკად“ მისდევს.

ასეთია პიესის შინაარსი, რომელიც დაწერილია ბრწყინვალე იუმორით, იკითხება დიდი ხალისით და დახატულია ქართველი კოლორიტული გმირები. იგრძნობა მშვენიერი რიტმი, ჭარბობს იმერული დიალექტი, გამართულია დრამატურგიულად და გამოდგება სცენაზე დასადგმელად მცირეოდენი შესწორებებისა და ფინალის გამძაფრების შემდეგ. ეს სცენა დაწერილი უნდა იყოს 1937 წელს, როდესაც ბასკი ფეხბურთელების ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია და სწორედ ბილეთების შოვნისა და მატჩზე დასწრების სურვილის ალიაქოთს აღწერს ავტორიც.

დასანანია, რომ უშანგი ჩხეიძეს არ დაუმთავრებია აღნიშნული პიესები, თუმცა ისინი უთუოდ გაამდიდრებენ და დაეხმარებიან მკვლევარებს მისი პიროვნების სრულყოფი-

**ჩვენი ფოსტა**

**ბატონო როსტომ,**

ვივლი, ვივლი და მაინც თქვენ მოგაკითხავთ ხოლმე; ამჯერად უნდა გაგანდოთ „ჩემი გულის დარღები“, რაზედაც არც თქვენ დარჩებით გულგრილი.

გახსოვთ, ალბათ, **ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამცხიერო კონფერენციის** შემაჯამებელ სხდომაზე გიორგი გოგოლაშვილისა და იოსებ ჭუმბურიძის შემოთავაზებით თქვენთან ერთად დაეთქვი, რომ შემდგომი კონფერენცია მიეძღვნებოდა **ნიკო ლორთქიფანიძეს**, რასაც სიურპრიზივით დაემთხვა ამ შესანიშნავი მწერლის **სამტომეულის** გამოცემა („პალიტრა“, 2012წ.). ამ საგულისხმო ფაქტმა მკითხველს საშუალება მისცა, კიდევ უფრო ღრმად ჩაესხედა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით სამყაროში.

როგორც კი ხელთ მოვიგდე ეს სამტომეული, რუდუნებით გადავფურცლე პირველი ტომი... მეორე... მესამე... და, ჰოი, საკვირველებავ! სამტომეულში არ აღმოჩნდა მინიატურული პროზის შედეგრი — **„ტრაგედია უგმიროთ“**.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! არადა, სარედაქციო ჯგუფის შემადგენლობა საკმაოდ კომპენტენტურია.

მამ რაღას მივანეროთ მკითხველის განზილება: დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას თუ შემთხვევითობას?

განა შეიძლება, ვინმემ წარმოიდგინოს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამ მინიატურის გაგრეშვ?

ფაქტია, ამ სამტომეულით ჩვენს ხელთაა ნიკო ლორთქიფანიძე უ„ტრაგედია უგმიროთ“.

**განხილავალი მკითხველი**

ეკა ბუჯიაშვილი

# ბზაზე უცნაური მგზავრი მიდიოდა

ილიაში ამოჩრილი „ფოლგის“ ქალაქი მიჰქონდა და სადღაც მიიჩქაროდა...

ასეთი იყო მისი ბოლო წუთები. კაცისა, რომელმაც თავისი გამორჩეული კვალი დააჩნია 80-90-იანი წლების გორის ლიტერატურულ-კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

**ომარ ჩუბინიძე** დღესაც გამორჩეული სიყვარულით იგონებენ მეგობრებიც, ახლობლებიც, უბრალო ნაცნობებიც — როგორც უცნაურ კაცს, ერთი კინოფილმისა და არაერთი წიგნის პერსონაჟადაც რომ იქცა, გორის საკრებულოსაც რომ იქცა რომ თავკაცობდა, ამ ქალაქის პრეფექტობასაც რომ ჩააბარებენ და კიდევ დაახლოებით ასეთი:

აი, მიდის კაცი, სულაც დილიდან საღამომდე გაკრულია თავისი სამშობლოს გზებზე, ხან რომელს ფეროს შეეხება, ხან რომელს... და ყველგან თავის კეთილ და ღირსეულ კვალს ტოვებს.

ან ზის თავის სიგარეტით გაკვამულ ოთახში, ერთ ღერს ჩააქრობს და მაშინვე მეორეს მოუკიდებს, დროდადრო თავსა და მზერას ააყოლებს ნაცრისფერ კვამლს და... თავისას ფიქრობს.

უცნაურ რამეებს ფიქრობდა — აი, ისეთს, ჩვეულებრივ ყოფითობაში ჩაფლულ, ყოველდღიური საზრუნავით გაბეზრებულ ადამიანებს მაინცდამაინც რომ არ გვჩვევია და ამიტომაც თვითონაც უჩვეულოდ მოჩანდა საერთო ფონზე.

სწორედ ამ ადამიანს იგონებენ ახლა გორის იმჟამინდელი საკრებულოს აქტიური წევრები: მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე **ერმილე მალრაძე** და ფიზიკოსი **აკაკი ფანქველაშვილი**.

\*\*\*

— ვინც ქართულ საქმეს აკეთებს, ყველა ჩვენიანია, განურჩევლად მისი ასაკისა, წარსულისა თუ პოლიტიკური მრწამსისა, ისინი გვერდით უნდა დავიყენოთ და მივცეთ საშუალება, ის ქართული საქმე აკეთონო, — ამბობდა ხოლმე **ომარ ჩუბინიძე** და საზოგადო საკრებულოს

რომ დააარსებს გორში, კიდევ შემოიკრებს გარშემო ასეთ ადამიანებს და ბევრ კარგ საქმესაც ჩაუყრის საფუძველს.

მოგვიანებით, საკრებულო თავისი მუშაობის ანგარიშსაც რომ გამოაქვეყნებს, საზოგადოებას ამცნობს თითოეული შეწირული და დახარჯული თეთრის შესახებ.

პირველი ღონისძიება გორში, სადაც საქველმოქმედო მიზნით ყულაბა დაიდგა, იყო გიორგი ხარაულის — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის, ნლეზის განმავლობაში რომ ხელმძღვანელობდა, დიდი ღვაწლიც აქვს მის წინაშე და ოთარ ჩხეიძის რომანის „ჩემი სავანის“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟადაც იქცა — შეხვედრა საზოგადოებრიობასთან 1988 წელს. მერე, საკრებულოს ფონდის ძალისხმევით, არაერთი საქველმოქმედო აქცია ჩატარდა: გორში მცხოვრები ობოლი ბავშვების დასახმარებლად, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის დასადგმელად, ქვემო ქართლში (ბოლნისში) ბინების შესასყიდად სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის, გაიხსნა ანაბრები უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების სახელზე, შეიქმნა ფონდი გორში მცხოვრები მრავალშვილიანი ქართული ოჯახებისათვის ბინების ასაშენებლად...

პირადად ერმილე მალრაძესაც გადაეცა შემონიშნულობებით შესყიდული სამი გრამი ოქრო, რომლითაც იმერეთის ვარძიის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახული მედალიონის ასლი უნდა დაემზადებინა, დღესდღეობით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში რომ არის დაცული.

და ამ ყველაფრის მოთავე **ომარ ჩუბინიძე** გახლდათ. მის მეუღლეს უთქვამს ერთხელ: — მთელი თავისი ცხოვრება ხომ დონ კიხოტივით იცხოვრა, პრეფექტად რომ დაიწყო მუშაობა, პირველი ხელფასის მესამედი გამომიგზავნა: ახლა უკვე მეც შემოგეშველებიო, მაგრამ... ეგ იყო და ეგ, იმ დღის შემდეგ მისი ხელფასი აღარ გვინახავს, ალების დღესვე ურიგებდა პენსიონერებსა თუ გაჭირვებულებს...  
გაგიკვირდებოდათ თურმე, ისე მოკრძალებულად ცხოვრობდა.

იჯდა თავისი სიგარეტით გაკვამულ ოთახში, ეწეოდა და... თავისას ფიქრობდა აღნაგობით სუსტი და ტანმორჩილი კაცი, ნება რომ ჰქონდა დიდი.

ზნეობა რომ ჰქონდა მაღალი და მრწამსი — მტკიცე. პროფესიით ისტორიკოსს ამ სფეროს სპეციალისტები შემოუკრებია და უთქვამს, რომ დაენერათ წერილები ოსების, მათი წარმომავლობისა და ფესვების შესახებ —



ომარ ჩუბინიძე

თუ ვინ არის ეს ხალხი, როდის ჩამოვიდნენ საქართველოში, როგორ მოხდა მათი განსახლება — პირწმინდად ისტორიული ფაქტები, და აკაკი ბაქრაძესთან ერთად მოამზადა ნიგნი „ოსთა საკითხი“, რომელიც თავისი სანდოობის თვალსაზრისით, მისაღები იქნება ნებისმიერ ისტორიულ ფორუმსა თუ სამეცნიერო შეკრებაზე.

მერე რუსულადაც გამოიცა.

მერე ინგლისურადაც უნდა მომზადებულიყო.

მერე ასეთივე კრებულის — ისტორიული ნარკვევების სახით — შედგენა უნდოდა აფხაზეთის შესახებაც.

ვიდრე საზოგადო საკრებულო დაარსდებოდა, სოფელ ატენში სკოლა-ინტერნატში ისტორიას ასწავლიდა. ამ სკოლაში შექმნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც შემდეგ გაიძარცვა და დღეს ნაშთებიღაა შემორჩენილი, მაშინ კი...

ეს მამულიშვილთა კუთხეო...

ეს პოეტთა და პროზაიკოსთაო...

ეს ხელნაწერი გაზეთით, ბავშვებს თვითონ რომ აფორმებინებდა და მათსა და პედაგოგთა ნააზრევს თვეში ერთხელ რუდუნებით გამოფენდა ხოლმე.

— საერთოდ შეცვალა ცხოვრება ინტერნატში, — ასე იგონებენ დღეს უკვე დიდები, გზაზე დამდგარნი, ატენის ხეობის ერთგული მკვიდრნი, შეხვედრისას არაერთხელ რომ უთქვამთ: ომარ ჩუბინიძემ მაშინ მთელი ჩვენი ცნობიერება ამოატრიალა და ზოგიერთი ჩვენგანის ცხოვრება განსაზღვრა კიდევცო.

აკი ამიტომაც იქცა პროტოტიპად ირაკლი ხიზანიშვილის მიერ შესრულებული კინოგმირისა თენგიზ მაღალაშვილის ფილმში „ძნელი დასაწყისი“, სადაც სწორედ ის ამბებია ასახული, როგორ ებრძვის კორუფციას მთავარი გმირი, როგორ ცდილობს, გადაარჩინოს სკოლა-ინტერნატში მცხოვრები ბავშვები... და როგორ არ პატიობენ სისტემის წინააღმდეგ ამხედრებას.

უცნაური ადამიანი იყოო...

სხვანაირი ფიქრითა და საზრუნავით ცხოვრობდა — ისეთით, დღეს რომ ეროვნულ ცნობიერებასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას ვუნოდებთ, რადგან ეს ფიქრიცა და საზრუნავიც თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დგომა იყო.

უცნაურიც ამიტომ ჩანდა.

მხოლოდ ასეთ კაცს შეეძლო თავის ჩანაწერებში — იდეებისა თუ სიახლეების შესახებ — „გორის ციხის გარნიზონიც“ ჩამოეყალიბებინა და სიაც ჩამოეწერა იმ თამამი და ვაჟკაცი ბიჭებისა, რომლებიც საჭიროებისას — ქალაქს რომ რამე გასჭირვებოდა — გორის ციხეში უნდა გამაგრებულიყვნენ და იქიდან სიმბოლურად დაეცვათ გორი.

როცა ძალიან დაიძაბა ვითარება, შეკრიბა კიდევ ყველა და უთხრა:

— ახლა ვიშვიშის დრო არ არის, უნდა ნავიდეთ და დავდეთ იქ, სადაც სამშობლოს ვჭირდებით, თქვენს მშობლებსა და ოჯახებს კი ბოდიშს ვუხდი, რადგან შეიძლება არცერთი არ დავბრუნდეთ შინ.

რას ვიზამთ!

ქართველები ვართ და ესაა ჩვენი ბედისწერაო.

აი, ასეთი ფიქრისა და მრწამსისა იყო იგი.

ასეთი კაცი მიდიოდა თავის წილ გზაზე.

\* \* \*

— ნამდვილი ღვინო ფოთლიფერა უნდა იყოსო, — ასე იცოდა თქმა.

კარგი ღვინის ფასიც იცოდა.

ნამდვილი „ატენური“ ყურძნის საგანგებო ჯიშისაგან „გორული მწვანესაგან“ მზადდება და ოდნავ მწვანე ფერი დაკრავს თურმე.

— ისეთი, ვაზის ფოთოლში რომ მზე ანათებსო, — ამას ბატონი ერმილე ამბობს და მერე ომარ ჩუბინიძის ოჯახსაც მოიგონებს:

მამამისი, შალვა ჩუბინიძე, გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორი, უალრესად ერუდირებული, ინტელიგენტი კაცი, ქუჩაში რომ შეგვხვდებოდა — ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით მაშინ — ქუდის მოხდით გვესალმებოდა. შინ თუ ენვეოდი, აუცილებლად ფეხზე წამოგიდგებოდა.

ძალიან სტუმრიანი ოჯახი ჰქონდათ;

მახსოვს, ერთხელ ახალი წლის მისალოცად ვენვიეთ. მიხაკ-დარიჩინის სუნი ტრიალებდა სახლში. ბავშვობა გამახსენა ამ სურნელმა და ომარის დედას ვუთხარი:

— პატარა რომ ვიყავი, ასეთ ნამცხვარს ხშირად მიცხოვდნენ-მეთქი.

შემდეგ ახალ წელს ისევ რომ ვესტუმრეთ, საგანგებოდ დამახვედრა: ეს პირადად შენ გამოგიცხეო.

ასეთ ლამაზ და სტუმრიან ოჯახში გაიზარდა ომარი.

ერთხელ პატარა ქვაბი მაჩვენა და მითხრა:

— რალაცნაირი მადლი და ბარაქა დაჰყვება, ბებიჩემიდან მოყოლებული ამ ქვაბში რომ მოვხარშავთ ლობიოს, ნაწილს მწვანელით შევკაზმავთ, ნაწილს ტყემლით, დანარჩენს კი ნიგვზით. სტუმარსაც ვუმასპინძლებთ, მეზობელსაც ვანვდით და ჩვენც გვყოფნისო.

თვითონ კი ამ ოჯახიდან დიდი განათლება და შინაგანი კულტურა დაჰყვა.

ერთხელ თემურ ქორიძე სწვევიანთ გორში. გაიშალა სუფრა და ქეიფისას გალაკტიონის ლექსი უთქვამს ბატონ თემურს. ომარს ლექსითვე უპასუხია და მთელი სუფრა პოეტურ პაექრობაში წარმართულა თურმე.

კარგად სცოდნია ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია ჰყვარებია და გამორჩეულად კი გალაკტიონი — მთელი თავისი არსით ჰქონია გაცნობიერებული მისი შემოქმედება.

ახალგაზრდობაში ფილტვებით იყო დაავადებული და აბასთუმანში გაუგზავნიათ სამკურნალოდ. იქიდან შემოუთვლია:

— თუ დროზე ფოთლიფერას არ ჩამომამშველებთ, აქ გამჩერებელი არ ვარო.

მთელი მედპერსონალი უკვე გარშემო ჰყავდა შემოკრებილი. რალაცნაირი შინაგანი ხიბლი ჰქონდა და ყველგან, ყველანაირ ვითარებაში ახერხებდა ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვებას.

ჩაუტანეს „ფოთლიფერა“.

ჩააშველეს.

ოღონდ როგორც კი იმ ოცლიტრიანს „წირვა გამოუყვანეს“, მაინც არ გაჩერებულა დიდხანს და გამოიქცეულა, რადგან მიიჩნევდა, რომ აქ იყო საჭირო.

მის ქალაქს ხომ ბევრი რამ სტკიოდა...

ხედავდა, რომ მის ქვეყანას, მის ხალხს ორი უმნიშვნე-

ლოვანესი ცნება დაეინყებინა — ერთგულება და ერთსულოვნება.

წლების შემდეგ, გიორგი ხარაულისადმი მიძღვნილ შეკრებაზე ომარ ჩუბინიძე თავის ემოციურ და დრამატულ გამოსვლაში — დიდხანს რომ დაამახსოვრდებოთ შეკრებილებს, კიდევ ერთხელ რომ წარმოჩნდება მისი ბუნებაც, მრწამსიცა და სატიკივარიც და დარბაზიც სიტყვას არაერთხელ გაანყვეტინებს ტაშით — გორის ინსტიტუტის ღირსეული რექტორის პიროვნულ პატიოსნებასა და სინდისიერებაზე რომ გაამახვილებს ყურადღებას, ამ ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის განეულ ამავსა და ღვანლს რომ შეაფასებს, ამ ინსტიტუტის მნიშვნელობაზეც ისაუბრებს.

ინსტიტუტისა, რომლის ნგრევასაც „გულგრილობით, ირონიით, ცინიზმით დაბრმავებულნი, დაყრუბულნი და დამუნჯებულნი ჩვენნივე ხელებით შევეუდექით, შემდეგ კი ძირფესვიანადაც მოვთხარეთ ქართლის სულიერი კერა.

სამწუხაროდ, სამარცხვინოდ და საუბედუროდ, ჩვენ შორის არ აღმოჩნდა კაცი, ბრძენკაცი, ერისკაცი, ხვალისდელი დღით გაეაზრებინა შექმნილი ვითარება და დროზე ეყვირა:

— უგუნურნო, შეჩერდით!“

გორის ინსტიტუტი ხომ ის კერა იყო, რომელიც — ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ღირებულებებით — უმძიმეს დროში რეგიონებს პედაგოგიურ კადრებს უმზადებდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მესხეთის აღორძინებასა თუ საინგილოსთან ურთიერთობებში, სალიტერატურო ცხოვრების განვითარებაში, ქალაქის ინტელექტუალურ ყოფაში, რომელსაც დიდწილად განსაზღვრავდა მუდმივი ფუსფუსი გორის ინსტიტუტის ფიზიკის აუდიტორიაში, ბატონი ომარი ლონდონის ჰაიდ-პარკსაც რომ შეადარებს და რომის სენატსაც... და მისი თქმით, თუკი ერთგულებისა და უანგარობის ერთადერთ ჯილდოდ უმადურობასა და მორალურ უბასუხისმგებლობას გავიმეტებთ, თუკი ჩვენნივე ხელებით ნავშლით წინაპართა ნაკვალებს, როგორღა შეძლებს ქართლი, თავისი ეროვნული ენერჯის მდინარება უმძლავრეს კალაპოტში მოაქციოს.

ჩუდციკების, იანოვსკების, ასტაფიევიების, პურიშკევიჩებისა თუ რასპუტინების ჩამომავალნი და ძმანი მათნი კი, დიდი ილიასი არ იყოს, „შუბლის ძარღვს გაიწყვეტენ, ლაფში გავგორდებიან, ჩვენი კეთილი ჭინჭრაქასავით ფეხებს ზემოთ აიშვერენ და საქვეყნოდ მოჰყვებიან ქადილს: არიქა, საქართველოს ცა ენგრევა თავზე და, უკაცრავად პასუხია, ჩვენი ტურტლიანი ფეხებით უნდა დავიჭიროთ“... და თავის გამოსვლას ასე დაასრულებს:

— ჩვენ კი ცისკენ ხელები აღვაპყროთ.

დროა, ერთმანეთს შეეხედოთ და საკუთარი თავი ვიპოვოთ საკუთარსავე მოქმედებაში და ბოლომდე გავაცნობიეროთ, რომ არსებობს ორი უმნიშვნელოვანესი სიტყვა: ერთგულება და ერთსულოვნება!

ასე ძალიან რომ გვჭირდება ქართველებს.

\*\*\*

— ბინა უნდა გავყიდო, — უთქვამს ერთხელ, — ოღონდ იმ პირობით, რომ ახალი პატრონი ორ წელიწადს მაინც მაცლის იქ ცხოვრებას, მეტს მაინც ვერ ვიცოცხლებო.

გული აწუხებდა და ლამის მუდმივად ნიტროგლიცერინი ედო თურმე ენის ქვეშ.

ის მტკივანი გული თუ უგრძნობდა, დიდი დღე რომ არ დარჩენოდა, ფული კი ისევე და ისევე ქართული საქმისთვის სჭირდებოდა: მოსასწრები მაქვს რალაცებო, — ჩიოდა.

გული რას უგრძნობდა და რას ეუბნებოდა, ამისა რა გითხრათ, გონებით კი შორს რომ ჭვრეტდა, არაერთხელ დაუდასტურდათ გარემომყოფთ. ზოგჯერ, გადანყვეტილებას რომ მიიღებდა, გაცდებოდნენ ხოლმე ახლობლები — ეს რამ მოაფიქრაო, — მხრებს იჩენდნენ, არადა, გავიდოდა ხანი და აღმოჩნდებოდა, რომ მართალი იყო.

მისმა ასეთმა უნარმა ბევრწილად განსაზღვრა ის, რომ იმ არეულობისას, საბედისწეროდ რომ ჩაითრია მთელი ქვეყანა, მხედრიონი რომ დათარეშობდა საქართველოში, გორი ასე თუ ისე გადაურჩა სისხლიან დაპირისპირებებს.

თუმცა იმ ახალგაზრდებს, გზასაცდენილებად რომ მიიჩნევდა, კი არ კიცხავდა, თანაუგრძნობდა — როცა ტელეეკრანზე ხედავდა, როგორ იჭერდნენ რომელიმეს, დანანებით იტყოდა:

— როგორ გააბანდიტეს ეს ბიჭები.

რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო ამ თაობას ქვეყნისთვის და რა უქნეს, როგორ წაახდინესო.

ქრისტიანი იყო თავისი მრწამსით.

პატიოსანი — თავისი არსით.

— 1991 წლის საარჩევნო კომისიაში ვიყავით, — მიამბობს ბატონი ერმილე, — სადაც ომარმა ბევრი ერთგული ადამიანი შემოიკრიბა ქვეყნისა. არჩევნების საკითხების შესახებ ქალაქში ხშირად გვიხდებოდა ჩასვლა და გვესმოდა, როგორ ითხოვდნენ სხვადასხვა საარჩევნო კომისიებიდან თანხებს:

— არა და არ გვყოფნისო, ვერა და ვერ გავანვდინეთო.

ჩვენ კი... საქმეც გავაკეთეთ და 200 ათასი რუბლი უკან რომ ჩავიტანეთ, გაოგნებული დარჩა ვახტანგ ხმალადი: ეს როგორ მოახერხეთო.



ბატონი აკაკი კი ამასაც გაიხსენებს:

— ერთხელ ომარმა დამირეკა: იქნებ ქარელში ამიყვანოო. „მოსკვიჩი“ მყავდა მაშინ.

ის დროა, დღე და ღამე ცხინვალის-გორის გზაზე გაკრული ჩემი მანქანა.

გზაში მეუბნება:

— ამდენი კარგი რამ გავაკეთეთ, ამდენ საჭირო საქმეს დავადგით თავი და ის როგორ ვერ მოვიფიქრეთ, ამ მანქანისთვის საბურავები გვეყიდა?!

— რას ამბობთ, ბატონო ომარ, აბა ეგ როგორ შეიძლებაოდა-მეთქი?!

ერთხანს დაფიქრდა და:

— ჰო, მართალი ხარ, არ შეიძლებოდაო.

ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა და კიდევ რომ მომსვლოდა, ვერც ვკადრებდი — ვხედავდი, თვითონ როგორ სულ სხვისთვის ფიქრობდა, ყველა თეთრს საჭირო საქმისთვის აგროვებდა და ამას რა მაფიქრებინებდა.

მგზავრობასთან დაკავშირებით კი კიდევ ერთ ღიმილიან ამბავს იგონებენ:

ერთხელ ქუთაისში მიჰყავთ თურმე ანა კალანდაძე.

გადახდილი ჯიპით მიდიან. მაყალი უდევთ მანქანაში. მძღოლის გვერდით ომარ ჩუბინიძე ზის, უკან — პოეტი ქალბატონი.

მიქრის მანქანა, ქარი სცემს სახეში ქალბატონ ანას და ჰაერის ტალღა უწენავს თმას. ომარი კი, შენუხებული დროდადრო მიუბრუნდება თანამგზავრს და მზრუნველად ეკითხება:

— ხომ არ გიბერავთ, ქალბატონო ანა?

და ისიც მორიდებულად პასუხობს:

— არა, ბატონო, არა!..

\* \* \*

იყო დრო, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთანაც მეგობრობდა.

ეროვნული მოძრაობის თაოსნებმა პირველი საპროტესტო აქცია რომ მოაწყვეს ცხინვალის მისადგომებთან და უამრავი თანამოაზრე გაჰყავთ თან, მთელი იმ ხალხის დაპურება, დარწყყლება და მათთვის თავშესაფრის უზრუნველყოფა სწორედ ომარ ჩუბინიძემ ითავა.

კარგი ორგანიზატორი იყო და შეეძლო სწრაფად და გონივრულად გაერთვა თავი ექსტრემალური ვითარებისთვისაც კი.

ვისთან არ მიუნვებოდა ხმა.

და ყველგან დიდი მოწინებითა და პატივისცემით იღებდნენ.

ჩიბიროვი, პრეზიდენტობამდე ცხინვალის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი რომ გახლდათ, ოთხჯერ ჩამოუყვანია გორში იმ ქართველ სტუდენტებთან შესახვედრად, ცხინვალის უნივერსიტეტში რომ სწავლობდნენ და გარკვეულ შევიწროებასაც განიცდიდნენ, და პირობაც დაადებინა თურმე მათთან, რომ ეს აღარ განმეორდებოდა.

თუკი რამე მამულიშვილური საქმე კეთდებოდა მაშინდელ გორში, ყველას სათავეში ომარ ჩუბინიძე იდგა. არადა, არანაირი მოწმობა და დიპლომი არ ჰქონდა.

— მეც დაწვნი ჩემი გემებით, — ამბობდა. იაკობ გოგებაშვილივით მასაც ცეცხლში შეუყრია თავისი საბუთები.

იაკობი იმპერიულ რეჟიმს ჩასდგომოდა კრიჭაში და ოთარ ჩხეიძეს არაერთხელ რომ უხსენებია ეს ამბავი თავის სტუდენტებთან, ისიც უთქვამს: მეც ხომ არ დამენვა ჩემი ოფიციალური მოწმობებიო.

საბოლოოდ, თვითონ მაინც ვერ გადაწყვეტს ამის გაკეთებას, სამაგიეროდ, თავის სტუდენტთაგან ომარ ჩუბინიძე შეგულიანდება და ასეთ იუმორისტულ-სარკასტულ ფონს შეარჩევს საკუთარი პროტესტის გამოსახატავად:

გავარვარებული 70-იანი წლებია.

გორის ქალაქკომის მდივანთან ერთად ბუნებაში გავლენ საქეიფოდ.

უყვარდა სუფრასთან ტრიალი, მერიქიფეობაც, მწვადის შეწვაც...

დაანთებენ ცეცხლს და... მალულად შეუკეთებს პასპორტს, თან დააყოლებს:

— ახლა მე თქვენ მოგართმევთ „მოქალაქეობრივ მწვადს“.

შემდეგ დიპლომს შეუძახებს ცეცხლში და თანამესუფრეებს „ინტელექტუალურ მწვადს“ შესთავაზებს.

ასე დანავს და დაბუგავს მთელ თავის საბუთებს და პროტესტსაც ამგვარად გამოხატავს იმ ჩინოსნების მიმართ, იმპერიულ რეჟიმს რომ ემსახურებოდნენ და ხელსაც ითბობდნენ მის ცეცხლზე.

თვითონ კი...

— ბინა უნდა გავყიდოო, — დაეჩემებინა, — ორ წელიწადზე მეტხანს მაინც ვერ ვიცოცხლებ და ამ ფულს კი საჭირო საქმეს მოვახმარდიო.

\* \* \*

ლევან გოთუასთანაც მეგობრობდა და ამაცობდა ამ მეგობრობით.

პატიმრობიდან დაბრუნებულს ომარ ჩუბინიძე შინ, არმაზში სწვევია.

შეიპატიჟა მასპინძელმა, ეზო-კარი დაათვალიერებინა.

— კარგი ხედა, — უთქვამს ომარ ჩუბინიძეს, — მაგრამ მცხეთის ჯვარი რომ არ ჩანს?

ბანზე აუყვანია ლევან გოთუას:

— აი, თუ არ ჩანსო.

გახარებული წამოსულა იქიდან.

ამ მეგობრობის ამბავს როსტომ ჩხეიძე აღწერს წიგნში „ორი მდინარის შესაყარზე“, რომელიც თავისებურ გაგრძელებად მოიაზრება მისი ბიოგრაფიული რომანისა „ავგისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“, და გორის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას რომ ასახავს, უამრავ საგულისხმო რეალისა და ეპიზოდს ქალაქის იმდროინდელი ყოფისა, ამ ფონზე არაერთი პიროვნების პორტრეტსაც წარმოაჩენს.

ოთარ ჩხეიძე თავის მეგობრებთან ერთად არტისტულ-ბოჰემურ გაერთიანებას „ლუარსაბ თათქარიძის საზოგადოებას“ ჩამოაყალიბებს — რომელიც თავის გარშემო რეჟისორებსაც შემოიკრებს, მხატვრებსაც, მუსიკოსებსაც და ახალგაზრდა მწერლებსაც — და მეარტალეთა მარაქაში ომარ ჩუბინიძეც გამოერევა, ვინც მეგობრობდა კიდევ მასთან და თავის მხრივ ბატონ ოთარსაც თუ ვინმე ეიმედებოდა გორში, მათ შორის ომარიც.

არა, არ მწერლობდა, მაგრამ გატაცებული კი იყო ლიტერატურითაც, მხატვრობითაც, თეატრითაც, მუსიკითაც, ადამიანებთან დაახლოების იშვიათი უნარითაც გამოირჩეოდა... და როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში მის ასეთ პორტრეტსაც რომ ჩახატავს, იმ ურთიერთობასაც აღწერს ლევან გოთუასთან, ვისაც „ეთაყვანებოდა ომარ ჩუბინიძე როგორც მწერალსა და გაუტყეხელ ადამიანს, ჯოჯოხეთგამოვლილს, ერთი მნიკვილიც რომ არ მისცხებოდა და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის მოლოდინში თავი არ ეზოგებოდა. თავისებური იდეალი გახლდათ ბევრისათვის, მათ შორის ომარისთვისაც, ვინც ერთ-ერთი სტუმრობისას ამცნობდა გორში ლუარსაბ თათქარიძის სახელობის საზოგადოების არსებობას და ამ ბოჰემურ-არტიტულ გაერთიანებაში განევრიანებასაც შესთავაზებდა“.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ოთარ ჩხეიძე სიხარულით შეხვდებოდა ლევან გოთუას შემომატებას ამ წრეში.

ის კი ღიმილით დათანხმდება მეთრატალეთა საზოგადოების წევრობას, ოღონდ ოთარ ჩხეიძე ამას რომ გაიგებს, შეშფოთდება და კიდეც უსაყვედურებს ომარს:

— არ იცი, რა ცხოვრება გამოიარა? სამჯერ დააპატიმრეს და სასტიკ პირობებში უწევდა ყოფნა გადასახლებაში, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფარულ ორგანიზაციაში მონაწილეობას სდებდნენ ბრალად. და ახლა შენა ჰხვევ სახიფათო ქსელში? შენ არ უკვირდები, არ უკვირდები, იმისი მიკვირს, ამხელა სატანჯველი გამოვლო და ისევე ბავშვივით არის, თორემ გაერთიანების ხსენებისთანავე ოთახიდან უნდა გამოეცხადებინა.

— ეს ხომ ხუმრობითააო?! — ვერ მიხვდა თურმე ომარ ჩუბინიძე, ვერც წყრომის მიზეზს და ვერც ამ სახალისო შეკრებათა ხიფათს, თუმცა თავისი პედაგოგისა და უფროსი მეგობრის დარიგებით, შემდეგი შეხვედრისას ლევან გოთუას რომ ეტყვის: მე კი ვიხუმრე, მაგრამ ასე იოლად როგორ შეგიძლია თუნდ სახუმარო გაერთიანების წევრობას დაყაბულდეო, ის ჯერ გაიოცებს, მერე კი დასძენს:

— მაგაზე კი აღარ მიფიქრია.

„ლიახვის“ (წინამორბედები „ციხკარი“ და „მერანი“) გულისათვის დიდ ბრძოლებს რომ გადაიტანს ოთარ ჩხეიძე როდესაც თავის დაარსებულ აღმანახს, მწერალთა კავშირის მეცადინეობით, ლამის ხელიდან წაგლეჯენ, როგორც შეეძლება მხარშიც დაუდგება ომარი, თუმცა ეს თანადგომა უკმარი რომ მოეჩვენება, ერთგულებას მოძღვარს იმით დაუმტკიცებს, რომ მწერალთა კავშირის მიერ შემოთავაზებული გამოცემის „ბეკარის“ ალტერნატივად „კლდეკარს“ ჩაუყრის საფუძველს.

„ბეკარისა“ ერთადერთი ნომერი გამოვიდა (მხატვრულ დონეს ნულარ იკითხავთ!), „კლდეკარისა“ კი — 10 და მართლაც მნიშვნელოვან გამოცემად შერჩა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას.

მანამდეც, გორის ინსტიტუტიდან წამოსვლა რომ გადაწყვეტია გულნატკენ ოთარ ჩხეიძეს, თავისი მოსწავლე და უმცროსი მეგობარი ნეროვანსა თუ შავშებთან დასწევია და უთქვამს:

— უმორჩილესად გთხოვთ, დაბრუნდეთ, თქვენ გორს სჭირდებითო.

და ეს დიდი მწერალი შეუნარჩუნებია ქალაქისთვის — მაშინ თუ ვერა, მერე ხომ მაინც, „კლდეკარის“ პირველი ნომრის გამოცემით რომ ხარობდა, რომელსაც გამოსაცემად საჭირო ნებართვის მისაღებად, გორის რაიონის პრეფექტურის სალიტერატურო-კრიტიკულ-პუბლიცისტური ჟურნალი წაენერა და შემდეგ კი „იმ 90-იან წლებში, როდესაც სანთლით საძებარი ვახლდათ სალიტერატურო გამოცემები, „კლდეკარი“ თავშესაფრადაც გადაიქცა მწერლებისათვის, სულის მოსათქმელადაც, იმ ასპარეზადაც, რომელმაც კვლავ გორში გადაინაცვლა და სალიტერატურო დულილს იქიდან ამოძრავებდა“.

ორი საუკუნისა და ორი ათასწლეულის გასაყარამდე.

2001 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა ომარ ჩუბინიძე, სწორედ იმ დღეს, 60 წელი რომ უნდა შესრულებოდა, და თავისებურ სიმბოლოდ აღმოჩნდა ის, რომ სწორედ ამ წელს დასრულდა „კლდეკარის“ არსებობაც.

და თუ ამ ჟურნალის გამოცემა „ბევრწილად განსაზღვრავს შესანიშნავ მკვლევართა, პირუთვნელ მესისტორიეთა მომრავლებას, ჯერ აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ბირთვს რომ შეადგენდნენ, მერე კი საზოგადოებრივ ჟურნალ „ომეგასა“ და სალიტერატურო გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ირგვლივ შემოიკრიბებოდნენ და ლიტერატურულ ცხოვრებასაც ააღორძინებდნენ და სალიტერატურო კრიტიკის არსებობასაც რეალობად აქცევდნენ“ („ორი მდინარის შესაყარზე“), ომარ ჩუბინიძის ღვაწლი მთლიანად შეცვლის გორის მაშინდელ ყოფას და, გარკვეულწილად, განსაზღვრავს კიდეც ამ ქალაქის სალიტერატურო, კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას გასული საუკუნის ბოლოს.

\*\*\*

რედაქტორთან თუ მიიჩქაროდა.

„ოსთა საკითხი“ ინგლისურად მოემზადებინა და სწორედ მის გამოსაცემად საჭირო „ფოლგის“ ქალაქი ჰქონდა ამოჩრილი ილიაში.

სადარბაზოში ჩაკეცილა და უცხო გამვლელს უპატრონია მისთვის.

გაცვეთილიყო გული სხვა ფიქრითა და საზრუნავით დაღლილი.

მხოლოდ წელიწად-ნახევარი გასულიყო მას შემდეგ, ბინის გაყიდვა რომ დაეჩემებინა, ოღონდ იმ პირობით, თუ ორ წელიწადს კიდეც მაცლიან იქ დარჩენას, მეტს მაინც ვერ ვიცოცხლებო.

მთელი საქართველო შეუძრავს მის აღარ ყოფნას.

ვინ არ ჩასულა გორში, დაკრძალვაზე.

უამრავი ადამიანი შეკრებილა და უკანასკნელ გზაზე აცილებდნენ უცნაურ მგზავრს წუთისოფლისა.

ის დრო იყო, ვაზის უკანასკნელ გაყვითლებულ ფოთოლში სევდიანად რომ ბუჭტავდა ძალადაკარგული მზე. ატენის ხეობის მარნებში კი სანატრელი „ფოთლიფერა“ დაღვინებულიყო...

და ახლა, წლების შემდეგ მის განვლილ გზას კიდევე ერთხელ რომ გახედავენ:

— ნადრეკად წავიდაო, — დანანებით იტყვის ერმილე მალრადე.

— ჰო, მაგრამ იმდენი რამის გაკეთება მოასწროო, — ამას აკაკი ფანქველაშვილი დასძენს.

გურამ პეტრიაშვილი

# ოლიკოს გავშვობა

**6 დეკემბერი, 1969 წელი.**

ადამიანი დაიბადა. იგი იწყებს სიცოცხლეს წონით 3 ათას რამდენილაც გრამი და სიგრძით 51 სანტიმეტრი.

მეტი მის დასახასიათებლად ჯერჯერობით ვერაფერი ითქმის. შეიძლება კიდევ ის ითქვას, რომ ტირის და თვალებს აფახულებს.

**18 დეკემბერი, 1969 წელი.**

გუშინ ვნახე პირველად ჩემი გოგო. შვილი!

ღმერთო დიდებულო, რა ყოფილა ეს საოცარი გრძნობა. უნდა გამოვუტყვე ჩემს თავს, რომ აზრადაც არ მომსვლია, თუ ასე ამაღლებებდა ეს პატარა უსუსური არსება — ჩემი შვილი.

მთელი დღეც და ღამეც თავზე დავკანკალებდი. საშინლად მტკიოდა კბილი. კედლებზე მინდოდა ასვლა, მაგრამ კბილი მაგინყდებოდა, ის რომ დაინყებდა ტირილს.

**18 დეკემბერი — 25 დეკემბერი, 1969 წ.**

აი, ჩანანერი ჩემი უბის წიგნაკში:

„ღამით როგორ მივრბოდი და საბანში გახვეულს მივარბენინებდი პანანინა ადამიანს...“

როგორ გაჩნდა ეს ჩანანერი?

ოლიკო რომ დაიბადა, ალა და მე ვცხოვრობდით მის ბებიასთან...

რაღაცაზე შევკამათდით ძალიან.

ჰოდა, წავავლე ხელი ოლიკოს, ჩავაცვი თბილად, შევავხვიე ორ თბილ საბანში და გავიქეცი ალას მშობლებთან, რომლებიც იქვე ცხოვრობდნენ, ორი კვარტლის იქით.

ყინავდა ძალიან.

მეშინოდა ოლიკო არ გამიცვიდეს-მეთქი და, როგორც შემეძლო, სწრაფად მივრბოდი.

ნამოვკარი ფეხი ყინულის ამოჩრილ ნატეხს.

რადგან ოლიკო მკერდზე მყავდა ახუტებული, ფიზიკის კანონების მიხედვით, ზედ უნდა დავცემოდი მთელი სიმძიმით.

მაგრამ სასწაული მოხდა ნამდვილად. ეტყობა, ჩემს სხეულში რაღაც უცნობი, იდუმალი ძალები ამოქმედდა, რომელთაც ჰაერში ამომატრიალეს და ზურგზე დავვარდი.

ოლიკოს არც კი უგრძნია, რომ დავეცით, თორემ ნამოიტრებდა მაინც.

**3 მაისი — 3 ივნისი, 1970 წ.**

შუალამისას ძალიან ატირდა ოლიკო.

ვერაფერი გავუგეთ და სასწრაფო გამოვიძახეთ. ნაიყვანეს.

მადლობა ღმერთს, გამოცდილმა საბავშვო ექიმმა უმკურნალა და მალე დაუყურა ტკივილი.

ჩვენც დავგამშვიდა, არაფერი იყო სერიოზული.

მე კი მაინც მთელ ერთ კვირას მედგა ყურში ოლიკოს ტირილი. უკვე მეგონა, შევიშალე-მეთქი.

**4 ივნისი — 4 ივლისი, 1970 წ.**

უბის წიგნაკში ჩამინერია მხატვრული სახე:

„ალბათ ასე შეკრთება ბავშვი,

როცა პირველად ჩიტს დაინახავს...“

ახლა შემიძლია ჩემს თავს ვუსაყვედურო, რომ მაშინ პოეზიაზე კი არ უნდა მეფიქრა, არამედ ცხოვრებაზე...

მახსოვს, ოლიკო ხელში მყავდა ატატებული და ეზომი ვიდეთი.

იქვე დადიოდნენ ქათმები. ქათმებს შორის კი ერთი ბელურა დახტოდა.

უცებ ბელურამ შეიფრთხილა და აფრინდა.

ოლიკო შეკრთა და უფრო მომხეშტა მკერდზე.

ასევე უნდა ჩამეწერა. მე კი, ეტყობა, ჯერ ბოლომდე არა მქონდა გაცნობიერებული, თუ რამდენად ძვირფასი იყო ზუსტად აღმენერა შვილის ცხოვრების ფაქტები და ამიტომ ფაქტი კი არ ჩავინერე, არამედ მისი პოეტურ სახედ გადაქცევა.

**6 ივლისი — 13 ივლისი, 1970 წ.**

მთვარე დავანახვე ჩემს ოლიკოს, რომელიც ჯერ მხოლოდ შვიდი თვისაა.

მან ხელები შემოჰკრა ერთმანეთს, თითქოს უთხრა, ყოჩაღ, მთვარე, მომწონხარო.

მერე კი ჩემს ცხვირს ჩაეჭიდა, თითქოს უნდოდა მოეძრო და მთვარეზე აეგდო...

**6 სექტემბერი — 13 სექტემბერი, 1970 წ.**

ოლიკოს ძალიან უყვარს ფოთლები.

ერთი ბუნვაა (სულ ცხრა თვის) და უკვე ფოთლები უყვარს. უყვარს ხეები რომ ირხევიან.

**2 ნოემბერი, 1970 წ.**

ოლიკოს პირველი ნაბიჯები:

დივანის საზურგეზე იყო მიყუდებული და გადმოგაბრამდენინე ნაბიჯი ალას ბებია ოლგამდე.

ამას უკვე დაჯერებული აკეთებს.

**6 ივლისი — 6 აგვისტო, 1971 წ.**

ოლიკო ახლა წლისა და შვიდი თვისაა.

დღეს ასეთი (ჩემთვის დიდად გასაოცარი) ოინი ქნა.

აილო პინგ-პონგის ბურთი, რომელსაც „მარჩ“-ს ეძახის.

ათამაშებდა. მერე კი თქვა „კო“ და ისე მიიღო პირზე, თითქოს იქიდან სწოვდა რაღაცას.


„კო“ მის ენაზე კვერცხს ნიშნავს.

ესე იგი, კი იცის, რომ ეს ბურთია, მაგრამ გაითამაშა, კვერცხიაო.

ბოლოს გაიცინა კიდევ, აქაოდა, ვიხუმრეო.

**6 აგვისტო — 6 სექტემბერი, 1971 წ.**

ნამოდი ხიდი გაჩვენო-მეთქი, — ვუთხარი ოლიკოს.



ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რა არის ხიდი.  
მაშინვე დამთანხმდა.

**11 დეკემბერი — 20 დეკემბერი, 1971 წ.**

ახლა დროს იმით ვიმასხოვრებ, თუ როდის რას აკეთებდა ჩემი ოლიკო.  
მაგალითად, ოთხი თვის წინანდელი დრო-ჟამი ჩემთვის იმითაა აღსანიშნავი, რომ ოლიკო ასე მეთამაშებოდა: მეტყოდა, ჩაი მომანოდეო.  
მივანვდიდი.  
ცოტას მოსვამდა და იტყოდა: „ვსიო“. ესე იგი, მეტი აღარ მინდაო.  
გამოვართმევედი ჭიქას.  
კვლავ მეტყოდა, მომეცი ჩაიო. კვლავ მივანვდიდი.  
ერთს მოსვამდა და კვლავ იტყოდა: „ვსიო“.  
თან ილიმებოდა, ვხუმრობო.

**15 მაისი — 30 ივლისი, 1972 წ.**

ოლიკოს ბაბუამ ივან ვასილევჩიმა თავის ეზოში მოჭრა იასამნის ბუჩქი.  
რატომ მოჭერიო, ჰკითხა ოლიკომ.  
ბაბუამ უთხრა, ავად იყო და იმიტომო.  
მეც ვიყავი ავად, მაგრამ მოვრჩიო, — უთხრა ოლიკომ.  
ეგეც მორჩებოდაო.  
ჩააცივდა ბაბუას, უკან დასდევდა და აღარ ასვენებდა, რატომ მოჭერი იასამანიო.

ოლიკო ხატავს თავისებურად.

აი, როგორ.  
უსვამს ფანქარს ფურცელზე, უსვამს ვიდრე ქალაღი გაიხვრიტება.  
მერე აიღებს და გაცელებული ამბობს:  
— ისევე ნახვრეტი გამოვიდა!

**ზაფხული, 1972 წ.**

სურათის გადასაღებად წავიყვანეთ ოლიკო.  
რატომღაც არ მოეწონა იქაურობა და იმდენი იტირა, რომ გული ამოუჯდა.  
უკან ფეხით დავბრუნდით. კისერზე მეჯდა.  
თავზე დამადო ლოყა და ასე ჩაეძინა.

**31 ივლისი, 1972 წ. — 9 მაისი, 1973 წ.**

ოლიკომ აღმოაჩინა თავისი ფეხის ნეკათითი.  
უხარია.  
გადაიღებს იმ ნეკს არათითზე და აჩვენებს დედამისს.

**9 მაისი, 1973 წ.**

ახალი უბის წიგნაკის თავფურცელზე რაღაც „დამიხატა“.  
სინამდვილეში ესაა ხვეულები და ხაზები, მაგრამ თვი-თონ აღბათ წარმოედგინა, რომ მიხატავდა რაღაცას.

**9 მაისი — 6 დეკემბერი, 1973 წ.**

შუშის ხე ვნახეო, — თქვა ოლიკომ.  
აღბათ სიზმარში თუ ნახს.  
შუშის ხე!  
კარგია. აღბათ წკრიალებს, ნიავი რომ დაუბერავს.

სიტყვები, რომლებიც გამოიგონა ოლიკომ: ბალოვუნ, ლესნაიკა, ჩელოვეჩონოკ, მაგაზინშიცა.

ჩანს, რომ „ბალოვუნ“ დაიბადა რუსული ზმნისგან „ბალოვატსია“. ის, ვინც „ბალოუეტსია“, არის „ბალოვუნ“-ი.  
„ლესნაიკა“ აღბათ ისაა, რაც თუ ვინც „ლეს“-თან ანუ ტყესთანაა კავშირში.  
„ჩელოვეჩონოკ“-ი როგორ გაჩნდა? ხომ არის „ვოლკ“ და „ვოლჩონოკ“. ასევე შეიძლება იყოს „ჩელოვეკ“ — „ჩელოვეჩონოკ“.  
„მაგაზინშიცა“ მსგავსია სიტყვებისა: „უბორშიცა“, „ხუდოუნიცა“, „მაგაზინშიცა“ აღბათ ისაა, ვინც მაღაზიაში მუშაობს.

ერთურთი უყვართ ოლიკოს და პატარა კატას.  
— ახლოს რომ იყოს, მივეფერებოდი, ხელს გადავუსვამდიო, — თქვა ოლიკომ.

**6 დეკემბერი, 1973 წ. — 19 იანვარი, 1974 წ.**

ალას უნდოდა, რომ ოლიკოს საბავშვო ბალი არ გაეცდინა. ატყუებს, ნადი უთხარი, დღეს დედაჩემი ჩამოვიდა-თქო. მაგრამ ოლიკო ჰპასუხობს, არა, სჯობია მერე ვეტყვი, დედაჩემი იყო ჩამოსულიო.  
და ესა თქვა იმავე შემპარავი ინტონაციით, როგორც თაც ალა ელაპარაკებოდა.

**20 იანვარი — 16 მაისი, 1974 წ.**

ოლიკომ უთხრა დედამისს, მოვა ბაბა-იავა, გადაგაქცევს ტელევიზორად, დაჯდება და გიყურებსო.

გამოიგონა სიტყვა: „ზაპუტკი“.

„ზაპუტკი“ გაჩნდა ზმნისგან „ზაპუტატ“ (არევე-დარევა ან აბურდ-დაბურდვა). ის, რაც ვინმემ „ზაპუტალ“, არის „ზაპუტკი“.

უნდა დავხატო ცა, თორემ უკვე დამავიწყდა, თუ როგორ უნდა ცის ხატვა, — თქვა ოლიკომ და დილაადრიან დანიწყო ხატვა.

**21 ივლისი — 21 დეკემბერი, 1974 წ.**

— აი, მზე ამოდის, — ეუბნება ალა ოლიკოს.  
— მეც მინდა, რომ ამოვიდე, — ჰპასუხობს ოლიკო.

**23 მაისი — ზაფხული, 1975 წ.**

ოლიკო აეროპორტის მეორე სართულის აივნის მოაჯირს იყო მიყუდებული.  
იქით თვითმფრინავი იდგა.  
ოლიკომ გაყო თავი მოაჯირის რიკულებს შორის და ხალისიანი ხმით დაუძახა:  
— თვითმფრინავო !

**ზაფხული 1975 წ.**

ოლიკომ უყურა, უყურა დელფინს და თქვა:  
— ფინჩიკ-ფინჩიკ, ია დელფინჩიკ!  
ასე გამოხატა სიყვარული.  
თავი გააიგივა მასთან: მე ვარ დელფინიო !

ოლიკომ მკითხა:

— ა კაკ ზვიოზდი დერჟატსია ნა ნებე? ( როგორ ჩერდე-ბიან ვარსკვლავები ცაზე? )  
 აღარ მახსოვს, თუ რა ვუპასუხე ამ კითხვას, რომელშიც იგრძნობა ინტერესი, თუ როგორაა მოწყობილი სამყარო.

მკითხა:

— ა ჩტო ბილო ბი, პაპა, ესლი ბი ნე ბილო ნება? (რა იქ-ნებოდა, მამა, თუ ცა არ იქნებოდა?)  
 და თვითონვე უპასუხა თავის კითხვას, რომ აღამიანები გააკეთებდნენ დიდ კიბეს, ავიდოდნენ და გააკეთებდნენ ცას.

**ზაფხული — 13 ოქტომბერი, 1975 წ.**

ასეთი (ჩემი აზრით, ძალიან პოეტური რამ) თქვა: ფოტოგრაფი იმიტომ იფარებს თავზე შავ ქსოვილს, რომ შემთხვევით თავისი თავი არ გადაიღოსო.

**30 ოქტომბერი, 1975 წ.**

ოლიკომ ახალი უბის წიგნაკის თავფურცელზე დამიხატა მზე, ხუჭუჭა გოგო (თუ ქალი) და რაკეტის მსგავსი სახელი (თუ კომპი).

**30 ოქტომბერი 1975 წ. — 20 თებერვალი, 1976 წ.**

რალაცა წვრილმანი გააფუჭა. ხუმრობით ვეკითხები:  
 — რას შერები, ოლიკო, სვინდისი არა გაქვს? მპასუხობს:  
 — მე ძალიან პატარა ვარ და სვინდისიც პატა

ოლიკოს მიერ გამოგონილი სიტყვები:

„პო მოემოვსკი“,  
 „ია კოროლევიჩონოკ“.

ხომ არის რუსულში გამოთქმები „პო მოემუ“ და, მაგალითად, „პო რუსსკი“. ოლიკომ შეაერთა ეს ფორმები და გამოვიდა „პო მოემოვსკი“.

„კოროლევიჩონოკ“ გაჩნდა და ისევე, როგორც ადრე „ჩელოვიჩონოკ“. არის „ვოლკ“ — „ვოლჩონოკ“. ესე იგი, შეიძლება იყოს „კოროლევა“ — „კოროლევიჩონოკ“.

უბის წიგნაკში ჩამიხატა ქალის ხუჭუჭა თავი, რალაც ტეხილი ხაზი. და ფიგურა, რომელიც ჰგავს ქალისას.

ოლიკომ ნახა სიზმარში, რომ უკბინა ფუტკარმა და თან უთხრა, სულელი ხარო.

გაოცებული იყო: თან უკბინეს და თან გალანძღეს!

ოლიკომა თქვა:

— ია სდელალა ტაკუიუ პერეპუტახუ!  
 „პერეპუტახა“ გაჩნდა ზმნისგან „პერეპუტატ“. „პერეპუტატ“-ს რომ იზამენ, მაშინ გამოვა „პერეპუტახა“.

**20 თებერვალი, 1976 წ. — ზამთარი, 1977 წ.**

ჩამიხატა უბის წიგნაკში რალაც. მითხრა, ეს უთავო მელააო.

უბის წიგნაკში ჩამიხატა ყვავილები და ჩამინერა ქართული ასოებით:

ია. აი.  
 თასი.

**25 თებერვალი, 1977 წ. — 13 აპრილი, 1977 წ.**

ჩემს უბის წიგნაკში ჩაუხატავს კურდღელი და ჩაუნერია რუსულად (შეცდომებიანად):

— პაპაჩკა ტი ხაროში მალჩიკ. ზატო ტი პლახაია დევორკა (მამიკო, შენ კაი ბიჭი ხარ, სამაგიეროდ ცუდი გოგო ხარ)

**16 მაისი, 1977 წ. — 10 აგვისტო, 1977 წ.**

მოიგონა რუსული რითმა:

— ტადჟიკი ლიუბიატ ადჟიკუ (ტაჯიკებს უყვართ აჯიკა).

**11 ივლისი, 1977 წ. — 9 დეკემბერი, 1977 წ.**

ოლიკომ მითხრა, მიყვარს, როცა შენ და დედა ხელს ჩამკიდებთ და გუბეზე გადამახტუნებთო.

**9 დეკემბერი — 14 დეკემბერი, 1977 წ.**

ჩემს უბის წიგნაკში ჩაუნერია დიდი ასოებით:

„დილა-ადრიან

გაილვიძე

გური?

გუგული.“

(იტყობა, მოეწონა რითმა: „გური — გუგული“).

**12 დეკემბერი, 1978 წ.**

ოლიკომ მიაშბო ანეკდოტი, რომელიც თვითონ მოუგონია. შვილი ეკითხება მამას:

— რატომ იფხანენ სულელები კეფას, როცა ფიქრობენ?  
 — აბა, დავფიქრდეთ, — თქვა მამამ და კეფა მოიფხანა. ესეც შენი პატარა გოგო. ნახეთ, რაებზე ფიქრობს და როგორ!

**12 დეკემბერი, 1978 წ. — 12 იანვარი, 1979 წ.**

ოლიკომ მოიგონა (თან დახატა).

ჩიტი ეუბნება თავის ბარტყს, ნი პუხა, ნი პერა-ო.

ბარტყი მიდის უნივერსიტეტში გამოცდის ჩასაბარებლად. ბრუნდება და მთლად შიმველია. თურმე გააცალეს ყველაფერი: „პუხ“-ებიც და „პერა“-ებიც (ახლა შემოიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ბოლო შემთხვევა, როცა ოლიკომ რამე მითხრა რუსულად).

**9 სექტემბერი, 1979 წ. — 26 სექტემბერი, 1979 წ.**

ჩემს მიერ დარგული ხის ნაყოფი მიჭირავს ხელში.

ესაა ძლიერი წამი.

ლილოში ნუშის ხე უკვე დიდია და, აი, დედაჩემმა პატარა პარკით მოიტანა იმისი ნაყოფი.

ვაჭამე ოლიკოს.

ეს გახლავთ ჩვენი ვალი დედამინაზე: დავრგოთ ხეები და მათი ნაყოფი ვაგემოთ შვილებს.

**5 ნოემბერი, 1979 წ. — 5 დეკემბერი, 1979 წ.**

ოლიკო და მე ფილმს ვუცქეროდით.

ბოლოს გმირებს ბანდიტები მოსდევდნენ სროლით.

ფილმის გმირებმა გაასწრეს ბანდიტებს და გაფრინდნენ თვითმფრინავით.

ამაზე დამთავრდა ფილმი.

ოლიკო მეკითხება:

— მამი, იმ ბანდიტებს ხომ დაიჭერენ?

ოლიკოს უნდა, რომ სიკეთემ გაიმარჯვოს და სამართლიანობა დამყარდეს.

იგი გრძნობს, რომ სწორედ ეს იქნება სრულყოფილება. ეს ინსტიქტური სწრაფვა სიკეთის გამარჯვებისკენ არის ბუნებრივი და ნამდვილი. გაგიმარჯოს ოლიკო!

**2 იანვარი, 1980 წ.**

წინათ რომ ვეკითხებოდი ხოლმე, რა ნახე სიზმარში-მეთქი, ოლიკო მეუბნებოდა, არ ვიცი, სიზმრებს ვხედავ თუ არაო. გუშინ კი მიაბზო, ეს ვნახეო. თურმე მეტეორიტი ჩამოვარდა ჩვენს სახლთან. წყლისა იყო. მერე სახლი როგორღაც გაზნექილა. ჯერ სწორი იყო, შემდეგ კი ცალ მხარეს გადახრილიო. და ფანჯრებიდან ცვიოდნენ თურმე ადამიანები. წყალში ცვიოდნენ, რომელიც სახლის გვერდით იყო ზღვასავითო.

სიზმარი რომ მიაბზო, მერე მეკითხებოდა პლანეტებზე, „თეფშებზე“, მინისძვრებზე და სხვა ასეთ ამბებზე. სიზმარიც და ეს შეკითხვებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ოლიკოს უკვე აინტერესებს გარე სამყაროს ამბები. უყურე შენ! მე კი ისევ პატარა მგონია.

**13 იანვარი, 1980 წ.**

ჩემი ახალი უბის წიგნაკის თავფურცელზე ოლიკომ დიდი ასოებით დამინერა: „გ. პეტრიაშვილი“. ხოლო სულ ბოლო გვერდზე ორ რიგად დახატა ადამიანები. ერთ რიგში დახატა ქალი, გოგო და კაცი. ქალის ზემოთ დაწერა „ა“ (ესე იგი, ესაა ალა). გოგოს ზემოთ დაწერა „ო“ (ესე იგი, ეს თვითონ ოლიკოა). კაცის ზემოთ კი დაწერა „გ“ (ესე იგი, ეს მე ვარ). ამ რიგის ქვევით წერია „პეტრები“ (ესე იგი, პეტრიაშვილები). ქვედა რიგში კი მხოლოდ ერთი ქალი ხატია. ქალს ერთს მხარეს მიწერილი აქვს „კ“ (ესე იგი, კატუშა), მეორე მხარეს კი წერია „ცხოვრებაშვილი“. ამ სიტყვის „ვ“-ებს, და „ლ“-ს ბოლოში აქვთ ყვავილები. იქვე ხატია დიდი ღიმილი. ასე, სიყვარულით ჩამინერა თავისი ბაბოს ანუ დედაჩემის გვარი.

**13 იანვარი — 1 თებერვალი, 1980 წ.**

ოლიკომ დავარცხნა ბენვის ქუდი და ქუდს ძალიან წყნარი ჰქონდა იერი. მერე დაიქნია ოლიკომ ქუდი და ქუდი აიბურძგნა. ალბათ უნდოდა გადაეწყვიტა :როგორი დაეხურა, „წყნარი“, თუ აბურძგნული.

**1 თებერვალი, 1980 წ.**

დღეს ოლიკომ ჩამომიყალიბა თავისი კრიტიკრიუმი კარგი ზღაპრისა. თვითონ თავის ოთახში იყო, მე კი — დიდში (შუაში იყო შემინული ტიხარი). იქიდან მეუბნებოდა, შენი ზღაპრები რალაცნაირია, რომანტიკულიაო. არ მომწონსო. ზღაპარი უნდა იყოს მხიარულიო. არ უნდა იყოს შიგ რალაც ჯადოქრებო. კარლსონი და პეპი კარგიაო. ისეთი უნდა იყოს, რომ სასაცილო სიტყვები კი არ იყოს, უფრო სასაცილო რამეები უნდა ხდებოდესო.

კარგად უნდა იყოს დახატულიო. რაც იმ მომენტში მთავარი, სწორედ ის უნდა იყოს დახატულიო. თუკი ბევრი ნახატი შეუძლებელია, მაშინ გმირები მაინც უნდა იყოს დახატულიო. კარგ წიგნზე უნდა ეწეროს (ალბათ, ყდაზე) გმირების სახელები. ვინც მთავარია — დიდად, ვინც უფრო შემდეგია — ისინი უფრო პატარად და ასე შემდეგო.

ვკითხე, „ფერდინანდი“ თუ მოგეწონა-მეთქი. არაო. იქ ფერდინანდს ხან გენერალივით აცვია, ხან ასეო, ხან ისეო. და იქვე ძალები დაჰყავთ თოკითო. თუ ერთ ძაღლს აცვია, ყველა უნდა იყოს ადამიანივითო. მანამდე კი მითხრა, არ მომეწონა, იმიტომ, რომ სიზმარში ხდება ყველაფერიო. გმირი თუ ბავშვია, უნდა ჰყავდეს კლოუნივით მეგობარი კაციო. კლოუნი კი არა, არამედ კლოუნივითო. სახლში უნდა ჰყავდეთ კატა ან ძაღლი. ან თუ გინდა — ვირთხა. ოღონდ რამე იყოსო. თუ გინდა, ჟირაფი ჰყავდეთ და ჭერი გახვრიტონ, რომ დაეტოსო.

მერი პოპინსი არ მომწონს, კარლსონი მომწონსო. კარლსონს ხასიათი აქვსო (ასე თქვა პირდაპირ: „ხასიათი“-ო) ვიცი, როგორიცააო. მერი პოპინსი კიდეც, არ ვიცი როგორიაო (როგორია არ ვიციო, რამდენჯერმე გაიმეორა).

მერი პოპინსი რომ ქოლგით დაფრინავს, კი გამიკვირდებოდა ცხოვრებაში, მაგრამ რომ ვკითხულობ, არ მიკვირსო. კარლსონი კი საკვირველიაო.

მერე მკითხა, აბა როგორ დაიმახსოვრე, როგორი უნდა იყოს ზღაპარიო.

ჰო, კინალამ დამავინწყდა, სასაცილო სიტყვებიც შეიძლება, მაგრამ ჯერ სასაცილო ამბები უნდა იყოსო.

საუბრის დასაწყისში მითხრა, შენს ზღაპრებზე თეა და ცირა გიჟდებიანო (თეა და ცირა მისი ამხანაგები არიან), მე კი — არაო. თეას იმიტომ მოსწონს, რომ ვერ იგებსო. ახლა ამბობს, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა წავიკითხოო. თანაც დედამ უთხრა, არ შეიძლება, რომ რამეზე თქვა, არ მომწონსო. შემეშალა და ვეხუმრე, რამდენს ლაპარაკობ-მეთქი. ოლიკომ ძალიან ღირსეულად მიპასუხა, გეკამათებო. შენ ხომ თქვი, ვიკამათოთო.

შემიძლია ვთქვა, რომ უკვე დიდი გოგო მელაპარაკებოდა. ოლიკო — ბოლიკო!

აი, რამხელა გოგოა. უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა. მისი მოსაზრებები ზღაპრების თაობაზე საოცრად სწორია.

**5 აპრილი — 14 აგვისტო, 1980 წ.**

ოლიკომ მითხრა: — ქარი რომ უბერავს, ხეები მობუზულები არიან, თითქოს სცივათო. მხრები ასწია და მოიბუზა, აი, ასეო.

**28 იანვარი — 15 მაისი, 1981 წ.**

ოლიკოს დავანახვე აყვავებული ატმის ბაღები. — ვაიმე, თითქოს ვარდისფერი თოვლი მოსულა! — ნამოიძახა ოლიკომ.

უკვე მთლად ქართული აქვს ცნობიერება. ორი-სამი წლის წინ ალბათ იტყოდა: „თითქოს ვარდისფერი თოვლი მოვიდა“, ახლა კი თქვა: „თოვლი მოსულა“.

**15 მაისი, 1981 წ.**

გუშინ ოლიკო პირველად გავიდა ქალაქში მარტო. უნივერსამში წავიდა ავტობუსით.

დღეს მითხრა, ავტობუსში ფული ჩავაგდე სალაროში და ბილეთი მოვხიეო. უხარია, რომ უკვე დიდა.

16 მაისი — 6 ივლისი, 1982 წ.

უბის წიგნაკში ოლიკომ ჩამიხატა სხვა და სხვა გვერდზე ლამაზი ქალები.

ბოლო ქალი კენტ გვერდზე დამიხატა, ლუნ გვერდზე კი ჩამინერა პირველი ორი სტროფი აკაკი წერეთლის ლექსისა „გლეხმა ცხვარზე საჩივარი...“

ხოლო ორი გვერდის შემდეგ დიდი ასოებით ჩამინერა:

**პეტრე, ცხოვრე, ივანე რატომ დაიგვიანე?  
აბანოში ვიყავი, ცხვირი გავიპრიალე.**

კრიტიკა

მარინე გიგაშვილი

**მგლოვიარე  
საპატარძლო**

ჩვენს ეპოქაში, თანამედროვე მატერიალისტური ცივილიზაციის მეშვეობით, უკვე ყოველგან აღწევს ის დამშლელი ძალები, რომლებიც ემტერებიან ტრადიციულ სულს; ეს ბუნებრივია, რადგანაც ტრადიციული სული არის ის ძალა, რომელიც წარმავალ წარუვალთან აერთიანებს, გარეგანს — შინაგანთან, რღვევადს — ურღვევთან. ამ მხრივ ტრადიცია ფერდობზე გაშენებულ მცენარეულ საფარს ჰგავს, როგორც ეს უკანასკნელი იცავს ნიადაგს წალეკვისაგან, ისევე იცავს ტრადიცია მინიერ არსებობას გაქარწყლებისაგან. ამდენად, ის „ცივი ომი“, რომელსაც თანამედროვე სული უკვე მსოფლიო მასშტაბით აწარმოებს ტრადიციული შეგნების წინააღმდეგ, სხვა არაფერია, თუ არა მომასწავებელი ნიშანი იმისა, რომ მინიერი კაცობრიობა საბოლოო დაშლა-რღვევისკენ მიექანება. ამ სიტყვების ავტორი, თამარ ჯაყელი, მიმოიხილავს რა რენე გენონის დიდ ტრიადას, მხოლოდ კათოლიკე ეკლესიას ავალებს ამოქმედდეს ამ პროცესის სანინაღმდეგოდ: „ამ საყოველთაო რღვევის პირობებში, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა კათოლიკე (ანუ უნივერსალური ხასიათის) ეკლესიას ევალება ამოქმედდეს“.

ჩვენ შევეცდებით, კათოლიკე ეკლესიასთან ერთად, აღვნიშნოთ მწერლის უდიდესი როლი — დააკავშიროს წარმავალი წარუვალთან, რღვევადი — ურღვევთან. სწორედ მწერალია ის მცენარეული საფარი, რომელიც იცავს წალეკვისაგან ყოველივე ღირებულს.

თუმცა კომპიუტერი სულ თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ იმ გამთიშველ და დამშლელ ძალად, რომელიც ემტერება ტრადიციულ სულს, განვიხილოთ სანინაღმდეგო პროცესი და აქაც მწერლის უდიდესი ღვანლია აღსანიშნავი.

2006 წელს გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „წერო“, რომლის პირობების მიხედვითაც მწერლებს უნდა გადაეგზავნათ მოთხრობები საიტზე [Literatura.ge](http://Literatura.ge). ახალგაზრდები (არამარტო ახალგაზრდები), კომპიუტერის ძირითადი მომხმარებლები (და არა კომპეტენტური ჟიური) აფასებდნენ თითოეულ მათგანს.

ვანო ჩხიკვაძეს უამრავ ლიტერატურულ კონკურსში აქვს მოპოვებული წარმატება, ზემოთქმულის მიხედვით, მიღწევად მიმაჩნია ისეთ კონკურსში გამარჯვება, როგორიც „წერო“, რადგან თუ იმ ნაწარმოებთა ფონზე, რომლებიც ამ კონკურსისადმი მიძღვნილ კრებულშია დაბეჭდილი,

ახალგაზრდობა ირჩევს და საუკეთესოდ მიიჩნევს ვანო ჩხიკვაძის მოთხრობას „ახადელების რძალი“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მინიერი კაცობრიობა, რომელიც საბოლოო დაშლა-რღვევისაკენ მიექანება, ეკლესიასთან ერთად მწერალმაც გადაარჩინოს და ის „ცივი ომიც“ მოვიგოთ, რომელიც ტრადიციული შეგნების წინააღმდეგაა მიმართული.

ნოველა — „ერთი უჩვეულო შემთხვევა“: ასეთია გოეთეს ფორმულირება.

კრებულში „წერო“ არ არის მითითებული: დაბეჭდილი მასალა რომელ უანრს განეკუთვნება, ვანო ჩხიკვაძეს მიაჩნია, რომ „ახადელების რძალი“ ნოველაა. ავტორმა კარგად იცის, რომ ახალი, სრულიად ახალი პრობლემა, რომელიც არავის მოსვლია თავში, არ არსებობს, მაგრამ ცდილობს ახსნას ის რთული ფენომენი, ადამიანის შინაგან ბუნებასა და იმ მდგომარეობას შორის რომ არის, რომელშიც ზედსანიერის მიერ ვართ ჩაყენებული. ნოველაში არ არის აღწერილი მთავარი მოქმედი პირის გმირული სიკვდილი, ის, ერთი შეხედვით, სრულიად უსახელოდ, უაზროდ იღუპება. ის, რომ ახადელების გიორგის არაკაცის ტყვია ჰკლავს, უჩვეულო და დაუჯერებელი არ უნდა იყოს არავისთვის, რადგან სულ მალე ასობით ქართველი ბიჭი გაიზიარებს მის ბედს.

როგორც ნოველის უანრი ითხოვს: „ახადელების რძალი“ მართლაც არის ერთი უჩვეულო შემთხვევა, როდესაც მხრებზე ჩამოცურებული ძაძა გოგოს ფეხებთან შავად შეგუბდება და ახადელების საპატარძლოს თეთრი საქორწინო ფატა ჩამოემღება ანგელოზივით სახეზე, სიტუაციას ამძაფრებს კატეგორიული მოთხოვნა: „მღვდლო, დაგვენერე ჯვარი“. მამა ელიზბარი კი თავზარდაცემულია „ჯვარი? როგორ, რანაირად არსმენილა, არგაგონილა და ართქმულა, მაგრამ დაემორჩილება შექმნილ სიტუაციას და მორჩილს საცეცხლურს ჩამოართმევს“.

თავზარდამცემია სიტუაციის სიმძაფრე და მკვეთრი სილუეტი — საქორწინო სამოსში გამონყობილი მგლოვიარე საპატარძლო.

იმის მაცნედ, რომ გიორგი დაიღუპა, აფოფრილი ცხენი ბრუნდება სახლში, სადაც საპატარძლოს თეთრ კაბას უკერავენ და კვირის ბოლოსათვის ქორწილისათვის ამზადებენ, მაგრამ მოხდა ტრაგედია და სასიძო დაიღუპა, თუმცა არცთუ ისე უსახელოდ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან ეს საზღვრისპირა სოფელია, და უკვე იგრძნობა, რომ იწყება ის ძმათამკვლელი ომი, რომელმაც შემდეგ უმართავი ხასიათი მიიღო და თუ როგორ დამთავრდა, დღეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ეს არ იქნება ჩვენი განსჯის საგანი. ჩვენ შევეცდებით შევაფასოთ ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოთხრობა ახდენს რიგით მკითხველზე და არა კრიტიკოსზე. მწერალი ყურადღებას საპატარძლოზე გადაიტანს. ის არის მთავარი მოქმედი გმირი, ამ პატარა გოგონას სუსტ მხრებზე უნდა გადაიაროს იმ უდიდესმა დატ-

ვირთვამ, რომელიც დაუპირისპირდება ყოველგვარ გამთიშველ და დამშლელ ძალას და დაიცავს ტრადიციულ სულს.

ჰერმან ჰესეს მიაჩნია, რომ „ჩვენს დროში ნებისმიერი ხალხის უდიდესი ნაწილი უსიხარულოდ და უსიყვარულოდ მოუყვება თავისი ცხოვრების გზას, სალუქი სულის ადამიანებს ჩვენი, სრულიად არაშეშორებელი ცხოვრების წესი თრგუნავს, ტყვივს აყენებს და განიზიდავს“. ეს პატარა გოგონაა ამ „სალუქი სულის“ პატრონი, რომელიც ყველა წესის დარღვევით, ზემოდან ძაძაგადაცმული, თეთრი კაბით გამოცხადდება საყვარელი ადამიანის დაკრძალვაზე. იქ გაცხადდება ფარსი, გადაიძრობს შავ სამოსელს და გოცებული ხალხის წინაშე საპატარძლო კაბით წარსდგება.

ამით ის აცხადებს, რომ სამუდამოდ დაიცავს თავის პირველ სიყვარულსა და სიხარულს, რომელიც ასე უდროოდ წაართვა მტრის ტყვიამ თუ ბედისწერამ. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს უოლტ უიტმენის სიტყვები: „მე არ ვქვითინებ, არც დაგტირი, მე გილოცავ“.

არადა, არ არის უაზრო ახადლების გიორგის სიკვდილი, თუ მას ამ ქვეყნად რჩება ასეთი მოყვარული სული. აქ უკვე მწერალი გამოდის წინა პლანზე და მიაჩნია, რომ თუმცა ამ გოგონას მრავალი ცდუნება დაემუქრება ცხოვრების გზაზე, ის თავის პირველ სიყვარულს და სიხარულს სიცოცხლის ბოლომდე არ დათმობს. ნოველის მთავარი სათქმელიც ეს არის.

ვანო ჩხიკვაძემ იცის, რა თემაზე ელაპარაკოს თავის მკითხველს, რომელი პრობლემა წამოსწიოს წინა პლანზე და, საბედნიეროდ, ახალგაზრდა მკითხველმა მას დაუფერა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, ზოგიერთი მათგანი, რომელიც მოთხრობას საუკეთესოდ მიიჩნევს, არც იცნობდეს სრულად მის შემოქმედებას.

ეს არის მწერლის გამარჯვება, რადგან ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი, ვიზეც „სამოციან წლებში დიდ იმედს ამყარებდნენ, გამოსცდა თუ არა საკუთარი ბიოგრაფიის, ბავშვობის მოგონების მიჯნას, შემკრთალი და დაძაბული შედგა ჭეშმარიტი პროზის წინაშე“ (ოტია პაჭკორია). საბედნიეროდ, ასეთთა რიცხვში არამც და არამც არ შეიძლება განვიხილოთ ვანო ჩხიკვაძე, რომელმაც თავისი მოღვაწეობით დაიმკვიდრა ადგილი ქართველ ჭეშმარიტი პროზის წარმომადგენელთა შორის.

ვანო ჩხიკვაძე ცხოვრებაზე მახვილი თვალით დაკვირვების უნარს ამ ნოველაში კარგად ავლენს, რაც „მან მთელ თავის შემოქმედებაში, ჩვენის აზრით, გაანაღდა და შექმნა სამყაროს მხატვრული შემეცნების თავისებური სტილი“.

ამ ნოველის გარეშე მწერლის შემოქმედება ძალიან ბევრს დაკარგავდა, რადგან ის, ჯერ ერთი, საუკეთესო ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ნოველისტთა შორის, მეორეც, მასში დასმულ საკითხზე მწერალს შემდეგ ბევრი უფიქრია და შემდგომ ნაწარმოებში შევხვდებით იმ გმირების თუ ფაქტებისა და მოვლენების უფრო ღირსეულ სახეებს, რაც ნოველაშია ნაჩვენები.

ამბავი, თუნდაც ნამდვილი, მაშინ იქცევა მხატვრულ სინამ-

დვილედ, როცა ის სავსებით დამაჯერებელი ხდება მკითხველისათვის. „ნამდვილ ამბავს, მე ვგულისხმობ ცხოვრებაში მართლა მომხდარ ფაქტს, მაშინ აქვს ფასი, თუ რა დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე“... მიაჩნია მწერალ გურამ გეგეშიძეს, რომ ლიტერატურაში მთავარია დამაჯერებლობა, ლიტერატურული ფაქტი უნდა ემყარებოდეს სინამდვილეს და აქ არ უნდა დაგვაინყდეს — მწერლის ფანტაზიაც სინამდვილეა. ყველაფერი დამოკიდებულია სინამდვილის გადმოცემის უნარზე. ვანო ჩხიკვაძე სინამდვილეზე დამყარებული მწერლის ფანტაზიის მეშვეობით გვიჩვენებს, რომ ნოველაში დასმულ-გადანწყვეტილი თემა

მარადიულია და, როგორც როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, „თითოეული მწერლის ამ საკითხთან დაბრუნება აუცილებელია ზოგადკაცობრიული თვალსაზრისით იმ თავისებურებათა მისაგნებად, რაც უადრესად ფასეული იქნება ქართული ეროვნული ხასიათის შეცნობის გზაზე“.

ვანო ჩხიკვაძე ბრწყინვალედ ართმევს თავს ურთულეს პასაჟებს: „ფსიქოლოგიური სიმართლე, ტაქტი, სურათის მაქსიმალური ექსპრესიულობა, სიტყვიერი მასალის ეკონომიკური და ხატოვანი გამოყენება, ეს ყველაფერი ისე ბუნებრივი და ორგანულია, რომ ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს-ესაა მონმე იყავი აღწერილი ამბების“: საკუთარი თვალით ნახე პატარძალი, რომელიც საქმროს სიკვდილს არც ტირის არც გლოვობს და მხოლოდ ულოცავს.

ინგა მილორავა, განიხილავს რა თავის ნაშრომში სიკვდილს, როგორც ესთეტიკურ ფენომენს,

აღნიშნავს, რომ ქართველ კლასიკოსთა მიერ XX ს. I ნახევარში შექმნილ მოთხრობებში სიკვდილს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. მათ შორის ერთ-ერთია სიკვდილი, როგორც სულთა კავშირის აღდგენის საშუალება, და რა არის ეს მილოცვა ნოველაში თუ არა სულთა კავშირის აღდგენის საშუალება, ამით ვანო ჩხიკვაძე XXI საუკუნეში აგრძელებს XX საუკუნეში დაწყებულ ტრადიციას, დაწყებულს ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ და აგრძელებს დიდი წარმატებით.

დღეს უკვე სულ უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ ვანო ჩხიკვაძე ერთნაირი წარმატებით მუშაობს სხვადასხვა ჟანრში, იქნება ეს პოეზია, პროზა, ნოველა, მოთხრობა, რომანი თუ დრამატურგია. ამ ნოველით მწერალი აგრძელებს ქართული ნოველისტური სკოლის ტრადიციებს. მასში განვითარებული პერიპეტეიები მთლიანად ემთხვევა იმ მოთხროვნებს, რაც ნოველის განმარტებაშია განსაზღვრული.

შეგიძლია ჩამოვთვალოთ ქართველი მწერლები, რომლებიც ძირითადად ნოველის ჟანრში მუშაობდნენ დიდი წარმატებით, ესენია: ოთარ ჩხეიძე, რევაზ ინანიშვილი, რევაზ მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, გოდერძი ჩოხელი, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით სრულყვეს ქართული ნოველისტური სკოლა, დაფუძნებული შიო არაგვისპარელის მიერ. მათ შორის თავისი ნიშა უკავია ვანო ჩხიკვაძის ნოველებსაც, რომელთაგან ერთ-



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

ნინო დეკანოიძე

# უჩინარნი, მამრამ დიადნი

27 თებერვალს „ნიგნის მოყვარულთა ასოციაციამი“, შეიძლება ითქვას, ამ აბსტრაქტულად განზოგადებული დასახელების, თანაც ურეკლამო-უეპატაჟო, მაგრამ მომეტებულად შემოქმედებით გარემოში, გაიმართა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **დოდო ჭუმბურიძის** ნიგნის „ისტორიული პორტრეტების“ წარდგინება.

და რაც, უთუოდ, ხიბლს სძენს ხოლმე ამნაირ ღონისძიებებს: დათქმულ დრომდე უკვე გადავსებული დარბაზი — ინტერესიანი მოლოდინის მანიშნებელი; აგრეთვე ავტორისადმი მიძღვნილი ნაირგვარი თაიგული, გამორჩეულად ენძელას, იის, ყოჩივარდას ხასხასა კონები — კარს მომდგარი გაზაფხულის მაუნყებლნი; და რასაკვირველია, მიძღვნილი საგანგებოდ ავტორისადმი.

პრეზენტაციის წარმმართველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ ჯანელიძე**, ვინც რედაქტორიცაა ახალი ნიგნისა, აღმატებით ხარისხს მიაკუთვნებს რა ნაშრომს, დასძენს იმასაც, რომ „ისტორიული პორტრეტები“ ადვილად პარალელგასავლება. ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვასილი კლიუჩევსკის წერის მანერასთან. თანაც, ჩვენს სინამდვილეში, ყამირი, როგორც ასეთი, გატეხილი დახვდა ავტორსო. სანიშნოდ კი **ვახტანგ ქელიძის**, **ელგუჯა მალრადისა** და **როსტომ ჩხეიძის** ბიოგრაფიული რომანები დაასახელა. ყველაფრის მიუხედავად, დოდო ჭუმბურიძის „ისტორიული პორტრეტები“ ადვილად იპოვის გზას წარსულის შეცნობის მონადინე მკითხველის გულისკენო.

სიტყვით გამომსვლელმა ავტორის ღირსებად პროფესიონალიზმთან, ნაყოფიერ გარჯასა და გულმოდგინებასთან ერთად, მიიჩნია მისი დაინტერესება არა მხოლოდ ერის სახელოვან შვილთა ცხოვრებისეული დეტალების წარმორჩენა-გაანალიზებაში, ჩრდილში მყოფთა, მომხსენებლის გარეშე გადაგებულითა მოსარჩლეობაც ჩვეული კეთილსინდისიერებით იტვირთაო — აღნიშნა.

მოყოლებული XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან XX საუკუნის ათწლეულებამდე ნიგნში შემოკრებილი ნაკლებადცნობილი, უჩუმარი მოღვაწენი საზოგადოებრივ აზრსაც განსაზღვრავდნენ. მათ გარეშე კი ეპოქის სულს ვერანაირად ჩანვდებოდა თანამედროვე ჭირისუფალი — პატრიოტი ქართველი.

პრეზენტაციაზე აგრეთვე სიტყვა წარმოთქვეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა: **ვაჟა კიკნაძემ**, **გელა საითიძემ**, **შოთა ვადაჭკორიამ**, **მარიამ ჩხარტიშვილმა**, ისტორიკოსებმა **ლელა სარალიძემ** და **ლამარა ეძგ-**

**ვერაძემ**, პოეტმა და ლიტერატორმა **შარლოტა კვანტალიანმა**, ნიგნის მოყვარულთა ასოციაციის ხელმძღვანელმა **ლია ნადარეიშვილმა**; მან, როგორც კეთილმოსურენ მასპინძელმა, აღნიშნა, რომ ყოველთვის სიამოვნებით ემსახურებიან მნიშვნელოვანი ახალი გამოცემების პოპულარიზაციას.

სიტყვით გამოსულებმა საფუძვლიანად მიმოიხილეს „ისტორიული პორტრეტები“, არც პოეტურ-ემოციური მუხტი დაჰკლებიათ. მოუწონეს ავტორს სიმართლის წვდომის, „მართლის თქმის“ პრინციპის ერთგულება. აღნიშნა ლამის ერთსულოვნად: რომ დოდო ჭუმბურიძე არის მშვენიერი პოეტი, ჩინებული მთხრობელი, იცის ძარღვიანი ქართული, აგრეთვე დაახასიათეს იგი როგორც ავტორიტეტული მეცნიერი, სანიშნოდ კოლეგა, სანდო მეგობარი და რაც ყოველივე ამ ჩამონათვალს ავგორგვინებს — დედა კარგი შვილებისა.

საკამათო, თუნდაც მიმანიშნებელი შენიშვნებისა, არაფერი თქმულა გამოცემის შესახებ. სამაგიეროდ ითქვა ორიოდე ისტორიული პირის მისამართით, განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანზე; ისედაც რომ შერისხულია თანამედროვეთაგან, გაორებული ცხოვრების გამო. მხილება კვლავ გახლდათ კატეგორიული, განაჩენივით შეუვალი, რასაკვირველია, არც სიმართლეს მოკლებული, მაგრამ აღარაფრის შემცველიც...

სინანულით აღინიშნა ისიც, რომ ამგვარი ყაიდის ნიგნებს, როგორცაა „ისტორიული პორტრეტები“ სხვანაირი პატრონობა სჭირდება. ხარჯიანია ავტორისათვის, რადგან საარქივო მასალების მოძიება იაფი არ ჯდება. მერე, ნაშრომის გავრცელებაზეც ავტორმა უნდა იზრუნოს. გახმაურება იმისა, რომ ესა თუ ის ნიგნი გამოვიდა, ნაკლებად აინტერესებთ ჩვენს ტელევიზიებს. უსახური და უმნიშვარი იუმორისტული შოუებით არიან სავსენი, თითქოს მაყურებლისათვის აუცილებელი სხვა აღარაფერი იყოს. ერთადერთ მანუგეშებლად რჩება ასეთი შეხვედრები, რის მერეც ნიგნმა თვითონ უნდა გაიკვალოს გზა.

წესისამებრ, სიტყვა **დოდო ჭუმბურიძემაც** თქვა. მოუყვა მსმენელს ამომწურავად, რა ჩაიფიქრა, რისი გაკეთება ენადა და მიღწეულიც მკითხველს მიანფიქრა შესაფასებლად.

დასძინა ისიც, რომ ნიგნი იწყება საქართველოსთვის ნამებული ალექსანდრე ბატონიშვილით და მოდის ქაქუცა ჩოლოყაშვილამდე. ისტორიულმა მონაკვეთმა შემოკრიბა ბევრი უჩინარი, მაგრამ დიადი მოღვაწე: მამულიშვილური სულისკვეთებით, პატიოსანი გაბედულებით მისაბაძნი რომ იქნებიან შთამომავალთათვის.

...და რომ ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, მთელი მისი ცხოვრება ვრცელი მონოგრაფიის თემაა, ეს ნიგნის დასაწყისშივეა მონიშნული. არადა, ბიოგრაფიული რომანი უკვე გამოცემულია ალექსანდრე ბატონიშვილზე. ჩანს, საპრეზენტაციო ნიგნის ავტორს დაინწყნია. არადა დასანანი, ისეთ გულისხმიერ, ალღოიან მეცნიერს, თანაც კეთილად მოყურიადე ადამიანს, როგორიც ქალბატონი დოდო ჭუმბურიძე არის, ეს არცთუ ნაკლებმნიშვნელოვანი და საკმაოდ გახმაურებული ფაქტი გამოუთქმელი დარჩა ამ მართლაც ჩინებულ ნაშრომში, „ისტორიულ პორტრეტებად“ რომ მიაბარა მკითხველს.





„ვიცი და ვხედავ, რომ სალამანდრა ყოველნაირ ცეცხლს გადალახავს, შიში არ დევნის და ტკივილიც არ ეკარება“, — ეს სიტყვები ინგებორგ ბახმანს ეკუთვნის, ვინც დღეს უკვე XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის კლასიკოსადაა აღიარებული და, შეიძლება ითქვას, ამ სტრიქონებით თავისი აღსასრული ინიხანსწარმეტყველა, რადგან კვლავაც იდუმალებითაა მოცული 1973 წლის 26 სექტემბრის საბედისწერო ღამე, როდესაც რომში, მის ბინაში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა 47 წლის პოეტი — ევროპული პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი... უბედური შემთხვევა იყო ეს თუ თვითმკვლელობა, უცნობია.

დაიბადა კორინთის ქალაქ კლაგენფურტში, 1926 წელს. ბავშვობიდან მუსიკით იყო გაცეცხული და საკუთარ კომპოზიციებსაც კი იგონებდა, თუმცა შემდეგ 1945-50 წლებში ინსბრუკში, გრაცსა და ვენაში ფილოსოფიის, გერმანისტიკის, ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის შესწავლას შეუდგა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიის კრიტიკულ ანალიზს. ბახმანის მსოფლმხედველობაზე, ჰაიდეგერის გარდა, გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ავსტრიელი ფილოსოფოსის ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ენის ფილოსოფიამ“. ბახმანი მიიჩნევდა, რომ ენის შემოქმედებითი განვითარება აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო ქვეყნარტი პოეზიისათვის. „ძველი სიტყვები ახალი სიტყვებით უნდა შეიცვალოს“ — ამბობდა იგი. პოეტს ლექსების გარდა ერთი რომანი, მოთხრობები, რადიოესეები და თეორიული ხასიათის წერილები ეკუთვნის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელი და წარმატება სიცოცხლეშივე გამოქვეყნებულმა პოეტურმა კრებულებმა და სიკვდილის შემდეგ დასტამბულმა ლექსებმა მოუპოვა. დაუმთავრებელი დარჩა ტრილოგიად ჩა-

ფიქრებული პროზაული პროექტი: „სიკვდილის სახეობანი“, რომლის პირველი ნაწილის გამოქვეყნება მოასწრო მხოლოდ. ამ პუბლიკაციით მკითხველი გაეცნობა პოეტის შემოქმედების ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწარმოებს: „ქვეყნის, მდინარისა და ტბების შესახებ“. ესაა ადამიანის სულის ოდისეა უკიდევანო და გასაოცარი სამყაროს წიაღი, რომლის სიღრმისეული შეცნობისა და აღქმისათვის უცილობელი გამანძილებაა საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეძლებს ადამიანი ჯეროვნად ჩანვდეს დროსივრცის ზღვარდაუდებელ კონტექსტს. ინგებორგ ბახმანი გარდაიცვალა რომში, დაკრძალულია კლაგენფურტში.

**ინგებორგ ბახმანი**

**ქვეყნის, მდინარისა და ტბების შესახებ**

I

შიშის შეცნობა ვისაც სურდა, ვინც გაერიდა მდინარისა და იდუმალი ტბების ქვეყანას, მის კვალს დავეძებ, სულთქმას ვითვლი ამიერიდან, რადგან გაჰფანტავს ქარი, ლეთისგან თუკი ებრძანა!

თვალი ადევნე და გახსოვდეს, მსგავსებას ჰპოვებ: მსგავსია ყველა ოდისეა, მწირთა თანმხლები. ყარიბი მიხვდა, სადაც ცხვრები გულმშვიდად სძოვენ, მზერას ელვარედ აკვესებენ მშვიერი მგლები.

იგრძნო, მის ტალღას მუხტი უკვე ამოეწურა, აბორგებულ ურვა-ხიფათს რომ შეამთხვევდა; ურწევდა აკვანს აზიდული ტალღა ჯიქურად, ის ბედის მიმქრალ ვარსკვლავს მაინც წინასწარ მზერდა.

არხევდა ხეებს, ფეხით შესდგა ტყის ფუყე კაკლებს, ბაზთ სთავაზობდა აღმატებულ ხმობას ხმამალას, კვირადლე მისთვის არ ნიშნავდა ტკბილ ზარზე ნაკლებს, მისთვის ყოველდღე კვირა იყო — დღე, რაც დაკარგა.

გამოარიდა მან ურიკა შესხნილ ლიანდაგს, და შარავ ზაზე მიმოსვლისას სძლია ცდუნებას, ძახილი მისი წყალმა ვრცელ ტბებს ექოდ მიანდო, მათათა პირველი ქვალორდი რომ უცვლის გუნებას.

შვიდი ქვა მაინც შვიდ პურად იქცა, როცა გუმანით თვალშეუდგამი ლამის წიაღს არ განერიდა;

გარემოცული მქისე ნისლით, დაკარგულთათვის გზის გასაგნებად, თავის კვალზე ნამცეცებს ყრიდა.

გაიხსენებდე! მოვლე ლამის ქვეყნიერება: ვინც ერთგულია, შინ ბრუნდება ადრიან დილით. დახანებული დრო-ყამია და ჩვენ გვეძლევა! რაც დავივიწყე, მომიბრუნდა მსახვრალი სხივით.

II

შუა ქალაქში — ალიონზე, პასტორი თავის ლოცვანითა და საკვირაო შესამოსელით. ყალიონები — ჩამქრალი და ქუდები — შავი, სხეულს, ღირსებას და დოვლათსაც განსჯა მოელით.

მდორე მდინარის ზედაპირი იხუტებს ტირიფს, „კერონები“ ბრიალებენ, სახლს მისწვდნენ ლამის, უხვი ტრაპეზი გაშლილია, ტრაპეზი კვირის, და სადღეგრძელო, რაც კი ითქმის, თხოულობს ამინს.

ნასადილევს კი — საოცარი მოცალობა: აქ წინდებს ქსოვენ, იქ ქვეშავებს ამზეურებენ, ალკაზმულობას წმენდენ, ვიდრე აჟღარუნდება ფალადას ცხენის საკაზმი და აპურები.

ხანდაზმულები ბნელ, დახუთულ საკნებში რაჟამს, სახარებებით ილლიაში, თრგუნავენ იჭვებს, ღვთაებასავით, წვიმის სახით, მათი ვაჟები მოახლეებთან ჩასახავენ უსიტყვოდ ბიჭებს.

დარწყულებულან ტუჩები და თვლემენ თვალები — ჭუპრი ჰკიდია დაქსელილი განჯინის კუთხეს,

აიზიდება მიმწუხრისას სუნი ნაკელის და, ბუზის ზუზუნს აყოლილი, სარკმლისკენ უხვევს.

სალამობით ორლობეში ისმის სიცილი, ვარდს ფურცელ-ფურცელ სამკითხაოდ დაუდგა დარი, სიზმრით გათანგულ კატებს აღარ დასცალდათ ძილი და წითელ კაბებს შეუჩნდა და აგიუებს ქარი.

წყვილთა ჩრდილები იბინდება თანდათან წისლით, გაშლილ ნაწნავთა სურნელს იწოვს უმაღვე ყანა, მიგორავს მთვარე უნაყოფო იქვე, ბორცვს იქით, იპყრობს მინას და ერთი ღამით იხვეჭს ქვეყანას.

III

გალავნის ნაშთი შერჩენია ჯერაც მთავრეხილს, შემოჯარვია დარაჯებად კლდეები სალი. ძერა ბრჭყალებით ჩაფრენია და მოაქვს გერბი, როგორც დასტური ოდინდელი, ხელმწიფის ძალის.

სამი გვამია მიმალული ბასტიონს იქით; ერთს აქამომდე თმას უწნავს გოდოლზე ქარი, მეორე, ასე უთქვამთ თითქოს, ქვებს ისვრის რიყით, ორთავიანი იყო თურმე, მესამე – მკვდარი.

ნებისმიერი მათ ბრძანებას ცეცხლითვე უზღავს, მკვლელი გახდება, ვისაც შავ თმას შემოავლებენ, ვინც ქვას დასწვდება, იღუპება თავადვე უმალ, იმავ სალამოს, სანამ შაშვი კვლავ იგალობებს.

სათოფურებზე ფეხშიშველი ძრწიან სულები, გდია უმწეო, უსუსური გვამი დილეგში, შთაბეჭდილების წიგნში, თუმცა, ჩანიკნიკებულ მნახველთ სახელებს შთანთქავს ღამე სრულ სიბნელებში.

ის ახილვადებს მინის გეგმას, მიზნებს კი ჩქმალავს, დასახავს დროის ასპარეზად გამყინვარებას, ვინრო ბილიკებს მორენებზე ხრეშით გაკვალავს, რათა გზა გაჭრას ქვაცარცის და რუხ თიხნარისკენ.

ადრეულ დროის დრაპირების ხვეული ფენით ამშვენებს მას და ციხე-გოდოლს, ურჩხულის ფრესკა, სადაც ზესკნელი ქვევით იყო, ქვესკნელი – ზევით. კამბალა ისევ სოსანისფერ ნაპრალზე ცეკვავს.

ღამე ნატანში მიგვიძღვება. მიგვლეკავს ისევ ცივი, ახალი დროის უცხო ქვაბულთა წიაღ. ადამიანთა ფიქრს მღვიმეთა ფრესკებში ჰპოვებ! თეთრი გნოლის ფრთა შენს ქულაჯას ძღვნად მიაბნიე.

IV

სულ სხვა ტყაპუჭით ვიმოსვიდით აკი ოდესღაც, შენ მელის ბენვით დადიოდი, მე – ქრცვინის ტყავით;

მარმარის სპეტაკ ყვავილებად, ჟამთა უადრეს, ტიბეტის ერთ ღრმა ხეობაში თოვლქვეშ დავყავით.

ჩვენ ჟამგარეშე, სრულ წყვილიადში ჩამოღვენთილებს ბროლ-კრისტალებად, თავიდანვე განღვეით აღვსილთ, თავს გადაგვევლო ამ ცხოვრების ავიც, კეთილიც, ყვავოდით მაინც, დამტვერილნი პირველი არსით.

ჩვენ, სასწაულში მოარულნი, დაუზარებლად ახალ სამოსელს მოვირგებდით, ძველის სანაცვლოდ. ვინოდით ნექტარს ახალ-ახალ ნიადაგიდან და აღარ ვწყვეტდით სუნქვას ჩვენსას მეტად არასდროს.

ფრინველებივით მსუბუქნი და ხეებრ მძიმენი, დელფინებივით მამაცები, კვერცხივით წყნარნი, სიცოცხლით სავსეც ვიყავით და ვიყავით მკვდარნიც, არსნი, საგნები (თუმც, არასდროს თავისუფალნი!)

ვერ ვინარჩუნებთ თავს, მარადჯუამს ვერასგზით ვრჩებით, ახალ სხეულში სიხარულის განვავრძობთ ლოდინს. (და ვერვის ვეტყვი, რად მიღირხარ, რას ნიშნავ ჩემთვის, რადგან მტრედს ნატიფს ვერასოდეს გაუგებს ლოდი!)

შენ მე გიყვარდი. მე პირბადე მიყვარდა შენი, თხელი ქსოვილი, გარს ნარნარად რომ გველებოდა, ცნობისმოყვარედ არ გითევდი ღამეებს თმენით. (ო, რომ გიყვარდე! შენი ხილვა არც მჭირდებოდა!)

ჩვენ მივალნიეთ წყაროს წყლებით მდიდარ ქვეყანას. უტყუარ დასტურს მივაგენით: მთელი ეს მინა, სათაყვანები, უსამანო, ჩვენ გვეკუთვნოდა. შენ, ვით ნიჟარა თვალმარგალიტს, მას პეშვით იცავ.

V

ვინ დაუნესა, უწყის ვინმემ, საზღვრები მამულს, მავთულხლართები ვინ მოავლო ფიჭვებს ამჯერად? პატრუქიანი ელსადენი აჩნდა მთის წყაროს, მეღა სოროდან აფეთქებამ გამოაძევა.

ვინ იცის, ქედის თხემს ეძებდნენ ან იქნებ მწვერვალს? ეგების სიტყვას, ოდითგანვე რომ არ ითმობა? ყველა ენაზე აგვირისტებს ჩვენს სათქმელს მჟღერად, თუ ვიმდუმარებთ, შეწყვილდება, გაირითმება.

საზღვარზე, თუკი შლაგბაუმი ნელა დაირნა, სალამს გაცვლიან გულიანად, გასტეხენ პურსაც. მუჭა ზეცა და ხილაბანდით გასკვნილი მინა თან მიაქვს ყველას, რაც გამიჯნვას შველის და კურნავს.

ბაბილონში რომ ძალლი პატრონს უკვე ვერ სცნობდა, შენი სიტყვა რომ გრძლად ითქმოდა, ჩემი კი — არა, ბაგისმიერი, ყრუ და ხშული ბგერებით ხმოზდა დიადი სულიც, იუდეა ვინც მოიარა.

მას აქეთ რაკი საგნებს გვამცნობს თვით სახელდება, ვაგზავნით ნიშნებს და ნიშანი ჩვენამდეც აღწევს, სპეტაკი თოვლი ცის გზავნილი როდია მხოლოდ, თოვლი ასევე სიჩუმეა, სივრცეს რომ ავსებს.

ველარაფერი ვერ გავგვიჯნავს, გრძნობდეს ყოველი, იგივე ჰაერს უგრძნობს ალლო, იგივე ქარგას. მცენარეთა და ჰაერთა ზღვარს აქარწყლებს უმაღ ზეცის თავანზე ფრთის მოქნევა ლამეულ ქართა.

მაინც საზღვრებზე გვსურს კამათი, და ყოველ სიტყვას ჯერ ისევ ახლავს უსამეველო მიჯნა და ზღვარი: სამშობლოს სევდით გადავლახავთ ყოველგვარ მიჯნას, რომ მხარეს ყოველს თანხმობად ავუბათ მხარი.

VI

საკლავის დაკვლა ახლოვდება, გაასკეცებულ ბზრიალ-ტრიალით ილესება ბლაგვი დანები, გახამებული ფეშტამალით დგანან კაცები, შემოხვევიან გარს დეკეულს, კვლავ დანანებით.

უფრო უჭერენ საბელს ყელზე განწირულ პირუტყვს, ხარებს ლაშებზე დასდით დუჟი, აგდებენ ენას; უკვე ამზადებს მეზობელი მარილს და პილპილს და ეცდებიან მსხვერპლის ზუსტი წონის დადგენას.

ნაკლავი თითქოს ნაკლებია აქ, სუფთა წონით, რადგან ცოცხლები, სისხლით სავსე გულს ფლობენ ცინ-ცხალს, — სიცოცხლის ფასად თავს იცავენ სასწორზე მდგომნი! — და ბოლო დარტყმას ქანქარაც კი ველარ აღრიცხავს.

ძალეები, უმაღ მივარდნილნი სისხლიან გუბებს, სულმოუთქმელად ხვრეპენ ცხელ სისხლს, ამოყორვამდე, სანამ სითალხეს დაიკრავს და არ შედედდება, გუბედ ქცეული, უპატრონო, მუქთი დოვლათი.

მოგვიანებით სისხლი პირველ სირცხვილს გაგემებს, და გაგანითლებს, ცოდვა-ბრალი არსებობს რადგან, გამოშიგნული ცხოველების ბედზე გაფიქრებს, და უახლოეს მერმისს შენსას ავ ნიშნად ადგას;

ძვლის ტვინით სავსე ლულისებრ ძვლებს და გემრიელ ხორცს სუნთქვა აკლია, შენც მათ გავხარ, თუმც სუნთქავ ხარბად. გადავინწყებულ ჯარასთან კი წინაპართ სამოსს ობობის ქსელი დაჰფენია მჭვირვალე ფარდად.

თვალს გადაავლებ წარსულს, ხედავ დანთქმულან წლები. ახალგაზრდობას ენაცვლება სითეთრე თმების. ჩონჩხთა ტყეები იზრდებიან სასაკლაოზე — ხმელი ფოთლების გვირგვინებით მორთული ჯვრები.

VII

დღესასწაულის მოსვლას ელის სალუქად ყველა, ხეხენ ფიცარნავს საცეკვაოდ — გააქვს კრიალი, ქაფიან ნაყენს უბერავენ ბავშვები ნელა და ჩალის ღერი საპნის ბუშტებს უშვებს პრიალით.

ნიღბების დასი საზეიმო სვლით ამკობს შუკებს, ნამჯის თოჯინებს აცეკვებენ თავთუხის კაბით, მოჯირითენი ყვავილწულთა ლახავენ ზღუდეს, სოფელს ზაფხული სტუმრობს ლალი მუსიკის ჰანგით.

ხმა სალამურის ეხამება ფლეიტის ბგერებს, ლამის სიბნელე ფერმკრთალ ბინდბუნდს დაუგებს მახეს. გონჯი თავის კუხს სასეიროდ ყველას აჩვენებს. იდიოტი კი საოცნებოს მიაგნებს სახეს.

კოცონის ალი ახილვადებს, ახალი მთვარის კვლავ მონენვამდე, ყოველდღიურ ნაშრომს და ნაღვანს; ვარსკვლავებს წვდება თესლები და ზღვა ნაპერწკალი, რათა შეიცნონ ზეცის ნიაღ, რა ფასობს ახლა.

ამჯერად ნაძვნარს გადაუფრენს ნაჯერი ტყვია. ერთი გასროლა გაყუჩდება სხეულში უმაღ. და ვინმე ერთი რჩება იქვე, წინვების ნიაღ ბნელი ტყის ხავსის სარეცელმა რომ ჩააჩუმა.

კაეშინანი ჟანდარმები იწყებენ ცეკვას, დავლურს უვლიან ბრაგუნით და ველური რიტმით, გამომტყვრალეები ღვიის არყით, იცვლიან ზნეს და მიჩანჩალეებენ ფეხშემლილნი ნამხდარი რიხით.

ბნელში გრძლად გაბმულ ყვავილწულებს ჭრიალით არხევს, შემადრწუნებლად აშრიალებს სხვენში ძველ ქალაღს, ქარი დაძრნის და მიმოხვეტავს ცარიელ დახლებს და მეოცნებეთ აღმოუჩენს გულყანდის ქადას.

VIII

(ეს მდინარე და ტბები, ნუთუ, გამოვიგონე! და იცის ვინმემ მთის შესახებ ლეგენდა, თუნდაც? გოლიათური ნაბიჯებით მავალი ვინმე მიანდობს განა მეგ ზურობას გულკეთილ ჯუჯას?)

გაინტერესებს ქვეყნები და თუნდ ტროპიკები?! სწრაფ ბედაურთა ეტლით მთელი ეს დედამინა რომ მოიარო, გადალაზო მთები, პიკები! მაინც იქამდე ვერასოდეს შენ ვერ მიაღწევ.

რა გვიხმობს, თმები შიშისაგან ყალყზე რომ გვიდგას? თუმც, შავბალახა ულამუნებს მხურვალე სმენას. ძარღვებში სისხლი გაიყინა მდუმარებისგან. სამგლოვიარო ზარი ისმის კარიბჭეს ზენა.

გვანაღვლებს განა უსინათლო სოფლად სარკმლები, ცხვრის ტყავი, ქეცი და მოხუცთა კუთვნილი წილი?

ყველაფერს უცხოს ითხოვს ხარბად ჩვენი თვალები.  
დანარჩენში კი, რაც ჩვენია, არ გვყავს მონილე.

გვანაღვლებს განა ცხენები და ღრუბლები მრუმე,  
მოჩვენებითი შუქი, მგლები, ხმოვა, არდალლა?!  
ჩვენ სულ სხვა მიზნებს მივალნიეთ, ავმალდით თურმე,  
სხვა ზღუდეებმა შეგვაჩერეს და დაგვცეს დაბლა.

გვანაღვლებს განა თუნდაც მთვარე, ან ვარსკვლავები,  
ჩვენ, ვისაც შუბლზე ძარღვი ჯერაც არ გაგვწყვეტია!  
როცა ქვეყანას უდგას ჟამი განადგურების,  
ოცნებასავით ჩავიბუდებთ კვლავ სულის წიაღ.

არის კანონი სადმე, ანდა, სუფევს წესრიგი?  
სად გაცხადდება აღსაქმელად ქვა და ფურცელი,  
მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სახით არსებობს იგი  
ქსოვილში ენის, მარად უცვლელი...)

IX

აი, ძმა მოდის, მოისწრაფვის, კუნელთვალეა,  
მკერდზე ბუდიდან ასაფრენი ბარტყების მახით;  
შაშვი მონწყვეტით ეშვება და სახრეს აჯდება,  
და მასთან ერთად გომურისკენ მირეკავს ნახირს.

მის ქერა თმაში ჩაიბუდებს, დაიდებს ბინას  
საჯინიბოშიც, როცა თივის ზვინში ჩაფლული  
ყნოსავს ცხენების ცხელ სურნელს და აეშარას, შავრას  
უნაგირისთვის უთვალთვალეს სულგანაბული.

ვარდის გამოხდომი ზეთი ანებს, ისველებს ნისკარტს,  
ვარდისფერ არილს დააკურებს ყმანვილის თვალებს.  
ღამე მისწვდება მის აფოფრილ, ფრთააშლილ ნაკრტენს  
და სანეტარო უარყოფას ცად შეაფარებს.

„ო, დაო ჩემო, უგალობე შორეულ დღეებს!“  
„მაღე, სულ მაღე ვუგალობე მშვენიერ ალაგს“.  
„ო, იგალობე და ხალიჩა ქსოვე სიმღერით  
და იმ ხალიჩით ავფრინდებით ზეციურ ქალაქს!

იქ დავყოთ ერთად, სად ფუტკრები გვიმასპინძლებენ,  
არ მომაკლებენ მფარველობას ანგელოზები.....“  
„ვიმღერებ მაღე — მაგრამ კოშკში ელვა იწყება,  
ჩუ, დაიძინე! მიმწუხრია, დრო საოცრების“.

გოგრის ფარნები ციმციმებენ, უვლიან დავლურს,  
უცებ მსახური გამოჩნდება მათრახით ხელში,  
გაშტერებული, შაშვს ისტუმრებს მოულოდნელად  
უკანასკნელი სამწყსოს ბოლოს, დასალიერში.

ცელი უსერავს უმოწყალოდ ველურ ფრთებს ფრინველს,  
და მიაღურსმავს, მოფართხალეს, ფინალი კარებს.  
თუმცა, მიძინარეს კენესა ვიდრე გააღვიძებდეს,  
ანაზღუელად გულს შეუერთობს სხივი ვარდნარის.

X

ღრმა ტბებისა და ჭრიჭინების სამფლობელოში,  
იქ, ხმაჩამწყდარნი, ქვა-ქანებზე რომ აღბეჭდილან,  
მოიხმობს იგი სულს, პირველქმნილს, ნათლიერების,  
და მხოლოდ შემდეგ, სამუდამოდ მიდის ქვეყნიდან.

ტყის ბალახების ცვრით განიბანს სევდიან თვალებს;  
და ჭეშმარიტი ჭვრეტით ხედავს, რაც კი იხილა.  
უძლეველობის ძალისხმევაც მიემადლება:  
დიდი გული და ჰარმონიკა მიაქვს სამხილად.

სიღრის მზადების დროა უკვე, მერცხალთ გაფრენის;  
კასრებს მოარგეს გამოთლილი ხის საცობები.  
ადლეგრძელებენ მძლევარ ფრთოსნებს გულმხურვალენი,  
სივრცენი მის გულს აგიჟებენ, ვერსაცნობები.

კეტავს წისქვილებს, სამჭედლოებს და ყველა ეგვტერს,  
ტეხავს, სიმინდის ყანის გავლით, მსუყე ტარობს,  
ცვივა მარცვლები, და მოაფრქვევს ოქროს ნაპერწკლებს  
და საზრდოს საზრისს ხელალებით მყის აცამტვერებს.

დამშვიდობებას ახლავს და-ძმის მხურვალე ფიცი,  
რომ ჰპირდებიან საუკუნო, ჩუმ ერთგულებას.  
თითოეული ოროვანდის გვირგვინებს იხსნის,  
და მისთვის თვალის გასწორებას ვერავინ ბედავს.

ცვივა ჩიტების ბუდეები ხის ტოტებიდან,  
აბედი იწვის, ცეცხლი ხარბად ნთქავს ფოთლებს გამხმარს,  
ანგელოზები შურისგებით სოსანი სკიდან  
ტენენ გოლეულს ვადაგასულს, უკვე არახალს.

ო, ანგელოზთა მდუმარება, სვლის გეზი თუკი  
მონიშნულია შემოგარენ ჰაერთა წიაღ!  
თავისუფალი ხელი მაინც ვერ იხსნის ბორკილს,  
აბრკოლებს მავანს ლაბირინთთან, თუმც ბჭე აქვს ღია.

გერმანულიდან თარგმნა  
ლულუ ლაღინამა



პეიზაჟი

ალბრეხტ დიურერი

ალექსანდრ კოტოვი

## ერთი ბრმა და ოცდაათი თვალხილული

გარეგნულადაც ეტყობოდა ოტო შეხტელს, რომ რალაც ანუხებდა. ერთი საათის წინ ტელეფონით დაურეკა შპაკმა. მკაცრი ხმა ჰქონდა და შეხტელს არ გასჭირვებია იმის მიხედვით, რომ ობერშტურმბანფიურერი გუნებაზე ვერ იყო. მადლობა ღმერთს, ექვსი წელია ერთად მუშაობდნენ და შეეჩვია იმის გამოცნობას, რა ხასიათზე ბრძანდებოდა უფროსობა. დავალება კი უჩვეულო გახლდათ: ხვალ დილისათვის უნდა მოეპოვებინათ ყველა ცნობა ალიოხინის გამოსვლებზე ბოლო ორი წლის განმავლობაში. არა, არავითარი კრამოლა არ იგულისხმებოდა. გესტაპომ ზუსტად იცის — მსოფლიო ჩემპიონს ამ ხნის მანძილზე ერთი ლექცია არ წაუკითხავს და, კაცმა რომ თქვას, კონტრც არ დაუძრავს საჯაროდ. მხოლოდ თამაშობდა ჭადრაკს და ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს. მაგრამ სწორედ ჭადრაკზეა ლაპარაკი. შპაკს აინტერესებს ალიოხინის შედეგები ტურნირებში, სეანსთა ანგარიშები. რისთვის სჭირდება? ვინ იცის! ეს უფროსობის საქმეა, დაბალჩინებმა შეკითხვები არ უნდა დასვან. შეხტელს მოუხდა თავისი ყველა ხელქვეითის სასწრაფო მობილიზება. ნამში მოზინენ სტატიებს ტურნირთა შესახებ. აუჰ, რამდენი ქაღალდი გაუოხრებიათ ამ დამთხვეულებს! მართლაც რომ ჭკუიდან შეშლილები არიან, მორჩა და გათავდა!

„ასეც ვიცოდი, რომ ამ წყეული რუსის გამო ისევე გადავეყრებოდით შარს, — გაიფიქრა შეხტელმა. — წინასწარ ვიგრძენი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ. პირველივე დღეს ტყუილად როდი შეეთავაზე შპაკს, ერთბაშად მოგველო მაგისტრის ბოლო. არა, ჩემო ბატონო, არ შეიძლება, ის ხომ მსოფლიო ჩემპიონია! დიდი გერმანელი ერი უნდა აფასებდეს გენიოსებს კულტურის ნებისმიერ დარგში. ჰოდა, დააფასე ან! თუმცა, შესაძლოა, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. ღმერთმა უწყის, რისთვის სჭირდებათ ეს ცნობები. ალიოხინი ურიგოდ როდი იქცევა, ჭადრაკს თამაშობს. ეგ არი და ეგ. ორი წელია შეხტელს არაფერიც არ სმენია მასზე. აბა რაღა საგანგაშო?“

და მაინც უგუნებოდ იყო შტურმბანფიურერი. ყველაფერზე მეტად შპაკის მრისხანე კილო აღელვებდა. ცუდად ენიშნა! ამგვარ შემთხვევებში ყური ფხიზლად უნდა გეჭიროს, თორემ თვალის დახამხამებში დაკარგავ ყველაფერს, სიცოცხლესაც კი დაემშვიდობები. სადმე, ფრონტის წინა ხაზზე გაგამწესებენ და უყარე მერე კაკალი! დაიხ, ზუსტად უნდა შეასრულო მისი დავალება, ყველა საჭირო ცნობა მიანოდო. არ უნდა გამოგრჩეს არც ერთი წვრილმანი, ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც კი არ უნდა გამოგრჩეს. შეხტელი წამდაუნუნ თითს აჭერდა კნოპს მაგიდის ქვეშ და მდივანიქალი საჭირო თანამშრომელს მყისვე ეპატიჟებოდა კაბინეტში. რომელიმე სტატიაში რალაც საინტერესო ფაქტს რომ აღ-

მოაჩენდა, შეხტელს ენადა ყველაფერი შეეტყო მის ირგვლივ და ბრძანებდა ახალი მასალების მოძიებას. გერმანული პუნქტუალობა, როგორც ყოველთვის, ზედმინევნით მჭლავნდებოდა ფართო საფრონტო ოპერაციებშიც და უმარტივესი დოკუმენტების მომზადებაშიც.

შეხტელს ბევრი არაფერი გაეგებოდა ჭადრაკისა. ხანდახან თუ ეთამაშებოდა ძმაკაცებს, ისიც შინ, და, რა თქმა უნდა, ვერ ერკვეოდა ვერც პარტიკეში, რალაცნაირი მისთვის უცნობი ხერხით რომ იყო ჩანერილი და ვერც კომენტარებში, სადაც ავტორები აღნიშნავდნენ ძლიერსა და სუსტ სვლებს. ბოლოს და ბოლოს მან მიატოვა პარტიკების თვალღებება და კითხულობდა მარტოოდენ მიმოხილვით სტატიებსა და ლიტერატურულ შენიშვნებს ტურნირთა შესახებ. მაგრამ ამ მასალებიდანაც კი მალე მიხვდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიეღწია მსოფლიო ჩემპიონს ბოლო წლების ტურნირებში.

დასაწყისი მოკრძალებული იყო. ორმოცდაერთ წელს მიუხედავად ალიოხინმა მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ეს იოლი მისახვედრი გახლდათ და ჩემპიონის უღიმღამო თამაშის მიზეზები განსაკუთრებით კარგად ესმოდა თავად შეხტელს. საკმარისია იმის გახსენება, თუ რას ჰგავდა ალიოხინი ტყვეობის შემდეგ: იმხანად ჭადრაკისათვის არა სცხელოდა, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. სამაგიეროდ მერე ყველაფერი წავიდა შესაშური სიმტკიცით, როგორც კარგად განწყობილ ავტომატს შეეფერებოდა. ორმოცდაერთი წლიდან ორმოცდასამის ჩათვლით ალიოხინმა შვიდ ტურნირში ითამაშა და შვიდჯერვე გამარჯვება მოიხვეჭა. მნიშვნელობა არ ჰქონდა ტურნირის შემადგენლობას — რომელი დიდოსტატი თუ ოსტატი მონაწილეობდა ამ შეჯიბრებებში. საბოლოო შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე იყო — პირველ ადგილზე ალიოხინი. მშვიდად თუ ვინმე ენოდა მას და მამინ ისინი ინაწილებდნენ ორ პირველჯილდოს. მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ ორჯერ, დანარჩენი ხუთი ტურნირი ალიოხინმა ერთპიროვნულად მოიგო.

შეხტელმა გულდასმით გადმოიწერა და შეაჯამა ალიოხინის ყველა გამოსვლა. თუკი გამოვრიცხავთ პირველ ტურნირის მიუხედავად, სადაც მსოფლიო ჩემპიონი ჯერ კიდევ არ იყო ჯანზე და სუსტად თამაშობდა, ალიოხინს შვიდ ტურნირში უთამაშია ოთხმოცდაორი პარტია, მათგან ნაუგია ოთხი და ყაიმით დაუმთავრებია ოცდაექვსი. გამარჯვებანი — ოთხმოცი პროცენტი! თავზარდამცემი შედეგია! ერთ-ერთ სტატიაში განხილულ იყო საკითხი მოჭადრაკის ასაკისა. შეხტელმა შეიტყო, რომ დიდოსტატი, ჩვეულებრივ, სრული ძალით თამაშობს მხოლოდ ორმოც-ორმოცდახუთ წლამდე, მერე დგება ჭკნობის პერიოდი და უფრო სუსტად იწყებს თამაშს. ალიოხინი კი უკვე ორმოცდაათისაა. როგორ ოსტატობას უნდა ფლობდე, როგორი ამტანობა და ნებისყოფა უნდა გქონდეს, რომ ამ ასაკში მოიხვეჭო ამგვა-



რი გამარჯვებანი! ქვემარტად საჭადრაკო გენიოსია!

ჭადრაკის გამოჩენილ გერმანელ სპეციალისტებს რუსი ჩემპიონის მარტოოდენ სპორტული შედეგები როდი აღაფრთოვანებდათ. კომენტატორები ფერადოვან დითირამბებს არ იშურებდნენ ბოლო ტურნირებში ალიოხინის მიერ გათამაშებული პარტიების მისამართით. რა არ ჰყვავდა ამ ქვემარტად მხატვრულ ნაწარმოებებში! გაბედული შენირვებიც, მოულოდნელი ტაქტიკური დარტყმებიც, მძაფრი ნახტომები მტრის პოზიციაზე. საჭადრაკო ოსტატობის მწვერვალზე მდებარე ალიოხინის პარტიები კერესის, ოპოჩენსკის, რიხტერის წინააღმდეგ. თავად შეხტელი ვერა ხვდებოდა, თუ რაში იყო რუსი ჩემპიონის იდეებისა და ჩანაფიქრთა სიდიადე, მაგრამ გულდასმით ჩაიწერა ჭადრაკის სპეციალისტთა მიერ მათ შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება და კიდევ — მეტსახელი ალიოხინისა: „საჭადრაკო კომპინაციათა გენიოსი“.

მეორე დილით შეხტელმა თავისი უფროსის საწერ მაგიდაზე დადო ალიოხინის სატურნირო გამარჯვებათა გამოწვევილი შედეგნილი სია და ერთდროული თამაშის მისეული სეანსების ანგარიში. პატარა ობერშტურმბანფიურერი დღესაც არ იყო გუნებაზე; თავაუნეველად, ყურადღებით ათვალერებდა მისთვის მირთმეულ ფურცლებს. შეხტელი ფეხზე იდგა და ზემოდან დაჰყურებდა უფროსის სწორად გაყოფილ თმას, ლამობდა გამოეცნო თავისი დღევანდელი ხვედრი. მაგრამ აი, შპაკმა დოკუმენტებზე დახრილი თავი ასწია და ყურადღებით მიაჩერდა თვალეში შეხტელს, თითქოსდა ფიქრობდა, საიდან დაეწყო საუბარი. შეხტელს არ მოეწონა შეფის ასეთი ქცევა.

— აბა, რა შეგიძლიათ მითხრათ ყოველივე ამის შესახებ? — მკაფიოდ, სიტყვათა დამარცვლით, ჰკითხა ობერშტურმბანფიურერმა შეხტელს, თან თითებს აკაკუნებდა ქალღმერთს. ის კი აყოვნებდა პასუხს, ცდილობდა მიმხვდარიყო, საუბრის რომელი მიმართულება ესაიშოვნებოდა უფროსს.

— კარგად... თამაშობს, — ბოლოს და ბოლოს ამოილულულა შეხტელმა, როდესაც შემდგომი ლოდინი უკვე უხერხული შეიქნა.

— თამაშობს! — ნამოიძახა შპაკმა. — კი არ თამაშობს, ბრეგავს ყველას!

— ის ხომ მსოფლიო ჩემპიონია, — უმწეოდ გაშალა ხელები შეხტელმა.

— და გარდა ამისა, ის რუსიც არის! — დასძინა შპაკმა.

— მე... კარგად ვერ გავიგე, — მობოდიშების კილოთი წარმოთქვა შეხტელმა. ამან რატომღაც გამოიწვია უეცარი აფეთქება შპაკის მძვინვარებისა. ობერშტურმბანფიურერი სავარძლიდან წამოხტა, კაბინეტში სირბილს მოჰყვა და მრისხანედ ტუქსავდა შეხტელს. ხელქვეითი დაფრთხა, საწერ მაგიდასთან „სმენაზე“ გაიჭიმა და უმწეოდ ადევნებდა მზერას უფროსს, გალიაში ჩამწყვეული მხეცივით კედლებს აქეთ-იქით რომ აწყდებოდა.

— ვერ გაიგეთ?! თქვენ მუდამ რაღაც ვერ გაგიგიათ! ტვინი უნდა გაანძროთ, რიგითი ჯარისკაცი ხომ არა ხართ, შტურმბანფიურერი ბრძანდებით. თქვენ ვერ გაიგეთ, მე კი თქვენს ნაცვლად პასუხი უნდა ვაგო. კმარა! ძალიან დიდხანს გელოლიაგებოდით! დროა მოვათავოთ! ფრონტის წინა ხაზზე თქვენ უკეთესად ისწავლით აზროვნებას. იქ კარგად გასწავლიან!

შპაკს თანდათან უცხრებოდა რისხვა. შეხტელს ერთი სიტყვაც არ შეუბრუნებია. გამოცდილი ჰქონდა, რომ საჭიროა მოიცადო რამდენიმე წუთი, ვიდრე ქარიშხალი გადაივლიდეს. შპაკი მალე დამშვიდდა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა და თავისი ჩვეულებრივი კილოთი ალაპარაკდა:

— გუშინ მინისტრმა დარეკა. იქ, — ობერშტურმბანფიურერმა მარჯვენა ხელის სალოკი თითით სადღაც ზევით მიანიშნა, — ძალზე უკმაყოფილონი არიან ჩვენი გადაწყვეტილებით ალიოხინის თაობაზე. და მართლებიც არიან. აბა განსაჯეთ, რა გამოდის: ფრონტზე რუსებს ვებრძვით და ჩვენს ზურგში კი ერთი რუსი ამარცხებს ყველა გერმანელს.

შეხტელი მთელი გულისყურით უსმენდა ობერშტურმბანფიურერს. მას შეეძლო ეთქვა, რომ დიდი ხანია სთავაზობდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას, მაგრამ ისევ გაჩუმება ამჯობინა.

შპაკი საწერ მაგიდას მიუჯდა და შეხტელის მიერ მოტანილი ქალღმერთის გადასინჯვას შეუდგა.

— აი, შეხედეთ: ამ რუსმა პირდაპირ გაანადგურა ყველა გერმანელი მოჭადრაკე — ზემიში, იუნგი, რიხტერი. ჩვენ ვლაპარაკობთ გერმანელი ხალხის სიდიადეზე და რა გამოგვდის? თავსლაფის დასხმა! წარმომიდგენია, როგორ დაგვცინის ყველა.

შეხტელი მისჩერებოდა შპაკს და ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, შეეთავაზებინა თუ არა ყველაზე ნაღდი გამოსავალი.

— მაინ გოტ! აი კიდევ რა. აბა ეს ხომ, დალაზვროს ეშმაკმა, არაფრად არ ვარგა! ერთი ალიოხინი ერთდროულად ეთამაშება სამოცდათხუთმეტ გერმანელ ოფიცერს. სწორად გავიგე? — იკითხა შპაკმა.

— ნამდვილად ასეა! თანახმად ფიურერის ბრძანებისა არმიის სამეთაურო შემადგენლობაში კულტურის ჩანერგვის თაობაზე, — მოახსენა შეხტელმა.

— ვერაფერს იტყვი, ჩანერგეთ! ორი ყაიმი და დანარჩენებმა წააგეს. გადასარევი კულტურაა! — ქილიკობდა შპაკი. — იცით რა, ეგ ვაჟბატონი სადმე შორს წააბრძანეთ.

— ალიოხინი ითხოვს ვიზას ესპანეთში, — ამცნო შეხტელმა, — სწაღია გაემგზავროს ამერიკაში კაპაბლანკასთან მატჩის ჩასატარებლად.

— კაპაბლანკა ერთი წელია, რაც გარდაიცვალა, — გესლიანად აუწყა შპაკმა თავის ხელქვეითს და დამცინავად შეხედა. — მოგახსენებთ კულტურის ჩანერგვის საკითხთან დაკავშირებით.

— მაშ ეგებ ნება დართოთ ვიზის გაცემას? — ჰკითხა შეხტელმა. უფროსის შენიშვნას კი წაუყრია.

— ჰო, დაუყოვნებლივ. ეშმაკმა წაიღოს მაგის თავი... — დაიღმუჯლა შპაკმა.

უკვე ყველაფერი გადაწყდა, შეიძლებოდა გასვლა, როდესაც შეხტელი უეცრად შეჩერდა და გაშეშდა. ამ ალიაქოთმა სულ ამოაგდო კალაპოტიდან. რამ დაავინყა, აგერ გუშინ რომ დაუჩრქვეს ჩემპიონის ახალ გამოსვლაზე. ზეგისთვის დანიშნულია ალიოხინის სეანსი, უკვე გამოკრულია განცხადებები, გამოძახებულია ხალხი. იკრიბებიან გერმანული არმიის საუკეთესო მოჭადრაკენი. რა ვქნათ, რა ვილონოთ?! თუკი გავაუქმებთ — დიდი სკანდალი ატყდება. ამავე დროს შპაკის ეს ბრძანება ვიზის გაცემავზე ერიჰაა, რა ხათაბალაში გავებით!

— ჰერ ობერშტურმბანფიურერ, ნება მომეცით მოგმართოთ, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გაბედა შეხტელ-

მა. — არის ერთი საკითხი... არ ვიცი, როგორ გადავჭრა. — და უამბო შპაკს დანიშნული სეანსისა და თავისი ჭოჭმანის შესახებ. — ვერ გამიგია, რა აჯობებს: ჩატარდეს სეანსი თუ გავაუქმოთ?

შეხვედრის გასაკვირად შპაკმა მშვიდად მოისმინა ცნობა.

— რამდენი კაცი გამოიძახეთ? — ჰკითხა შეხვედრის.

— ოცდაათი კაცი ყველა ნაწილიდან.

— და კვლავ ყველას დაამარცხებს? კვლავ განადგურება გველის? — ვერ გაიგებდი, იკითხა ეს შპაკმა თუ თავისი აზრი გამოხატა.

— ნურას უკაცრავად! ამჯერად თავი გამოიდე სეანსებმა, — განუმარტა შპაკს შეხვედრამ. — საუკეთესო ძალებს მოუყარეს თავი, ადგილობრივი ჩემპიონები მოიხმეს. ამასთან კიდევ ერთი გარემოება მაუწყეს. ალიოხინი ეს-ესაა გამოვიდა ჰოსპიტლიდან პრალაში. საოცარია — ორმოცდაათი წლისას ქუთურაში შეეყარა! ცოცხალ-მკვდარმა გამოაღწია იქიდან. გაზეთები უკვე იუნყებოდნენ, დღეს თუ ხვალ მოკვდებო. ახლა, ალბათ, ცუდად გრძნობს თავს და, ცხადია, კარგად ვერ ითამაშებს.

შპაკი ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— კეთილი, ჩაატარეთ სეანსი. ეს უკანასკნელი იყოს! ოღონდ გახსოვდეთ: ყველაფერზე თქვენ აგებთ პასუხს! ვიზა კი მაინც მიეცით ალიოხინს. კაცმა რომ თქვას, ურიგო როდი იქნება, თუკი გამგზავრებამდე ჩვენი ბიჭები ლაზათიანად მიბრეგავენ... თქვენი იდეა რაღაცით მხიბლავს, — ხანმოკლე პაუზის შემდეგ შპაკმა გული გაუკეთა შეხვედრის. — რეგანის ალება! ცხვირ-პირი დაუნაყონ ერთი და მერე გზა ეშმაკებამდე ჰქონია! ყოჩაღ, შეხვედრ!

გაბედნიერებულმა მტურმბანდიერურმა სწრაფად მოაქუჩა დოკუმენტები და უკვე უნდა გასულიყო კაბინეტიდან, უეცრად შპაკმა რომ შეაჩერა.

— იცით რა, შეხვედრ... ოდესღაც აკადემიის ჩემპიონი ვიყავი... ეგებ მეც ვცადო თამაში... ერთი ვნახოთ, რა გენიოსიც ბრძანდება საჭადრაკო კომბინაციისა.

— ბრწყინვალე აზრია! — გაუხარდა შეხვედრის. მისთვის რომ მიხვდა, ობერმტურმბანდიერურის მონაწილეობა სეანსში პასუხისმგებლობას მოუხსნიდა. პირველ დაფას მოგართმევთ... თქვენს თავზე აიღებთ, ასე ვთქვათ, ამ მძვინვარე რუსის მთავარ დარტყმას. აჩვენებთ, ასე ვთქვათ, მაგალითს...

და დაიძრა კარისკენ. მაგრამ, ვიდრე კაბინეტს დატოვებდა, შემობრუნდა და ჰკითხა შპაკს:

— ჰერ ობერმტურმბანდიერურ, როგორ მივცეთ ვიზა ალიოხინს — მარტო მას თუ ცოლთან ერთად?

შპაკი სულ რაღაც რამდენიმე წამით ჩაფიქრდა.

— მარტო მას, — ბრძანა. — ცოლი ჩვენთან დარჩება. ასე უფრო მშვიდად ვიქნებით. თავად ქალიც მაინცდამაინც თავს არ იკლავს აქედან წასვლაზე. მე მომასხენეს: უფრო მეტად ანუხებს სახლი, დიეპში რომ აქვთ.

ალიოხინი თვალმოჭუტული ათვალეიერებდა თავის მონაწილედგეებს, სეანსში რომ უნდა შერკინებოდნენ. დარბაზში ვინლა არ იყო წარმოდგენილი — ჯარის ყველა სახეობა, ყველა ჩინი. ერთ საჭადრაკო დაფას გენერალიც კი უჯდა! ხოლო მოთამაშეთა ზურგსუკან მაყურებლები იყვნენ, ასევე სამხედრონი, ოღონდ დაბალჩინოსნები. მოვიდნენ იმის სანახავად თუ როგორ შეებრძოლებოდა უფროსობა მსოფლიო ჩემპიონს. ერთი სამოქალაქო პირიც კი არ ჭაჭანებდა წამლად, აკრძალული ჰქონდათ დასწრება საჯარისო დღესასწაულებზე.

დაძაბული სიჩუმე სუფევდა. სამხედრონი უჩუმრად რაღაცას გადაელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, ცნობისმოყვარე მზერას ესროდნენ ალიოხინს. მსოფლიო ჩემპიონი დღეს მშვენიერ გუნებაზე გახლდათ. ის-ის იყო, შეხვედრამ ამცნო, რომ მიუხედავად ბრძანება მისთვის ეს-პანეთში ვიზის გაცემაზე. როგორც იქნა! წასვლა აქედან და გამგზავრება არგენტინაში... რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ გრეისს გამგზავრების ნებართვას არ აძლევენ, მაგრამ იგი რატომღაც დუმს, წერილებს არ პასუხობს. ეგებ რაღაც გაუხლავორთდა სახლს დიეპში? „არა უშავს-რა, თავად მოვეწყობი და მერე შეიძლება გრეისიც გამოვიძახო“.

სეანსის დაწყება ახლოვდებოდა. ალიოხინს მიუახლოვდა ჩხვი კალიჩკა, რომელსაც საჭადრაკო კლუბიდან ფიგურები მოეტანა და სეანსის ორგანიზაციაში ეხმარებოდა. მან განზე გაიყვანა ალიოხინი.

— ეს წუთია, შემთხვევით ყური მოვკარი, რას ლაპარაკობდა შეხვედრის ტელეფონით, — აუნყა კალიჩკამ მსოფლიო ჩემპიონს. — ჩანს, ვიღაც უფროსს ელაპარაკებოდა. როგორც ირკვევა, თქვენს წინააღმდეგ ძალზე ძლიერი შემადგენლობა შეურჩევიათ. შეხვედრის თავს იწონებდა: ბოლო ჯერზე მაგარ განადგურებას მოგუწყობთო.

— დახეთ ერთი! ყველაზე ძლიერი შემადგენლობაო. აქ მსხდომთაგან რომელიმეს იცნობთ?

— არა. არც ერთ მათგანს არ ვიცნობ, — დარწმუნებით თქვა ჩხვი.

— ჩინებულა! — გაუხარდა ალიოხინს. — მაშ მაგარი განადგურება უნდა მომიწყონ? რას იზამ, ვნახოთ. სცადონ ერთი, — გაიღიმა ალიოხინმა.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

— ეგებ გვეთხოვა, დაფების ოდენობა შეემცირებინათ, — შესთავაზა კალიჩკამ. — თქვენ ხომ ძალზე დასუსტებული ბრძანდებით ავადმყოფობის შემდეგ.

— არაფერია, ძვირფასო კალიჩკა! — ამოიხრა რუსმა ჩემპიონმა. — ჩემს ცხოვრებაში ამაზე უარესიც შემხვედრია. მოდი დავიწყით.

ალიოხინი შევიდა მაგიდების სწორკუთხედის შიგნით. დაძაბული დუმილით შეხვდნენ. მიუახლოვდა პირველ დაფას, რომელსაც უჯდა ობერშტურმბანფიურერი შპაკი და პირველი სვლა რომ უნდა გაეკეთებინა, უცებ ხელი მიიტყაპუნა მკერდის მარცხენა მხარეს და მერე პიჯაკის გვერდითა ჯიბეში ჩაიყო. იქ მოაფათურა და ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა. ალიოხინმა დანარჩენი ჯიბეებიც მოისინჯა. დაბნეული გამომეტყველება ეწერა პირისახეზე. გაოცებით იჩქრდა მხრებს. შესტით იხმო კალიჩკა და კარგახანს რალაცას ეთათბირებოდა. ჩეხი აშკარად არ ეთანხმებოდა ჩემპიონის წინადადებას. ბოლოს და ბოლოს ალიოხინმა, ჩანს, დაიყოლია კალიჩკა და მან გერმანელებს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— პატრიცემულო ბატონო ოფიცრებო! მსოფლიო ჩემპიონი ულრმეს ბოდიშს გიხდით. მან სადღაც დაკარგა თავისი სათვალე და არ ძალუძს თამაში სეანსში. მაგრამ, რათა არ ჩაშალოს დანიშნული გამოსვლა, ბატონმა ალიოხინმა გადაწყვიტა ითამაშოს დაფაზე დაუხედავად.

— ეს როგორ და რანაირად? — იყვირა რომელიღაც მაყურებელმა.

— მსოფლიო ჩემპიონი დაჯდება მეზობელ ოთახში, ეხსომება ოცდაათივე პარტია და ითამაშებს დაფაზე დაუხედავად. მის სვლებს გადმოვცემთ საჭადრაკო ნოტაციით და თქვენს პასუხებსაც მივანვდი.

არნახული მღელვარება რამდენიმე წუთის მანძილზე მეფობდა დარბაზში. სეანსის მონაწილენი და მათ უკან მდგომი მაყურებლები გაცხოველებით განიხილავდნენ ჩემპიონის მოულოდნელ და უჩვეულო გადაწყვეტილებას. შეხტელი მიეჭრა იმ დაფას, რომელსაც უჯდა შპაკი. სეანსის ორი ორგანიზატორიც იქით გაეშურა.

— ეს ჩვენთვის დამამცირებელია! — ცხარობდა შპაკი. — პირადად მე არ ვაპირებ მონაწილეობას ამგვარ თამაშში.

— აბა რა ვიღონოთ? — ჩაერია ერთ-ერთი ორგანიზატორი. — ის მართლაც სათვალეო თამაშობს ჭადრაკს. ყოველთვის.

— საიდანმე მოიტანეთ სათვალე, — თქვა ობერშტურმბანფიურერმა.

— საიდან? დღეს ხომ კვირადღეა. თანაც სათვალის მორგება ასე სწრაფად შეუძლებელია.

— მაგრამ როგორ უნდა ითამაშოს?! — გაოცებით წამოიძახა მეორე ორგანიზატორმა. — დაუხედავად ოცდაათ დაფაზე! ეს არ ძალუძდათ არც ლასკერს, არც კაპაბლანკას.

— ჩვენი ბიჭები გააცამტვერებენ, — ხმა შეანია პირველმა ორგანიზატორმა.

ამ სიტყვებმა გამოაცოცხლა შეხტელი.

— როგორა თქვით, გააცამტვერებენო? — ჩაეკითხა მთქმელს შეხტელი. — ძალიანაც კარგი. ეს შესანიშნავი რამ იქნება! თქვენ ფიქრობთ, რომ დაფაზე დაუხედავად თამაში უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივად?

— რამდენჯერმე! — ხალისიანად შეეხმიანა ორგანიზატორი. — თანაც ასეთი შემადგენლობის წინააღმდეგ.

— ჰერ ობერშტურმბანფიურერ, — შეხტელმა ვედრების კილოთი მიმართა შპაკს. — იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...

შპაკმა გაურკვეველად გააქნია თავი.

— ბრმას მეც კი შემიძლია ვეთამაშო, — შეხტელმა ნიშანი მისცა, დაეწყით სეანსი. მერე მიუახლოვდა ოფიცერს, ოცდამეათე დაფას რომ უჯდა, უბრძანა: ადექიო და თავად დასკუპდა მის ადგილზე.

დარბაზში თანდათანობით სიჩუმე გამეფდა. სკამებიდან წამოშლილნი ისევ დაუბრუნდნენ საჭადრაკო დაფებს.

ალიოხინი მეზობელ ოთახში გავიდა, მოხერხებულ სავარძელში მოკალათდა კარისკენ ზურგით და ყავა სთხოვა კალიჩკას. მომავალი სეანსი ოცდაათ დაფაზე დაუხედავად, ცოტა არ იყოს, აშინებდა ჩემპიონს და მან წამით იწანა, რომ წუთიერი ხუმტურის გავლენით მოიგონა ეს ოინი, სათვალე დავეკარგეო. არა, მას არ აშინებდა არც დაფების ოდენობა, არც მონაწილეთა შემადგენლობა. ადრე რამდენჯერ ჩაუტარებია მსგავსი სეანსები. მხოლოდ იმისა ეშინოდა, რომ იმ ფიზიკურ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა წყეული ქუნთრუმის შემდეგ, უზარმაზარ დატვირთვას ვერ გაუძლებდა. მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა და მომავალი ბრძოლის გეგმის დამუშავებას შეუდგა.

ერთდროული თამაშის სეანსი დაფაზე დაუხედავად — ყველაზე ძნელია საჭადრაკო ატრაქციონთაგან. ის ოსტატისგან მოითხოვს გონებრივი ძალების, ნერვებისა და მეხსიერების გიგანტურ დაძაბვას. სეანსიორის ორგანიზმში განიცდის ისეთ გადაჭარბებულ დაძაბულობას, რომ უკვე დიდხანია გარკვეული არის ამგვარი გამოსვლების მავნეობა. ალიოხინს წაკითხული ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირში სეანსები დაფაზე დაუხედავად, როგორც მოჭადრაკეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი, სახელმწიფო დებულებით იყო აკრძალული. ეგ საბჭოთა კავშირშია, მაგრამ დასავლეთში უყვართ რეკლამები, ოინები; ცნობისმოყვარენი ამისთვის იმეტებენ თავიანთ დოლარებს და ფრანკებს. ალიოხინს რამდენჯერ მოუწია, რომ სწორედ ამგვარი თამაშის შემწეობით მიეზიდა მსოფლიოს ყურადღება თავისკენ ანდა თავის შერყეულ მატერიალურ მდგომარეობას შენეწეწოდა.

თამაში დაფაზე დაუხედავად აცბუნებს იმას, ვისაც ეს არ უნახავს. როგორ ძალუძს მოჭადრაკეს დაიმახსოვროს ოცდაათი რთული, ჩახლართული პარტია? ბრძოლა ამგვარ სეანსებში გრძელდება შვიდი საათის განმავლობაში, ხანდახან მეტხანსაც, ყოველ პარტიაში კეთდება სამუალოდ ორმოცი სვლა. თვითეული მონაწილემდეგე თავიდანვე ცდილობს გაუყვეს განსაკუთრებულ, მეზობლისგან განსხვავებულ გზას, ამასთან მრავალი მონაწილე ზოგჯერ შეგნებულად აბნევს თავის „ბრმა“ მონაწილემდეგეს უჩვეულო სვლით. სეანსიორმა ხანგრძლივი დროის მანძილზე გონებაში უნდა შეინახოს მთელი ბრძოლის მსვლელობა ოცდაათ დაფაზე, ახსოვდეს ყოველი პაიკის, ყოველი ოიგურის განლაგება. გაუგებარი სამუშაო ჩვეულებრივი ადამიანისათვის! ეს უფრო მეტად აოცებს, ვიდრე საცირკო ფენომენის არითმეტიკული ოინი ანდა ოსტატობა ვირტუოზი პიანისტისა, რომელსაც ზეპირად ახსოვს უამრავი რთული სონატა.

თამაში დაფაზე დაუხედავად მოითხოვს ტვინის განსაკუთრებულ თვისებებს და თავისებურ ვარჯიშს. გამოჩენი-

ლი მოჭადრაკეებიც კი, მაგალითად ლასკერი, კაპაბლანკა, ნიმცოვიჩი იშვიათად თამაშობდნენ ერთი-ორ პარტიაზე მეტს დაფაზე დაუხედავად. ალიოხინის უსაზღვროდ უყვარდა ჭადრაკი და უჭირდა ხელიდან გაეშვა შესაძლებლობა, რომ შეეცნო „დაფაზე დაუხედავად თამაშის“ მეთოდები, განეცადა განსაკუთრებული „ჯადოსნური“ შეგრძნებანი, რასაც ეს თამაში იწვევს.

სენანის დასაწყისი საკმაოდ სწრაფად განვითარდა. კალიჩკა რიგრიგობით მოძრაობდა დაფიდან დაფისკენ და აკეთებდა იმ სვლას, ალიოხინი რომ ამცნობდა. ერთ წამსაც არ აყოვნებდა და გადასცემდა მოწინააღმდეგის სვლას. წამდაუნწამ იხმოდა მისი ხმა:

— მეშვიდე დაფა: დე-შვიდი, დე-ხუთი! მეცხრე დაფა: მხედარი ეფ-ექსი!

ალიოხინი მყისვე ამბობდა თავის საპასუხო სვლას. კალიჩკამ ამგვარად რამდენიმე წრე დაარტყა. სანამ ცნობილი ვარიანტები თამაშდებოდა, ალიოხინს ბევრი საფიქრალი არა ჰქონია, მაგრამ მალე თამაშის ტემპი აშკარად შეინელდა. ჩემპიონს უწევდა გაეხსენებინა ადრე გაკეთებული სვლები, მეხსიერებაში დაეხუსტებინა ფიგურათა განლაგება. ის რამდენიმე წუთი ფიქრობდა ყოველ სვლაზე.

დარბაზში მალე გაბატონდა სენანისათვის ჩვეული ვითარება. მეზობლები ერთმანეთს ეთათბირებოდნენ, დასახული სვლის ხარისხს აფასებდნენ, მათ მაყურებლებიც უერთდებოდნენ. ატყდა კამათი, გაისმოდა ურთიერთჩხვლეთანი, მსჯელობა გაკეთებულ სვლაზე, პოზიციაზე. ალიოხინის ოსტატობა ანცვიფრებდა მოწინააღმდეგეთ, მსგავსი არაფერი არასოდეს ენახათ. განსაკუთრებით აქტიურად განიხილავდა სენანის მსვლელობას ტანმორჩილი და წითური გერმანელი საავიაციო სამხრეებით.

— რაც არ უნდა თქვათ, აქ რაღაც თაღლითობა იმალება, — მფრინავი დარწმუნებით უცხადებდა მეზობლებს. — ოცდაათ კაცთან დაფაზე დაუხედავად! ეს არც ერთ მოჭადრაკეს მისდღემში არ გაუკეთებია.

— აი, ალიოხინმა კი გააკეთა, — აგულიანებდა მფრინავს მეზობელი.

— ფოკუსია, ნაღდი ფოკუსი, როგორც ცირკში, — არ ნებდებოდა მფრინავი. — სადღაც რაღაც მექანიზმი ექნება დამალული.

— აი, აქ, — მეზობელი საკუთარ თავზე ანიშნებდა. — და ურიგო მექანიზმი როდია.

მფრინავი უეცრად აღელდა და წამოხტა.

— ახლავე შევამონმებ მაგას, — ეშმაკურად თვალი ჩაუკრა მეზობელს და განაცხადა. — პოზიციას ჩავინერ და ალიოხინს ვთხოვ, გაიმეოროს ერთი.

ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ფიგურების განლაგება გადაინერა და მეზობელ ოთახს მიაშურა. აქ დიდხანს და ყოველი მხრიდან აკვირდებოდა ალიოხინს, ლამობდა შეეხედა პიჯაკის კალთის ქვეშ, ჯიბეებში. საბოლოოდ ასე მიმართა მსოფლიო ჩემპიონს:

— მომიტევეთ, ჰერ ალიოხინ, — თქვა მფრინავმა. — მეცხრამეტე დაფა ვარ. ხომ ვერ მეტყობით, როგორი მდგომარეობა მაქვს?

— უხეიროა, თუმცა გარეგნულად ყველაფერი კარგად გამოიყურება, — გაიღიმა ალიოხინმა.

— და შეგიძლიათ მითხრათ ჩემი ფიგურების განლაგება?

— ინებეთ, — დათანხმდა ალიოხინი და სწრაფად დაიწყო ჩამოთვლა: — თეთრები: მეფე ყე-ერთი, ლაზიერი ე-ხუთი, მხედრები ცე-სამი და ყე-ოთხი, პაიკები ა-ორი, ბე-ორი...

— კმარა, კმარა! — აჩქარდა მფრინავი ჩემპიონის შესაჩერებლად. ვერ ასწრებდა თვალი მიედევნებინა ქალაქზე ალიოხინის წარმოთქმის კვალდაკვალ. — და თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ეს ოცდაათივე დაფაზე?

— დიახ, — მიუგო ალიოხინმა.

— ეს ფენომენალურია! — უნებურად აღფრთოვანდა მფრინავი. — მითხარით, ჰერ ალიოხინ, საიდან გაქვთ თამაშის ასეთი ხელოვნება?

— ჭერიდან, — ჩაიბურტყუნა ალიოხინმა. ეს წითური მფრინავი ხელს უშლიდა ფიქრში.

— ესე იგი... ეს როგორ გავიგოთ? — დაიბნა მფრინავი.

— ძალზე მარტივად. ერთხელ ჩემი სანოლის თავზე ჭერს მივაჭედე საჭადრაკო დაფა. ყოველ დილით და ყოველ საღამოს ზედ ვარჩევდი პარტიებს ყოველგვარ ფიგურათა გარეშე. ჰოდა, ვისწავლე.

გერმანელი მფრინავი გაოგნებით შეჰყურებდა ალიოხინს და ვერ გაეგო, ხუმრობდა იგი თუ სერიოზულად ლაპარაკობდა. საბოლოოდ მადლობა გადაუხადა და თავისი დაფისკენ გაეშურა. მაშინვე მიუახლოვდა კალიჩკა.

— მეცხრამეტე დაფაზე თქვენ თამაშობთ?

— დიახ, მე, — მიუგო მფრინავმა.

— უკვე ვიყავი თქვენთან, გასული ბრძანდებოდით, — წარმოთქვა კალიჩკამ. — ალიოხინი თამაშობს ლაზიერით ყე-შვიდზე და გიცხადებთ შამათს სამ სვლაში.

მფრინავმა თავში ხელი შემოიკრა. მეზობლებსა და მაყურებლებს ერთხმად აუტყდათ სიცილი.

— შეამონმა! — სიცილით კვდებოდნენ ოფიცრები. — ესეც შენი მექანიზმი! შამათი სამ სვლაში!

— მეხუთე დაფამ წინააღმდეგობა შეწყვიტა, — კალიჩკამ ოთახში შესვლისთანავე უთხრა ალიოხინს.

— ხომ ნახეთ, რა საინტერესო ენდშპილი იყო ამ პარტიაში, — მსოფლიო ჩემპიონმა სიხარულით ამცნო ჩესს. — ზუსტად ასეთი დაბოლოება მოვუეგე რომანოვსკის ოცდაათი წლის წინათ პეტერბურგში. ოღონდ იქ შავი პაიკი იდგა ა-ექსზე. საინტერესო ენდშპილია. სამწუხაროა, რომ გერმანელი რიგიანად ვერ იცავდა თავს.

— გჭირდებათ რამე? — ჰკითხა ჩესმა.

— დიახ, კალიჩკა. ყავა მინდა, გეთაყვა. მერე, კიდევ ერთი თხოვნა. რამდენიმე ღერი სიგარეტი მიშოვეთ. ისევ დამავიწყდა პორტსიგარი. წყეული მეხსიერება!

თამაშის დრო კვლავ მიედინებოდა და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დანყებიდან უკვე ხუთი საათი იყო გასული. ალიოხინმა ორი ათეული პარტია მოიგო, სამიც ყაიმით დაამთავრა. რამდენიმე დაფალა რჩებოდა. მათ გარშემო შეჯგოვდნენ ცნობისმოყვარენი და ისინიც, ვისაც დამთავრებინა თამაში. ესენი ყველაზე მეტს კარნახობდნენ, საკუთარი პარტია რომ ვერ მოიგეს, ახლა ლამობდნენ, თავიანთი ძალა მეზობელთა პარტიებში ეჩვენებინათ.

უეცრად დარბაზის ერთ კუთხეში ერთ-ერთმა პარტიამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ირგვლივ მყოფებთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ოფიცრმა, რომელიც ამ დაფაზე თამაშობდა, განუცხადა კალიჩკას:

— გადაეცით ჰერ ალიოხინს: მე ვთამაშობ ლაზიერით ე-ოთხზე. ვუცხადებ ქიშს და შამათს ოთხ სვლაში.

კალიჩკა გავიდა მეზობელ ოთახში და მყისვე მობრუნდა. — თქვენ ცოტათი დაგაგვიანდათ, — ღიმილით განუცხადა თავდაჯერებულ გერმანელს. — მსოფლიო ჩემპიონი, თავის მხრივ, გიცხადებთ შამათს ორ სვლაში.

კალიჩკამ თეთრი ეტლი გასწავა, თავი რომ დაეცვა შავი ლაზიერის ქიშისგან. თავის მხრივ, თეთრი კუს გამყლავნებული ქიშისგან ერთი სვლა, არცთუ დიდი ხნით, იცავდა.

დაფათა ოდენობა გერმანელებისათვის კატასტროფული სიჩქარით მცირდებოდა. ალიოხინს ახლა ეიოლებოდა ცოტაოდენი პარტიების თამაში და გერმანელთა სვლებს გაცვილებით სწრაფად პასუხობდა. მალე მარტოოდენ ერთი დაფა დადარჩა, რომელზედაც თამაშობდა შპაკი. მას, როგორც ჩანს, ჭადრაკი სხვებზე უკეთ ესმოდა და, გარდა ამისა, ყველაზე მეტი მრჩეველი ეხმარებოდა. სვლას რომ აკეთებდა, იმავდროულად, გარშემო მყოფთ მოძღვრავდა ღრმავაროვანი მსჯელობით ჭადრაკის თაობაზე. მაგრამ მალე მისი პოზიციაც უიმედო შეიქნა და მან უთხრა კალიჩკას, ვნებდებით.

დარბაზში გამოჩნდა დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ალიოხინი. მიუახლოვდა კალიჩკას, რომელიც ისევ ობერმტურმბანფიურერის დაფასთან იდგა. შპაკმა მიულოცა ალიოხინს წარმატებული თამაში, მერე კი გადანყვიტა ესარგებლა შემთხვევით და დაბალჩინოსანთა წინაშე რალაცნაირად გაემართლებინა თავისი მარცხი.

— ჩემი სტრატეგიული გეგმა მართებული იყო, მაგრამ ტაქტიკური შეცდომა დავუშვი, — უთხრა მან ალიოხინს. — შავების მდგომარეობა უიმედოა. თქვენ მოიგეთ, იძულებული ვარ, დაგნებდეთ. ოღონდ, რომ მეთამაშა ლაზიერი დეხუთზე დე-ორის ნაცვლად, ავიღე დაგადგებოდათ.

— თქვენ ასე გგონიათ?

— ეს აშკარაა!.. აქ კი, — მიუთითა დაფაზე განლაგებული ფიგურები. — დაცვა არ არის... ჩემი პოზიცია უიმედოა. დროზე დაგნებდით.

ალიოხინი ჩამოჯდა სკამზე ობერმტურმბანფიურერის პირისპირ.

— კეთილი! — გადაჭრით თქვა მან. — თქვენ ამბობთ, უიმედო არისო. ითამაშეთ.

და ასოთხმოცი გრადუსით შეაბრუნა დაფა — ახლა შავი ფიგურები ერგო. იმ მდგომარეობაში, სადაც გერმანელი დანებდა, ალიოხინმა ეშმაკური სვლა გააკეთა ეტლით. შპაკის გარშემო უმაღლე შეგროვდნენ დამთავრებული სეანსის მონაწილენი. მაგიდის გვერდით მდგომი შეხტელი ყურადღებით აკვირდებოდა პოზიციას. უცებ თვალეები გაუბრწყინდა და უფროსს ყურში ჩასჩურჩულა:

— მხედარი... მხედარი! აიღეთ, ჰერ ობერმტურმბანფიურერ!

შპაკმა ხელით ანიშნა, გაჩერდით.

— ვხედავ, — წარმოთქვა მან. — ყველაფერს ვხედავ!

და მხედრით ალიოხინის ეტლი აიღო. მსოფლიო ჩემპიონმა იმნამსვე დააყენა შავი ლაზიერი დიდ შავ დიაგონალზე. ახლა უკვე თეთრები ვეღარ იცავდნენ თავს შამათისგან — უკანასკნელ ეტლსა და მხედარს ხომ არ დათმობდნენ.

— ესეც თქვენი მხედარი, — უმწეოდ გაშალა ხელები შპაკმა და ავად შეხედა შეხტელს. — შამათისგან თავს ვერ ვიცავ, ვნებდებით, — და ხელი გაუწოდა ალიოხინს.

— შეიძლება, რომ მე ვცადო? — ალიოხინმა დაფა ისევ შეაბრუნა.

შპაკის გარშემო მდგომმა ოფიცრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. ამ რუსს რა ფოკუსები სცოდნია — ყველაზე უიმედო პოზიციების გადარჩენას ახერხებსო.

იმ მდგომარეობაში, სადაც შპაკი დანებდა, ალიოხინმა ხელში აიღო თეთრი ლაზიერი და გადაიყვანა დაფის ბოლო კუთხურ უჯრაზე შავი მეფის გვერდით. ობერმტურმბანფიურერი ყურადღებით ათვალიერებდა დაფას, უჩვეულო სვლისგან დაცვას ეძებდა, მაგრამ ფიქრიდან გამოარკვია ისევ შეხტელის ხმამალალმა ჩურჩულმა:

— უნდა აიღოთ!.. ლაზიერი უნდა აიღოთ, ჰერ ობერმტურმბანფიურერ!

შპაკს გაუხარდა, რომ შურს იძიებდა თავდაჯერებულ მსოფლიო ჩემპიონზე — ახლა ლაზიერით როგორმე! — და მომდევნო სვლა კაკუნით გააკეთა. ოფიცრები გაოცებით შეჰყურებდნენ დაფას და ვერ ხვდებოდნენ, რა მოხდა.

— მომიტყვეთ, — გესლიანად წარმოთქვა ალიოხინმა, — მაგრამ თქვენ ჩემი ლაზიერით საკუთარი მეფე აიღეთ.

ოფიცრებმა ჩაილიმეს, მაგრამ მალულად, რათა, ღმერთმა დაგვიფაროსო, უფროსის რისხვა არ გამოენვიათ. შპაკმა თეატრალურად თავზე ხელი შემოიკრა — დავიღალე, გადავვლელი და გადავიწვო, — გამოასწორა პოზიცია, საკუთარი მეფე დააბრუნა დაფაზე და მერე გააკეთა ერთადერთი სვლა — მეფით აიღო თეთრი ლაზიერი. ახლა უზარმაზარი მატერიალური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ეს აღარ შეელოდა: ალიოხინმა მხედრითა და ეტლით ორმაგი ქიში გამოუცხადა და მას შემდეგ, რაც შავმა მეფემ უკან დაიხია, თეთრი ეტლი კუთხურ უჯრაზე მოათავსა.

— შამათი! — წარმოთქვა თავისი უკანასკნელი განაჩენი.

უკვე ბნელოდა, როდესაც ალიოხინი და კალიჩკა ქუჩაში გამოვიდნენ. მდუმარედ გაიარეს რამდენიმე კვარტალი, მერე კი ჩხმა თქვა:

— მე აქეთ უნდა წავიდე, ბატონო ალიოხინ, — უჩვენა მარჯვნივ. — თქვენ დიდებულად ითამაშეთ!

— ჰოდა, არ გამოუვიდათ განადგურება! — გაიღიმა ალიოხინმა. — თქვენ კი შიშობდით.

— როდის მიემგზავრებით და საით? — დაინტერესდა ჩხი.

— ჯერჯერობით მადრიდს, — ამცნო ალიოხინმა. — ამჟამად მხოლოდ იქ შეიძლება ვიზის მიღება. იქიდან კი სამხრეთ ამერიკაში გავწევ. იქ ახლა ბევრი მოჭადრაკეა, ნამდვილი ცხოვრება დულს და გადმოდულს.

— გისურვებთ უკეთესზე უკეთეს ბედნიერებას და განსაკუთრებით ჯანმრთელობას, — თქვა კალიჩკამ. — ოღონდ ჩემი პირადი თხოვნაა: მეტი აღარ ჩაატაროთ ამგვარი სეანსები.

— კეთილი, ძვირფასო მეგობარო, — ღიმილით წარმოთქვა ალიოხინმა. — მაგრამ ხომ გესმით: საგანგებო გარემოებანი იყო — მე ხომ სათვალე დავკარგე.

ყურადღებით რომ გაუსწორა მზერა კალიჩკას, ალიოხინმა გაიღიმა, პიჯაკის გვერდითა ჯიბიდან სათვალე ამოიღო და კობხად მოირგო ცხვირზე.

— ყოველთვის როდია სასიამოვნო, შენს მოწინააღმდეგეებს ხედავდე. — წარმოთქვა მსოფლიო ჩემპიონმა.

რუსულიდან თარგმნა  
ლავა გიორგაძე

\* \* \*

იუმორისტულ ციკლში — „ზეზვაურები“ — ლევან ბრეგაძე ასეთ სენტენციასაც შესთავაზებდა მკითხველს: „რითმაში დაფიქსირებული გვარ-სახელი საუკუნეებს უძღვება!“

ზეზვა მედულაშვილის რითმაში მოხვედრა უკვდავების გარანტიაა!“

ეს სტრიქონები სენტენციაცაა და დითირამბიც, აღვლენილი ეპიგრამის ოსტატის მიმართ.

მოხვედრა არა რითმაში საერთოდ, არამედ ზეზვა მედულაშვილის რითმაში.

როდესაც ამ ფრაზებს წერდა, ლევან ბრეგაძე ვერც იფიქრებდა, რომ ოდესმე შესაძლოა მის რითმაში მოხვედრაც დიდად საპატიო და უკვდავების საწინდარიც ყოფილიყო. ეს მაშინ, როდესაც აღიარებული კრიტიკოსი სახელს გაითქვამდა უცხოური ეპიგრამების თარგმნითაც, და თუ ორიგინალური ექსპრომტები მაინცდამაინც არ მოექვევებოდა, ისე დახელოვნდებოდა ამ ჟანრში, რომ როგორც კი დაისაჭიროებდა, მარჯვედაც გამოიყენებდა ამ ფორმას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი მიანიჭებდა მისთვის საპატიო გვარ-სახელის მოხვედრას რითმაში, რათა ამითაც დაედასტურებინა თავისი ალტაცებაც და მადლიერებაც.

ეს გვარ-სახელი აღმოჩნდებოდა ბადრი გაგნიძე, შესანიშნავი მხატვარი და, სხვათა შორის, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ყოველწლიური პრემიების ლაურეატი, რაკილა მონდომებით თანამშრომლობდა ამ ჟურნალთანაც და მის წინამორბედ გამოცემებთანაც, ჟურნალი „ომეგა“ იქნებოდა თუ გაზეთი „ჩვენი მწერლობა“.

მის მრავალფეროვან პალიტრაზე უხვად გამოჩნდებოდა მეგობრული შარჟებიც და იუმორისტული ჩანახატებიც, „ნაკვეთების“ ციკლსაც დიდ ერთგულებას რომ გაუწევდა.

და, აი, მის ნახატებს შორის ამონათდებოდა ლევან ბრეგაძის მეგობრული შარჟიც, პიროვნებისა, ვისაც პირადად არ იცნობდა, მაგრამ წინდანი გულმოდგინედ რომ მოემზადებოდა, შეისწავლიდა მის ფოტოსურათებსაც, საგანგებოდ ამოკრებოდა და თავმოყრილს კარლო ფაჩულიასა და თენგიზ რობიტაშვილის მიერ.

სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებოდა ლევან ბრეგაძე იმ იუმორისტული ჩანახატის ხილვით, რაკილა დაერწმუნებინათ და რეალობაც ამასვე უდასტურებდა, რომ მისი შარჟის დახატვა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, რადგანაც მკეთრად სახასიათო არაფერი მოექვევებოდა გარეგნობაში.

ამას ერთი რუსი მხატვარი განუცხადებდა, ამოდ რომ დაშვრებოდა მისი შარჟის დასახატად. ინვალეზა, ივაგლაზებდა ამ ჟანრში აღიარებული ოსტატი, მაგრამ ლევან ბრეგაძის სახის იუმორისტული იერით აღბეჭდვად დაუძლეველი შეიქნებოდა მისთვის.

და თავს იმართლებდა: სახასიათო ვერაფერი აღმოგიჩინე, ანკი რაც არა გაქვს, როგორ აღმოგიჩინდიო.

შემდგომ კი ზაალ სულაკაური, ასევე აღიარებული ოსტატი ამ ჟანრში, მას ჩვეული ხელოვნებით ვერ გამოხატავდა და შარჟს წარწერაც რომ არ დართვოდა: ლევან ბრეგაძეაო, — ვერავინ მიამსგავსებდა. არადა, მის გვერდით ისეთი ბრწყინვალე იუმორისტული ჩანახატები ჩამორიგდებოდა, ზაალ სულაკაურის უდავო ნიჭიერებას კიდევ ერთხელ რომ ადასტურებდა.

ვისი რა ბრალი გახლდათ, თუკი მისი იუმორისტული შტრიხებით წარმოსახვა შეუძლებელი იყო?!

მაგრამ, აი, ბადრი გაგნიძე მიაკვლევდა რალაც ისეთს ლევანის გარეგნობაში, ისეთ არსებით დეტალს ჩაავლებდა, რომ შარჟი ზედგამოჭრილი ლევან ბრეგაძე აღმოჩნდებოდა, თანაც რაოდენ სახალისო და წარმოსახული!... და ყველა იოლად ამოიცნობდა, ყოველგვარი მიწინაშეების გარეშეც.

და აღფრთოვანებული ლევან ბრეგაძე (ორიგინალს რომ გამოართმევდა რედაქციას და ჩარჩოში ჩასმულს კედელზე ჩამოიკიდებდა) რომ მოინდომებდა შესაფერისი მადლობა გადაეხადა ამ მოულოდნელი და უჩვეულო საჩუქრისათვის, გუნებაში ბჭობის შემდეგ ისევე ამას ამჯობინებდა, რომ საკუთარი ნიგნი მიეძღვნა ორიგინალური წარწერით — იუმორისტულ ლექსად, რომლის რითმაშიც მხატვრის გვარ-სახელი გათამაშდებოდა.

და კიდევ აღიბეჭდებოდა „მარგინალიების“ (რომელშიც, სხვათა შორის, იუმორესკებიცაა, მახვილსიტყვაობის ნიმუშებიც და მხიარული რითმების რკალიც) თავფურცელზე ეს ეპიგრამა:

**ბ-ნ ბადრი გაგნიძეს, ჩემი შარჟის დამხატვალს**

**სარკეში ყველას გვიყვარს ყურება  
(კაცი ამ ჩვევას ადრიდან იძენს).  
და შარჟიც სარკედ გვემსახურება.  
დაეხატვინეთ ბადრი გაგნიძეს!**

28.12.2012

დაეხატვინეთ ბადრი გაგნიძესო! — უფრო მეტი შეფასება რაღა უნდა იყოს.



— რამხელა რეკლამა გაუწიეო, — ვეცყოდით ლევანს.  
 — თვითონ რამხელა რეკლამა გამიწიო?! — თვალწინ  
 ისევ ის შარჟი ედგა და მას შეჰკლიმოდა.  
 „...„ადრიდან იძენს — ბადრი გაგნიძეს“ — ჩინებულნი

\* \* \*

ილია ჭავჭავაძის ორატორულ ხელოვნებას — ბევრისა-  
 გან ასერიგად ნაქებს და ნიკოლოზ კანდელაკის მიერ მეც-  
 ნიერულადაც დასაბუთებულს — ივანე ზურაბიშვილიც  
 რომ დაუხასიათებდა მკითხველს, ერთ უმთავრეს ნიშნად  
 გამოაცალკევებდა წარმოსახული საქართველოს სახელმ-  
 წიფოს პრეზიდენტის უნარს, ისე დალაპარაკებოდა კრებას,  
 თითქოს შინაურობაშია და რალაც  
 საინტერესოს უამბობს, დინჯად,  
 წყნარად და აუღელვებლად.

კიდევ ერთ, და არანაკლები  
 მნიშვნელობის, ნიშნად კი მოიხ-  
 სენიებდა უხვად მომადლებულ  
 ჰუმორს, რომელიც ხანდახან  
 სარკაზმში გადადიოდა.

მისი ორატორობისას თეატრ-  
 რალობა სულ არა ჩანდა?

სამაგიეროდ, არტისტულობა  
 იჩენდა ხოლმე მკვეთრად თავს.

არ მოსდგამდა კილოშეკიდე-  
 ბული ლაპარაკი, ხმის აკანკალება  
 და პათოსი, ხელების სავსავი და  
 გადამეტებული ფესტიკულაცია,  
 რაც ბევრს ორატორულ თვისებე-  
 ბად მიაჩნდა და თავს არ იზოგავდ-  
 ნენ ამ „იდეალთან“ მისახლოებ-  
 ლად?

სამაგიეროდ, როდესაც საჭი-  
 რო გახლდათ, სჩვეოდა სხეულის  
 რაიმე მოძრაობით მიზანში ამოღებული მონინალმდეგის  
 სუსტი მხარის გამომზეურება.

და ივანე ზურაბიშვილს თვალნათლივ ამოესახებოდა  
 ერთი მომენტი — ერთ-ერთ კრებაზე ბანკში მუშაობის  
 ირგვლივ რომ გაიმართებოდა სჯა-ბაასი, ვინ რას აკეთებ-  
 სო, და ილიას სიზარმაცეს დასწამებდნენ.

და, აი, წამოდგებოდა ილია:

— საქმე ის კი არ არის, ყველას კარებში მიეგებო: გე-  
 თაყვა, რას გვიბრძანებთ? თქვენს სამსახურში გვიგულე-  
 თო, — და ამისთანები.

და ამ დროს ორატორი ისეთ პოზაში დადგებოდა, ისე  
 სხარტად გააქლასუნებდა იატაკზე ფეხებს, თანაც ისე  
 დაინყებდა ხელების ფშვინეტას და ისეთ გამომეტყველე-  
 ბას მიიღებდა, რომ... იქ მყოფთ, უკლებლივ ყველას,  
 თვალწინ დაუდგებოდა ზრდილობიანი და ყურადღებით  
 სავსე შეხვედრა ივანე მაჩაბლისა.

ამავე დროს, ილიას მიმოხვრაში იმხელა არტისტული  
 კომიზმი გადმოიღვრებოდა, დარბაზში სიცილი გაისმოდა.

ეს დეტალი როგორღაც მიყრუვდებოდა, მიიკარგებო-  
 და, თითქოსდა, ისეთიკ რა არისო.

არადა, ორატორული ხელოვნება იქით იყოს და... ეს



მხატვარი ბადრი გაგნიძე

რითმაო, უსათუოდ დასცემს თავის ბეჭედს ზეზვა მედუ-  
 ლაშვილი, ამ ეპიგრამის არსებობას როგორც კი შე-  
 იტყობს, თან გაიღიმებს იმ ღიმილით, შეფარულად რომ  
 მიგვანიშნებს, ბარემ არაერთ პოეტს შეეხარებოდაო.

ხომ პერფორმანსის ნიმუშია, და ამასთან ილიას პაროდი-  
 ული ნიჭის დადასტურებაც — თურმე ივანე მაჩაბლის პა-  
 როდიაც კი გაეთამაშებინა.

მსახიობობისაკენ მიდრეკილება რომ ჰქონდა, „მეფე ლი-  
 რის“ შინაურ წარმოდგენაში ლირის როლიც ამიტომ განესა-  
 ხიერებინა, თორემ საკუთარი ლექსებისა და მოთხრობების

(ის კი არა, „სომეხი მეცნიერი და  
 ქვათა ლალადიც“ ხომ წაეკითხა სა-  
 ჯაროდ) დეკლამაცია ძალიანაც  
 უყვარდა და ეხერხებოდა კიდევ. ის  
 კი არა, გრიგოლ ორბელიანის „ონი-  
 კოვის დარდებსაც“ ისე ნაუკუთხავ-  
 და აუდიტორიას პოეზიის ერთ-  
 ერთ საღამოზე, თითქოს მართლაც  
 არტისტი ყოფილიყოს.

თურმე პაროდისტის უნარიც  
 ჰქონია და, არამცთუ შინაურ გარე-  
 მოში, საქვეყნოდაც წარმოედგინა.

უკვე აღარავისთვისაა დაფა-  
 რული, ქართული ესტრადის სათა-  
 ვებთან ალექსანდრე ყაზბეგიც  
 რომ დგას.

და ნულარც ის გამოგვრჩება,  
 ქართული პაროდიული თეატრის  
 სათავეებთან ილია ჭავჭავაძეც რომ  
 მოჩანს... მითუმეტეს, ასეთი უნარის  
 ამ ერთ გამჟღავნებას არ იკმარებდა  
 და ორატორული გამოსვლებისას

სხვადასხვა პაროდიებსაც ჩაურევდა. ვერ მიბაძავდა თუ რა!..

აგერ ივანე ზურაბიშვილიც ხომ გვამცნობს: სჩვეოდაო.  
 და მაშ ივანე მაჩაბლის გარეგნული პორტრეტის პა-  
 როდიული წარმოდგენა ერთ-ერთი სურათი გამოდის და  
 არა ერთადერთი.

ნეტა ისიც შემოგვრჩენოდა, სხვებს კიდევ ვის მოუ-  
 ძებნა პაროდისტისათვის ხელსაყრელი შტრიხები.

ხალხი იცინებდა, იხალისებდა, თუმც ჩანნიშვნას არა-  
 ვინ მიიჩნევდა საჭიროდ, ილიას პიროვნებისათვის რა  
 მნიშვნელობა აქვს, ასეთი წვრილმანიც თუ ეხერხებოდაო.  
 ვითომ წვრილმანი?

მისაკარგი დეტალი ვითომ?

მაშ რატომ გვხიბლავს ასერიგად ივანე ზურაბიშვი-  
 ლის მოგონების ეს პასაჟი, რალაც იშვიათი სითბოთი რომ  
 გვაგვებს ილიას მიმართ?!

ისე გულდასმით კი გვაქვს გადასაჩხრეკი მემუარებიც,  
 დღიურებიც, ეპისტოლეებიც, რათა რაც შეიძლება მკაფიო  
 წარმოდგენა შეგვექმნას ჩვენი პაროდიული თეატრის  
 საწყისებზე — ახალი დროის, ცხადია, თორემ საუკუნეთა  
 სიღრმეში სად გაჰყვები, თუკი მასალის იმედი არცა გაქვს.

თუმც... თუმც ვინ იცის, რას ამოგვიგდებს ამ მხრივ

უღმრთელი გაკვეთილი

ეს ტურფა ქვეყანა ბევრის მნახველ სტუმრებსაც კი ანცვიფრებდა და აჯადოებდა. მამ რალა დაემართებოდა მოსკოველ გოგონას, რომელიც მხოლოდ ნიგნებიდან იცნობდა ბუნების ამ დაუჯერებელ სასწაულს და ახლა თავისი თვალით უნდა ეხილა.

1928 წლის აგვისტოში ძველმა ქართველმა ბოლშევიკმა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მიხა ცხაკაიამ ამიერკავკასიის ბიუჯეტის განსახილველად თბილისში მოიწვია საბჭოთა დიდმოხელე და გამოცდილი ეკონომისტი ამხ. ლარინი. მისი ქალიშვილი, თხუთმეტი წლის ანა პირველად ასე მოხვდა საქართველოში.

ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობდა მომავალი ხელმძღვანელი რესპუბლიკისა ლავრენტი ბერია. სწორედ მის აგარაკზე, კოჯრის მახლობლად (ოქროყანა?), ტარდებოდა სხდომები. მერე იქვე იშლებოდა ზღაპრული სუფრა — ეგზოტიკური კერძებითა და სურნელოვანი ქართული ჩაით, რომლის გამოწვევითაც ამხ. ლარინსაც მიუძღოდა გარკვეული წვლილი.

ბერია ეუბნება ლარინს:

- მე არ ვიცოდი, ასეთი მშვენიერი ასული თუ გყავდათ!
- გოგონა დაიბნა, წამოჭარხლდა, ლარინმა კი ცივად თქვა:
- ვერავითარ მშვენებას ვერ ვამჩნევ.
- მიხა, დავლით ამ გოგუცანას სადღეგრძელო! ვუსურვოთ ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება.

მეორე შეხვედრა — ოთხი წლის შემდეგ, 1932 წლის ზაფხულში. დაობლებული ანა ლარინა ამჯერად საკავშირო გოსპლანის თავმჯდომარეს ამხ. კუიბიშევს ჩამოჰყვია საქართველოში. ბერია, უკვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლიტიბიუროს წევრ კუიბიშევს ბათუმში დახვდა. რასაკვირველია, უმაღლესი იცნო „გოგუცანა“.

— აუჰ, ამას ვის ვხედავ! დაქალებულხართ! კიდევ უფრო დამშვენებულხართ!

სტუმრები დაბინავეს ლიკანში. ანა თითქმის ყოველდღე ხედავდა ბერიას, რომელიც საქმიანი და გონიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მესამე შეხვედრა — შვიდი წლის შემდეგ.

ოლონდ შეხვედრის ანტიურაჟი შეცვლილია. თვალწარმტაცი ოქროყანისა თუ ლიკანის ნაცვლად — პირქუში ლუბიანკა სუსხიანი მოსკოვის ცენტრში. და საპატიო ტუსალს, რეპრესირებული ბუხარინის ახალგაზრდა ქვრივი ანა ლარინას შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის კაბინეტში მასპინძლად ეგებება სწორედ ის კაცი, მაშინდელი კეთილი ქართველი მასპინძელი, „გოგუცანას“ სადღეგრძელოს რომ სვამდა.

ამხ. ეჟოვი სად არისო? — გაოცებულ-გაოგნებულ ანას ამ შემთხვევაში უაზრო და ლამის სასაცილო შეკითხვა აღმოხდება.

— თქვენ ეს ძალიან გაინტერესებთ?.. ანა იურიევნა, რატომ კოჭლობთ?

- მოგეჩვენათ. სიურპრიზმა ალბათ ფეხები მომკვეთა.
- ეს კარგია, რომ არ კოჭლობთ. დიას, კარგია, რომ მხოლოდ მომეჩვენა. უნდა გითხრათ, ანა იურიევნა, რომ საოცრად დამშვენებულხართ მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ.

ფერმიხდილ, გასაკვათებულ სახეში შემომყურებდა და ურცხვად ტყუოდაო, — იგონებს ანა ლარინა.

— პარადოქსია, ლავრენტი პავლოვიჩ, თურმე დავმშვენებულვარ, კიდევ ათი წლით ჩამაყუდეთ ციხეში და მერე შეგიძლიათ, რომ პარიზში გამგზავნით სილაშხის კონკურსზე.

- მასპინძელს გაეღიმა. დაუფასა იუმორი სტუმარს.
- რას აკეთებდით ლავრემი, რა სამუშაოს ასრულებდით?
- ასენიზატორად ვმუშაობდი, — დაუფიქრებლად უპასუხა.
- ასენიზატორად? — შეიცხადა ბერიამ. — რაო, თქვენთვის სხვა სამუშაო ვერ გამოძებნეს?

— ყველაზე შესაფერი ეს იყო. რა გიკვირთ, ლავრენტი პავლოვიჩ, როცა მთელი ჩვენი ცხოვრება მძღნერის ვეება გროვად გადაქცეულა, მცირეში ქექვა არც ისე საშინელია.

— რაო? — შეცბუნდა ბერია. იქ დამსწრე ბოგდან ქობულოვმა კი მყისვე გაკიცხა ლამაზი ქვრივი:

— ვაი-ვაი, როგორ უწმანურად ლაპარაკობთ! არა გრცხვენიათ?

— ახლა აღარაფრის აღარ მრცხვენია.

ბერია უბრძანებს ქობულოვს, ბუტერბროდები და ხილი მორთვით სტუმარს. მერე კითხულობს განცხადებას თავისი წინამორბედის — ამხ. ეჟოვის სახელზე.

— მართლა აღარ გინდათ სიცოცხლე? ძნელი დასაჯერებელია. თქვენ ასე ახალგაზრდა ბრძანდებით, მთელი ცხოვრება წინა გაქვთ!

— თუკი აღარაფერი დაგრჩა საზარელი კომპარის გარდა, თუკი მოგიკლეს ქმარი, ნაგართვეს შვილი, სასიკვდილოდ გაგწირეს წესტიან დილევში და გაუთავებლად გაფრთხობენ დახვრეტი — აღარაფერი გრჩება გარდა იმისა, რომ მორჩილად ითხოვო სიკვდილი.

ბერია თავჩაქინდრული უსმენდა. მერე ხმამაღლა კითხულობს დოსიემი მოთავსებულ ანას ლექსებს:

შავი ყორანი, ბოროტი და ვერაგი, გულსა და ტვინს უკორტნიდა, სისხლი წვეთ-წვეთად იღვრებოდა. ყორანი გვამებს თქვლეფდა, გასუქდა, მაგრამ ვერ ძლებოდა, მთელს რუსეთში შიში და მონობა დათესა...

— ვინ არის ეს ყორანი?

— ყორანი არის ყორანი. ჩემი კომპარული მოჩვენებაა, საკანში რომ მტანჯავდა.

ფორთხალი. ყურძენი. ბუტერბროდები. ჩაი... ლუბიანკაზე! მაგრამ დამშეული ანა არაფერს გაეკარება.

— არ გნებავთ? რატომ არ გნებავთ? მინდოდა, რომ თქვენთან ერთად ჩაი დამეღია. თუკი არაფერს მიირთმევთ, იცოდეთ, ხმას აღარ გაგცემთ.

მრისხანე „ენკავდეეს“ თავკაცი ებუტება „გოგუცანას“!

მერე ეკითხებიან, ხვდებოდა თუ არა ვინმეს მოსკოვში, ვიდრე ასტრახანში გაამწესებდნენ.

არავისაც არა ვხვდებოდიო, — აცხადებს მტკიცედ, თუმცა იმნამსვე შერცხვება, რომ იცრუა და დასძენს:

— დიას, ვხვდებოდი ერთ კაცს, მაგრამ მის ვინაობას არ გაგიმხელთ.

— რატომ?

— მაშინვე დევნას დაუწყებთ, ის კი ჩემთვის უმძიმეს დღეებში სხვებსავეთ ლაჩარი როდი გამოდგა. ყურადღება და გულისხმიერება არ მოუკლია. არ მინდა, რომ ჩემი გულისთვის დაზარალებს.

ბერიას და ქობულოვს ერთხმად აუტყდებათ სიცილი. საცაა ჩაბჭირდებიან.

— ეს სოზიკინია, არა? ნიკალაი სტეპანოვიჩ სოზიკინი, — ირონიულად გააქენია თავი ბერიამ, — მიამიტობა და მერე ასეთი?!

ანა ისე აღელდა, რომ თავისი გულისფეთქვა ესმოდა. აი, თურმე რა! მისი თანაკურსელი კოლია სოზიკინი, რომელიც ნათელ სხივად მოველინა უცრად ჩამონოლილ წყვდიადში, რომელიც ანუგეშებდა, ბავშვისთვის სათამაშოები მოჰქონდა, კანფეტები, ვაგლახ, ენკავდეეს შტატიანი მსტოვარი ყოვილა! (ათიოდე წლის შემდეგ მოლდავეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავენ).

ალბათ უსაზღვროდ კმაყოფილი იქნებოდნენ ბერია და მისი თანაშემწე ქობულოვი, გული რომ გაუტეხეს ქალს — ამქვეყნად სიკეთის არსებობა აღარასოდეს რომ აღარ დაეჯერებინა.

ეს უღმობელი გაკვეთილი ლუბიანკაზე ოცდახუთი წლის ანას კიდევ ერთხელ მოანატრებდა სიკვდილს.

მაგრამ მძლეთამძლე ბოროტება, ათასში ერთხელ, უმწეო სიკეთეს ხარკს რომ უხდის, როგორ უნდა ავხსნათ?!

ანა ლარინას მოგონებებში აღნიშნულია მისთვის გასაოცარი და გაუგებარი მოვლენა — თურმე მოსკოვში პატიმრობის პირველ წელს მის სახელზე ორჯერ გადმოურიცხავთ ფული, რათა ციხის მალაზიით ესარგებლა.

ბუხარინის ქვრივი გვარწმუნებს, ბერიას განკარგულების გარეშე ამას ვერავინ გაბედავდაო!

ქეპლა მორე ჳრონტს

რამ ჩაიყვანა ირანში პიეტრო დელა ვალე? ნუთუ არ დაუცხრა მოგზაურობის მწველი ნადილი? ნუთუ ვერ მოიკლა წყურვილი ახალი ქვეყნებისა და უცნობი ხალხების გაცნობა-შესწავლისა? განა წმ. მიწისკენ არ გაემგზავრა პილიგრიმის სამოსელში გამოხვეული? მერე ეგვიპტეც მოინახულა, სირია, ოსმალეთი. განა არ აჯობებდა, რომ დაოჯახებულსა და უთვალავი შთაბეჭდილებებით გამდიდრებულს გეზი სამშობლოსაკენ აეღო? ნუთუ ახალშერთულ სირიელ ქალთან, მაინც რომ ერქვა სახელად, იტალიაში ტკბილი და მშვიდი ცხოვრება უნდა გაცევალი კიდევ ერთი ქვეყნის ხილვაზე?

გამოხდება ხანი და პიეტრო მწარედ იწინებს თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ დაგვიანებული იქნება სინანული და ველარაფერს გამოასწორებს. დროს არა სჩვევია უკან დაბრუნება.

მოვლენათა მსვლელობას, ჩანს, განგების ხელი წარმართავდა და თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის თითქმის ნახევარი პიეტრო დელა ვალემ სწორედ ირანში გაატარა და მისი თხზულების ნახევარიც ირანის აღწერილობას, იქაურ ცხოვრებას ეძღვნება.

არა, სასიეროდ და დროსტარებისთვის არ ჩასულა ისპაანს. ცნობისმოყვარე მოგზაური და ფათეარაკების მაძიებელი რაინდი როდი გახლდათ. პოლიტიკურ ვენებათა მორევმა ჩაითრია და გვიანდა მიხვდა, რომ ფუჭი ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. სწავლულ მოგზაურსა და პოეტს ხელი მოეცარა პოლიტიკურ ასპარეზზე.

იმხანად მთელ ევროპას დაპყრობითა და აოსრებით ემუქრებოდა ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერია და პიეტრო დელა ვალეს გონებაში განუწყვეტილ ებადება პროექტები, რომელთა ხორცშესხმა ღონეს წაართმევდა უაღრესად საშიშ მტერს და შევბას მოუტანდა დასავლურ სამყაროს.

როგორც ცნობილია, 1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და ბოლო მოუღეს დაჩაჩანაკებულ ბიზანტიას — ჯეზირად რომ ეგულებოდა ევროპას აღმოსავლეთიდან მოვარდნილი მძვინვარე ნიაღვრების შესაკავებლად.

ოსმალებმა მალე ევროპის მიწა-წყალზე შეაბიჯეს.

დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ეს იყო საგანგაშო სიგნალი, რომელიც აუწყებდათ, რომ ისტორია მეორედებოდა გაცილებით უარესი ელფერით და ცენტრალური აზიის სტეპებიდან შემოჭრილ მონღოლთა ურდოებს, ისევე სწრაფად რომ დაიხიეს უკან, როგორც გამოჩნდნენ, ამიერიდან ენაცვლებოდა უფრო ორგანიზებული და მძლავრი აგრესორი, რომლის მუდმივი სამკვიდრებელი აქვე, ევროპის მეზობლად იყო.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა ზედიზედ დაიმორჩილეს სერბია, ბოსნია, ჰერცეგოვინა — თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული. 1514-1517 წლებში დაიპყრეს სირია, პალესტინა და ეგვიპტე, ოციოდე წლის შემდეგ — მესოპოტამია. 1521 წელს აიღეს ბელგრადი. გამარჯვებათა სერია გრძელდებოდა და შიშის ზარს სცემდა ყველას.

1526 წელს ოსმალებმა მოჰპოვეს დაამარცხეს უნგრელები. ისტორიკოსთა მოწმობით, ისინი კაციაშიეებით მძვინვარებდნენ და

დახოცეს ანდა მონებად წაიყვანეს ორასი ათასამდე კაცი. გადარწეს ქალაქები და სოფლები.

იმდენად მტკივნეული იყო უნგრეთისათვის მოჰპოვის დამარცხება, რომ სამი საუკუნის შემდეგაც კი არ ასვენებდა მოუშუშებელი ჭრილობა სახელოვან უნგრელ პოეტსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდს — შანდორ პეტეფის: „ჰოი მოჰაჩი! ჩვენ ვსდევდით პეპლებს, ზრუნვას ვარჩიეთ ტკბილი ზღაპარი, თუმცა ჩვენს ზურგთან, ჩვენს ჩასანთქმელად ხახას აღებდა თურქი აფთარი... ახლა სად გველის მოჰაჩი კიდევ, დალუპვა გმირის ოცი ათასის? რომელი ველი უნდა განითლდეს უნგრელთა სისხლით, როგორც ატლასი?“ (თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა).

დღემდე ახსოვთ უნგრელებს მოჰაჩი, როგორც ჩვენ გვახსოვს ჩვენი მარაბდა.

1529 წელს ოსმალებმა პირველად შემოარტყეს ალყა ვენას.

1541 წელს დაიპყრეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდა.

ინყება გაუთავებელი ომი ოსმალეთსა და შაჰბურგთა იმპერიას შორის.

მართალია, 1571 წელს ესპანეთისა და ვენეციის ფლოტმა დაამარცხა ოსმალები ლეპანტოსთან და პირველი სერიოზული ბზარი გაუჩინა აგრესორის აღზევებას, მაგრამ შინაომებით დაქანცული ევროპის სახელმწიფოები ღირსეულ წინააღმდეგობას მაინც ვერ უწევდნენ ოსმალეთის იმპერიას.

ქრისტიანულ ევროპას ხელს აძლევდა ირან-ოსმალეთის გაჭიანურებული ომი და აფრთხობდა მათი დაზავებანი. დასავლეთი ოცნებობდა, რომ აღმოსავლეთში ირანს მოსვენება არ მიეცა ოსმალეთისათვის და მისი ძალები უფრო მეტად შეეხოჭა. მაგრამ შაჰ-აბასი, არაერთი ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლის გამო, აღარ ენდობოდა ევროპელებს და ცდილობდა, რომ თავისი ძალონით გამკლავებოდა მოსისხლე მტერს.

1612 წლის ირან-ოსმალეთის ზავმა იმედები გაუტრუა დასავლეთს. სეფიანთა ირანმა ხმლით დაიბრუნა მეტოქისგან 1590 წლის ზავით დაკარგული ტერიტორია.

და აი, პიეტრო დელა ვალე მიეშურებოდა ირანს, რათა ისევე აემხედრებინა შაჰ-აბასი ოსმალებთან საომრად.

განსაკუთრებით კი საქართველო ეიმედებოდა. მშვენივრად იცოდა, რომ ჯერ კიდევ ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში ქართული მხედრობის გამოჩენას სირია-პალესტინაში მოუთმენლად ელოდნენ ჯვაროსნები და სჯეროდათ, რომ იერუსალიმს მაჰმადიანთა ხელთაგან სწორედ ისინი დაიხსნიდნენ — გეორგიანებად ნოდებული შორეული მოკავშირენი.

მშვენივრად იცოდა სიტყვაძუნწი ისტორიაც და მჭევრმეტყველი ლეგენდებიც. თავის ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა: „ქართველებს თავი გამოუჩენიათ, და კვლავაც იჩენენ, მამაც მეომრებად“. ამას აღაპარაკებდა მათი გმირული წარსული და არანაკლებ საამაყო აწმყო.

მთავარი ის იყო, რომ სეფიანთა ირანი და ქრისტიანული საქართველო შერიგებულიყვნენ, მორიგებულებიყვნენ და გაერთიანებული ძალებით გაეხსნათ მეორე ფრონტი ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ.

ქრონიკა

მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში პრემიერა გაიმართა სპექტაკლისა „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, რომლის რეჟისორიც გიორგი სიხარულიძეა.

იღიეს ავტორი და მხატვარი ზურაბ გოგორიკიძე. სპექტაკლის ქორეოგრაფიაზე მუშაობდნენ ვეკა პირმისაშვილი და ნათია მეტრეველი, მუსიკალურად კი წარმოდგენა გიორგი სიხარულიძესთან ერთად ანი მურულუღიამ გააფორმა. კოსტუმები სპექტაკლისთვის ხანა ანდრიაძემ შექმნა.

ქართული ხალხური პოეზიის შედევრის სცენურ ხორცშესხმაში (უშუალოდ ამ ბალადის გარდა გამოყენებულია სვანური პოეზიის ნიმუშებიც და ხმით ნატილებიც) მონაწილეობდნენ მსახიობები:

მზია არაბული, გუგა კახიანი, ანა მატუაშვილი, გაგი შენგელია, ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი, ნანუკა კუპატაძე, ნინო იაშვილი, ანა-მარია გურგენიშვილი, სალომე დიდიძე, სალომე სუხიშვილი, გვანცა ენუქიძე.

პროექტი, რომლის კონსულტანტებიც არიან ფოლკლორისტი ამირან არაბული და ფოლკლორისტი და პოეტი ეთერ თათარაიძე, განხორციელდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებათა ცენტრისა და ააიპ „ვან გოგორის“ მხარდაჭერით. ჩვენი შეპირისი ტყვიერება უხვ და მრავალფეროვან მასალას გვთავაზობს ამ ყაიდის დადგმათა განსახორციელებლად, რაც ნიშნავს ამ ორიგინალური პროექტის წარმატებით გავრძელებასა და გაღრმავებას.